

2014

საზოგადოებრივ-ცოტარაგნობრივი ჟურნალი

საქართველოს
საზოგადოებრივი
სამართლებრივი

ს

რილი

ტომი 2

გვით გაგვჩვენა
ანტიტერორული ვრლენდ
ლუსთან


გაუკვეთილი
დექები

თოვას პანი
„ლიმპენ“

გონივრული
მონურვის
ლიტერატურა

განს უღიხობისტი
იკვივი
რეტროსპექტივა

გათო ვარდვა
გონების
გაბრუნება



2014/0361სი

4 (224)

დავ ბულაქა პუტინის დედა

სარჩევი

ინტერვიუ	3	დავით გაბუნია ინტერვიუ ერლენდ ლუსთან საყვარელ მწერალთან ურთიერთობის შესავალი
პროზა	8	ლაშა ბულაძე პუტინის დედა
	13	ბეთშოვენის მკლაური
პოეზია	20	ეკა ქვეანიშვილი
თარგმანი	25	თომას მანი "ლუიზჰენ" გერმანულიდან თარგმნა ნანა ჭილაძემ
ესე	34	ჯონ ბარტი ამონურვის ლიტერატურა ინგლისურიდან თარგმნა ალქსანდრე ჭელიძემ
ხელოვნება	44	ჰანს ულრიხ ობრისტი / აი ვეივეი რეტროსპექტივა თარგმნა მიხეილ ციხელაშვილმა
რეპორტაჟი	56	დათო ქარდავა წიგნების დაბრუნება Habent sua fata libelli - წიგნებს თავისი ბედი აქვთ
რეცენზია	59	ჯაბა ზარქუა სოლარისი
	62	ლაშა მილორავა სენტიმენტალური პრელუდია
	63	ანდრო ბუაჩიძე არქაული პოეზია აკომპანემენტის გარეშე
	65	ზურაბ კალანდაძე ლელვის ხის ჩრდილი

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბეღია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბეღია

სარედაქციო საბჭო

რადი ამალღობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, თამარ ლებანიძე,
ვასილ მაღლავერიძე, ზვიად რატიანი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სინამდფითა

სულხან-საბა

არილი - მზის შუპი, რამეზე დამდბარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
მარილი

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოდის საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით



დავით გაბუნია

საყვარელ მწერალთან ურთიერთობის შესავალი



ზაზა დაკვირვებულნი და მამა გობაგაძის ფორიმიანი

უხერხული გრძნობაა, როცა შენს საყვარელ მწერალს ხედე. აი, რა უნდა უთხრა - გაიკრიჭო სულელურად და ვაიმე, როგორ მიყვარს თქვენი ნიგნები? იმან რა უნდა გითხრას - საპასუხოდ გაიკრიჭოს და დიდი მადლობაო, თუ რა? ამიტომაც ერთხელ საკუთარი ნებით ვთქვი უარი ლონდონში თანამედროვე დრამატურგიაში ჩემი კერპის, მარტინ კრიმპის გაცნობაზე - არადა, შემეძლო. ამჯერად კი ნორვეგიელმა კერპმა ჩამომაკითხა თბილისში.

2005 წელს ნავიკითხე პირველად ერლენდ ლუს პირველი რომანი „ქალის ტყვეობაში“ და იმ დღიდან მოყოლებული მშურდა ამ კაცის - არა, შური ის სიტყვა არ არის, ვეცდები, დავაზუსტო: ხომ გავჩენიათ შგერძნება, რომ ამ კონკრეტულ ნიგნს ხელს სიამოვნებით მოაწერდით - ჰოდა, მეც ასე დამემართა, მომინდა ასეთი ნიგნის დანერა - უშინაარსო ცხოვრებასთან ამოიდ მებრძოდ ახალგაზრდა კაცზე, რომელსაც უკვე ბრძოლაც მოებურება და ყოველდღიურობაში იძირება. ოლონდ, ტრაგიზმისთვის აქ სიერცე აღარ რჩება, ტრაგედიის თავიც არა აქვს ამ თანამედროვე ადამიანს. როგორი ნაცნობი შეგრძნება და თემაა ჩემთვის. ჰოდა, კი არ შემშურდა, არამედ, მომინდა ასე წერა მეც. მერე მივაყოლე კიდევ რამა-

დენიმე ნიგნი - მსოფლიო ჰიტო „ნაიფური. სუპერი“, „ფაქტები ფინეთის ცხოვრებიდან“, „ექსპედიციალ“ - ამათაც გამიყარეს აზრი, რომ საჩემო მწერალს გადაეცადა. შეიძლება არც მთლად საუკეთესოს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, მაგრამ პირდაპირ და უშუალოდ ჩემთან მოლაპარაკეს - ნამდვილად.

გავიდა 9 წელი და სრულიად მოულოდნელად მიერეკავს ჩემი მეგობარი, მაშო სამადაშვილი და მთავაზობს, არ გინდა, ერლენდ ლუს თარჯიმნობა გაუწიო თბილისში მკითხველებთან შეხვედრის დროს? ამოტივტივდა სასიამოვნო მოგონებები - გადმოვიღე თაროდან მისი ნიგნები, გადავხედე. იმისთვისაც მოვემზადე, ზემოთ რომ უხერხულობა ვახსენე, ეგეთ მდგომარეობაში თავი არ ჩამეგდო. თარჯიმნობის გარდა, თბილისის ნიგნის საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორებმა მოხოვეს, იქნებ ერლენდი, მისი შვიდი წლის შვილი და დედა ერთი დღით ჩაიბარო და ქალაქში გაასეირნო. მოკლედ, ფრიად საპასუხისმგებლო საქმისთვის მოვემზადე. სასტუმროში რომ მივაკითხე მეტეხის აღმართზე, თავი მართლა მისი ნიგნის პერსონაჟი მეგონა - რომანში „ფაქტები ფინეთის ცხოვრებიდან“ - ახალგაზრდა ნორ-



ვეგიელ დიზაინერს ფინეთის საელჩო ფინეთის ტურისტულ ბუკლეტს უკვეთავს და ეს კაცი ცდილობს, კლიშეებისგან შემდგარი ტურისტული ტექსტი შეაკონონოს, დიდად სასაცილო საკითხავია - ლუსსივის დამახასიათებელი უაღრესად არაპოლიტიკორექტული ოუმორით სახე. ჰოდა, პირველი რაც ვუთხარი ჩემს „ტურისტებს“ ეს იყო: ნაკითხული მაქვს თქვენი წიგნი და რა ვქნა, როგორ მოგიყვებ თბილისის შესახებ ისე, რომ ტურისტული გაიდბუქის ენას ავცდე-მეთქი. გაეცინა. მერე შევდურადაც დაველაპარაკე (შვედური და ნორვეგული ენები ძალიან ჰგავს ერთმანეთს და კომუნიკაცია არ არის ძნელი) და ამით ხომ მთლად მოვიგე მისი გული - ცოლი მყავს შვედიო. ერთი სიტყვით, ინგლისურ-შვედურ ენაზე დავიწყე ხობხობა და გორგასლის ამბებით და ერთი სიამოვნება იყო იმის მოსმენა, თავის 7 წლის ბავშვს როგორ უთარგმნიდა ერლენდი ამ ყველაფერს ნორვეგიულად. მეგონა, საქართველოზე წერდა ახალ წიგნს თავისი განუმეორებელი, მინიმალურ გამომსახველობამდე დაყვანილი, „ნაიფური“ ენით. კი გავიფიქრე, აი, თურმე „ნაიფური.სუპერი“ როგორ დანერა - ამბებს ყვები ისე, რომ 7 წლის ბავშვმა გაიგოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბები საბავშვო სულაც არაა. მოყოლისას დროდადრო ეჩერდებოდი და ვთხოვდი, თუ ძალიან გავუტევი, იქნებ შემანყვეტინო-მეთქი. შენც არ მომიკვდე, უდიდესი ინტერესით მისმენდა მთელი ოჯახი (ერლენდი, დედამისი და ბავშვი) - და უხერხულობის გრძობაც სადღაც გაქრა - როცა არ იცი, რაზე ელაპარაკო საყვარელ მწერალს.

შეგადაშიგ მაინც გავაპარებდი რაიმე ციტატის მსგავსს მისი წიგნებიდან, იმის მისანიშნებლად, რომ ტურისტებისთვის გამიზნულ ენაზე განზრახ ვლაპარაკობდი და ხშირად სულაც არ მომწონდა ჩემივე სიტყვები; ემანდ, არ გეგონოს, გულწრფელად მჯერა ამ პატრიოტიზმით შეკმაზული სენტენციების-მეთქი. ისიც თავს მიქნევდა, კარგად ვხვდები, რასაც გულისხმობო. ცხადია, ყველა ტურისტული სეირნობა ჭამა-სმას აუცილებლად უნდა მოიცავდეს და მეც,

რა თქმა უნდა, ქართულ სამზარეულოს მივეძაღე. არ მოყვები დეტალურად, როგორ შეირცხვინა თავი ხინკლის ხელით ჭამაში და მხოლოდ მესამე ცდიდან მიიღწია დამაკმაყოფილებელ შედეგს; იმასაც გაკვრით ვახსენებ, მეგრულმა სეპარატისტმა რომ მძლია ხაჭაპურის არჩევანში და ტარხუნის ლიმონათზე როგორ იხალისა 7 წლის ლუმ, ბეტმენის სასილეს ვავსო. გასტრონომიული ნაწილი წარმატებით მოვიღიეთ და მწერალთა სახლს მივაშურეთ, მაჩაბელზე. აი, აქ კი აენტო თვალები ჩვენს სტუმარს, ყველა კუთხე-კუნჭული დაათვალიერა, ჩვენი დიდი გეგმების შესახებ მოისმინა, აღფრთოვანდა, სარემონტო ზედა სართულებზეც იძრომიდა და ასეთ სახლში თუ მწერალთა სარეზიდენციო პროგრამა გექნებათ, დიდი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობასო, მანამდე კი ერთი საბოლოო მაქვს და უარი არ მითხრა, სადმე ახლოს სათამაშოების მაღაზია თუ არის, ნამიყვანე, ბავშვს საჩუქარს დაეპირდიო.

მართლა უცნაური გრძნობაა, როცა ერლენდ ლუსთან ერთად სათამაშოების მაღაზიაში „ლეგოს“ კონსტრუქტორებს არჩევ 7 წლის ბიჭისთვის. ვისაც „ნაიფური.სუპერი“ ნაუკითხავს (გირჩევთ, არ ინანებთ!) ადვილად მიმიხვდება, რომ თავი მართლა წიგნის პერსონაჟი მეგონა. საბოლოოდ ყველა კმაყოფილები დავრჩით - სეირნობით დალილი პატარა და დიდი ლუები სასტუმროსკენ გავისტუმრე, მეორე დღეს დიტო გოგოლაშვილის საიმედო ხელში ვტოვებდი. მე კი ორი დღის შემდგომ მკითხველებთან შეხვედრისა და „არილისთვის“ ჩასანერი ინტერვიუსთვის მოსამზადებლად წავედი.

ჰო, დამავიწყდა მეთქვა, რომ ერლენდს თან ფოტოაპარატი ჰქონდა და სულ აჩხაკუნებდა - ამასწინათ კი შეიღებ ფოტოებიც გამომიგზავნა. აი, ასეა - თავიდან იმას ფიქრობ, საყვარელ მწერალს როგორ ელაპარაკო და ბოლოს იმით ამთავრებ, რომ მისი გადაღებული საკუთარი გაკრეჭილი სახე გიყურებს კომპიუტერის მონიტორიდან. ერთი სიტყვით, უკვე ვიცი - საყვარელი მწერლების არ უნდა მემიწოდეს.



მწერალი, სცენარისტი, ველოსიპედისტი, ძმა და სამი ბიჭის მამა

ინტერვიუ ერლენდ ლუსთან

ერლენდ ლუ - Erlend Loe (დ. 1969) ცნობილი ნორვეგიელი მწერალი, რომანისტი, მაისის ბოლოს თბილისის საერთაშორისო წიგნის ფესტივალის სტუჟი-მარი იყო. მისი მეორე რომანი „ნაიფური.სუპერი“ (1996) გამოსვლისთანავე გასცდა ნაციონალური ბესტსელერის მასშტაბს და რამდენიმე ათეულ ენაზე ითარგმნა. ქართული გამოცემისთვის რომანი ნორვეგიულიდან თამარ კვიციანიძემ თარგმნა (ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა, 2008). ერლენდ ლუს რომანები განსაკუთრებული, მწერლისთვის საფირმო ნიშნად ქცეული ირონიით გამოირჩევა. ქართულ ენაზე გამოსაცემად მზადდება ლუს კიდევ ერთი პოპულარული რომანი „დოპლერი“ (2004).

არილი: ქართველი მკითხველი თქვენი ყველაზე პოპულარული რომანით, „ნაიფური.სუპერი“ გიცნობს. როგორ ახსნით ამ წიგნის ფენომენალურ წარმატებას?

ერლენდ ლუ: ეს ჩემი რიგით მეორე რომანია, როცა „ნაიფურ.სუპერს“ ვწერდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ მხოლოდ ჩემი თაობის ნორვეგიელებს მოეწონებოდათ და აუცილებლად გააკრიტიკებდნენ აკადემიური წრეები, ლიტერატურის საციალისტიები. მეგონა, ლიტერატურულ ისტებლიშმენტს ეს ენა ზედმეტად ბავშვურად მოეჩვენებოდა. თუმცა წიგნმა დიდი წარმატება მოიპოვა, მაგრამ ამის ახსნა არ შემიძლია. ძალიან მარტივად ვიტყვი, შენს დროში უნდა იცხოვრო, აღწერო შენი დრო და მერე ბედნიერი დამთხვევის წყალობით, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ კარგი წიგნი გამოვიციდეს და მკითხველებსაც მოეწონოთ. თუ ცდილობ, დანერო ის, რაც ყველას მოეწონება - იმთავითვე შეცდომას უშვებ. კიდევ ვიტყვი, რომ 90-იანი წლების სკანდინავიური ახალგაზრდული კულტურა გაჯერებული იყო ირონიით, სკეპტიციზმით. ჩემი ოუმრო მამიანაც ირონიული იყო და ახლაც ასეთია, ყოველთვის ვცდილობ, გვერდიდან შევხედო მოვლენებს. თუმცა, ერთხელაც მიხვდი, რომ ჩემს თაობას რაღაც უფრო მეტი ჰქონდა, ეს არ იყო მხოლოდ ირონიული დამოკიდებულება სამყაროს მიმართ, ჩვენ სხვა გრძნობები, სხვა ემოციები გვაშორებდა. ანა და მამანერინა ეს რომანი, რომელიც, ჩემდა გასაკვირად, ძალიან მალევე ითარგმნა მრავალ ენაზე. შეიძლება ითქვას, ამ წიგნმა ლიტერატურაში კარი გაიღო.

არილი: როცა „ნაიფური.სუპერი“ პირველად წავიკითხე, შეგრძნება გამიჩნდა, რომ ამ წიგნის

მთავარ გმირს ვიცნობდი - თითქოს სადღაც მე-ნახა. ხომ არ არის ეს კაცი „გაზრდილი“ ჰოლდენ კოლფილდი? ან იქნებ პიტერ პენია? თუ გრძნობდით ან გულისხმობდით ამ კავშირებს, როცა წიგნს წერდით?

ელ.: თამაში ჭვავის ყანაში“ მრავალჯერ მაქვს ნაკითხული და, ცხადია, კავშირი არსებობს. თუმცა ასე პირდაპირ ვერ ვიტყვდი - როცა ამ წიგნს ვკითხულობდი, ბევრად ახალგაზრდა ვიყავი. ცხადია, მზიბლავა 50-იან-60-იან წლებში დანერგული ახალგაზრდული ამბოხის იდეა, მაგრამ „ნაიფური.სუპერის“ გმირი შორსაა ამ მეამბოხის შარავანდეგისგან, ის სულაც არ არის მაგარი ტიპი 1950-იანი წლების ამერიკული კინოდან. ის უფრო ბავშვია - ასე რომ, განსხვავება აშკარაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, კრიზისის განცდა ჩემს გმირსაც აქვს. რაც შეეხება პიტერ პენს - 90-იანი წლების სკანდინავიაში მართლაც არსებობდა ერთგვარი „პიტერ პენული“ კულტურა - ბევრი იყო ახალგაზრდა, რომელსაც თითქოს არ სურდა გაზრდილიყო. ჩემი აზრით, ეს უკავშირდება საუკუნის ბოლოს დიდი პოლიტიკური და რელიგიური იდეალების კოლაფსს - ადამიანებს საყრდენი გამოეცალათ, არ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ. სწორედ ასეთი ადამიანია „ნაიფური.სუპერის“ გმირი. კიდევ ხშირად მეკითხებიან, რამდენად მგავს ეს გმირი მე - და როდესაც იცებენ, რომ ეს არ არის ავტობიოგრაფიული წიგნი, ცოტა იმედგაცრუებულნი რჩებიან. მე ამით კმაყოფილი ვარ, რადგან მიზნად მქონდა დასახული, მკითხველებს მოსჩვენებოდათ, რომ წიგნი ნამდვილ ამბებს აღწერს. მთავარია, ეს ილუზია შექმნა - რომ საკუთარ თავზე წერ და სრულიად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, წიგნში აღწერილი ამბები მართლა ავტობიოგრაფიულია თუ მთლიანად გამონაგონი.

არილი: ჩემდა სამწუხაროდ, ძალიან ცოტა თანამედროვე ნორვეგიელი მწერლის წიგნი წამიკითხავს, თუმცა, პირველი, ვინც მასხსენდება, შიელ ასკილდსენი და მისი ცნობილი მოთხრობაა, „თომას ფ.-ის ბოლო ჩანაწერები კაცობრიობას“. ასკილდსენის გმირი მოხუცია, რომელსაც ადამიანები სჭულს და მარტო ყოფნას არაფერი ურჩევნია. თქვენი გმირების ასოციურობა რამდენად ეწერება თანამედროვე ნორვეგიული ლიტერატურის ტენდენციებში - არის თუ არა ეს ერთგვარი საერთო თემა? ადამიანის ასოციალურობა.

ელ.: მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგიულ ლი-

ტერატურას ბევრს ვკითხულობ, თავს ვერ დავებდ, რომ ლიტერატურის ისტორიკოსის სიზუსტით შემიძლია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. რა თქმა უნდა, ჩემი წიგნები საერთო ნორვეგიულ სურათში კარგად ენერება. ასკოლდსენს მთელი ახალგაზრდობა ვეკითხულობდა და ძალიან მომწონდა მისი უპატიო იუმორი, ცხოვრების პირქუში ხედვა. რამდენჯერმე შევხვედრივარ კიდევ, გადასარევი კაცია - თითქმის სულ ჩუმადაა, მაგრამ როცა ლაპარაკობს, აუცილებლად ყურადღებით უსმენ. წარმოუდგენელი პერფექციონისტი. ინტერვიუებში არაერთხელ უთქვამს, რომ ერთ საათს ხარჯავს წერაში, მაგრამ შემდეგ სამ საათს მუშაობს, რომ დაწერილიდან ყველაფერი წაშალოს და საბოლოოდ ერთადერთი სრულყოფილი წინადადება მიიღოს. მე ამ მხრივ ძალიან განვსხვავდები მისგან. რაც შეეხება უშუალო გავლენას, არსებობდა ასეთი ნორვეგიული პოპკულტური deLillo, და თუ ვინმეს მადარებენ, სწორედ მათი სიმძლავრის ტექსტებია - მათ ჰქონდათ ასეთივე ნაივური მიდგომა სერიოზული საკითხების მიმართ. 1980-იან წლებში და 90-იანების დასაწყისში ასევე იყვნენ მწერლები, რომელთაც „ნეონაივისტებს“ ეძახდნენ, რა თქმა უნდა, მათ გავლენასაც განვიცდი. ამიტომაც, რასაც მე ვწერდი, ცხადია, არ იყო სუფთა ფურცლიდან დაწყება - ჩემს გარემოს და წინამორბედებს ძალიან კარგად ვიცნობდი.

არილი: სხვა წიგნებზეც ვისაუბროთ - თქვენ რომანი „ექსპედიცია ლ“ - დასცინის პატრიოტიზმს, მის დეკონსტრუქციას ახდენს. ამ ძალიან სასაცილო წიგნში გამახსარავებულია „სასახელო ნორვეგიელის“ სახე, რას ნიშნავს იყო ნორვეგიელი. ამისათვის არასოდეს გაუკრტიკებიანო?

ე.ლ.: არა, რადგან ჩემს თაობას ძალიან კარგად ესმის ამის საჭიროება. ცხადია, ყველა კულტურაში ასეა - უფროსი თაობა გასწავლის, რომ სამშობლო უნდა გიყვარდეს, რომ ეს მნიშვნელოვანია და ა.შ. ყოველ 17 მაისს, ნორვეგიის ეროვნულ დღესასწაულზე, გამოვიდვართ ქუჩებში და ვაფრიალებთ ნორვეგიის დროშებს, ბავშვები გამოგვყავს. ერთხელ, ბავშვობაში, ბიძაჩემმა დამიყვარა, დრომა მაღლა ასწიე - მინას არ შეეხოხო - ამის უფლება არა მაქვს. თუმცა ჩემთვის ეს ღირებულებები არაა საკრალური - ძალიან კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ მიყვარს ჩემი ქვეყანა, მაგრამ ის ყველაზე სხვადასხვანაირი არსებობს. ვიციცა დაძაბული უყვარს თავისი ქვეყანა, მე კი მშვიდად მიყვარს და არ არის საჭირო ამ პატრიოტულ თამაშებში ჩართვა. არ არის აუცილებელი გაუთავებლად იბაყო ამუნდსენით, ჰეინრედლით - ეს ის ხალხია, რომლებმაც სახელებს ნორვეგია - მსოფლიო რუკაზე ადგილი მოუნიშვნეს - ჩემთვის ასეთი სახის პატრიოტიზმი საეჭვო ღირებულებაა, ამიტომ დაიცინვასაც არ ვერიდები. საუბრისგან, ამას ნორვეგიელების დიდი ნაწილი ხედება. საჭიროა პატრიოტიზმის გრადუსის დაბლა დაწევა, მისი დამინება. სწორედ ამის გაკეთებას ვცდილობდი ამ რომანში.

არილი: თქვენი კიდევ ერთი წიგნი „ფაქტები ფინეთის ცხოვრებიდან“ - ძალიან გამორჩეული

რომანია - საკმაოდ არაპოლიტიკორექტულად მოიხსენიებს ფინეთს. თუ ნორვეგიელებმა თვითონ წინა გაპატიეს, როგორი იყო ფინელები რეაქცია?

ე.ლ.: ფინელებიც საკმაოდ მშვიდად და აუღელვებლად აღიქვამენ ეროვნულობის საკითხს, მათი დიდი დობით ახასიათებთ თვითონონოლებს, ამიტომ წიგნს დადებითი გამოხმაურებები მოჰყვა ფინეთშიც. ასე რომ, ბორატის და ყაზახეთის ამბავი არ განმეორებულა. საინტერესოა ისიც, რომ, ბოლოს და ბოლოს, ყაზახეთშიც მიხედნენ, რომ წინააღმდეგობის განწევას აზრი არა აქვს, ასეთი იუმორი უნივერსალურია და თუ ეცდები, აკრძალო, აუცილებლად დამარცხდები. თუკი მოახერხებ, აღიარო, რომ მართლა სასაცილოა, მაშინ ვინ იცის, იქნებ მოგეწონოს კიდევ. ფინეთსა და ნორვეგიას ბევრი რამ გვაქვს საერთო - ორივე ქვეყანა „უფროს მძალ“ აღიქვამდა შვედეთს, ახლა თავისუფალი ქვეყნები ვართ და ამ თავისუფლებას ძალიან ვაფასებთ. ამას გარდა, ნორვეგიელებსა და ფინელებს კარგად გვესმის სირუმის ფასი - სიჩუმე სულაც არ არის საშობი.

არილი: ქართულ ენაზე აქამდე თქვენი მხოლოდ ერთი წიგნი „ნიკოლოსი სუპერის“ გვაქვს, მალე იგეგმება კიდევ ერთი რომანი, „დოპლერის“ გამოცემა, სადაც მთავარი გმირს მომეზრდება ადამიანთა შორის ცხოვრება და ტყეში გადაბარდება...

ე.ლ.: „ნიკოლოსი სუპერის“ შემდეგ „დოპლერი“ ჩემი ყველაზე პოპულარული რომანია. დოპლერი რომანის მთავარი გმირის გვარია; ეს კაცია, ოჯახის მამაა, რომელიც არაფრით არა მგავს მე. იგი ერთხელაც აღმოაჩენს, რომ ამქვეყნად ყველაფერი შეიმცნა, ყველაფერი გააკეთა, რასაც მისგან ელოდნენ და საერთოდ, მეტისმეტად იდეალურია. ამიტომაც ღიად აცხადებს, რომ ადამიანების საზოგადოებაში ცხოვრება მომეზრდა, არ უყვარს ხალხი, არ მოსწონს რასაც ადამიანები ამბობენ და აკეთებენ. იღებს გადაწყვეტილებას, მიატოვოს ჩვეული ცხოვრება, მარტო ყოფნა უნდება. ამით ცდილობს თავის დაცვას საზოგადოებისგან და თან, საზოგადოებასაც იცავს თავისი უარყოფითი აზრებისგან. შემქმნელს, ეს პერსონაჟი „ფსიქოლოგთან მიმეყვანა“, მაგრამ მაშინ ხომ მოსაწყენ წიგნს მივთვლიდა, მე კი მოსაწყენი წიგნები არ მიყვარს. ამიტომ ბუნებაში გადავასახლე - რაც ფრიად პრაქტიკული გადაწყვეტილება იყო. თანაც, ოსლოში, ჩემს სახლთან ძალიან ახლოსაა ტყე - ათ-თხუთმეტ წუთში ფეხით მიხვალ ტყემდე. დოპლერმაც აქ დასცა თავისი კარავი - ეს ისეთი ადგილია, სადაც შემთხვევით ვერაინ მიხვდება, თვითონ გმირს კი შესაძლებლობა აქვს, ქალაქს გადმოხედოს, ყველაფერი აკონტროლოს. ასე რომ, თუ ოსლოს მცხოვრებლებისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია, ყოველდღიურობის ნაწილია - ძალს ასეირნებენ ტყეში, ან დარბიან ხოლმე - აქამდე არავის მოაფიქრდა, ამ ტყეში კარვის გაშლა და საცხოვრებლად გადმოსვლა. ერთი სიტყვით, კაცი გაექცევა თავის ორ შვილსა და ფეხმძიმე ცოლს და ამერიკელი ინდიელივით ცხოვრებას იწყებს, ოღონდ ოსლოს მახლობლად. მომეზრება კაცი (ცხენირემს მოკლავს, მაგრამ მოგვიანებით აღმოაჩენს,



რომ ცხოველს პატარა ნაშიერიც ჰყოლია. რას არ ცდილობს, რომ ეს პატარა ცხენირემი თავიდან მოიშოროს, მაგრამ ცხოველი არაფრით არ შორდება, და საბოლოოდ მისი საუკეთესო მეგობარი ხდება. მოკლედ რომ დავახასიათო ეს წიგნი, ასე ვიტყვი: ეს არის კაცისა და პატარა ცხენირემის მეგობრობის ამბავი, რომელიც მიზანთროპული და ცივილიზაციის სანინაღმდეგო იდეებითაა გაფლენილი. ამ წიგნის დანერგვით უკვე ათი წელი გავიდა, მაგრამ მასთან დაკავშირებულ ერთ სახალისო ამბავს მოგიყვებით. წინა კვირას ავიღე ჩემი სხვადასხვა წიგნების 100 ეგზემპლარი, ლითონის ყუთში მოვათავსე და იმ ტყეში დავტოვე, ზუსტად იმ ადგილას, სადაც „დოპლერის“ გმირი ცხოვრობს რომანში. მერე ტვიტერზე დავწერე ყუთის ზუსტი გეოგრაფიული კოორდინატები და ტექსტი: აქა და აქ აწყვია ჩემი წიგნები და შეგიძლიათ, წაიღოთ, ნუ მოგერიდებთ-მეთქი. უნდა გითხრათ, არც ისე ადვილი საპოვნელია ის ადგილი. მეგონა, რამდენიმე კვირა დასჭირდებოდათ, მაგრამ ორ დღეში ყუთი სრულიად დაცარიელებული დამხვდა. მოკლედ, ეს მეთოდი მოვიგონე და ახალ წიგნს როცა დავწერ, იმასაც ასე გავავრცელებ.

არილი: ტვიტერის ანგარიშზე მითითებული გაქვთ, რომ ხართ „მწერალი, სცენარისტი, ველოსიპედისტი, ძმა და სამი ზიჭის მამა“. ამ იდენტობათაგან რომელია მთავარი?

ე.ლ.: ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში ამათავან ორი ყველაზე მნიშვნელოვანი: მამა და მწერალი. ორივეს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის; წერა ის საქმიანობაა, რისგანაც სიამოვნებას ვიღებ, მაგრამ

არჩევანის საშუალება რომ მქონდეს, ვიტყვოდი: მირჩევნია, მომავალში ჩემზე თქვან, კარგი მამა იყო. შორეულ პერსპექტივაში ეს უფრო მნიშვნელოვანია.

არილი: ველოსიპედისტზე რას იტყვით? იმის გარდა, რომ ფეხზე ველოსიპედის ტატუ გაქვთ, ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ დეპრესიული, დაღლილი და თავგაბებრებული კაცები ხშირად ირჩევენ ამ გზას, მიდიან ველოსიპედით სასეინროდ და ან სარბენად, იმის ნაცვლად, რომ ვინმეს დაელაპარაკონ.

ე.ლ.: ნორვეგიაში ნამდვილად ასეა. ამერიკისგან განსხვავებით, ჩვენთან ფსიქოთერაპევტთან სიარულის კულტურა ნაკლებადაა განვითარებული. ცხადია, ფსიქოთერაპევტები ნორვეგიაშიც არიან, მაგრამ ნორვეგიელი კაცები ამ მხრივ ფინელ კაცებს ვგავართ - ჩვენთვის არც ისე იოლია, ვიდეცას საკუთარ პრობლემებზე ველაპარაკოთ, და იქნებ, არცაა საჭირო. თუ უბრალოდ შეგიძლია, ნახვივად, მაგრამ გაოფლიანდე და დაილალო, ირბინო, ველოსიპედით ისეირნო, თხილამურებით ისარიალო, ეს ზომ გაცილებით ადვილია და შედეგი ზუსტად იგივე გაქვს. ოსლოს იმ უბანში, სადაც მე ვცხოვრობ, მრავლად ნახავთ კაცებს (ქალებიც არ აკლებენ), რომლებიც ტყეში დარბიან ან ველოსიპედით სეინრობენ. ერთი შეხედვით, არაფერი ამაში ცუდი არ არის, მაგრამ თან ერთგვარი პანიკის გამოშხატველია. მაშინ, როცა არაფერში მყარად დარწმუნებული არა ხარ, ის მაინც იცი ზუსტად, რომ შეგიძლია საკუთარი სხეული დალალო და მერე მშვიდად და ღრმად დაიძინო.

ლაშა ბულაძე

პუტინის დედა

მონოპიესა

შესავლის მაგიერ

საქართველოში ბევრმა იცის, რომ ქვეყნის შუაგულში, კასპთან, იმ ქალაქს შორის, სადაც ოდესღაც სტალინი დაიბადა და სადაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, სამხრეთ-ოსეთის არაღიარებული, უფრო სწორად, მხოლოდ რუსეთის მიერ აღიარებული და რეალურად კი ოკუპირებული "საბრუნწილო" გაჩნდა, მოხუცი ქალბატონი, ვერა პუტინა ცხოვრობს. ეს ქალბატონი უკვე წლებია ერთსა და იმავეს იმეორებს, რომ ის რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის დედაა და უცნაურ, პარადოქსალურად დამაჯერებელ ამბებს მყვება რუსეთის ამჟამინდელი მმართველის ბავშვობის შესახებ.

კასპის რაიონში რომ ჩახვიდეთ და პირდაპირ მკითხოთ შემხვედრებს, პუტინის დედა სად ცხოვრობსო, არც დაიბნევიან, ხელად მიგასწავლიან მის საცხოვრებელს: "პუტინის დედა? აკერ ცხოვრობს... სოფელ მეტეხში".

რამდენიმე წლის წინ მის შესახებ დოკუმენტური ფილმი გადაიღეს, თუმცა მისი ნაამბობის ნამდვილობა არც არავის დაუდასტურებია და არც არავის უარუყვია. ერთი კია, არცთუ დიდი ხნის რომელიღაც ქართულ გამზეთებ ამოვიკითხე, რომ ქართველ ექსპერტებს ამერიკელთა დახმარებით ჩაუტარებიათ ამ ქალბატონისა და ვლადიმერ პუტინის თმის DNA-ის ანალიზი (თურმე, ამერიკელებს მოუპოვებიათ პუტინის თმის ღერი) და ამ ექსპერიმენტის შედეგად ერთხელ და სამუდამოდ დადასტურებულია მისი დედაობა.

ვერ გეტყვით, რამდენად სარწმუნოა ეს ცნობა, მაგრამ თავისთავად იმის გამოძიებაც საინტერესო იქნებოდა, როგორ და რა ვითარებაში მოხდა პუტინისთვის თმის ჩამოწეწვა (თან ისე, რომ მას ვერ გავიგო)? ბუნებრივად ხომ არ დასცივდებოდა? შესაძლებელია, რომ მისი რომელიმე კოლეგა-პრეზიდენტი წაპოტინებოდა?

--- ტექსტი წაშლილია ---

ასეა თუ ისე, ეს ამბავი ცალკე გამოძიებას საჭიროებს, ჩემი თემა კი არა იმდენად კონკრეტულ დედაზე, რამდენადაც მოხუცი პენსიონერ ქალზეა, რომელიც, ერთი მხრივ, სამართლიანად ჩივის თავისი სილატაკისა და დაუცველობის გამო, მეორე მხრივ კი - და სწორედ ამ მიზეზთა გათვალისწინებით! - თუკი ვინმე ეიმედება ახლა, ეს მხოლოდ პუტინია; პუტინი, რომელიც წარსულის დაბრუნებას, საბჭოთა კავშირის აღდგენასა და მისი უიღბლობისა და შიშის მთავარი მიზეზის, დასაცვლეთით მცხოვრები ძველი, ძლიერი და უჩინარი მტრის საბოლოო განადგურებას პპირდება.

უკრაინის კრიზისის დროს, პრეზიდენტმა პუტინმა თავად აღიარა, რომ მისი ჯარისკაცები (ციტატა) "ქალებისა და ბავშვების ზურგს უკან იდგებიან", და მართლაც - ბევრმა ნახა ის კადრები, როცა პუტინის ბტეტეერება თუ სამხედროებს დაქტობრივად წინ მიუძღოდნენ უსამართლოდ დაჩაგრული, მაგრამ აწ გამოგნებულა ვასანსოკეკუული და შურისმაძიებელი ბებიები.

პუტინის დასაყრდენი ახლა შუშინებული, მიტოვებული და მძვინვარე პენსიონერებია. დესპოტების უკან ხომ ყოველთვის ეს უმრავლესობა დგას.

ლ. ბ.

- არ მინდა მთელმა მსოფლიომ გაიგოს, სად მდებარეობს ჩემი საცხოვრებელი ადგილი. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს მინა ცნობილია ვაშლის ხეებით და კიდევ იმით, რომ აქედან ნახევარი საათის სავალზე დაიბადა საბჭოთა კავშირის ბელადი იოსებ სტალინი. მაგრამ ეს ადრე. მე არ ვიცნობდი არც მავას და არც დედამისს. მე გვიან ვაგჩნდი.

ეს არაა ჩემი სამშობლო, მე დაიბადე სხვაგან, სხვა ქვეყანაში და სხვა ხალხში, მაგრამ განგებამ ისე ინება, რომ უკვე ათწლეულებია აქ ვცხოვრობ და იმ ენაზე ვსაუბრობ, რომელიც მშობლიური არ არის ჩემთვის, თუმცა მშობლიურზე უკეთ ვიცი ახლა. მაგრამ რად უნდა ენა ძროხას ან ქათამს? მე მათ ვესაუბრები საერთაშორისო ენაზე, რომელიც ვასაგებია, როგორც ადამიანებისთვის, ასევე ცხოველთა ყველა სახეობისათვის.

თუკი ჩემს ბიოგრაფიას გადაეხედავ, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ არასდროს დამკარგვია პირადად ჩემი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი რქოსანი

ან ფრთოსანი. იყო შემთხვევები, როცა ძროხა გაეტყუებინათ სხვა


სოფლიდან მოგ ზავნილებს, მაგრამ ჩემი პირუტყვი - არასდროს. სხვისი ძროხები, სულო და გული, მრავალჯერ მომობრუნებია მშობლიურ სოფელში.

აქ არ არსებობს არც -- ნაშლილია -- ერთი ცოცხალი და ჯანსაღი ცხოველი, რომელიც მე დამემალეუბა. სოფელი იციან - თუკი რქოსანი სამაქანო ტრასაზე გადავიდა და გაქრა, მაშინვე მე უნდა მომიხმონ.

ამაყი ვარ, რადგან ჩემი ცხოვრების მანძილზე ასობით ბოჩილა, თხა, ქათამი და ღორი მიპოვნია!

სწორედ მე დაუბრუნე სოფელს ორი წლით გაუჩინარებული კამეჩი და ისიც მე ვიყავი, ვინც ხრამში გადამტარ ციკანს მიაგნო, მე ვიპოვე მგლის ლეკვები და მე აღმოვაჩინე ჯვირისი ნაკვალევი, რომლის შესახებ ზოგიერთი უნამუსო პიროვნება დღემდე ამბობს, რომ ეს დათვის ნაკვალევი იყო. ამ დროს, სად დათვი, სად ჯვირანი!

რატომ ვისწუნებ ამ ყველაფერს? იმიტომ რომ მო-



განზომი: ყველა და ყველაფერი მიმოვინია შენს გარდა! --- ნაშრომი ---

უკვე აღარც მახსოვს, რამდენჯერ ვცადა შენთან დაკავშირება - სად აღარ ვიყავი, ვის აღარ ვთხოვე შეგლა, მაგრამ მაინც ვერ მოაღწია შენამდე ჩემმა გზავნილმა.

პირველად თხუთმეტი წლის წინ განახე ტელევიზორში და ხელად გიცანი - კედელ-კედელ რომ მოუყვებოდი გრძივ დარბაზს... მეთქი, ესაა ჩემი შვილი, ეს ბიჭი დავკარგე წლების წინ! სახეც შენია, მიხვრა-მოხვრა, ფეხის გადგმაც (?) - ოღონდ დაქანებულად მარჯვნივ - და უდავოდ სიმაღლეს, რადგან ეს თავი-დანვე ნათელი იყო, რომ მიხვდა არც გაიზრდებოდი. ძილშიც განახე და ასე მითხარი: "ღედა, დამანინაურეს, არდადეგებზე ჩამოვალ".

დედის გულს რას მოატყუებ!
დიდი სიზმრების მავნელ-მომყოლი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ 1987 წლის 16 მარტს ცხადად დამესიზმრა ქარელის რაიონში დაქარგული ბოჩოლა. და სადაც დამესიზმრა, მეორე დღეს სწორედ იქ ნახეს ჩემმა თანასოფლებელმა. ეს შემთხვევაც მსგავსია.

ოთხჯერ მყავხარ ნანახი მრავალრიცხოვან საზოგადოებრიობასთან ლაპარაკის დროს: ვიძინებდი და ვიღვიძებდი, შენ კი ისევ ტელევიზორში იჯექი და მოსახლეობა ესაუბრებოდი. ხოდა, მეთქი, ამაშიც მე მგავს, გაჩერება არ იცი, თავს არ დაიზოგავს, იქამდე მოწველის პირობებს, სანამ ბოლო წვეთს არ გამოადენს. პირადად მე ძროხის დამშუტავს მიწოდებდნენ სოფელში და შენც ასეთი ხარ: ცხოველს მანამ არ გაეცლები, სანამ პირმინდად არ დაუცლი ქუთუბს. მე დამემგავანე, რას იზამ.

დედის ბუნებაც იმგვარია, რომ როგორი ღობეებიც არ უნდა ამოუშენონ და რამხელა მავთულხლართებიც არ უნდა გაუზან, შვილისკენ გასაღწევ ღარს მაინც მონახავს და თუნდ სიკვდილის ფასად, მაინც მიანვდენს თავის ხმას.

ახლა ისეთი სურათია, რომ შენმა სამხედროებმა - თუმცა ჩემი და შენი რამ გაჰყო - ჩვენი სოფლიდან რამდენიმე კილომეტრში მავთულხლართებით შემოღობეს მინა. ამ წუთებშიც კი, როცა მე ჩემს ვაჟთან ვცდილობ საუბარს, დიდი მონდომებით მიდის მავთულხლართების ბმა და სასაზღვრო ნიშნების დარქობა: "სახელმწიფო საზღვარი", "საზღვარზე გადასვლა აკრძალულია".

საზღვრები კი, უნდა მოვახსენო, გადის კერძო ბაღებში, სახლებში, საძოვრებში, სახნავ-სათესებზე და სასაფლაოებზე. არის შემთხვევები, როცა საზღვრო პიროვნებების მიერ განეული სამუშაოების შემდეგ სახლი საზღვარს აქეთ რჩება, ჩემმა კი, ესე იგი, ტყუალტყ, საზღვრის იქით. მაშასადამე, ძროხა აქეთ და ბოსელი იქით, მძოველი აქეთ და საძოვარი იქით.

ერთი პროვინება საზღვარს აქეთ დარჩა თავისი მოხუცი ცოლითურთ, ხოლო მისი შშობილების საფლავები მავთულხლართების გადაღმა, ხოდა, როცა სამხედროებს პირდაპირ დაუსვა შეკითხვა, ვაი თუ მოკვდებ, როგორ დამკრძალონ, ღობეში უკუბრუნდნენ ხომ არ გამაძვრენინო, იმათ მოუგათ - მოსკოვში უნდა წავიდნენ და იქ აიღონ შენი დამარხების ცნობა. მაგრამ ახლა უყურე, რა ხდება: სასაფლაო ყურის ძირშია, გორაკზე, ხოლო მოსკოვამდე, სულ ცოტა,

ერთი კვირა მაინც უნდა ჩასვლას. ხუთ დღეში მკვდარი აყროლდება, ჭირისუფალი მოიქცევა, მაგრამ ისე წუ იფიქრებ, თითქოს კანონის წინააღმდეგი ვიყო: მე რომ მკითხო, კარგმა ჭირისუფალმა არათუ ერთ, არამედ ორ და სამ კვირას უნდა გაუძლიოს თავის მკვდარს. ამიტომ დიდად არ ვყვები იმ ხალხს, ვინც ამაზე ვიშვიშებს. როდის აქეთ გახდა საწუნწური და სათაკლო მოსკოვში ჩასვლა? ხალხი მიზეზს ეძებდა ჩემს ახალგაზრდობაში, იქ რომ წასულიყო და აპა, ამაზე კარგი მიზეზი რაღა გინდა! აქაურებს მანდ ჩამოსასვლელ საშუალებას აღარ აძლევენ, თორემ მკვდრის დასამარხის ვის დაუკავებენ. ჩააკრავ პასპორტში მშენი მკვდრის ფოტოს და ყველა კარი გაავლავს მოსკოვში. ომს ერთი პატარა ცნობის გამო ხომ არ დაიწყებ!

ბევრიც ჯონჯოლის საკრეფად გადის ტყეში და დღე არ გვაა, ვინმე რომ არ დაიჭიროს სახმედრო პიროვნებებმა. მაგრამ განა ტყუილად იჭერენ - ტყუილად რა, ყარაღები კი არ არიან - საზღვრის დარღვევის გამო იჭერენ. ზოგჯერ იქ ჩნდება საზღვარი, სადაც წინა დღეს არ ყოფილა და ეს ხალხიც ჩვეული გზით დედის ვოუტად - ვითომ არ იციან, რომ ჯონჯოლის ტყე ერთი საათის უკან, ან, უფრო მეტი, წინა ღამეს შესულიყო სხვა ქვეყნის შემადგენლობაში! რა უნდა ამის გაგებას? ხედავ, ჯარისკაცი მოდის, ან კიდევ ვიღის, თუკი ქუა გაქვს, ხომ უნდა მიხვდე, რომ საზღვარი გადაგიკვეთა? პირადად მე, ერთხელ განზრახ ნავედი ჯონჯოლის საკრეფად ხსენებულ ტყეში და ისე ვიარე გუმანით, რომ ერთხელ არ შემომრღვევია საზღვარი; იმდენი ჯონჯოლი დავკრივე, სად ნამელო, აღარ ვიცოდი. მერე ამბობდნენ: იციან, ვისი დედაც ხარ და ამიტომ არ დაგიჭირეს. დედობა რა შუაშია? არ დამიჩვენეთა და ამიტომაც არ დამიჭირეს-მეთქი. შენ რა იციდი, საზღვარი სად გადიოდა, იქნებ დაარღვიე კიდევ და ვერც გაიგეო. მე არ ვიცოდი, მაგრამ რომ მცოდნობა, არ დავარდნევდი და რახან არ დამიჭირეს, მაშასადამე, არც დამიჩვენეთა მეთქი. მაგრამ ჩემთვის კი ვფიქრობდი, იქნებ და მართლაც შენგან იცოდნენ, ვინც ვიყავი და ამიტომაც არ მომეკარენ-მეთქი. მე ხომ ვიცი, რომ შენ იცი, სად ვარ და რას ვფიქრებ. სადაც არ უნდა ვიყო, ვუღიო და სულით ვგრძნობ, როგორ მიყურებ და მისმენ, ზრუნვით როგორ მითვალთვალებ.

ისიც უნდა იცოდნენ, რომ ფულის გამო ხშირად ხდება ჯონჯოლის და ფიჩნის შესაგროვებლად გასულთა გატაცება. სამხედრო პიროვნება იტაცებს, როგორც საზღვრის დამრღვევ და მერე ფულს სთხოვენ ოჯახს. ოჯახს კი რა აქვს? ჯონჯოლად აქვს... და ისიც დაუყრუვავი. ოღონდ ახლა ისე არ გამოვი, თითქოს სარწმუნო შოვნის წინააღმდეგი ვიყო! ვითომ რატომ არ უნდა მოთხოვინო? აქ ჯონჯოლია ფული და ოქროს თუმცა ნიანებს ხომ არ მოთხოვენ? გული მხოლოდ იმაზე მომდის, რომ ამასაც შენ გაბრალებენ - გეგონება, შენ გინდოდეს ამათი ფიჩნი ან მოსკოვში აღებული ამათი მკვდრის ცნობა. შენ საიდან უნდა იცოდნე, აქ რა ალებ-მკვდრება ტრიალებს! შენ გაჭირვებულების მხარეს ხარ, შენ რა ჯანდაბად გინდა ამათ ღობეებში გაძვრენილი მკვდრები? შენ სამარტლიანობა და სიყვარული გინდა, განა მე არ ვიცი! მაგრამ დარტმ მე როგორ ვაქი ამდენ შეჭარბებაზე? ერთმა ვედამ რა უნდა იღონოს! რძალი მაინც მყოლოდა შენგან, გვერდში მედგებოდა და სიტყვას შემენგედა - სად ერთი ქალი და

სად ორი ამხელა მსოფლიოს წინაშე! მაგრამ არ გყავს შენგან რჩაღი და არც ის ვიცი, ცოლად ვინ გყავს ამჟამად. ან თუ გყავს საერთოდ? გაცილდი? მოკვდა? ორი ცოლი გყავს? ერთი შინაური და ერთი საგარეო? ისეთებს ამბობენ, ყურებს არ ფუჯერებ. შეიძლება, დედამ არ იცოდეს, ჰყავს თუ არა თავის ლევილი შვილის ცოლი? ან თუ არ ჰყავს, რატომ არ ლევილ? შვილები გყავს? რამდენი გყავს? ჩემს შვილიშვილებზე გეკითხები, უცხო ხალხზე ხომ არა! რა გაქვს დასაბამა? ცოლი როგორ უნდა დაუმალო დედას... გინდა შინაური, გინდა საგარეო? შვილი რამდენი გყავს? აქეთ სახელები? მამამესს პლატონი ერქვა. ქვია შენს შვილს პლატონი? არ გახსოვს მამაშენი? მე აღარ მახსოვს და შენ როგორ გემახსოვრება! აგრონიმი იყო და ოთხ თვეში დამტოვა. მერე გავიცანი პიროვნება, რომელიც განაწილებით მუშაობდა ჩვენს ქალაქში და ცოლად გავყევი. სწორედ მას ჩამოვყევით ამ ქვეყანაში: შენ - შვილი წლის ასაკში, მე... აბა, რა სათქმელია, არც მახსოვს. ათი წლის იყავი, როცა უკან გაგაბრუნე. ვერ შეეწყვე ამ პიროვნებას. ამით რომ ბომბავ, სულ შენს მამინაცვალს აბრალევენ ესენი... ამ დროს, არ იყო ცუდი კაცი... ყოველ შემთხვევაში, ამათი დასაბომბი არაფერი უქნია. იყო უხეშობა, იყო პიროვნული შეუთავსებლობა, იყო ფიზიკური დატაკება - როგორც ჩემზე შენს თანდასწრებით, ასევე შენზე ჩემს თანდასწრებით და ჩემს დაუსწრებლად - მაგრამ ზღვარგადასული არასდროს არაფერი უკადრებია. რთული წლები გეწყებოდა: იყო უცხოობის შიში გარეგანად და შინაგანად სხვანაირი ხალხის მიმართ, იყო მოითითება შენზე, იყო კინკლაობა აქაურ თანატოლებთან და ამიტომ ვიფიქრე, იქნებ შენთვის უკეთესი კი ყოფილიყო სისხლში მონათესავე ჩემს ბიძაშვილებთან შენი გახიზვნა. ხოდა მანდ ნავაგე, მაგ გზაზე შევეციდი! იმათ თვითნებ შვილი არ ჰყავდათ - შემინდნენ, ვაი თუ უკან მოგვითხოვოს და კვალი არიეს, წერილები უკან მომიბრუნეს და სამუდამოდ დაგვაცილეს ერთმანეთს. ასეა, გინდ ბიძაშვილი იყოს და გინდ დეიდაშვილი, თუკი ბორბტი ჩაუსახლდა სულში, მიითუმტეს, უშვილოს, ყველაფერზეა ნამსუვლელი. მერე იყო ჩვენების კოსმოსში გაფრენა, ქვეყნის არეუ-დარევა, შიმშილობა და, აბა, სადღა და როგორ მომინახე! ვილაცამ თქვა, შობილები დალუკვია და უნატვრონი ბავშვების აღსაზრდელს მიიბარესო. მანდ მეორედ მოვეკვდი. ნეტა სიზარითლა? თუ ასეა, რატომ არ დაბრუნდი? რატომ არ გადმოკეციე ჯონჯოლის ტყე და მუხლებში არ ჩაუვარდი დედაშენს? ერთმა დამბლადაცემულმა კაცმა როგორ შეგაშინა? ჩემი ბრალია? მე შეგაშინე?

როცა წლების წინ შენი ბრძანებით ბომბავდნენ აქაურობას, კერძოდ ჩემს სოფელში არც ერთი ბომბი არ ჩამოვარდნილა. ერთადერთი, ძროხას დაეჯახა თქვენების ტანკი ტრასაზე. ხოდა აქაურები ამბობდნენ, რომ რახან აქ ცეცხოვრდა, ამიტომაც არ გაეცი დავბომვის ბრძანება. გენაცვალე, მართლაც ამიტომ დაგვბომბ? იცოდი, რომ დედაშენი აქ იჯდა? თუ მართლა ეგრეა, გასხოვდეს, ათჯერ უფრო მეტად მიყვარები, ვიდრე აქამდე მიყვარდი. მე შენი არ მეშინია! გითხი კი არა ვაპ, შვილის მეშინოდები! განა მე არ ვიცი, როგორი გული გაქვს, ჭკუა რომ ჰქონდა შენს ცოლს, საგარეოს, სახლიდან წავიდოდა (წავშალე შენგან და გადავაადგილე)? ყოჩაღ იმ სახლის ცოლს, თუ მართ-

ლა სახლში ზის და გარეთ არ გამოდის, რადგან ვისაც შენ უყვარხარ, ის ოთხ კედელში მჯდომიც ბუნდერი იუნება. რად უნდა მოუნდეს გარეთ გასვლა? ამიტომ აქ კი ვამბობდი, თუკი გინდათ, რომ ბომბი არ მოგხვდეთ, სათელი ღვთისმშობელს დაუნთეთ-მეთქი, მაგრამ გულში ერთ ვიცოდი, რომ სოფელში, სადაც დედაშენთან მეთად ჩამოხვედი, ერთ ბომბსაც არ ჩამოავდებდი.

მაგრამ მაინც მინდოდა, რომ სათელი დავნიოთ! და განა მხოლოდ თავმდაბლობის გამო - შეიძლება თავმდაბლობაც იყო, კი, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ისაა, რომ ამათ ღმერთი დაივიწყეს, ის კი, მე ასე შემსისი, თუკი ვინმეს ახსოვს ახლა, მარტო შენ! სწორედ შენ იცავ ჭქმშარტ რწმენას გარყვნილებისა და გადაშენებისგან და ამდენი უწმინდური ამიტომ გეცხვავ. თორემ რა ჯანდაბად გინდა ეს ორი მტკაველი მინა, ამხელა სუფთა ჯაშუშობის დარსაზად ზეივი სხეულები ერთი გაუმეღერებელი ჯონჯოლის ტყე! მართალი გული გაქვს და ერთ მეტრ მინას არ უთმობ უღმერთობა მხედრობას. ჯერ კიდევ როდის მინდოდა შენი საზოგადოებრივი გაქცევის დროს ჩართვა ტელევიზორებში და მთელ ქვეყანაზე გამოცხადება: ეს არაა დავა ერთი ან ორი ჰექტარისთვის, ესაა ბრძოლა ჩვენი სულების გადარჩენისთვის! რას მიქვია ერთი-ორი კაცის სიკვდილი, ან, გნებავთ, ხალხთა გუჯუფების, როცა არის საშიშროება, რომ მილიონობით სული დაილუპოს? ხომ მოგეწონებოდა ასე თქმა? ხომ გეცნობოდა დედაშენი? მაგრამ, აბა, უბრალო ხალხს რას შეაგებებინებ, სუსტები ვართ ადამიანები, ვერ ვხვდებით, ჩვენთვის რა ჯობია! აბა, როგორ დააჯერებ ვილაც არასათანადო მოაზროვნე პიროვნებას, რომ მისთვის ის უფრო აჯობებს, ჭქმშარტი რწმენისთვის მოკვდეს, ვიდრე კაცობრიობის მტრებმა და-ისაკუთრონ მისი მინა-წყალი! რა ჯობია: ურწმუნოდ სიციცხლე თუ რწმენით აფეთქება -- ნამძლია --- ბომბზე? ჩემთვის ასე დგას საკითხი. ვაიკოს მთელმა მსოფლიომ. ამ დროს, აქ იყო რამდენიმე პიროვნება, იგივე შენი ნახევარძმა და მისი ცოლი - გული მიკვებდა, ამათ რომ პირადდ არ იცნობ - ვინც პირდაპირ მეუბნებოდა იმ ომის მერე: რომ გცოდნოდა, ასეთი გაიზრდებოდა და ბომბებს დაგვაყრიდა, მაინც აცოცხლებდი, არ მოიშლიდი მუცელს, ან თუ მუცელს ვერა, ბავშვობაში მაინც არ მოგუდავდიო? ეს რა სათქმელია? ჯერ ერთი, დედამ საიდან უნდა იცოდეს, შეილისგან რა გამოვა და მეორეც, რომც იცოდეს, რაც გამოვა, მოსაკლავად როგორ გაიმეტებს?! ჭკუიდან შემცდარი თუ არ ხარ, შვილს როგორ დალუპავ? შეილმა როგორ უნდა შეგაშინოს! მაგრამ იყო ასეთი ლაპარაკი, კი, დამფრთხალი იყო ზოგი და ჩემთვის მიუღებელ შეითხვებს მისვამდნენ: მაგალითად, მკითხავს ან წინდაწინის ცხოვრებით მცხოვრებ მღვდელ-მონაზონს რომ ეთქვა, ეს შენი შვილი ურიცხვ უგუნდო სულნაწყმედილს, თუმცა მაინც მოკვდავს გაისტუმრებ იმ ქვეყნად, რას იზამდი - არ აჯობებდა, რომ ასეთი არც გახდრილიყო? არ მოკლავდი შენი ხელითო? გესმის? სატანად მიაჩნი ზოგიერთს. მაგრამ ვერ დაძრახავდი, ვერ ხედებოდნენ, რამხელა ომი წამოგდნო მათივე გადარჩენისთვის. მე არც მაშინ მერღვევოდა ამის თქმა და არც ახლა მერღვევოდა, პირდაპირ ვამბობ: არათუ სატანა, არამედ პირიქით, ღმერთის დონეზე ხარ ჩემთვის - და არა იმიტომ, რომ ღვიძ-

ლი შვილი ხარ, მით უფრო, ასეთი სახელოვანი, დანერგული, ყველაფრისმხედველი და შორსმჭვრეტელი - შენ ჩემხარო მშრომელების ღმერთად მიმაჩნისხარ, არავის რომ არ შეარჩენ ჩვენხარების ჩაგვრას და მკაცრ პასუხს მოთხოვ ყველას, ვინც შენ ასეთ დღემში ჩაგვყარა - მთელი ცხოვრება რომ ჩემი მობილი, წელზეზე ფეხს ვიდგამდი, ღამეებს ვათენებდი და ორი კაპიკი პენსიის იმედად რომ დაგვყარეს სიკვდილის პირას! ოღონდ იმ პენსიებსაც რომ არ გვაღირებდნენ და მიმძილით რომ გვეჭრებოდა სული; ნამძის რაღაა, ნამძის ფული რომ არ მქონდა და არც ერთი კბილი რომ არ შემრჩა პირში. აგერ, შეხედე!

შენ უნდა იდიო შური ყველა დანაგრულის, ყველა საცოდავის და ყველა დაავადებულის გამო - განა მარტო პენსიონერებისას ვამბობ! ყველა საათობით როგმი მდგომთა გამოც... ერთი ცალი შავი პურის გამო რომ ვასწორებდი დღესა და ღამეს! შენ ხარ ღმერთი და მოსარჩლე ყველა იმ საწყალთა, ვინც წლებით აგროვებდა ფულს შემწახველ სალაროში და მეანაბრებებმა, მეზაფებებმა, ბანკის ხალხმა, ემწახებმა და ბელაშულის ნაბიერმა უსვენებლებმა შეუჭამეს ერთ დღეს! შენ უნდა იდიო შური იმთა გამო, ვინც ოთხგზის და ხუთგზის ყოფილა შრომის გმირი და ახლა ტრანსპორტში ასასვლელ შეღავათიან ბილეთის ამაღლიანი! ამ დროს, რად მინდა ამათი ტრანსპორტი! რა, ტროლეიბუსით უნდა ვიარო ჯონჯოლის ტყეში? თუ რომ ახვალ, ადგობა დაგითმობს ვინმე! ზიზილით გიყურებენ, ჯვრაც ცოცხალი რატომ ხარო. დასაჯე და მოსხე ეს უზრდელი და საჯდომ-ნამოუნეველი ხალხი, სისხლის წვიმა მოუვლინე იმთა შვილებს და ცოლებს, ვინც ჩემი ობლიცაციებით შვიძინა გინდა უძრავი, ვინდა მოძრავი ქონება, ვინც თავისი პირუტყვივით ნაზარდი ოჯახობა მოასუქა კუთვნილ ცოდვის ბუდედ ქცეულ რევიონში და მე კი უშვილოდ დამტოვა ოთხმაცი წლის ასაკში. არც ერთი კბილი არა მაქვს, შეხედე!

შვიძლება, დედაშენს კბილი არ ჰქონდეს? ერთი ცალი მაინც!

დასიტყვე იმ ნაძირალა გამგებლის სახლი, ვინც თავისი ქოფაკები გამოშუვა, რათა ჩვენი ბაზარი აუშალა ქალაქის შესასვლელში და სარდაფებში ჩაგვალპობინა გაუსაღებელი ხორცი, ყველი, გახლი და მსხალი. დასაკლავ ბურვაკს რომ მიუგავს სახე - დასცხვ მის თავზე ერთი ბომბასავით მეხი, ან კიდევ უკეთესი - ამბობენ, ღვინის სმა უყვარს მავ მუცელამოყუროვავს, ხოდა ჩაყურეინე ჭიჭამი თვალით უხლიად ასავთებებელი, ერთიანად რომ გაუკლივოს გაქონილი გულ-მუცელი, როგორც ყველა იმ უწმინდურს, ვინც წინ გადადგადა თუნდაც შენი ქვეყნის საზღვრების გარეთ. ხომ გაქვს ისეთი ბომბი, ისეთი მფევა, ისეთი რომ ჩაწურო, გინდა წყალში, გინდა ღვინოში, გინდა ჩაიში - არც ვიცი, ჩაის თუ სევამ საერთოდ - და სხვების საჩვენებლად, სხვების სამაგალითოდ გახეთქე! ააფეთქე, დედა გენაცვალოს, დასაჯე ჩვენი შემგინებელი და ღირსების ამყრელი, წელში გაგვასწორე, მუხლებზე ნამოგვაყენე, ჩვენს უკან დადექი და ზურგი გაგვიმბარე! გვაჩვენე ცოდვილთა მუსვრა საზოგადოებასთან შენი საჯარო შეხვედრის მსვლელობების ჟამს, რათა ცქერით მაინც ვიჯეროთ გული, გაცეი ბრძანება, შეგვიმვან ბაზარში, იყიდონ ჯონჯო-

ლი, ყველი, ვაშლი და მსხალი... ათობით დაკარგული ძროხა მყავს სახლში მოყვანილი! ბრძანე, კბილები ჩამისვან, იმის მეთადი მაინც მომცენ, რასაც წლები ვდებდი იგივე შენთვის, იგივე შენი საწყალი ნახევარძმებისთვის იმ დანაყვლილ შემწახველ სალაროში - აგერ ჩემი სალაროს ნიგნაკი, ყველაფერი აღწესებული მაქვს! დასაჯე ყველა, ვინც ამბობს, რომ შენ ხარ ყველაზე მდიდარი დედამინაზე, რადგან მე ვიცი, შენ მდიდარი ხარ შენი სიბრძნით და ყოვლისმცოდნეობით და არა ქონებით, მაგრამ შენი ვათხვრა უნდა და ჩემი ნამება: "აი, ვინ გვიმედება", "აი, ვინ გაგიჩენია". ვინ გაგიჩენია? საუკეთესო ვაჟაჩინე, ოღონდ არ მაინცხა. რისი უნდა მემინიდავს? რა ექნა? დღე და დღემე ლოცვებში მოგმართავ, შენს სახელს ვიმეორებ! ერთხელ მაკოცინე. როგორ მოვალნიო ტყეს მისალენამდე? სამოცი წელია ჯონჯოლის ტყეს არ ვაგვიცხვნივარ. გამოგზავნე შენი ანგელოზი, რათა ხელში ამიიტაქვოს და საბუთის გარეშე გადმომაფრინოს კავკასიონზე არ გაქვს შესაბამისად აღჭურვილი თვითმფრინავი? ერთი ოროცდახუთი-კილოგრამიანი ქალის თვის... რა მიძიე მე ვარ? თურმე, ვისაც მოუწდება, შენს პასპორტს აიღებს და სადაც არ უნდა იყოს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, გინდ მთაზე, გინდ ბარში, სამარადფაოდ შენი იქნება, და თუკი ვინმე მოუნდომებს დანაგრვას, თუკი იმ ქოფაკების ხელით გადაუყრიან ვასასაღებელ საქონელს, ამ კურთხეული პასპორტის მაღლით დანავს! ეს პასპორტი შენი გულის საშვი, ამის ამღები შენი ნაწილი გახდება. თავზე დაგვაყარე ეს მაღლიანი ქალაღებები, გადმოფრინე შენი ვაჟაკები და ზევიდან აძახებინე ჩვენი სახელ-გვარები! ყველასი გეუცოდინება, ყველას სახელს ვეტყვი, ყველაფერი აღწესებულს მაქვს, ყველა იმ შენი ვარო. მე ვერ მივატან შენს მომდევნო საჯარო გამოსვლამდე, ლოდინი მომსპობს, მაგრამ ისე არ მინდა მოვკვდე, ერთხელ მაინც არ ჩაგხვდოთ თვალგებში - სად იყურება შენი ცოლი, საჯარო თუ საშინაო, რა ფერი გადაეცხვს სახეზე! - ამდენ შენს მწყველელს მე ერთმა როგორ ვაჯობო? არ მანახო შენი დასუსტება, კარგად გძინავს? ყველგან მტრები გყავს, ათი თვლი და ყური უნდა გამოიბა, არავინ იცის, ვინ საიდან გეცემბა, სად ჩავისაფრდებიან. რომ გესროლონ? შენი აფეთქება რომ სცადონ? წყალში რომ ჩაგივადონ უხილავი ყუმბარა? წყალი არ სვა. შენს სამდივნოს შემამოწიე, მე უნდა ვიყო შენს გვერდით, თორემ წინ გადამფარებელი არ გეყოლება. შენკენ გამოსროლილ ტყვიას თავის სხეულს არავინ შეუშვერს. რამე რომ მხადეს, ჩემი სისხლი დაგტრუნდება - კიდევ ას წელიწადს ვაეცოცხლებ! ეს ისეხლი უნდა გადავიხსან, მე არ მენანება, რადგან სისხლის მეტი ჯვანასლი აღარაფერი მაქვს. ნარმოგზავნე შენი თანაშემწე, მომძებნოს, ნაღლის ჩემი სისხლი და შენ მოვაშარავსო. შენს ლოდინს შენთვის სიკვდილი ჯობია! მიმსახურე!

შემთხვევითი არ მინდა, მოვკვდე! (შემთხვევითობა ბომბმა არ უნდა მომკლას!) შენგან უნდა იყოს პირადად ჩემთვის. და ესეც ჯანმრთელობის მიზეზით, აუცილებლობის გამო. (რატომ უნდა მემინოდეს შემთხვევითი სიკვდილის?) ამაში მაინც გამოგადგე. ნუ მსჯუ.

ფარდა

ბეთჰოვენის მკლაური

- აქ მნიშვნელოვანია ბეთჰოვენის მკლაური და მისგან გამოთავისუფლება, განზე გახტომა და არ თუ ვერ-ნამოგება ჯოჯოხეთი კაცის, პირქუში კომპოზიტორის პროვოკაციულ, თუმცა საკუთარი თავის ღირსების შეგრძნებით აღსავსე, თამამ გამოხტომაზე. ბეთჰოვენის მკლაური ილღის ძალა დაჭერა, დაკავება, არგაშვება. ასევე მნიშვნელოვანია, ვის იჭერ ილღით, ვის დატყვევებს ცდლობ შენი პრინციპულით, შენი თავხედობით! გოეთე ყველა გათვლით მაღალი უნდა ყოფილიყო ბეთჰოვენზე. ათლეტური ტანით, გრძელი ფეხებით. გახსოვთ, როგორ აღწერს მის გვამს ეკკერმანი? ოთხმოცგადაცილებულ მოხუცს სრულყოფილი სხეული ჰქონია, არანაირი ნაზარდობა, არანაირი ჭარბი ქონიანობა. ახლა გამოვაკლოთ ამ აღწერილობას თითქმის ოცდაათი წელი, გადავიწვავთ ტეპლიცში, გაუფაროთ მკლაური ათლეტ გოეთეს, ბეთჰოვენივით დავდაბლდეთ და დაველოდოთ მარია-ლუიზეს და მისი ამაღლის ჩვენკენ ჩამოსვინებას. თუკი მიცვალებული გოეთე ახდენდა ასეთ შთაბეჭდილებას, ნარმოიდგინეთ, ცოცხალი რაღას იზამდა! რეპლიკა: ერთ ინგლისელს გული ნაუვიდა, როცა ვაიმარში გოეთეს მოჰკრა თვალი.... ვერ გაუძლო! და აი, ამ კოლოსს, ამ დიდებულ და დახვეწილ ტიტანს მკლაურით იჭერს ტანდაბალი, დიდთავა, დიდდინგა და გაუზრდელი ბეთჰოვენი,... პლუს - ყრუ. ყრუ და უსაქციელი... ბეთჰოვენს არ უნდა, რომ გოეთე ხელიდან დაუსხლტეს, გზა დაუთმოს მარია-ლუიზეს, განზე გადაგეს და თავი დაუკრას; ბეთჰოვენის მკლაური ამბობს: მათ დაგვითმონ გზა და არა ჩვენ! მაგრამ გოეთე პოლიტიკოსია, მხრებზე პატარა ვაიმარი აქვს აკიდებული, თავზე ვერ გადააბიჯებს ნაპოლეონის ცოლს - ზურგს უკან დიდი შერცოგი და დიდი გეოპოლიტიკაა. ბეთჰოვენი მხოლოდ კომპოზიტორია, მეტერნისიცი ფეხებზე ჰკიდია და ვენაც, ვერაფერს დააკლებს მარია-ლუიზე, და მისი ყოვლისშემძლე ქმარიც, ნაპოლეონ ბონაპარტი, ნამდვილად არ აუხირდება თავის სიამარსს, ავსტრიის იმპერატორ ფრანცს ვილაც უზრდელი მუსიკოსის გამო! ამ დროს, გოეთე ვალდებულია იყოს ზრდილობიანი! ამიტომ დაუფიქრებლად, მცირე ნაბრძოლების შემდეგ, ენერგიულად თავისუფლდება ბეთჰოვენის მკლაურისგან, განზე დგება, გზას უთმობს მარია-ლუიზეს და ვაიმარის საშერცოგოს სახელით უხრის თავს... ხოლო ბეთჰოვენი თავანეული ამოხს მარია-ლუიზეს ამაღლას. დიდთავა კაცი ორად ხლეჩს ქვეშევრდომებით გარშემორტყმულ მაღამ ბონაპარტს და ამ საქციელით, პარდონ, ზედ თავზე ასაქმებს მის ქმარსა და მთელ ევროპას! ესაა ბეთჰოვენი, ესაა ჯიქური სვლა ამ ალეგროში.

და კი არ დაიძახა, თითქოს გამდმოაფურთხა:

- თავიდან!
- მერე ხელზე აიჭინა და ხენეშით უდირიჟორა რამდენიმე ტაქტს.
- ასე ხმამალა მარტო პიანისტები და მოქიდავეები ხენეშოდნენ, დირიჟორები ნაკლებად, თუმცა თვითონ არც ესმოდა თავისი ხენეშა - ხმას თუ იმას, რაც უნებლიეთ გამოსდიოდა პირიდან, გაუაზრებლად, ხროტინით აყოლებდა მუსიკას და ზოგჯერ ცვარად ქცეულ ნერწყვს თავზე აფრქვევდა მის წინ მსხდომ ალტისტებს.
- ხროტინებ, - ეუბნებოდა ცოლი (თუ რაც ერქვა),



ეს თქვა და ხმა შეეცვალა, უფრო მტკიცე გაუხდა,

მაგრამ ეს მაინც დამოუკიდებელი იყო, რომ უზნობლად დირიჟორობდა.

ახლაც იხიხინა, ბოლო ღილი შეეხსნა პერანგზე და თეთრი მაისური გამოეჩინა, მაგრამ ეს არ იყო უშნო, ეს არ ქმნიდა უბერებულობას, ეს ნიშნავდა, რომ მუსიკაშია ჩართული.

კვენებით ასწავდა ფორტისსიმო-ს და უცებ ჩამო-უშვა ხელები - ორკესტრმა, სანამ ჭრულ და უსახურ ბგერით შეუღედ გადაიქცეოდა, ინერციით დაუსერა რამდენიმე ტაქტი.

- კარგი, - თქვა, - მოვრჩეთ.

დღეს ბევრი მოუვიდა. ამდენი არ უნდა ელაპარაკა. ორკესტრანტებს არ უყვართ, როცა დირიჟორი ენას არ აჩერებს. ეს იცოდა, მაგრამ მაინც იქაქანა. ამ გაუნათლებლებს ნამდვილად არ ანევენდებოდა ბეთჰოვენი (მოსასვენებელი ოთახში შეტრუნდა, პერანგი გაიხიდა, სააბაზანოში შევიდა და გამოფარდნილი ნექნებზე, ბრმა ნანლავის ოპერაციით ნაიარევ ფერდზე, ილიაზე და თეთრ სახეზე მისხა წყალი.

რობერტი (თუ ვინც იყო) დაუთაკუნებლად შემოვიდა ოთახში.

როგორც ყოველთვის, ახლაც საქმიანი, ყოვლისმცოდნე და უშუალო იყო; სავერძელზე მიგდებული სველი პერანგი სააბაზანოში შეიტანა, ერთი პირსახოცი მხრებზე მოახურა, მეორე - უფრო პატარა - თავზე, თმის საშრობი ჩართო, ხელისუფლებზე შეამოწმა, ზედმეტად ცხელი ხომ არ იყო და კეფაზე მიუშვირა.

- ა, ნუ დამწვი, - დაუყვირა.

რობერტმა უკან განია.

მოაკაკუნეს.

ახლა მხოლოდ ერთ კაცს შეეძლო მოაკაკუნება.

კარის ღრვიანობა მსხალივით ნაგრძელბეჭდული თავი გამოჩნდა.

მსხალმა (თუ რაც იყო) შეწუნებული სახით შემოაბიჯა, ფეხით გაასწორა კარის გაღების გამო ოდნავ გადაწეული ხალიჩა და რადიკატორთან ჩამოვარდა (ყოველთვის აქ დგებოდა ხოლმე).

- თითხმეტში ვერ იმღერებს, - თქვა, - ციკლი აქვს.

- ერთი თვის წინ არ იცოდა?

- შურნალში ჩაზეხედი, ამ დროს მოუდის.

შურნალი, სადაც პედანტურად დაეწინა, რომელ სოპრანოსა თუ მეცოს როდის უნდა ჰქონოდა მენტრატურაცა (რათა შეცდომით მაინც და მაინც იმ დღეებში არ დაეწინათ კონცერტი ან საოპერო სპექტაკლი), ტრადიციულად, დასის ხელმძღვანელს ედო სიფში. ხუმრობდნენ, რომ დასის ხელმძღვანელს ბალიშის ქვეშ ედო ეს შურნალი - თუ არ ჩაზეხედა და არ გაიზურა, ვერ იძინებდა. წლის კალენდარი მომდერალთა ციკლის მიხედვით ჰქონდა ანკობილი. ამბობდნენ: "საკუთარ ცოლზე არ ახსოვს და გუნდის სოპრანოებზე ნუთობრივად არტყამს".

- როდის მოუდის?

- წესით, თორმეტში.

- ბოლიში, სპექტაკლს ვერ გამოვინვე მაგის გა-
მო.

- ჩაკალიდი ნორმაშია.

- რა, ფენმძიმედა? მენტრატურაცა არა აქვს?

გაიცივნეს. ჩაკალიდს ოთხი შვილი ჰყავდა.

- ჩაკალიდი ოცდასამი-ოცდაოთხის ფარგლებში იქნება დაკავებული.

- თორმეტში ჩასვი.

ამაზე მორჩნენ.

მსხალი ვახვლას არ ჩქარობდა. რობერტმა სამ-რობი მოაშორა.

- რა?

- ხელმონერა საჭირო. კულტურის ცენტრის სა-იტზე დებენ. ვფიქროვებს.

- რა ხდება?

- დიახ პლუბისციტს. უკვე ასზე მეტი ხელმონერაა.

მსხალმა რობერტს მიაწოდა ფურცელი, რობერტმა - მასა.

ისევე ვენეშა, როგორც იმ თორმეტი ტაქტის შესრულების დროს ოცი წუთის წინ.

- თუ დიახ, ესე იგი, დიახ, - თქვა.

...

ჩვენ, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები, სრული პასუხისმგებლობით განვიცდით და ვგრძნობთ ისტორიული მომენტის მნიშვნელობას და მოქალაქეობრივი რწმენით უფროსდებით მღვდლისციტის ჩატარების მოთხოვნას: სწორედ პროგრესის იდეა და გაჯანსაღების პროცესის შეწყვეტლობაა ის მიზეზი, თუ რატომაც ვითხოვთ კონსტიტუციის ცვლილებას და სახელმწიფო მეთაურად ყოფნის ვადის ხუთი წლიდან შვიდი წლით გაზრდას. რეფორმებს დასრულება სჭირდება, ეს კი მხოლოდ რეფორმატორთა გუნდს და მის თავკაცს სძალუძობ. მივიღო ჩვენს ქვეყანას განვითარების შანსი - მხარი დავუჭირთ საყოველთაო პლუბისციტს.

...

74. ბლიაძე გაბრიელ - დირიჟორი

...

- სერ თომას ბიჩემი ხუმრობდა: მთავარია, ერთად შევლა და ერთდროულად დასრულება, თორემ შუაში რა ხდება, ეს დიდად პუნლიკას არც ესმის.

შურნალისციტებს გაცეცინათ.

დირიჟორმა კოლონებთან მდგომ თავისიანებს გახედა - უნდოდა დაენახა, მთავც გაეღმით თუ არა. მსხალი კმაყოფილი ილიმოდა. რობერტს, როგორც ყოველთვის, ილიოტის გამომეტყველება ჰქონდა.

- ახლა ისე არ დანერო, თითქოს ეს ჩემი სიტყვები იყოს, ფრაზა ეკუთვნის ბიტიანელ დირიჟორ სერ თომას ბიჩემს, თო-მას ბი-ჩემს, - დამარცვლა გაბრიელმა, რადგან დარწმუნებული იყო, თუკი, სულ ცოტა, სამეფურ მაინც არ გაიმეორებდა უცნობ გვარს, შურნალისციტები დამახინჯებულად ჩანენდნენ.

ახლა მისთვის რომ მიენერათ ბიჩემის სიტყვები, შესაძლოა ვინმეს სწყენოდა კიდევ. ასეთი დაბალი წარმოდგენის ყოფილა თავის პუბლიკაზე? დირიჟო-

რი გაბრიელ ბლიაძე ფიქრობს, რომ ჩვენი მსმენელი გაუნათლებელია. ერთ ფრაზას დიდი უხერხულობის გამოწვევა შეეძლო. არ უნდა ეთქვა, თუმცა რახან მსხალს საყვედური არ გამოეხატა სახეზე, ესე იგი, განსაკუთრებით ცუდი არაფერი მომხდარიყო. მსხლის სახე იყო მისი გამონათქვამების ყველაზე ობიექტური შემფასებელი. ხოლო სუბიექტური მემფასებელი სახლში იჯდა.

- ჩვენს მსმენელს ვერ მოატყუებ, - განაგრძო გაბრიელმა, - ის ხელად ამოიკნობს ყალბ ნოტს და თუკი ტაშს დაეკირავს, მხოლოდ სიბრაღულით, რაც ყველაზე მძიმე განაჩენია მუსიკოსისთვის.

მსხალს მოუსვენრობა დაეტყო სახეზე, 154-ე სეზონი იხსნებოდა, ზოგადი სიტყვების რახარუხს უნდა მორჩენილიყო და მოკლედ, სხარტად, ერთ წინადადებაში (ისე რომ, საინფორმაციო გამოშვებებში ვერ დაეტყრათ), ეთქვა რაიმე ოფიციალურად პომპეზური.

- კონცერტს ქვეყნის ჰიმნით გავხსნით, რომელსაც ბიჭუნათა კაპელა შეასრულებს, მხოლოდ ბავშვები, არანაირი უფროსი თაობა. როგორც ხმოვანი სიმბოლო, წარსულიდან მომავალში გადასროლილი ხმოვანი ფესტი. მერე - ბეთჰოვენი, "ეგმონტი".

წინადადების დასრულება ბიჭუნათა კაპელით სჯობდა, დანარჩენს ამოჭრიდნენ.

...

ჩვენი მოქალაქეებისა და უმთავრესი ადამიანური ღირებულებების დაცვის მიზნით, სრულად ეუჭერთ მხარს სასაზღვრო რეგიონებში იძულებითი მშვიდობის სამხედრო ოპერაციის ჩატარებას და ისე, როგორც არასდროს, რუდუნებით შევთხოვთ ჩვენს ხელისუფლებას, რაც შეიძლება სწრაფად დაამყაროს წესრიგი და სამართლიანობა.

...

114. ბლიაძე გაბრიელ - დირიჟორი

...

- ბეთჰოვენს დიდი სული აქვს, მოუსმინეთ ალტებს, მოუსმინეთ ფონს - ეს მისი სულის მოძრაობაა. ჩელისტებს მოზილიზება აკლდათ, ჰობოისტს სურდო ჰქონდა და თითქოს მისი ინსტრუმენტიც გაციებული იყო: ყრუ ხმას გამოსცემდა. დასარტყამს ბლაგვი და უსიამოვნო ბგერა გამოუდიოდა...

გაბრიელს თეთრი პირსახოცი გადაეკიდებინა კისერზე და მარჯვენა ხელით ინმენდა ოვლს.

- ვისაც ეძინება, ძირს დანეწს და დაიძინოს, ოღონდ იცოდეს, რომ არც კონცერტზე დაუკრავს და ხელფასიდან ორმოც პროცენტს მოაჭრიან.

ავად იხუმრა, თუმცა არავის გაუცინია.

სცენაზე ბაგირიძე იდგა სამგლოვიარო გვირგვინის მსვაცხი ვარცხნილობით. კოლეგის ციკლმა სეზონის გახსნა არგუნა ბუდად. არანაირი მენსტრუცია - მხოლოდ ტრიუმფი. სატელევიზიო ინტერვიუები კონცერტის მერე.

უმო, მაგრამ ძლიერი ხმა ჰქონდა. გერმანული არ იცოდა - შემზარავი აქცენტით მღეროდა, თუმცა გერმანული არც მსმენელმა იცოდა, როგორმე აიტან-

დნენ. მითუმეტეს, ბევრი სამღერცი არაფერი იყო.

- "ეგმონტი" მთავარი უვერტიურაა, - თქვა მსხალმა, - მაგის ყროყინს ისედაც არავინ მოუსმენს.

...

მოეუნოებთ სახელმწიფოს მეთაურს, არ აპყვეს ერთ-მუჭა ავანტიურისტებს და წარმატებით აღასრულოს ის მნიშვნელოვანი მისია, რომელიც ქვეყნის საკეთილდღეოდ დააკისრა ხალხმა: თვითმმართველობა ეკუთვნით მოქალაქეებს და არა ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოპულისტებს. არა დამატებით კვოტებს!





...

56. ბლიაძე გაბრიელ - დირიჟორი

...

ეს ადრეც უთქვამს და ახლაც მოუწია გამეორება: "მე არ მეხება პოლიტიკა, მე მუსიკოსი ვარ, მაგრამ ზოგჯერ ქვეყნის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა გაჩნდება შეუძლებელია, როცა არა მხოლოდ მუსიკით, მასხადადმე შენი პროფესიით, არამედ სიტყვით, საქმით უნდა გამოხატო შენი პოზიცია".

ვიღაც მემარცხენეს (ნორამ ასე თქვა) მლიქვნელად მოუხსენიება თავის სტატიაში.

ნესით, ამ სიტყვებისთვის ყურადღება არც უნდა მიექცია (დღიოდან საღამომდე ორკესტრთან და სოლისტებთან ატარებდა რეპეტიციას), მაგრამ ინტერნეტშიც გაკრეს კბილი სასაზღვრო რეკონოებში ჯარის შეყვანის მოთხოვნაზე ხელისმონერის გამო.

- უნდა შევიდეთ, - გაბრაზდა, - ჩავსხდეთ ტანკებში და შევიდეთ. საჭირო იქნება დაბომბვა? უნდა ებობოთ! ხიმტებზე ავაგოთ ქალიან-კაციანად, ჭკუა რომ ისწავლონ.

ბაქიულებია. სახლში იყო, სავარძელზე იჯდა, მწვანე ჩაის სვამდა და შედარებით შინაურ მსმენელებთან ქადაგებდა (მათ შორის, სოლისტებთან, რომელთაც გვერდიდან არ აშორებდა).

- ხმას ამოიღებს ვინმე და ადგილზე უნდა დახვრიტონ, აქ ენისმოჩლეით ლაპარაკი არ შეიძლება. თუ საჭირო იქნა, ტანკზე დავდგები და ისე ვიდირიყორები. სულ ძალით უნდა ასმენინო ჩვენი კომპოზიტორები და მერე იძახონ: კულტურული ექსპანსია, კულტურული ექსპანსია! სხვანაირად არ გამოვა, სიკვდილამდე ამას ვასმენინებთ.

ცენტრალურ ტელეარხზე ოფიციალისგან დაშვებული პატრიოტული ყოყინა აეტეხათ ნამყვან ჟურნალისტებს, გაისმა ოპერის მთავარი დირიჟორის გვარიც, მსხვილად აჩვენეს მისი ხელმოწერაც (სხვებთან ერთად).

საინფორმაციოს შინაურებთან ერთად უყურა და თითქოს ყველამ გულწრფელად მოიხონა იქ ნანახი, თუმცა როცა ხალხი ნავიდა, თავი იმაზე მეტად უსიამოვნოდ იგრძნო, ვიდრე წარმოედგინა, ხასიათი მოეშაბა და შეეცადა, წორასგან მაინც მოესმინა ის, რისი მოსმენაც უნდოდა; რომ არაფერი გაუფუჭებია ამ ხელმოწერით.

ნორამ არადამაჯერებლად დაამშვიდა.

ეს კიდევ უფრო შეწუხდა:

- მოკლედ, იმდენს ვიზამ, მარტო აბონემენტის ხალხი ივლის ჩემს სპექტაკლებზე.

ვითომ გაიხუმრა, თუმცა მართლად ეშინოდა, რომ ნორმალოზ ხალხს აღარ მოუწოდებოდა "მთავრობის მიერ დანიშნული დირიჟორის" საოპერო სპექტაკლების ნახვა. მერე აღარც მემარცხენე სტუდენტებს (თუ როგორც ერქვათ) მოუწოდებოდათ მის "არკლასიკურ" ინტერპრეტაციებზე დასწრება და დარბაზში მხოლოდ მძინარე მოხუცები შერჩებოდა. ნამლის სუნი, ნაფტალინი და თვლება. შედეგად - არასწორი ტემპები და ზოზინა ბეთჰოვენი. მოხუცები ისედაც აბსოლუტურ

უმრავლესობას წარმოადგენდნენ დარბაზში და კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა, თუკი ცარიელი ადგილი დარჩებოდა ფეხზე სადგომ სექციაში. ცარიელ ადგილებს ისევე ის პლაკატიმ ხელში მდგომი მემარცხენე სტუდენტი სჯობდა, რომელიც ექვსი თვის წინ, "იუპიტერის" პირველ ტაქტებამდე გაათრიეს დარბაზიდან; სტუდენტმა დირიჟორის გამოსვლის თანავე გაშალა პლაკატი ("ზედ წითლად მინერალი სიტყვებით: "მონა"), რაღაც უზრდელური დიაცურა და პარტური გადმოავდი. პარტური დაიბნა, მოხუცები გამოფხიზლდნენ (ადაჯიომდე), დირიჟორი - ნამლილია — გაღიმებას შეეცადა ("ვილაც ბავშვია"). წარწერა არ დაუნახავს, უთხრეს. ამ დროს, მსხალმა მოატყუა, რომ მან მხოლოდ პაციფისტური სიმბოლო დაინახა, "მონა" არ უხსენებია.

ვის მიმართავენდნენ ასე? ცხადია, არც მოცარტს, არც იუპიტერს...

ინციდენტი უცებ დაიწყო, თანამშრომლებმა ისეთი გზნებით ლანძღეს "ვილაც მოსყიდული ლანჩაკი", რომ ცოტა ხნით გულწრფელად დაიჯერა მათი სიბრახე.

მაინცდამაინც იმ დღეებში მოუწია ოფიციალურ ვახშებზე სიარული (ზედზედ სამჯერ ქვეყნის მეთაურის სასახლეში), სადაც ისევე ეზარებოდა მისვლა, როგორც არმისელის ეშინოდა.

- მორჩა, - თქვა, - სულ ცოტა, ერთი წელი ველარავინ დამინახავს ამით გვერდით.

ეყო პოლიტიკოსები.

...

მოვითხოვეთ ექსტრემისტულად განწყობილი ევრეთ ნოდებუი ვაი-პოლიტიკოსებისათვის ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ორგანოს დეპუტატის ნოდების ჩამორთმევას. პარლამენტი ექსპერიმენტების ადგილი არაა!

...

61. ბლიაძე გაბრიელ - დირიჟორი.

...

გთხოვთ, მიიღოთ ჩვენი გულწრფელი მილოცვა და კვლავაც გვიგულთი ერთგულ თანამებრძოლებად.

...

231. ბლიაძე გაბრიელ - დირიჟორი.

...

ყველანი დავდგეთ ქვეყნის სადარაჯოზე! დავდგეთ ჩვენი ფლოტის გვერდით!

...

86. ბლიაძე გაბრიელ - დირიჟორი.

...

გილოცავთ, ჩვენო ბრძენო სულიერო მამავ!
თქვენით კურთხეულნი ვზვიებობთ წლევანდელ შობა-ახალ წელს.

...
408. ბლიაძე გაბრიელ - დირიჟორი.

...
45. ბლიაძე გაბრიელ - დირიჟორი.

...
24. ბლიაძე გაბრიელ - დირიჟორი.

...
8. ბლიაძე გაბრიელ - დირიჟორი.

...
201. ბლიაძე გაბრიელ - დირიჟორი.

...
თქვენო აღმატებულებავე, უმორჩილესად გთხოვთ, სწორედ იმ სასახელო საქმეთა გათვალისწინებით, რომელიც სამართლიანად დაძაბუნებულ ადამიანებს, ჩვენს კოლეგებს, ამ გზააზნეული ახალგაზრდების მშობლებს აქვთ გაკეთებული, შეცვალოთ უმაღლესი ზომა (უვადო პატიმრობის ვადა) თხოვეტქნილინი პატიმრობით, რათა მათ ჯეროვნად შესძლონ თავისი უმცგავსო, უზინძურესი, არაადამიანური და არასახელმწიფოებრივი დანაშაულის ჩადენის სურვილის გააზრება. ისინი ყველფერს იმსახურებენ, მაგრამ სწორედ მათი ახალგაზრდული ასაკის გათვალისწინებით, ვებდავთ და გთხოვთ ხსენებული ჯგუფის ნანილობრივ შეწყალებას.

...
71. ...

...
ხუთი დღე იჭოქმანა, საერთოდ მოენერა თუ არა ხელი ამ ტექსტისთვის. ორჯერ მოადგენენ ხელმოსაწერად. ერთხელ თავად ერთ-ერთი "გზააზნეულის" მამაც. კომპანიტორი. შემოხებული, დაყოქლებული ტრაგიკული კარიკატურა. ცრემლები მოადგა, ებოღინა, მიედ-მოედო, შვილი ლანდდა. "ვიცი, ვიცი" - იძხა ამან. უმძიმესი ხელმოსაწერი იყო. 19-20 წლის ბოქებმა საესტრადო სცენის ნაწილი ააფეთქეს, სადაც ქვეყნის მეთაური უნდა დამდგარიყო 12 ოქტომბერს. ფარდას ცეცხლი მოეკიდა, სცენა ააღდა. კაცს კლავდნენ ფაქტობრივად! მემარცხენეები იყვნენ, მაგრამ ოფიციალურ გაზეთებში ნოფაჰმისტებს ეძახდნენ. თან ყველა სახელოვნებო სასწავლებლის სტუდენტი. მათ შორის - ორი კლარნეტისტი.

იყო შეკითხვები: როგორ მოახერხეს? როგორ გამოეპარათ სამართალდამცველებს? მათგან ერთ-ერთს 12 ოქტომბრის საზეიმო კონცერტზე უნდა დაეკრა. ეჭვი ჰქონდათ, რომ იქ შესასვლელი საშუები სწორედ მან გამოუწერა "ბანდის წევრებს" (ასე წერდნენ გაზეთებში).

გენერალურმა პროკურორმა უმაღლესი ზომა მოითხოვა: "დახვრეტა რომ შეიძლებოდეს კანონით, დახვრეტას მოვითხოვდენ". ყველა "ვერ-შემდგარ ტერორისტულ აქტზე" ლაპარაკობდა. ოფიციალური ტელეარხების თოქ-შოუებში ამათი მშობლების დასჯას ითხოვდნენ. თუმცა მწერალთა სახლში გაჩნდა მოსაზრება, რომ ქვეყნის მეთაურისთვის ნანილობრივი შეწყალების თხოვნით მიემართათ, რადგან ამ ჯგუფში არ იყო მონაწილე, ვის მშობელსაც ერთხელ მაინც არ მიეღო სახელმწიფოსგან დიდი თუ მცირე ჯილდო. უცნაური იყო ისიც, რომ ტერორისტებს შორის აღმოჩნდა ცნობილი მწერლის ვაჟიც, რომლის მამაც ქვეყნის მეთაურის მეგობრად იყო მიჩნეული. ჰყვებოდნენ, რომ ეს კაცი ზღვარზე იყო, რომ შვილი, ასეთი შვილი, უარეყო.

რაკი ნანილობრივი შეწყალების იდეა მწერალთა სახლიდან წამოვიდა, სხვების არ იყოს, გაბრიელსაც გაუჩნდა ეჭვი, რომ ამ მოთხოვნის თხოვნაც ზემოდან იყო დაშუბებული (წინააღმდეგ შემთხვევაში, მწერალთა სახლი ასეთ აქტიურობას არ გამოიჩენდა), ამიტომ როცა ბოლოს და ბოლოს, ხუთი დღის თავზე (ხოლო სასამართლოდან ერთი თვის მერე) ნანილობრივი შეწყალებას მოაწერა ხელი, შინაგანად სწორედ ამ მიზეზით მიიღო გადაწყვეტილება, თორემ სხვა შემთხვევაში (ვთქვათ, მხოლოდ მშობლებს რომ ეთხოვათ ხელისშეწყობა), ძალიან მტკივნეულად, დიდი გულისტკივილით და დარდით იტყოდა უარს.

ახლა კი შედარებით თამამად დასვა ხელმოწერა.

...
მაგრამ ერთ კვირაში 115-ვე ხელმომწერს არაოფიციალურად მოსთხოვეს უკან ნაელოთ თავიანთი ხელმოწერები. ტერორისტები უნდა დასჯილიყვნენ. ვერაინ ვაიგო, რა ხდებოდა. 115-ვე დაიბნა. რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში? რატომ გამკაცრდა ქვეყნის მეთაური? თუ იქნებ თავიდანვე მკაცრი იყო და მწერალთა სახლის წევრებმა სპონტანურად, ზემოდან თქმის გარეშე მოინდომეს ნანილობრივი შეწყალებაზე ხელმომწერების შეგროვება? ვითომ შესაძლებელი იყო ასეთი რამე? ვინ და სად დაუშვა შეცდომა? რა თქვა გაბრიელმა? ცხადია, თქვა: "უკან არ ნავიილებ". მაგრამ ეს თქვა ოკრამში, თავის კაბინეტში, საბიუჯეტო ორგანიზაციაში, უახლოესი თანამშრომლების თანდასწრებით, რეპეტიციის წინ.

ვინმე წაიღო უკან იმ 115-დან? ჯერჯერობით, არაინ.

საინფორმაციო გამოშვებებში ხელმომწერები არც უხსენებიათ. ვინმეს უნდა ენახა, რას იტყოდნენ ოპოზიციურ საკაბელო არხზე (რომელსაც მარტო დედაქალაქის მოსახლეობა თუ უყურებდა), გაბრიელი "ემონტზე" უნდა კონცენტრირებულიყო.

- უნდა გვახსოვდეს, რომ აქ ბეთჰოვენი თეატრალურია. სიმფონისტს თეატრალი უპირისპირდება.

ზოგადად ილაპარაკა. უინტერესოდ და ფორმალურად, თავში უკან ნასაღები ხელმოწერა უტრია-

ლება.

შეცდომა ხომ არ დაუსვა?

- არ უნდა, - ჰკითხა ნორას, - ჯიუტად ვთხოვთ ნაწილობრივი შეწყალება თუ გავაუქმით ხელმოწერებში?

ოფიციალური პირი, რომელმაც ხელმოწერის უკანა ნაღბი სთხოვა, არც იმდენად დიდი მოხელე იყო, რომ მეთაურის უპირობო ბრძანების განმცხადებლად ჩავთვალა და არც იმდენად პატარა, რომ უგულისყუროდ დაგეტოვებინა მისი რჩევა.

რა უნდა, ნორა, გავჯიუტებულიყავით თუ უარი გვეთქვა ნაწილობრივ შეწყალების თხოვნაზე?

ბუნებრივად, ამის გამოცხადება მნიშვნელოვანი იყო, და არა როგორც მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციის ხელმძღვანელისთვის, არამედ დიროქორისთვის, ადამიანისთვის. კაცს კლავენ და თუ მას შეწყალე-ბა არ უნდა, დანაშაული იქნებოდა, პოტენციური მკვლელების შეწყალების თხოვნით შეწყუბება...

- არ უნდა მომენერა.

ჰო, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ თხოვნა ზემოდან მოდიოდა - ამ 115 კაცს დიდსულოვნების გამოჩენის საშუალება უნდა მიეცა ქვეყნის მეთაურისთვის, სხვანაირად რას გაბედავდნენ! ქვეყნის მეთაურს უნდოდა, რომ კეთილი ყოფილიყო და უარი არ ეთქვა კულტურის მოღვაწეების თხოვნაზე. როგორც მამას შვილებისთვის. რა უნდოდა ამის გაგებას.

- მოხსნან სხვებმა და შენც მოხსნი, - თქვა ნორამ. მოხსნიდა? ასე ადვილად ველარ მოხსნიდა. მერე მემარცხენე სტუდენტები? პლაკატები? "მონა"? საკაბელო ტელეარხი?

პლაკატები კი არა, აღარც კონცერტები იქნებოდა, თუკი სახელმწიფოს არ მოუხდებოდა, რომ მისი ხელმოწერა იქ ყოფილიყო.

უკან ნაიღბდა, არა უშავს, იტყოდა, რომ საქმის დეტალები არ იცოდა და ახლა, როცა გაიგო, მორალური უფლება აღარ ჰქონდა, თუნდაც ნაწილობრივი შეწყალება ვთხოვა ქვეყნის მეთაურისთვის. რატომ? იმიტომ, რომ ეს ტერორიზმი, მკვლელობის მცდელობა, დიდი ბოროტება და უპასუხისმგებლობაა.

ასე ეტყოდა, რადგან მართლა ასე ფიქრობდა, ტყუილი არც გამოუვიდოდა, უბრალოდ, იმიტომ მონაწილე ხელი, რომ იმათი შიშების გავრცელებიერა ამ საბაბს, ვისაც მისნაირად პრაქტიკულ მოენერა ხელი მთავრობისადმი გაგზავნილი მონადებებისთვის, და დიდი მწერლის ნაბიჭვარიც იქ იყო, დიდი მწერალი კი ქვეყნის მეთაურის მეგობრად მიჩინოდა, და იმიტომაც, რომ მწერალთა სახლიდან გამოუფხავნენ 70 ხელმოწერილი შეესებულები თხოვნა და ამან დაასკვნა, რომ ეს სწორედ სახელმწიფოსგან იყო ნებადართული, და რომ რეალურად ფეხებზე ეკიდა, რას ითხოვდა და ვინ უნდა შეეწყალებინათ, და ის კოჭლი კაციც შეხვდა გამოსასვლელში, ადამიანის კარიკატურა, ჩანთიღებულ იტალიურ, და ეს ნაგავი მემარცხენე სტუდენტებიც პლაკატებით იპარებოდნენ საოპერო თეატრში, ფეხზე სადგომ სექციაში, და რომ შეიძლება არც ჩათვლილიყო დიდ დანაშაულად თერთმეტი იდიოტის მიერ ცეცხლსკიდეტული ფარდა, როცა დაბალრიეტინგიანსაკაბელო ტელეარხზე, რომელსაც დღეს თუ არა ხვალ მიადგებოდა ფინანსური პოლიცია (რასაც აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა მისი გათიშვა), თავად თხოვდათა ობიექტს, სახელმწიფოს იხსენიებდ-

ნენ დამნაშავედ, მაგრამ არ ეგონა - და არ ეგონა არც ერთს იმ ასთუთმეტთაგან - რომ სახელმწიფოს ასე გაუფრთხილებლად აღარ მოუხდებოდა ყოფილიყო დიდსულოვანი.

- ნაიღონ და შენც ნაიღებ.

და რომ არ ნაიღო? და პირიქით, განცხადება დაენერა თანამდებობიდან წასვლის შესახებ? დაედო დიროქორის ჯოხი და კულტურის სამინისტროსთვის გადაებარებინა ბეთჰოვენი, ორდლიანი გმირი გამხდარიყო დაბალრიეტინგად საკაბელო ტელეარხზე და საერთაშორისო კარიერის დაძვრას ცდილიყო, თუკი, რა თქმა უნდა, აცდიდნენ, ოღონდ უკვე არა როგორც მუსიკოსს, არამედ ადამიანს, დაუცველ სამოცამეტეცამეტეს, რომლის შეცდომასაც სახელმწიფო არასდროს დაივიწყებდა. და რალაცნარი განაჩენისაც გამოუტანდა. როგორ განაჩენს? დიდი არჩენილ არც ჰქონდათ, შორს წასვლა არ მოუხდებოდა - მიმიქს.

კარგე, უკან ნაიღებდა, მაგრამ პრაქტიკულად როგორღა ნაელო განცხადება გავკეთებინა, რომ შეცადა და ხელი არ უნდა მოენერა? საჯაროდ გადაეცაბანა თავისი გვარი?

...

ტექსტი მწერალთა სახლის საიტზე იდო. ქვეშ 115 ხელმოწერით. მაგრამ ეს კვირას. ორშაბათს დილითაც კი.

შუადღიდან რიცხვები შემცირდა.

...

- აქ ორი სხვადასხვა ბეთჰოვენი, ჯერ დუნე, ფატალური, მერე ექსპრესიული, ახალგაზრდული.....

კინლამ "მემარცხენე" თქვა. ისევ ეს ფეხზე სადგომი სექციის ლაწირაკები!

"ეგმონტი" ყველაზე დიდი ენერგია უპერტორაში იხარჯება, ცენტრი აქაა, დასანაწინი.

გაბრიელი მუსიკის რიტმში ხროტივებს, ოფლად იღვრება, მაგრამ ეს მხოლოდ შესავლის მერე, "ექსპრესიულ" ნაწილში, მერე კი შუბლიც აღარ ეცვარება - მშრალად, გმინვის გარეშე დიროქორის "ეგმონტის" დარჩენილ მუსიკას. ეძინოთ მოხუცებს, ეს არ აუღელვებო, თუ უნდათ, დაიხორცონ კიდევ.

კაბინეტში მხრებზე პირსაბოცმობვეული შედის, ნელს ზემოთ იხდის და საშხაპეს უშვებს თავს. წყლის შეხვევები შარვალს უსვლელებენ, თუმცა გახდა ეზარება.

მსხალი და რობერტი ოთახში ხვედბიან. რა ხდება?

ოფიციალური ტელეარხების გარდა, ყველა თერთმეტ დროისიტზე ლაპარაკობს. მსხალს სახეზე ამჩნევია ამ ამბის აქტუალობა.

- ხელმოწერებს ხსნიან, - ამბობს.

მწერალთა სახლის საიტზე 115-დან რვა ხელმოწერადა დარჩენილა. 73-ე ჯერ კიდევ ადგილზე ყოფილა. წუთში ერთხელ გააქვთ ხელმოწერები. თვალწინ ქრებიან.

ეს უკვე მეტისმეტია. გაბრიელს მოთმინების ფილა ევსება:

- მოხსენი, ჩქარა! დაურეკე!

მსხალი მწერალთა სახლში რეკავს. დაკავება,

ალბათ, ის რეაქცია აღაშფოთებს.

ეგლონ ციხეში! სამუდამოდ! კაცს კლავდნენ. სცენის მუშები რომ მომკვდარიყვნენ? სხვებმაც უნდა ისინაგლონ ჭკუა, მაგალითი არ უნდა იყოს სხვებისთვის. საემის დეტალები არ ვიცოდით, თქვენო აღმატებულიებო, რა ინფანტილიზმა!

პლაკატებს უკანაღმადმი შეტენიან მემორიალებზე სტუდენტებს, მოეთრუნენ, იყვირონ, ამათი არაყის ეშიზია. ნორც ივლიან. ეგმონტი მათ გარეშეც მშვენივრად მოკედება. ლანძლონ საკაბელო ტელეარხზე, ეძახონ მონა და კონფორმისტი. ეძახონ, რაც უნდათ! რობერტ, თმის საშრობი! სეზონი იხსნება. ჩელოებს სძინავთ, სიცოცხლე უნდა შთაბეროს. ამაზე იფიქროს, კლერპენის მენსტრუაციაზე თუ თერთმეტ ნაბიჭვარზე!

მოსხნან ხელმონერა! მოხსნან ხელმონერა! მოხსნან ხელმონერა!

მსხალი მკაცრად ჩასძახის ტელეფონს. მოხსნან.

გაბრიელს შხეფები ნინკლებად ეტყობა შარვალზე, ისე ჩანს, თითქოს ზედ დაეფსა, რობერტი შარვლის გამოცვლაში ეხმარება.

შვიდი ხელმონერა...

ექვსი...

ხუთი.

სხვებიც ჩქარობენ.

73-ს არ დაადგა საშველი. რეპეტიცია 10 ნუთში განახლებება, სცენაზე კლერპენი შემოვა.

73. ბლიაძე გაბრიელ - დირიჟორი.

- მოხსნეს!

მოხსნეს?

მოხსნეს.

როგორც იქნა.

73 ქრება.

...

- ბეთჰოვენს დიდი სული აქვს, ეს მისი სული ღმუის კონტრაბასიდან.

კლერპენი ხმაზეა.

დირიჟორი ჩელოებს უყვირის.

რამხელა შეცდომა დაუშვა. რატომ შეეფეთა ის მტირალა კაცო, კოჭლი კარიკატურა...

...

დღის ბოლოს საერთოდ ტექსტიც ქრება მწერალთა სახლის საიტიდან.

...

- გამიკვირდა, რომ ზოგიერთმა ჩემმა მეგობარმა, ყველასათვის ცნობილმა მოქალაქემ უკან წაიღო თავისი ხელმონერა ამ ახალგაზრდების ნაწილობრივი შეწყალების შესახებ. გულწრფელი ვიქენები, ცოტა არ იყოს, დამაბნია ჩვენი საზოგადოების რჩეული ნეერების პროზიციაში, თუმცა, ალბათ, მათ ჰქონდათ მიზეზი, თუ რატომ ითხოვდნენ თავიდან ნაწილობრივ შეწყალებას და შემდეგ, რატომ წაიღეს უკან თავიანთი

მოთხოვნა.

აუტანლად ნაცონობი სახე, ხმა, ხელები, საათი მარჯვენა ხელზე, მოკლედ შეკრეჭილი, ქერად შეღებილი თმა, ბოტოქსით შევსებული ყვრიმალეები, გამქრალი მიმიკა, რეზინის ღიმილი.

ოფიციალური ტელეარხების მთავარი სახე, მთავარი ტემბრი, მთავარი გულწრფელი.

სახელმწიფოს მეთაურმა თერთმეტი კრიმინალის ნაწილობრივ შეწყალებას მოანერგა ხელი, ბავშვები სამუდამო პატიმრობას გადაურჩნენ, მხოლოდ თხუთმეტი წლით დარჩებოდნენ ციხეში.

ჰო, აქ მხოლოდ მეთაური უნდა ყოფილიყო ჰუმანური, გმირობის უფლება მას ჰქონდა და არა იმ 115-ს.

- თავზე დაასაქმეთ, - თქვა ნორამ.

ძალიან კარგი. რისხვას დაცინვა ვლობია. რას აწერდნენ, თუკი უკან წაღებას აპირებდნენ?

ახლა ყველა ზედავს, ვინ ვინაა. მათ შორის, საკაბელო ტელეარხებზეც.

...

პირველი რეაქცია: "განცხადებას დავენერ ოპერიდან წასვლის შესახებ".

მერე - პაუზა.

ჯერ არა. "ეგმონტის" მერე. წინ სეზონის გახსნაა. სახელმწიფო ჰიმნი, ბეთჰოვენი. არც ერთი პლაკატი დარბაზში.

დირიჟორი სცენაზე გამოდის, ორკესტრი ფეხზე დგება. სამთავრობო ლოჟა ცარიელია.

არ მოვიდა.

ჩელოები დუნედ უკრავენ.

მოხუცებს სძინავთ.

გვსჯის?

თქვენო აღმატებულებავ.....

...

გულწრფელი სინანულით, პატივისცემით,

გაბრიელ ბლიაძე - სახელმწიფო ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი, მთავარი დირიჟორი



ვაკა ქევანიშვილი

ავად გახდაო, მამაშენი

მამაჩემს ფეხი ასტიკედა.
 ცოტა წაუყრუა, ცოტა მოითმინა.
 ერთი-ორჯერ მუშტი დაჰკრა მაგიდას, სიბერეს შეუკურთხა
 მერე დაგვიჯერა და ნამალი დალია.
 მამაჩემს ფეხი ასტიკედა. თქვენი მამების არ ვიცი და,
 ჩემთვის ეს სასწაულია - მამაჩემს არასოდეს არაფერი სტიკენია.
 მიიხედ-მოიხედა, ბარს ნამოავლო ხელი, ნაქცეული ღობე შეაკეთა,
 ნითელი ღვინო გადაჰკრა, შემა დაჩეხა.
 არ იკლო ტკივილმა, პირიქით.
 დაღონდა მამაჩემი, სხვა ქალაქში წავიდა ექიმთან.
 ისე, არაფერი უთქვამს.
 დედაჩემმა ჩუმად დარეკა, ექიმთან წავიდაო მამაშენი.
 დედაჩემი ხშირად არის ხოლმე ავად.
 ხმა კი ასე არასოდეს გაბზარვია: ექიმთან წავიდაო, მამაშენი.
 ავყვირდი, სხვა ქვეყანაში გადახვენილ ძმას დავურეკე,
 დაზღვევა. გავიქაჩეთ. აბა, სასწრაფო ოპერაცია...
 შვილობამ გაიღვიძა. უარესის შეგვემინდა.
 მამაჩემმა კი, ერთი შემოგვხედა შეფუცხუნებულებს,
 ვიბეზე ხელგაკრულებს.
 შემოგვხედა და გავხდით ისევ სამი წლისები.
 ჯერ არაო, თქვა მამაჩემმა, არ გამიბედოთო.
 და წელგამართულმა გაიარა.



ბატონო პრემიერო. და მინისტროც

გამარჯობა, ბატონო პრემიერო.
 ჩემი ოცნებაა, შეგხვდეთ და ვნახო, როგორ ჭამთ.
 მაშინ, როცა არავინ გიყურებთ. არც ტელეკამერები.
 გამარჯობა.
 ძალიან მინდა დავიხახო, რომელ ხელში გიჭირავთ ჩანგალი,
 ბატონო პრემიერო და მინისტროც.
 ორივე ყბით ღეჭავთ თუ ცალით.
 მაინტერესებს, რომელი ქვეყნის მეტრო გიყვარდათ,
 გასაგებია, რომ ამ ქალაქის გძულდათ, მაგრამ რომლის გიყვარდათ?
 თუ ოდესმე ასეთი რამ მომხდარა - ადამიანური სიყვარულები თუ გქონიათ.
 სისულტებიც - მაგალითად, ქუჩაში ჰოთ-დოგის კბეჩა.
 ბატონო პრემიერო და მინისტროც,
 გუშინ თქვენზე დიდი ჩინოსანი სხვა ქალაქის პარკში შემხვდა,
 გვერდით ჩამიარა.
 მშვიდად გავაგრძელე ნაყინის ჭამა - არავის გავუგდივარ იქიდან მუჯღუგუნებით
 არც ბეტონის შენობები მდგარა იმ პარკში,
 მინდორზე შეყვარებულებს ეძინათ.
 გამეფიქრა, ნეტა ჩემი პრემიერიც ხედავდეს.
 ნეტა ჩემ პრემიერსაც გაახსენდეს.
 ათასობით ადამიანი საკუთარი ფანჯრებიდან ხეების ნაცვლად
 ახორხლილ შენობებს რომ უყურებს. შენობებს სუნთქავს.
 ბატონო პრემიერო, ისე მაინტერესებს,
 სადაც არ გიცნობენ, იქ მაინც თუ შეგიძლიათ
 მარტო სიარული, ადამიანივით?
 და ტანსაცმელს თქვენით ყიდულობთ
 თუ უკვე ეგეც სხვების საქმეა?



ნეტა, როგორია ბატონო პრემიერო,
უცებ ნიგვზიანი ბადრიჯანი რომ გინდება და
ხიზილალის მოცუცქეული ბუტერბროდები უნდა მიირთვა -
რომელიმე იდიოტურ მიღებაზე.

ნეტა, ფეხები თუ გეყინებათ ბატონო პრემიერო.
რაეცი, რამე ჩვეულებრივი მინდა კკითხოთ.
მაგალითად, თქვენი მამა რომ მაღაროში მუშაობდეს და
უცებ მაღარო ჩამოინგრეს, რას იგრძნობდით.

მარტივ რამეებს გეკითხებით, ბატონო პრემიერო და მინისტრო.
რა კარგი იქნებოდა არა, ისეთ ქვეყანაში რომ გვეცხოვრა,
სადაც ეკლესიის არ შეგეშინდებოდათ.
უნიჭო პოეტების საღამოებზე რომ არ დადიოდეთ.
როკს უსმენდეთ და ხანდახან ქუჩაში მოტოციკლეტით გხედავდნენ.

ყველა ადამიანს ცალ-ცალკე იცავდეთ.
უმრავლესობა გეკიდოთ.

ნეტა, როცა პრემიერი აღარ იქნებით, რამდენი ფული გექნებათ დაგროვილი?
სამოქალაქო სექტორში თუ გადახვალთ...

იქიდან კრიტიკა მოდაშია.

ბატონო პრემიერო.



აღდგომა თუ დღესასწაულია

იყიდეთ კვერცხები, ხელით მოხატული ჭრელი კვერცხები,
აღდგომა მოდის, - გაჰყვირის ქალი ჭრელი წინსაფრით.
მოხატულ კვერცხებს ხელში ატრიალებს.

დგას კვერცხების გამყიდველი ქალი
ქუჩაში საგანგებოდ გამოგორებულ სარეკლამო დახლთან, წარწერით:
ერთი კვერცხი - სამოცი კრონა.

ფიჭორობ, ვიყიდი ერთ ცალს, ჩაედებ ჭიქაში,
დავდგამ გამოსაჩენ ადგილას და ხანდახან სტუმრებს ვეტყვი - ნაყიდა პრალაში.
ჩემთვის კი გავიფიქრებ,

აღდგომა, ალბათ, დღესასწაულია,
როცა საკუთარი მკვდარი არ გყავს.

ოჯახის გაგებისთვის

რა თქმა უნდა, შეგვეძლო კართან ვიღაც დაგვება და გვეყოლოდა.
ვინც ხანდახან იყვებდა, ხანდახან ფულსაც მოიტანდა,
ხან დაგვანიოკებდა, მყრალ წინდებს ცხვირწინ დაგვიყრიდა.
ხანდახან, იქნებ ვყვარებოდით კიდეც.
რა თქმა უნდა.

შეგვეძლო ერთი კაცი გვეყოლოდა ოჯახში,
ოჯახი რომ დავგრქეოდა.

ხანდახან ჩაქუჩს დაიჭერა ხელში,
ეზოს მოცლილები მიესალმებოდნენ, ავტოფარეხი გვექნებოდა!
ასე მართო მაინც არ ვინანალებდით - სხვების თვალში.
ზამთრის გაყინულ საღამოებში - მანქანანი კაცი მოგვაკითხავდა.
ტაქსის მძღოლები არ გავგჭორავდნენ.

ნათესაურ შეკრებებზე თანაგრძნობის მზერებს ავიცილებდით,
გვეყოლოდა ერთი ვინმე კაცი,
გდებუდიყო, - გარეუბანში ნაყიდი ბინასავით.
ჩვენც ხომ გვერქეოდა - ოჯახი.

მერე რა, რომ ჯოჯოხეთივით სიბნელეში ვიცხოვრებდით,
სადაც ცალ ფეხზე დგახარ და არც ერთი ცოდვა არ გავინყვებდა.



სიბერის გამო

ვაიმე, როგორ დაბერდა დედაჩემი.
 ვაიმე, ვაიმე.
 როგორ მოიხარა მხრებში დედაჩემი.
 როგორი უხეში თითები გაუხდა დედაჩემს, უნდა ვუთხრა.
 სირცხვილია, დაუნახავენი.
 როგორი მონყენილია დედაჩემი.
 უფრო კი, ზამთრის ადრე დაღამებულ დღეებში,
 ზის დაგრძელებული ხელებით და თვალებით თავის ოთახში
 და დროდარო კრეფს ჩვენი ტელეფონის ნომრებს.
 ჩვენ ვუთიშავთ, არ გვცალაია.
 რა უნდა გვითხრას დედაჩვენმა საინტერესო?
 ვპირდებით, რომ ხვალ დაეურეკავთ.
 მასაც სჯერა და გველოდება.
 მაღალ ქუსლებს ვეღარ იხდენს დედაჩემი,
 მტვრიანები მიუყრია ძველ კარადაში.
 რამდენჯერ ყოფილა, მის ნითელ ფრანცუზკებში
 გავთხოვილვარ სარკის წინ.
 სხვათა შორის, წარმატებულად და მდიდარზე.
 თვალებს ალარ იღებავს დედაჩემი,
 ბუნებრივი მუქი ჩრდილები მოიხდინა.
 თმა ფერფლისფერი გაუხდა, ტურნები დაელია.
 სერიალებს უყურებს დედაჩემი.
 საათს ალარ ატარებს დედაჩემის ლამაზი მაჯები.
 ჩემი ძმის ცოლს ელოდება დედაჩემის ბეჭდები.
 ძროხის სუნი ასდის დედაჩემი ხალათებს.
 ხალათები ჩაიცვა დედაჩემმა!
 ტალახიანი ბოტები ჩაიცვა დედაჩემმა.
 ჩვენს მაგივრად, ლობიოს ზრდის დედაჩემი.
 სიმინდს ელოლიავება, ხბოს არქმევს სახელებს.
 ფეხბოტებილ წინილებს დასტირის.
 სტუმრად ალარ დადის დედაჩემი.
 ფერადკრემიან ნამცხვრებს ალარ აცხობს.
 ნითელკრემიანებს. არც მე მემართება ნითელა.
 იშვითად ჩამოდის დედაჩემი თავის ქალაქში და მაშინაც იკარგება.
 პანაშვიდებზე ჩამოდის დედაჩემი.
 ვეუბნები, რომ არსად წაიყვანს,
 თუ ძველებურად ლამაზად არ ჩაიცვამს და
 ისევ ისეთი არ გახდება,
 როგორიც ვავიცანი.
 მე ვეუბნები,
 რა ჯანდაბად გამზარდე ასე,
 რომ დაბერდი, დედაჩემო.



რუკა და სიყვარული

ყველა ამბავი, რაც კი ეოდესმა გადამხდენია,
 უცხო ქალაქის რუკას ჰგავდა.
 პირველივე უცნობ ქუჩაზე ბრმად რომ გადაშლი.
 კალიდოსკოპს თითქოს ჩახედე, ისე ჭრელია.
 მეტროს, ტრამვაის დაქაქულ ხაზებს ზოგან მდინარე,
 ზოგან არხი ან ხიდი კვეთს და,
 შენი სადგურის მიგნებამდე, რუკაც იხევა.
 სანამ ქუჩებს დაიმახსოვრებ, გამქრალია მთელი ქალაქი.
 ასე იყო ყველა ამბავში.
 და ბევრ ხალხში დაკარგვის შიშიც, აქედან დამრჩა.
 ბევრ ხალხში ისე ჩადგომის შიში, რომ ველარაინ დაგინახოს,
 რომ ხელები დიდხანს აქნო, ხალხი კი შენში,
 ჯადოსნური სარკესავით შემოდიდდეს.
 მინდა დამთავრდეს ის ამბები. გზისარევის.
 მინდა ისრები არ მჭირდებოდეს შენს ცხოვრებაში გამოსაგნებად.



კაპიტულაცია


ეს ჩემი სურვილი იყო - არაფერი მელაპარაკა შენზე.
ერთნაირი ციე ომსა და დუმლით დაბომბვაზე.
ჩემს საბოლოო კაპიტულაციაზე.
მე არასოდეს ვყოფილვარ ასეთი გაბედული -
საკუთარი მარცხი ჩემივე პირით მეღიარებინა.
და არც ასე დიდსულოვანი - გაშვებულისთვის ბედნიერება მესურვებინა.
არც ისეთი ღირსეული, დამემალა,
როგორ წვეთავდა მუცელში სისხლი, როცა ნახვედი.
ეს ჩემი სურვილი იყო. და გადაწყვეტილებაც,
დამეფალი საერთო საქმე სასაფლაოზე, უსახელოდ, აბრის გარეშე,
და არავის სცოდნოდა, სად გაქრი.
ეს ჩემი სურვილი იყო,
მეც ველარასოდეს მომეგნო.

ტკბილით მკურნალობის წესი

ამაზე სევდიანი რა უნდა იყოს,
გადაწყვილდები ჭრელი კაბები შენი ბიჭის ჩემოდანში და გაატანო.
რაში გჭირდება!
დაიტოვო ჯინსები, ბოტასები - სანანნალო.
საფრიალო - გაატანო.
მის შარვლებსა და პერანგებს შორის გააკვეხო. ასე გაყვე, გააცილო.
ამაზე უფრო სევდიანი უცხო ქალაქში მარტო დარჩენაა,
როცა ბიჭი სახლში ბრუნდება.
ასეთ დროს,
არის ერთი, ბევრი გამოსავლიდან საუკეთესო - ტკბილეულით მკურნალობა.
ჩემზე ჭრის - საღამოობით კრემიანი კრუასანების გულსრევაზე ჭამა.
მუსრის გავლება მოკოლადის მთებისათვის. მაქრად გადაქცევა.
სანამ შენი სანანნალო ჯინსი,
მუხლებსა და თეძოებს შორის უხერხულად არ გაიჭედება.
მაგრამ აქ უკვე სხვა დარდი იწყება და,
მასზე უფრო სევდიან ამბავს, გადასარჩენად,
მერე მოვიფიქრებ.

გოგო, რომელიც ვაშლის ხეს გაზრდის

ცოლად შვილიანი ქალი მოიყვანა.
თქვეს გოგოზე, რომელმაც მუცლიდან ვაშლის ხე გამოიღო და დარგო.
ხემ კი მოისხა ოქროს ვაშლები.
შვილიანი ქალი შეიყვანა ოჯახში.
თითქოს შავი ჭირი გავრცელდა,
თითქოს დაობდა სახლის კედლები.
მწუხარებით იუნყება ნათესაობა გოგოზე,
ვინც დიდი ხნის წინ, ისე მოხდა, სხვასაც უყვარდა.
შვილიანი ქალი. შვილიანი ქალი.
ჩურჩულებს მთელი სამყარო.
უხერხულად იმშუშნებიან ნათესავი კაცები.
თავებს აქნევენ ნათესავი ქალები.
პანაშვიდებზე, პურის რიგში, ავტობუსის გაჩერებებზე.
ჩურჩულებენ - შვილიანი ქალი,
შვილიანი ქალი.
ნნ.ნნ.ნნ.ნნ.
ხმამალა თქმა აკრძალულია.
გოგოზე, რომელმაც ვაშლის ხე გააჩინა და ზრდის.
უთენია აღვიძებს და მიჰყავს სკოლაში.
მერე რომელიმე კაფეში ჯდება, ფეხებს აქანავებს და შესაძლოა,
ამ ლექსსაც წერს.
შვილიანი ქალი - გამოუტანეს განაჩენი გოგოს,
რომელიც ვერასოდეს მიხვდება, რას ერჩიან.



არაფერი

ყველა სალამო მთავრდება ასე.
 განსაკუთრებით ზამთრებში.
 სახლს როგორც კი ვუახლოვდები, ფეხს ვუჩქარებ,
 ლიფტში მინდა შევასწრო დამთავრებულ დღეს.
 და უცებ ფეხები მიმძიმდება - თითქოს ნისქელის ქვები შემაბეს,
 მინაზე ექვდება.
 ადგილზე ვრჩები: პურის მაღაზიასა და საბავშვო სკვერს შორის.
 უპატრონო კატების გუნდით მეხვევიან
 იმ დღის ამბები - დაგვწერე, დაგვწერე, შემომჩხავიან,
 მე კი არაფერი მაქვს მოსაყოლი.
 დიდი ხანია აღარაფერზე ვდარდობ ისეთზე, რაზეც დაწერდი.
 დიდი ხანია მივატოვე,
 დიდი ხანია პირიქითაც, წავიდა ჩემგან.
 შევეგუე, დედა ბერდება,
 იდეალური სამსახური, ვიცი, მითია.
 თევზი თავიდან აყროლდება, ესეც გავიგე და რომ
 შვილები უნდა გაუშვა.
 ფულიც იღევა.
 მართლა არა მაქვს მოსაყოლი.
 მხოლოდ ეს წამი. ეს მაღაზია. ეს ზამთარი.

პური და კოკა კოლა

მოვიტანე სახლში პური და კოკა-კოლა.
 თუ გგონიათ, ეს ლექსის თემა არ არის, ძალიან ცდებით,
 იმიტომ, რომ ეს ლექსი არის არჩევანზე.
 დარწმუნელი ორი გროშის გაყოფაზე.
 იმიტომ რომ, პური არსობისა და კოკა-კოლა - მსოფლიო ცდუნების.
 ხოლო დანარჩენი ტკბილეული, ანაც, სანოვანის ჩანთიდან ამოჩრილი მწვანე ხახვი და ტარხუნა
 და გაზაფხულის შუშა კიტრიც არის ხანდახან ფუფუნება.
 განსაკუთრებით მწერლისთვის, რომელმაც ამ სალამოს
 შეიარა მწერალთა სახლში, ერთ-ერთი წიგნის პრეზენტაციაზე, რამე კბილის გასაკრავის იმედით.
 მაგრამ ამჯერად იქ იყო სხვა ბევრი მისნაირი მწერალი,
 რამდენიმე წიგნი და მუსიკა.
 ახალი წიგნის ავტორმა კი ჩაიკითხა განცხადება
 ქვეყნის პრეზიდენტის,
 პრემიერის, კულტურის მინისტრისა და სხვათა სახელზე,
 რომლითაც მშვიდი მწერლების და პოეტების გადარჩენას მოითხოვდა.
 მე მოვანერე ხელი ამ განცხადებას და წარმოვიდგინე, რომ
 ცოტათი მეტი ფული მედება ჯიბეში ხვალ
 და ამიტომ, პურთან ერთად, გავებდე და ვიყიდე კოკა-კოლაც.
 რომელიც, როგორც ამბობენ, მსოფლიო ცდუნებაა.
 მე კი უბრალოდ მიყვარს.



სუიციდი

უნდა დავსხდეთ მე და შენ, ჩემო თავო და ვალიაროთ:
 ჩვენ ერთმანეთის ატანა აღარ შეგვიძლია.
 მე დანოლა მინდა, შენ დგები, მე კაცი მიყვარდება - შენ მისგან გარბიხარ.
 უნდა ვალიაროთ, წერაც აღარ გამოგვდის.
 მე ვწერ, შენ შლი.
 მე მომწონს, შენ გეცოდება.
 უნდა ვალიაროთ და
 დავეშორდეთ მშვიდობიანად.

თომას მანი

“ღუიზჰენი”

გერმანიულიდან თარგმნა ნანა ჭილაძემ

არსებობენ წყვილები, რომელთა ქორწინების
ახსნა ბელეტრისტიკაში განაფულ ფანტაზიასაც არ
შეუძლია. ისინი უნდა მივიღოთ ისე, როგორც თე-
ატრში წარმოდგენილი ურთიერთსაპირისპირო, ავან-
ტიურისტული კავშირები, მაგალითად, მოხუცისა
და სულელის ახალგაზრდასთან და სიცოცხლით
სავსესთან, რაც მოცემულია როგორც წინაპირობა
და საფუძველს უქმნის ფარსის მათემატიკურ სტრუქ-
ტურას.

რაც შეეხება ადვოკატ იაკობის მეუღლეს, ის
ახალგაზრდა, მშვენიერი და უჩვეულოდ მომხიბვ-
ლელი ქალი იყო. დაახლოებით ოცდაათიოდე წლის
წინ დაანათლეს სახელები: ანა - მარგარეტა - როზა
- ამალია; მაგრამ ამავე სახელების საწყისი ასოების
შეერთებით მაშინვე - არც მეტი, არც ნაკლები - ამ-
რა უწოდეს; სახელი, რომელიც ეგზოტიკური ჟღერ-
ადობით საუკეთესოდ შეეფერებოდა. ძლიერი, რბი-
ლი, გვერდზე გაყოფილი მუქი თმის მიუხედავად,
რომელსაც ვინრო შუბლის ორივე მხარეს გვერდულ-
ად გადატყეცილ-გადავარცხნილს ატარებდა, სწო-
რედ ნაბლისფერი მატებდა მის კანს სამხრეთულ
იერსა და მის მკრთალსა და ღრმა ზაფრანისფერს
აძლიერებდა. კანი კი ხაზს უსვამდა ფორმებს, რომ-
ლებიც ასევე სამხრეთის მზეზე მომწიფებულის შთა-
ბეჭდილებას ტოვებდნენ და ვეგეტაციური და ინერ-
ტული სისრულით რომელიმე სულთნის მეუღლეს
გაგონებდნენ. შთაბეჭდილება, რომელსაც მისი ყო-
ველი გამომწვევი და გულგრილი მოძრაობა ტოვებ-

და, უდიდესი ალბათობით ადასტურებდა, რომ ქა-
ლის გონება აბსოლუტურად ემორჩილებოდა მის-
სავე გულს. ამის გამოცნობა საკმარისი იყო ერთი
შეხვედრითაც: მაშინ, როცა თავის კოხტა წარბებს
ვინრო შუბლზე სრულიად ჰორიზონტალურად, თით-
ქმის მომხიბვლელად, ორიგინალურად ასწევდა და
არაფრისმცოდნე, თავლისფერი თვალებით შემოგ-
ხედავდა. თუმცა არც იმდენად გულუბრყვილო იყო,
რომ ეს არ სცოდნოდა. თავისი სუსტი მხარეების
დაფარვას საკმაოდ ადვილად ახერხებდა, რადგან
იშვიათად და ცოტას საუბრობდა. ხოლო იმ ქალ-
თან, რომელიც ლამაზიცაა და მდუმარეც, ვერა-
ფერს გააწყობ. და კიდევ: სიტყვა “გულუბრყვილო”
გამოხატვის ყველაზე მწირი საშუალებაა მის დასა-
ხასიათებლად. არაფრისმთქმელი მზერით იმავდ-
როულად ვნებიან დაუნდობლობას და მზაკერულო-
ბას გამოასახივებდა და აშკარად ხედავდი, რომ ეს
ქალი სულაც არ იყო იმდენად გონებასუსტი, ვინ-
მესთვის უბედურება არ მოეტანა... სხვათა შორის,
უნდა აღინიშნოს, რომ პროფილში ცხვირი ხორცია-
ნი და ნაკლებად დახვეწილი მოუჩანდა. სამაგიე-
როდ, სქელი ტუჩები და ფართო პირი, მიუხედავად
იმისა, რომ ვნების გარდა არაფერს გამოხატავდ-
ნენ, სრულყოფილი და მშვენიერი ჰქონდა.

ეს ამაღლევებელი ქალბატონი ორმოციოდე წლის
ადვოკატის, იაკობის მეუღლე გახლდათ, რომლის
მნახველიც ზოგნებას ვერ მალავდა. ადვოკატი
იაკობი იყო ზორბა, უფრო მეტიც, ვიდრე ზორბა -



ის კოლოსალური აღნაგობის მამაკაცი იყო! მუდმივად ნაცრისფერ შარვალში მორებივით გამოკარუნული მისი ფეხები უფორმოების გამო სპალოს ფეხებს მოგაგონებდათ; ცხიმისგან მომრგვალებული ზურგი კი დათვისას. მისი ერთი ალუნგრელი ღიბის ფორმებს გარს ევლებოდა განსაკუთრებული მომწინააღმდეგო ქურთუკი, რომელსაც ის დიდი პატივით ატარებდა და რომელიც ერთადერთი ღიბზე გაჭირვებით იკვებოდა მანამ, სანამ ღილი არ გაისხნებოდა და ქურთუკის კალთები ღამის მხრებამდე არ აუცოცდებოდნენ. ამგვარ ძღვევამოსილ ტორსს ედგა შეუსაბამოდ პატარა, თითქმის უკისრო თავი ვინრო და წყალწყალი თვალებით, მოკლე და ჩაქვდარი ცხვირით და სიმუსქინისგან უნდო ჩამოკიდებული ლოყებით, რომელთა შორისაც იკარგებოდა მომცრო, დარდისგან კუთხებგზამოყრილი პირი. მომრგვალი თავი, რომელიც ისევე, როგორც ზედა ტუჩი, დაფარული ჰქონდა მეჩხერი და უხეში ქერა ჯავრით, შიშველი კანი კი ისე ულალაპებდა, როგორც ზედმეტად ნაპატივებ ძალს. მთელი სამყაროსთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ადვოკატის ტანის სისაყდრე მისი ჯანმრთელობით არ იყო გამოწვეული. როგორც სიგარძემი, ისე სიგანეში გასული მისი გოლიათური სხეული მხოლოდ უკუნთო, ჭარბი ცხიმის გროვას წარმოადგენდა და ზირად შეიმჩნეოდა, თუ როგორ მოულოდნელად გადაუვლიდა მის გატანჯულ სახეს სისხლის ნაკადი, მერე კი კვლავ გაეცლებოდა, ასევე მოულოდნელად, და ადგილს უთმობდა მოყვითალო სიფერმკეთალეს; ამ დროს პირი სიმწრისგან ემანჭებოდა.

ადვოკატის ბიუროში ბევრი საქმე არ შემოდიოდა, მაგრამ რადგანაც, ნაწილობრივ მეუღლის წყალობით, საკმაოდ კარვ ქონებას ფლობდა, ეს უმვილძირო წყვილი კაიხერმტრასზე კომფორტულად ცხოვრობდა და აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებასაც ეწეოდა. ქალბატონ ამრას მიდრეკილებათა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ადვოკატს, რომელიც ეჭვიანობით გატანჯული უყურებდა ყოველივე ამას, შეუძლებელია თავი ბედნიერად ეგრძნო. ამ ჩასუქებულ მამაკაცს ხასიათიც განსაკუთრებული ჰქონდა. სამყაროს მიმართ მასზე უფრო ხათრიანი, ფრთხილი და დამთმობი ადამიანი არ მოიძებნებოდა. მაგრამ ყველა გრძობდა, თუმცა ამას ხმაშაღლა არავინ ამბობდა, რომ მისი ზედმეტად თავაზიანი და მაამებლური ქცევა რაღაც მიზეზებით იყო გამოწვეული, რომ ეს სიმხდალითა და შინაგანი გაურკვევლობით უნდა ყოფილიყო ნასაზრდოები და უსიამოვნო გრძობებს აღძრავდა. არაფერია იმ ადამიანის მხურაზე უფრო საზარელი, რომელსაც საკუთარი თავი სძულს, მაგრამ სიმხდალისა და პატივყვარეობის გამო ცდილობს მონივნებული იყოს და თავი მოგაწონოს: ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ასე იქცეოდა ადვოკატი, რომელიც თითქმის მინასთან გასწორებული თვითდაკნინებით ღამობდა აუცილებელი პიროვნული ღირსების შენარჩუნებას. შეეძლო ქალბატონისთვის, რომელიც სუფრასთან უნდა მიეცლებინა, ეთქვა: "მონყალო ქალბატონო, მე აუტანელი ადამიანი ვარ მაგრამ სიკეთის ჩადენაც შემიძლია..." და ამას მჯავედ დამტკბარი, განა-

ნამები და მარტოლს, თვითირონიის ყოველგვარი წიქს მოკლებული ამბობდა.

ხუმრობა, რომელსაც ახლა გიამბობთ, სრულ ჭეშმარიტებას ასახავს. ერთ დღეს, სეირნობისას, ადვოკატს ერთი ურიკიანი მოსამსახურე მამაკაცი შეეჩნება და ფეხზე მორბილი გადასდარა. მოგვიანებით მოსამსახურემ ურიკა შეაჩერა და მისკენ შემობრუნდა - რაზეც სრულიად დაბნეულმა, გაფითრებულმა, შემფოთებულმა და ლოყებაცაცხანებულმა ადვოკატმა თავმდაბლურად ქუდი მოიხადა და "მომიტყვი!" -ო ნაილულულა. ამ უცნაურ გოლიათს, როგორც ჩანს, გამუდმებით სინდისი ქეჯინი და, როდესაც თავის მეუღლსთან ერთად სეირნობდა "ტორლობის მთაზე" - ქალაქის მთავარ სასეირნო ქუჩაზე - და დამფრთხალ მზერას არ აშორებდა ამრას, რომელიც არნახული ელვებანტურობით მიაბიჯებდა, ისეთ გულმოდგინე, შიშნარე და ეჭვიან საღამოს იძლეოდა, თითქოს მოთვნივლივად ქცეოდა თითოეული ლეიტენანტის წინაშე მორჩილად მოეხარა ქედი და პატივება ეთხოვა იმისთვის, რომ ამ მშვენიერი ქალის მფლობელობაში სწორედ ის იმყოფებოდა; საბრალოდ თავაზიანი მისი სახე კი ეყვრებდა გამოხატავდა, ნუ დამცინებთ.

უკვე განვმარტეთ, რომ პასუხგაუცემელი შეკითხვა, თუ რატომ დაქორწინდა ამრა მაინცადაამინც ადვოკატ იაკობზე. მას კი, თავის მხრივ, უყვარდა ამრა, თანაც ისეთი სიყვარულით, ისეთი მხურვალეობით, რაც მისი აღნაგობის ადამიანისთვის იშვიათობაა; ისეთი მორჩილებითა და შიშით, როგორიც სწორედ მისნარს არსებას შეეფერებოდა. ზირად, გვიან საღამოს, როდესაც ამრა უკვე მინოლილიყო და ისვენებდა დიდ საძინებელში, რომლის მაღალ ფანჯრებსაც მოჩითული, ნაოჭებიანი ფარდები ამკობდა, ადვოკატი შეაბიჯებდა ისე ჩუმად, რომ მისი ფეხის ხმის ნაცვლად იატაკისა და ავეჯის მონოტონური ჭრიალი ისმოდა; მივიღდა მძიმე საწოლთან, მუხლებზე დადებოდა და უსასრულო სიფრთხილით დასწვდებოდა მის ხელს. ასეთ დროს ამრა, როგორც წესი, წარბებს შუბლზე ანკეპდა და თავის უჩვეულო მეუღლეს, რომელიც ნათურის სუსტ შუქზე გვედით ენება, უსტიკვოდ და ერთგვარი თანაგრძობის გამოხმატყული ბორბტებით აკვირდებოდა. ის კი, გაუნწავი და ცაცხცახებული ხელებით ფრთხილად მიატოცებდა ამრას პერანგის სახელოებს ზევით და მის თაფლისფერ, რბილ და სუკვე მკლავებზე ასვენებდა თავის ნაწელიან და მსუქან სახეს იმ ადგილას, სადაც მუქ კანზე პატარა ლურჯი ძარღვები შესამჩნევად იკვეთებოდა - დაბეზავებულ და აკანკალებული ხმით იწყებდა ლაპარაკს ისე, როგორც ამას, სხვათა შორის, არცერთი გონიერი ადამიანი არ გააკეთებდა ყოველდღიურ ცხოვრებაში. "ამრა", ჩურჩულებდა, "ჩემი ძვირფასო ამრა! ხომ არ განუხებ? ხომ არ გძინავს? ღმერთი დიდებული, მთელი დღე იმაზე ვიფიქრობდი, თუ როგორი მშვენიერი ხარ და როგორ მიყვარხარ!.. მომისმინე, რაღაცის თქმა მსურს... (ძალიან ძნელა სიტყვებით ამის გამოხატვა) ისე ძალიან მიყვარხარ, რომ ზოგჯერ გული მეკუშმება და არ ვიცი, საით წავიდე; ჩემი სიყვარული ჩემს ძალებს აღემატება! შენ ამის გაგება გავიჭირებდა,



მაგრამ უნდა დამიჯერო და მხოლოდ ერთადერთხელ უნდა მითხრა, რომ ამისთვის ოდნავ მაინც ჩემი მადლიერი იქნები, რადგან, ხედავ, ისეთ სიყვარულს, როგორც შენდამ გამამინია, თავისი ფასი აქვს ამ ცხოვრებაში... და რომ არასოდეს მილატებ და არ მიმატოვებ, მაშინაც კი, როცა ჩემს სიყვარულს ვერ შეძლებ, მხოლოდ მადლიერებისთვის, მხოლოდ მადლიერების გამო... მოვედ, რომ ეს მთელი გულით გთხოვო, ისე გულახდილად, როგორც შემოძლია..." და ამგვარი სიტყვები, როგორც ნესი, იმით მთავრდებოდა, რომ დავოკატი მდგომარეობის შეუცვლელად ჩუმადა და მწარედ იწყებდა ქეთისნს. ასეთი შემთხვევები ამრას გულს უჭყებდა, მეუღლეს ჯაგარზე ხელს უსვანდა და რამდენჯერმე იმეორებდა გაგრძელებული, მანუტყუმებელი და ირონიული ტონით, როგორითაც ძირითადად ძაღლებს ესაუბრებთან, როცა ისინი მოდიან და პატრონს ფეხს უღვსენ: "კარგი! კარგი! ჩემო კეთილო ცხოველო!"

ამგვარი საქციელი, რალა თქმა უნდა, არ ახასიათებდა ამრას როგორც დახვეწილი მანერების მქონე ქალბატონს. მით უმეტეს, დადგა დრო, როცა ჭმუშარიტება უნდა ვალიარო, რისგანაც აქამდე თავს ვიკავებდი, და გავთავისუფლდე. ჭმუშარიტება კი ის გახლავთ, რომ ამრა თავის მეუღლეს სწორედაც ატყუებდა, ვიტყვოდი: ღალატობდა და ამას აკეთებდა ბატონთან, რომელსაც აღვრედ ლოიტნერი ერქვა. ის გახლდათ ახალგაზრდა, ნიჭიერი მამაკაცი. პატარა, გასართობი მუსიკალური კომპოზიციების წყალობით ოცდაშვიდი წლის ასაკში უკვე მოეპოვებინა საკმაოდ მომხიბვლელი რეპუტაცია; გამხდარი აღზარობით, ყოყმონინა სახით, გამომწვევი ვარცხნილობითა და აშკარად შესამჩნევი, სითბოჩამდგარი, მომდიმარი თვალდობრ - ის ჩვენი დროის პატარა მსახიობების იმ მოდგმას განეკუთვნებოდა, რომლებიც საკუთარ თავს არც თუ ისე დიდ მოთხოვნილებებს უყენებენ; პირველ რიგში, სურთ იყვნენ ბედნიერები, მოეცნენ ყურადღების ცენტრში, საკუთარი სიამოვნებისთვის გამოიყვნონ მცირე ნიჭი, რათა ამით პირდას სათნოების ამაღლებას შეუწყონ ხელი და საზოგადოებაში სიამოვნებით ითამაშონ გულუბრყვილო გენიოსების როლი. შეგანებულად ბავშვურები, ამორალურები, უცერემონიოები, მხიარულები და თავდაჯერებულები - ამავედროულად ისინი საკმარისად ჯანმრთელები არიან იმისთვის, რომ ავადმყოფობის დროსაც შეძლონ თავის მონწილეობა; ხოლო სახელის მამიებლობა მათი მხრიდან სიმპატიასაც კი იმსახურებს მანამ, სანამ მას რეალურად მოიხვეჭენ. მაგრამ ვაი, ამ პატარა, ბედნიერ ტაკიმასხარებს, რომდესაც სერიოზული უნებდურება დაატყდებოდა; მწუხარება კუდაბიკობის ხალისს ართმევს და თავს ველარავის აწონებენ! ისინი უნებდურებას ღირსეულად ვერ ხვდებიან; ტკივილისგან გაბრუებულები ახალი ცხოვრების დაწყებას ვერ ახერხებენ და იღუპებიან... ეს უკვე თავისთავად თავგადასავალია.

ბატონი ლოიტნერი მშვენიერი საქმეებით იყო დაკავებული: უპირველეს ყოვლისა, ვალსითა და მახუარებით, რომლებიც გასართობის კვალბაზე, ცოტა არ იყოს, იმაზე უფრო მეტი პოპულარულო-

ბით სარგებლობენ, ვიდრე როგორც "მუსიკალური ნანარმოვები" (რამდენადაც ამ საქმის გამეგება); თუმცა ამგვარ კომპოზიციებში რომ არ იყოს სულ მცირე ორიგინალური ადგილი, რადესვლა, ჩანართი, ან ჰარმონიული პასაჟი, რომელიც სრულიად უნებმუნელო ნერვულ ზემოქმედებას ნარმოშობს, ან ხუმრობასა და მახვილსიტყვაობას ერთმანეთში ურევს, მაშინ ისინი არც შეიქმნებოდნენ და არც საიროზული პროფესიონალისთვის იქნებოდნენ საინტერესო. ხშირად ამ ორ მარტოსულ მელოდიას რალაც არაჩვეულებრივად ნაღვლიანი და მელანქოლიური განწყობა ახლავს, რაც ნანარმოების შესრულებისას გამოცოცხლებულ საცეკვაო დარბაზში უეცრად გაიქურებს ხოლმე და იკარგება... ამ ახალგაზრდა მამაკაცის მიმართ ამრა იაკობი ცოდვინი ლტოლვის ცეცხლით იყო შპკრობილი; თავის მხრივ არც ის გამოირჩეოდა საკმარისი ზნეობრიობით, რომ ამრას მიმზიდველობისთვის წინააღმდეგობა გაენია. ხან ერთგან ხვდებოდნენ ერთმანეთს, ხან - მეორეგან, წლებისა და დღეების განმავლობაში აკავშირებდათ ბიწიერი ურთიერთობა: ქალაქში ეს ყველამ იცოდა და ადვოკატის ზურგს უკან მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობდა. რაც შეეხება, ადვოკატს, ამ უკანასკნელს: ამრა ზედმეტად სულელი იყო იმისთვის, რომ სწინდის ქენჯნას შეეუნებინა და მეუღლისთვის სიმართლე ეთქვა. აქედან გამომდინარე უშუალებელი იყო ადვოკატს მცირედი ეჭვი შეეჭანა საკუთარი ცოლის საქციელში, მიუხედავად იმისა რომ დარდისგან და შიშისგან გულდამხიბებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ყველა სულიერის გულის გასახარად ამტყვენდა გაზაფხული დადგა და ამრას ბრწყინვალე იდეა მოუვიდა.

"კრისტიან", თქვა მან - ადვოკატს კრისტიანი ერქვა. "ზემი უნდა მოვანყოთ, დიდი დღესასწაული ახლად მოდულეული გაზაფხულის ლუდის სადიდებლად - ყველაფერს უბრალოდ გავაკეთებთ: რა თქმა უნდა, იქნება ცივად მოხარშული ხბოს ხორცი და უამრავი სტუმარი".

"რასაკვირველია", - უპასუხა ადვოკატმა. "მაგრამ მცირე ხნით ხომ არ გადაგვედო?"

ამაზე ამრას არაფერი უთქვამს, ის პირდაპირ ნერილმანების განხილვას შეუდგა.

"იმდენი ხალხი იქნება, რომ, ხომ წარმოგიდგენია, ჩვენი ბინა არ იკმარებს; უნდა დავიქირაოთ შენსავრისი ტერიტორია, ბალი, დარბაზი ქალაქის ჭმუშართან, საკმარისი ადგილი და ჰაერი რომ იყოს. ამას შენც მიხვდები. მე, პირველ რიგში, ბატონი ვენდელისნი დიდ დარბაზზე ვფიქრობ "ტოროლების მთის" ძირას. ეს დარბაზი თავისუფალია და ულდსახარში ერთი გადასასვლელით პირდაპირ უკავშირდება სამეურელო ნაწილს. მისი საზეიმოდ მორთავც შესაძლებელია, იქვე გრძელ მაგიდებს დავანყოთ და გაზაფხულის ლუდს მივირთმევთ; ასევე ვიცეკვებთ და შესრულება მუსიკა, იქნებ პატარა სპექტაკლის გათამაშებაც მოხერხდეს, იქმცირე სცენაცაა, რომელიც კარგ სამსახურს გაგვიწევს... ერთი სიტყვით, ეს უნდა იყოს სრულიად ორიგინალური დღესასწაული და არაჩვეულებრივად გავერთობით".

საუბრის დროს ადვოკატს სახეზე სიყვილით გადღურბინა და პირის კუთხეები აუცხავდა. თქვა: "მთელი გულით მიხარია, ძვირფასო ამრა. ვიცი, რომ შემიძლია შენი განაწყოების იმედი შენდის და გთხოვ, ზემის მომზადებას შეუდექი..."

ჰოდა, ამრაც მზადებას შეუდეა. გამართა მოლაპარაკება სხვადასხვა ბატონთან და ქალბატონებთან, პირადად დაიქირავე ბატონი ვენდელის დიდი დარბაზი, კომიტეტიც კი შექმნა იმ ბატონების შემადგენლობით, ვისაც თხოვნით მიმართეს, ან მხიარულ ნარმოდგენებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს, რასაც კიდევ უფრო უნდა დაემშვენებინა ზემი... ეს კომიტეტი ძირითადად მამაკაცებისგან შედგებოდა სათავადაზნაურო თეატრის მსახიობის, პილდებრანდტის მუღლის გამოკლებით, რომელიც მომღერალიც იყო. დანარჩენ ნევრებს ნარმოადგენდნენ: თვითონ ბატონი პილდებრანდტი, ასესორი ვითცნაგელი, ერთი ახალგაზრდა მხატვარი და, პილდებრანდტი, ბატონი ალფრედ ლოიტნერი, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე სტუდენტს, რომლებიც ასესორს მოეყვანა და რომლებსაც აფრიკული ცეკვების დადგმა ევალებოდათ.

მერვე დღეს, მას შემდეგ, რაც ამრამ გადაწყვეტილება მიიღო, კომიტეტი მოსათათბირებლად კაინერმტრასეზე შეიკრიბა, ერთ პატარა, თბილ და სახეუ ოთახში, რომელიც ამრას სალონს ნარმოადგენდა: სქელი ხალიჩი, ბალიშებიანი დივნით, მაროსებრი პალმით, ინგლისური ტყავის სავარძლებითა და მაკაგონის ხის ფეხებმოღუნული მაგიდით, რომელზეც პლუმის ნაჭერი ეფინა და მრავალი ძვირფასი ნივთი ეწყო. ოთახში ბუხარიც იყო, რომელიც ჯერ კიდევ გიზგიზებდა. შავი ქვის მაგიდაზე გემოვნით გაშვებული ბუტერბრედებიანი რამდენიმე თეფში იდო. აქვე ეწყო ჭიქები და "შერთი" საცხე ორი გრავინი. მაროსებრი პალმის წრდილში დივანზე მინოლილ ამრას ფეხი ფეხზე მსუბუქად გადაედო და ისეთივე ლამაზი იყო, როგორც თბილი ლამე. მკერდ ღია, ძალიან მსუბუქი აბრეშუმის მოსაცმელი უფარავდა, ქვედა კაბა კი მძიმე, მუქი და დიდი ყვავილებით მოჩითული ქსოვილისგან გახლდათ შეკერილი. დროდადრო, ვინორ შუბიდან ხელის მოსმით იზორება ნაბლისფერ დატალპულ თმას. მის ვეერდით, დივანზე იჯდა ქალბატონი პილდებრანდტი - მომღერალი - ნითელი თმით და მხედრულად შემოსილი. ქალბატონების პირისკით ვინორი ნახევარწრული იხსნენ ბატონები - მთ უკან კი, ცენტრში, ადვოკატი ჩამოდგადრიყო, ერთი დაბალი ტყავის სავარძელი ეპოვა და ენა ვერ აღწერს, ისეთი უბედური ჩანდა; დროდადრო მძიმედ ამოიხვეწებოდა ხოლმე და მერე ისე ჩაისუნთქავდა, თითქოს პირღებინებას ებრძვისო... ზამბის ქსოვილისგან შეკერილ საზოგბურთო კოსტიუმში გამოსწყობილ, გამოპრანჭულ და მხიარულ ბატონ ალფრედ ლოიტნერს სკამზე უარი ეთქვა და ბუხარს მიყრდნობოდა, ამტკიცებდა, დიდხანს მშვიდად ჯდომო არ შემიძლიაო.

ბატონი პილდებრანდტი სასიამოვნო ხმით საუბრობდა ინგლისურ სიმღერებში. ის ვარყენულად სოლიდური მამაკაცი იყო - კეისრის პროფილითა და თავდაჯერებული ქცევით - და კარგად გამოი-

ყურებოდა შვე ტანისამოსში; სათავადაზნაურო თეატრის მსახიობი პოზიტიური ცოდნითა და თვალბაცემი, დახვეწილი გემოვნებით გამოირჩეოდა. მას ჩვევად ჰქონდა სერიოზულ საუბარში იხსენი, ზოლა და ტოლსტოი ესხენებინა, რადგან ისინი, მისი ღრმა რწმენით, ერთსა და იმავე სადავო, უზნეო მიზნებს ემსახურებოდნენ; დღეს კი აქ თავაზიანად მონაწილეობდა სრულიად უმნიშვნელო საკითხის განხილვაში.

"ბატონებო, ალბათ მოგისმენიათ ფრიალ დახვეწილი სიმღერა "That's Maria!" - იკითხა". ის ნაკლებად პიკანტურია, მაგრამ არაჩვეულებრივი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. გარდა ამისა, იქნებ ეს გვესინჯავ, ცნობილი..." და მან საზოგადოებას რამდენიმე სიმღერა შესთავაზა, რომლებიც საბოლოოდ მოინონეს და მათი ნამღერება ქალბატონ პილდებრანდტს სთხოვეს. ახალგაზრდა მხატვარს, შესამჩნევად ჩამოყრილი მხრებითა და ნაწვეტებულ ქერა წვერით, ერთი ილუზიონისტის პაროდირება დაევალი; ბატონ პილდებრანდტს კი გადაწყვეტილი ჰქონდა ცნობილი ისტორიული პიროვნებები განეხილებინა... მოკლედ, მოვლენები არაჩვეულებრივად ვითარდებოდა და პროგნოზა თითქმის გამზადებული იყო, როცა ასესორმა - ბატონმა ვითცნაგელმა, რომელიც თავაზიანი მიმოხვრითა და ფარიკაობის შედეგად მიღებული შრამებით იყო დაჯვლადოებული - უეცრად ხელახლა მოითხოვა სიტყვა.

"კარგი და მშვენიერია, ბატონებო, ეს ყველაფერი; ფაქტობრივად, გართობას გვპირდება. მხოლოდ, სურდა ერთი რამ დამემატებინა. მეჩვენება, რომ რაღაც გვაკლია და ესაა მთავარი, ძირითადი ნომერი, სეზონის მშვენება, ბრწყინვალე ნომერი, კულმინაცია - რაღაც განსაკუთრებული, გამაოგნებელი; სიამოვნება, რომელიც სხალბისის მკერავილი იქნება... მოკლედ, უნდა ვაღიარო, რომ კონკრეტული იდეა არ მაქვს: თუმცა ჩემი ინტუიციით..."

"ეს, პრინციპში, მართალია!" - ვაისმა ბუხრის მხრიდან ბატონი ლოიტნერის ტვნორი. "ვითცნაგელი მართალია. დასასრულისთვის მთავარი ნომერი არ გვანდებოდა. ამაზე ვიფიქროთ!" - თქვა მან და ხელი რამდენჯერმე სარაფად წაივლო ნითელ ქამარზე, შეისწორა და თან აქვთ - იქით გამომდგელი მიმოიხედა. მართლაც, სიკეთით სავსე გამომეტყველება ჰქონდა.

"ჰო, მაშინ" - თქვა ბატონმა პილდებრანდტმა. - "რადგან კულმინაციად დიდი ადამიანების ნარმოდგენა არ გვსურს..."

ასესორს ყველა დაეთანხმა. ერთი განსაკუთრებით სახურო მთავარი ნომერი სასურველი იქნებოდა. ეს ადვოკატმა თავის დაქვეით დაადასტურა და ჩუმად ჩაილაპარაკა: "ქმშმარითად - რაღაც არაჩვეულებრივი, განსაკუთრებულად სახალისო..." ყველა ჩაფიქრდა.


შაუხის დროს, რომელიც დაახლოებით ერთი ნუთი გრძელდებოდა და სიჩუმეს მხოლოდ ფიქრების თანხმებით მოკლე ნაშობილები არღვევდა, რაღაც უცნაური მოხდა. დივანზე მჯდომი და ბალიშებზე მინოლილი ამრა თავივით სწრაფად, ისტატურად და გულმოდგინედ იკვნეტდა თავისი პა-

ტარა თითების ფრჩხილის წვერებს, როცა მისმა სახემ სრულიად უჩვეულო გამომეტყველება მიიღო, პირზე ღიმილი მოეფინა; დაბნეული და თითქმის მაცდუნებელი ღიმილი, რომელიც ერთდროულად მტკივნეულ და სასტიკ ავხორცობაზე მეტყველებდა, ფართოდ გახელილ და გაბრწყინებულ თვალებს ბუხრის მიმართულებით ნელა აპარებდა, სადაც ერთი წამით ახალგაზრდა მუსიკოსის მზერას შეეჩეხა.

შემდეგ კი უეცრად წამოიწია და მთელი სხეულით საკუთარი მეუღლისკენ გადაიხარა. მერე ორივე ხელი კალთაზე დაიწყო, მომწუსხველი და სულის ამომწოვი მზერით სახეში ჩააშტერდა, ამ დროს სახე აშკარად გაუფითრდა, მაგრამ მკაფიო ხმით და ნელა წარმოთქვა:

“კრისტიან, გთავაზობ, რომ სცენაზე ბოლოს შენ გამოხვიდე წითელი აბრეშუმის საყმანვილო კაბით, შანსონეტი შეგვისრულო და რალაც გვიცეკვო”.

ამ რამდენიმე სიტყვამ საზოგადოებაზე წარმოუდგენლად იმოქმედა. მხოლოდ ახალგაზრდა მხატვარი ცდილობდა უწყინრად გაეცინა, მაშინ, როცა ბატონი ჰილდებრანდტი ცივი და გაქვავებული სახით იფერთხავდა სახელოს, სტუდენტები ახველებდნენ და არაბუნებრივი ხმაურით აფრიალებდნენ ცხვირსახოცებს; ქალბატონ ჰილდებრანდტს ზედმეტად აუწიოდა სახე, ეს კი არც ისე ხშირად ხდებოდა; ხოლო ასესორი ვითცნაველი უბრალოდ ადგილს მონყდა და ბუტერბროდის ასაღებად გაიქცა. ტანჯულ მდგომარეობაში აღმოჩენილი ადვოკატი თავის დაბალ სავარძელზე ცქმუტავდა, სიყვითლე-



შერეული სახითა და შიშნარევი ღიმილით აქეთ- იქით იყურებოდა და ენის ბორძიკით ამბობდა:

“ მაგრამ ღმერთო ჩემო... მე... ხომ თითქმის უძ- ლური ვარ... თითქოს... მომიტყევეთ...”

აღფრედ ლოიტენერს უდარდელი სახე აღარ ჰქონდა, ისე გამოიყურებოდა, თითქოს ცოტაოდენ- ინ სინითლე შეჰპარვოდა და კისერნავრძილებული, დაბნეული და გაურკვეველობაში აღმოჩენილი გა- მომცდელად შეჰყურებდა ამრას...

ის კი, ამრა, შემტვევი პოზიცია არც შეუცვლია, იმავე ძლიერ ტონალობაში აგრძელებდა საუბარს: “სიმღერა უნდა შეასრულო, კრისტიან, რომელიც ბატონმა ლოიტენერმა შეთხზა და სწორედ ის გავი- ნევეს აკომპანემენტს ფორტეპიანოზე; ეს იქნება ჩვე- ნი ზეიმის საუკეთესო და დაუფინყარი კულმინა- ცია”.

დადგა პაუზა, მტანჯველი პაუზა. შემდეგ უც- რად და მოულოდნელად უჩვეულო რამ მოხდა: ბა- ტონმა ლოიტენერმა, თითქოს მასაც გადაედო, შეჰყ- რობილმა და აღლევებულმა ერთი ნაბიჯით წინ გა- დაინაცვლა და ერთგვარი აღფრთოვანებით აცახ- ცახებულმა სწრაფად დაიწყო ლაპარაკი:

“თუ ღმერთი გნამთ, ბატონო ადვოკატო, მე მზად ვარ, მე ჩემს მზადყოფნას გიცხადებთ, რომ თქვენთვის რაიმე შევთხზა... თქვენ ის უნდა იმღე- როთ, თქვენ უნდა იცეკვოთ... ნახავთ, თქვენ ნა- ხავთ, რომ ეს საუკეთესო იქნება იმათ შორის, რაც ოდესმე გამოიკეთებია და რასაც ოდესმე გაეაკეთებ... ნითელი აბრეშუმის საყმანვილო კაბაში! თქვენი მე- უღლე ნამდვილი ხელოვანია, ნამდვილი ხელოვანი, გეუბნებით! სხვა შემთხვევაში ასეთი იდეა მას არა- სოდეს მოუვიდოდა! თქვით: დაიხ! გვედრებით, და- ეთანხმეთ! მე შემიძლია, მე გაეაკეთებ, თქვენ ნა- ხავთ...”

აქ კი ყველამ შეგებით ამოისუნთქა და ამოძრავ- და. ბოროტი განზრახვით თუ თავაზიანობის გამო ყველა თხოვნით დააცხრა ადვოკატს, ქალბატონმა პილდებრანდტმა იმდენად შორს შეტოპა, რომ ბრუნ- შილდას ხმითა და მთელი ძალით ხმამაღლა ნაიმ- ლერა: “ბატონო ადვოკატო, თქვენ ხომ ისედაც მზი- არული და ხალისიანი ადამიანი ბრძანდებით!” ის კი

თვითონ, ადვოკატი, სიტყვებს ეძებდა, ჯერ კიდევ ოდნავ სიყვითლეგადაკრულმა გადაწყვეტილების მისაღებად ძლიერი ძალისხმევა გამოიჩინა და თქვა: “მომისმინეთ, ბატონებო! რა უნდა გითხრა? დამიჯერეთ, ეს არ გამოიფეა. მე კომიკოსის ნიჭი არ მაქვს და აქედან გამომდინარე... მოკლედ, არა, სამ- ნუხანოვად, ეს შეუძლებელია”.

ის ჯიუტად უარყოფდა შემთავაზებებს და, რად- განაც უკმაყოფილო გამომეტყველებით მიწოლი- ლი ამრა საუბარში აღარ მონაწილეობდა, ხოლო ხა- ლინაზე გამოსახულ არაბესკებს საგულდაგულოდ მიშტერებული ბატონი ლოიტენერიც დუმდა, ბატონ- მა პილდებრანდტმა საუბრის მიმართულება შეე- ვალა და მაკლე საზოგადოება იმაზე შეთანხმდა, რომ ბოლო საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ჭია- ნურდებოდა.

იმავე საღამოს, როდესაც ამრა დასაძინებლად ნაბრძანდა და ჯერ კიდევ თვალშია ინვა, ოთახში მძიმე ნაბიჯებით მისი მეუღლე შევიდა, ამრას სა- ნოლოთან სკამი დადგა, დაჯდა და ჩუმად და გაუბე- დავად აღაპარაკდა:

“მისმინე, ამრა, გულახდილად რომ გითხრა, ამ- დენმა ფიქრმა ბოლო მომიღო. ის, რომ დღეს ბატონ- ნებს ყველაფერში შევეწინააღმდეგე, ის, რომ შენ დაგიპირისპირდი - ღმერთმა უწყის - ასეთი განზ- არახვა არ მქონია! იქნებ შენ სერიოზულად ფიქ- რობ... გთხოვ...”

ამრა მანამდე უსმენდა მდუმარედ, სანამ ნელ- ნელა მუზღზე წარბები აენკიპებოდა. შემდეგ მხრე- ბი აიჩჩინა და თქვა: “არ ვიცი, რა უნდა გიპასუხო, მეგობარო. ასეთ საქციელს შენგან არავინ ელოდა. თავაზიანი ადამიანისთვის შეუფერებელი სიტყვე- ბით გვეწინააღმდეგებოდი, ნაცვლად იმისა, რომ სცენაზე შენი გამოსვლით ჩვენი იდეისთვის მხარი დაეჭირა; ის, რაც სხვებმა აუცილებლობად მიიჩ- ნიეს, შენთვის შეიძლება მხოლოდ ფარისევლობა იყოს. შენ მწარედ გაუცრუე იმედები მთელ სამყა- როს და სულ მცირე სამსახურიც ვერ გამოიწიე; რაც მთავარია, შენი თავგებობით მთელი დღესასწაუ- ლი ჩავგიშალე; მისი მხარდაჭერა კი, როგორც მას- უნდლის, შენი უშუალო მოვალეობაა...”



ადგოვანა თავი დახარა და მიმე ამოსუნთქ-
ვას ამოყოლა:

“არა, ამრა, მე არ მინდოდა უხეში გამოვჩენი-
ლიყავი, დამიჯერე. არ მსურს ვინმეს შეურაცხყო-
და მივაყენო და ვინმეს თავი შევაზიარო და თუ
ამაზუნება მოვიქციე, მაშინ მზად ვარ ყველაფე-
რი გამოვასწორო. საქმე ეხება ხუმრობას, მასკა-
რადს, უბოროტო სიამოვნებას - რატომაც არა? არ
მინდა ზიზიმი ჩავშალო. მე მზად ვარ...”

მომდევნო დღეს, ნაშუადღევს, ამრა ისევ სადღაც
გაემგზავრა, “საქმეების მოსაგვარებლად”. შეჩერ-
და პოლცმტრასეს 78 ნომერთან და ავიდა მეორე
სართულზე, სადაც მას ელოდებოდნენ. და როდეს-
აც სანოლე გართხმული და სიყვარულში ჩაძი-
რული ამრა მის თავს მკერდში იკრავდა, ვნებიანად
ჩურჩულებდა:

“ოთხ ხელში გადაიყვანე, გესმის ჩემი?! ჩვენ
ორივე გავუნთქოთ აკომპანემენტს, როცა იცეკვებს
და იმღერებს. კოსტიუმზე კი მე, მე ვიზრუნებ...”

და ორივეს სხეულიდან ამოხეთქა უცნაურმა ყი-
ყინამ, თავშეკავებულმა და ნერვიულმა ხორხოცმა.
ვისაც ნადიბის გამართვა ან ღია ცის ქვეშ მალა-
ლი სტილის გასართობის მოწყობა სურს, ბატონ
ვენდელისის დარბაზებზე - “ტოროლების მთაზე” -
უქეთვის ვერაფერს შესთავაზებენ. პარკის ტიპის
ბატიმი შესვლა შესაძლებელია გარეუბრის ქუჩიდან
მალაღი, გისოსებიანი, მომხიბვლელი ჭიშკრით, რო-
მელიც დაწვესტულებას ეკუთვნის და რომლის შუა-
გულშიც ვრცელი სანადიმო დარბაზია მოწყობილი.
დარბაზი, რომელიც ვინორ გასასვლელით უკავ-
შირდება რესტორანს, სამზარეულოსა და ლუდსა-
ხარშს და რომელიც მხიარული, ჭრელი ფერებით
მზახული ხის მასალითაა აგებული, ჩინური და
რენესანსის სტილების სასაცილო არევის ნიმუშს
წარმოადგენს და დიდი ფრთიანი კარითაა შემკუ-
ლი; კარგ ამინდში კარს ბოლომდე აღებენ, რათა
ხეების სუნთქვამ დარბაზში შემოაღწიოს და, რაც
მთავარია, ეს დარბაზი უაზრავ ავამაინოს იტყვს.

იმ დღეს ფერადი შუქები აქეთ მომავალ ეტლებს
შორიდანვე ციმციმით ესაღმებოდნენ, რადგან ყვე-
და გისოსი, ბალის ხეები და თვითონ დარბაზი უხ-
ვად იყო მორთული ჭრელი ლამბიონებით; რაც შეე-
ხება დარბაზის სანადიმო სივრცეს, ისიც ქვეშარი-
ტად თვალის გასახარებლად გამოიყურებოდა. ჭრის
ქვემოთ სქელი გირლიანდები გაებთ და მასზე ქა-
ლადის ლიფოფები დაემაგრებინათ; კედლის მორ-
თულობას, რომელიც დროშებისგან, მწვანე ტოტე-
ბისგან და ხელოვნური ყვავილებისგან შედგებოდა,
შეგადამოვ ელექტრონათურების შუქი ემატებოდა,
რაც დარბაზს ბრწყინვალეებას მატებდა. დარბაზის
ბოლოში სცენა იყო, რომლის ირგვლივაც ფართო-
ფოთლებიანი მცენარეები ჩამოქმეკრევიანით და
რომელზეც ვენიოსი შემოქმედის ხელით მოხატუ-
ლი წითელი ფერადა ფრიალებდა. დარბაზის მეორე
ბოლოდან თითქმის სცენამდე გრძელი, ყვავილე-
ბით მორთული მაგიდები იდგა, სადაც ადვოკატ
აკობის სტუმრები: იურიისტები, ოფიცრები, ვაჭ-
რები, მალაღი თანამედებობის სახელმწიფო მოხე-
ლეები მუუღლებთან და ქალიშვილებთან ერთად -
მათი რაოდენობა აშკარად ას ორმოცდაათ ადამი-

ანს აღემატებოდა - გაზაფხულის ლუდსა და შემწ-
ვარ ხლის ხორცს ავგემოვნებდნენ. ყველა უბრალოდ
იყო ჩაცმული: შავ კოსტიუმებს მადილობრივ ღია
ფერის საგაზაფხულო აქსესუარები უშვებდნენ დათ,
რადგან ბუნებრივი უბრალოება იყო მოდაში. ბა-
ტონები ჯერ კათხებით ხელში კედლის ერთ მხარეს
მოთავსებულ დიდ კასრებთან მიდიოდნენ, შემდეგ
კი ვრცელ, ჭრელ და განათებულ დარბაზს უერთ-
დებოდნენ, სადაც ერთმანეთში არეულიყო ნინვე-
ბის, ყვავილების, ადამიანების, ლუდისა და საჭმ-
ლის მოტკბო და სულის შემხუთებელი საზეიმო ორ-
თქლი; სადაც ზუზუნება და ბობოქრობა ხმაურ-
ის, ხმაამალად და არაფრისმთქმელი საუბარი და
ყველა ან ადამიანის თავზიანი, სიცოცხლით სავსე
და უღარდელი ხორხოცი... უფრომ და უმწეო ად-
ვოკატი ერთ-ერთი მაგიდის კუთხეში იჯდა, სცენა-
სთან ახლოს. ის ბევრს არ სვამდა და დროდადრო
გაჭირვებით გადაუგდებდა ხოლმე სიტყვას მის
გვერდით მჯდომს - სახელმწიფო მრეწველის მუუღ-
ლეს, ქალბატონ ჰავერმანს. ადვოკატი მძიმედ სუნ-
თქავდა, თან ჩამოკიდებულ პირის კუთხეებს ამოძ-
რავებდა და დატანჯული, ამღვრეული წყალწყალა
თვალებით უძრავად და ერთგვარი ნალვლიანი, გა-
უცხოების გამოშხატველი მზერით ისე მიმტყნებო-
და მხიარულ თავყრილობას, თითქოს ამ საზეიმო
ბურუსში, ამ ხმაურიან მხიარულებაში რაღაც უთქ-
მელად ნალვლიანი და გაუგებარი იმალებოდა...

შემდეგ დიდი ტორტები ჩამოარიგეს, ტორტებს
ტკბილი ღვინო დააყოფეს და დაინფო გამოსვლება.
სათავადაზნაურთ თეატრის მსახიობმა ბატონმა
ჰილდებრანდტმა თავის სიტყვაში გაზაფხულის
ლუდს მხოლოდ კლასიკური და კიდევ ბერძნული
ციტატები მიუძღვნა; ასესორმა ვიტცინაგლმა იქ
დამსწრე ქალბატონები რაფინირებული მოძრაო-
ბებით და უღარესად დახეცილი მანერებით ადღე-
გრძელა: ხან მის ახლოს მჯდარი ლარნაკიდან, ხან კი
პირდაპირ სუფრიდან ორივე ხელით იღებდა ყვავი-
ლებს და თითოეული ქალბატონს ცალ-ცალკე ადა-
რებდა. თხელი, ყვეთილი აბრეშუმის ტულატკში გა-
მონწყობილ ამრა იაკობს, რომელიც მის პირდაპირ
იჯდა, “ჩაის ვარდის მშენიერი დაიკო” უწოდა.

ასესორმა თმაზე ხელი მუსუბუქად გადაიხადა, წარ-
ბები ზემოთ აწკიპა და სერიოზული სახით თავი და-
უკრა მის მუუღლეს - პასუხად წამოიმართა მსუქანი
კაცი და თავისი უხერხული, საზარელი ღიმილითა
და ნახალადგვად ამოღერღილი რამდენიმე სიტყ-
ვით ლამის მთელი განწყობა გააფუჭა... მხოლოდ
ერთი-ორი ხელოვნურად ნასწოლი ხმაამალაი “ბრა-
შ” გაისმა და მცირე ხნით დამორგუნვებამ საჩუ-
ქემ დაისადგურა. მაგრამ ბოლოს მხიარულებამ ისევ
უპირატესობა მოიპოვა და რადგან საკმაოდ მოილ-
ხინეს და ბევრიც მოწიეს, საზოგადოებამ ცეკვა
ისურვა, ამისთვის მამაკაცები წამოდგნენ და დიდი
ხმაურით, მაგრამ საკუთარი ხელით მაგიდები დარ-
ბაზიდან გაიტანეს...

თერთმეტს გადაცდა და უხერხულობის კვალიც
აბსოლუტურად ნაწილდა. საზოგადოების ერთი ნა-
წილი ფერად შუქებით განათებულ ბაღს მიანჭა
და სუფთა ჰაერს დაენაფა, სხვები დარბაზში დარჩ-
ნენ, ჯგუფებად დაყოფილები ენეოდნენ, საუბრობ-

დნენ, ლუდს ისხამდნენ და მიირთმევდნენ... უეცრად სცენიდან საყვირის ძლიერი ხმა გაისმა, რომელიც ყველას დარბაზში უხმობდა. მუსიკოსები - ჩანახერ და დასარტყამ ინსტრუმენტებზე შემსრულებლები - სცენაზე გამოვიდნენ და ფარდასთან დადგნენ. რიგებზე ჩაბომკრევივებულ სკამებზე, ხადაც წითელი პროგრამები უნყო, ქალბატონები ჩამოსხდნენ, ბატონები კი მათ უკან, ან გვერდით მოთავსდნენ. მოლოდინით საგსე სიჩუმემ დაისადგურა.

ამის შემდეგ ორკესტრმა ენერგიული უფერტიურა შეასრულა, ფარდა გაიხსნა და სცენაზე უთვალაი საშინელი გარეგნობის შავკანიანი გამოჩნდა - მყვირალა კოსტუმები და ლაუდალა ერთად შენლებილი ტურნები - ისინი კბილებს კოქტდენ და ველურ ხმებს გამოსცემდნენ... ეს წარმოდგენები ამრას დღესასწაულის კულმინაცია იყო. გაისმა აღფრთოვანებული აპლოდისმენტები, ნომრიდან ნომრამდე პროგრამას ჭკვიანი შემდგენლის ხელი ეტყობოდა. ქალბატონი ჰილდებრანდტი გააუღრული პარიკით გამობრძანდა, იატაკს გრძელი ჯიხი დაჰკრა და ომახიანად იმღერა: "That's Maria!". ერთი ილუზიონისტე შთბეჭდილების მოსახდენად სცენაზე ორდენებიან ფრაკში გამოწყობილი გამოვიდა. ბატონმა ჰილდებრანდტმა თავის ნომერში აღმამოთვლად დაამსგავსა ერთმანეთს გოეთე, ბისმარკი და ნაპოლეონი; ბოლო წამს კი რედექტორმა, დოქტორმა ვიზენშპრუნგმა, გადანყვიტა იუმორისტული მოხსენება გაეკეთებინა თემაზე: "ვაზაფხულის ლუდის სოციალური მნიშვნელობა". ბოლოს მოლოდინმა კულმინაციას მიაღწია, რანდელ უკანასკნელი ნომერი იწყებოდა. მას პროგრამაში დაფნის გვირგვინი ჰქონდა შემოვლებული და ეწერა: "ლუიზჰენ. შესრულებდა სიმღერა და ცეკვა. მუსიკა აღფრედ ლოიტნერისა". როცა მუსიკოსებმა ინსტრუმენტები გვერდზე გადადეს და აქამდე მდუმარედ კარს მიყრდნობილი ბატონი ლოიტნერი გულგროლა გამობეკილ ტურებს შორის მოქცეული სიგარეტით ამრა იაკობისთან ერთად პიანინოს მიუჯდა, რომელიც ფარდასთან სცენის შუაგულში იდგა, დარბაზი ამოძრავდა, მზერები ერთმანეთს შეეჯახა. ლოიტნერს სახე ასწითლებოდა და ნერვიულად ფურცლავდა ნოტების ჩაანანერება; ამრა კი პირიქით, ოდნავ ფერნასული გამოიყურებოდა და სკამის საზურგეს მიყრდნობილი მოუთმნელად გაჰყურებდა პუბლიკას. როცა ყველა წაგრძელებული კსრით აქეთ-იქით იხედებოდა, ამრამ ზარი აანკრიალა და დაწყების ნიშანი მისცა. ბატონმა ლოიტნერმა და ამრამ რამდენიმე ტაქტი დაუკრეს და ნაკლებმნიშვნელოვანი შესავალი შეასრულეს, შემდეგ ფარდა ნელ-ნელა გადაიხსნა და გამოჩნდა ლუიზჰენი...

მაყურებელს ელდა ეცა და გაოგნების ტალალამ გადაუარა, როცა ეს მწუხარე და ამაზრზენი გარეგნობის გამოპრანტული მასა გაჭირვებული დათვის საცეკვაო ნაბიჯებით გამოვიდა სცენაზე. ეს გახლდათ ადვოკატი. მას ფართო, უნაკეცი, კამკამა წითელი ფერის აბრეშუმის კაბა ეცვა, რომელიც ტერფებამდე სწვდებოდა და მათიანად უფარავდა უფორმო სხეულს. კაბას გული ისე ჰქონდა

ამოღებული, რომ მოშოშვლებული და ფერუმარილით გაპოხილი ყელი საძავლად გამოიყურებოდა. სახელოები მზრებთან ოდნავ მოკლედ ჰქონდა გადჭრილი. სქელ, უკუნთები მკლავებს კი გრძელი, ღია ყვითელი ხელთათმანები უფარავდა; თავზე მალალი, ქერაკულულებიანი პარიკი დაეკუპებინა, რომელზეც ერთადერთი მზავნი ფრთა იყო დამაგრებული და ყოველ მოძრაობაზე აქეთ-იქით ქანაობდა. ამ პარიკის სიღრმიდან სიყვითლემუპარული, ტანჯული, უბედური და აშკარა ეჭვით შეპყრობილი სახე იყურებოდა; გამოდგომებით ზემოთ-ქვემოთ მოთახთახე ლოყები თანავგრძობას იწვევდნენ, მისი პატარა, წითელწრებემყოლებული თვალები ვერაფერს ხედავდნენ; ეს მოქცანი კაციადაბული მიმტერებოდა იატაკს და თან დიდი დაჭირვებით ხტოდა ხან ერთსა და ხან მეორე ფეხზე, იმავდროულად ხან კაბის კალთებზე ჰქონდა ორივე ხელი ჩავლებული, ხან უღონო ხელეგის ორივე საჩვენებელ თითს ზემოთ სწვდა - სხვა მოძრაობა არც იცოდა და ფორტეპიანოზე შესრულებულ მელოდიას მოგუდული და ბრინწიანი ხმით აყოლებდა სრულიად უმსგავსო სიმღერას...

ამ საბარეო არსებას პირიდან ტკივილისა და მწუხარების ცივი სუნთქვის გარდა აღარაფერი ამოსდიოდა, რაც ყოველგვარ ბუნებრივ სიხალისს კლავდა და იქ შეკრებილ საზოგადოებას უხერხული ნეხები ქვეშ აქცევდა... უამრავი თვლის წინ საშინელი სანახობა გადაშლილიყო და ისინიც მონუსხულებივით მისჩერებოდნენ სურათს პიანინოსთან მჯდომი წყილითა და ზემოთ, სცენაზე მოცეკვავე ქმრით... მშვიდი, გაუფრანოი სკანდალი ხდებოდა უსასრულო წითი გრძელდებოდა.

შემდეგ კი დადგა მომენტი, რომელის დაეინყებასაც ვერავინ, ვინც ის იხილა, მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ შეძლებს... წარმოდგენით, რა ხდებოდა დროის ამ პატარა და საშინელ მონაკვეთში.

ყველას მოუსმენია სახუმარო კუბლუტი სათაურით "ლუიზჰენ" და უდავოდ ყველა გაახსენდება შემდეგი სტრიქონები:

"ცეკვავე პოლკას, ვალსიც ვიცი. მიჯნურობის დავდე ფიცი. ლუიზე ვარ, ცეცხოვრობ ხალხში, კაცთა გულებს ვიყვრობ ნამში..."

- ეს ულაზათო და მორალურად საკამათო სტრიქონები სამი საკმაოდ გრძელი სტროფის რეფრენს წარმოადგენს. ჰოდა, ახალი კომპოზიის შექმნისას აღფრედ ლოიტნერმა საკუთარი მუსიკალური ნაწარმოები სრულიყო: პუბლიკის განსაცვივრებლად განსაკუთრებით ვულგარული და კომიკური სიყალბის მანერები დახვეწილი მუსიკის მეშვეობით ხელოვნების ნიმუშად გადააქცია და მწვერვალზე აიყვანა. მელოდია დიდი მპორში იყო შექმნილი და პირველი სტროფი საკმაოდ კოხტა და სრულიად ბანალური გამოვიდა. ციტრებულ რეფრენის დაწყების ტემპი გამოცოცხდა, გამოიკვთა დისონანსები და უფრო აქტიურმა ბგერებმა და დიდი მპორში გადასვლის მოლოდინი შექმნეს. ეს დისპარ-

მონა კიდე უფრო გართულდა სიტყვამდე "ფიცი" და სიტყვებზე "ლუიზე ვარ" სირთულე და დაძაბულობა იმდენად გარდაუვალი გახდა, რომ სიტუაციის განმუხტვას ფა დიეზ მაჟორი სჭირდებოდა. მაგრამ ამის ნაცვლად რალაც მოულოდნელი მოხდა. სახელდობრ, მოულოდნელი გარდატეხა: თითქმის გენიალური იდეის წყალობით ტონალობამ ფა მაჟორში გადაინაცვლა და ამ ჩანაცვლებას - ორივე პედალის გამოყენებითა და სიტყვა "ლუიზეს" მეორე მარცვლის გახანგრძლივებით - აღუნერელი, გაუგონარი ზემოქმედების ძალა ჰქონდა! ეს იყო აბსოლუტურად გამაოგნებელი გამოაშკარავება, მოულოდნელი შეხება ნერვებზე, რომლებიც ზურგს გიცაბცახებს, ეს იყო სასწაული, გამომვლება, თავისი მოულოდნელობით საბურველის სასტიკი მოხსნა, იმ ფარდის ჩამოგლეჯა, რომელიც ნელ-ნელა იფლითება...

ფა მაჟორის აკორდზე ადვოკატმა იაკობიმ ცეკვა შეწყვიტა. ის სცენის ცენტრში იდგა მშვიდად, მილუსმულივით, ორივე ხელის საჩვენებელი თითები ჯერ კიდევ ანეული ჰქონდა - ერთი ოდნავ ქვემოთ, ვიდრე მეორე; სიტყვა "ლუიზე" "ი" ბგერაზე შეწყვიტა და დადუმდა; იმავე წამს მკვეთრად შეწყდა ფორტეპიანოს აკომპანემენტიც და ეს უცნაური და ამაზრუნად მომღიმარი არსება ცხოველივით გაფშეკილი თავითა და ანთებული თვალებით რალაცას მიაშტერდა...

ის დაჟინებით უყურებდა მოკაზმულ, ნათელსა და აღამიანებით სავსე საზიომო დარბაზს, სადაც ამ საზოგადოების გამონაბოლქვი უსიამოვნო ჰაერით გატრუნულიყო ატმოსფეროსთან შერეული სკანდალი... ის მისჩერებოდა ნაგრძელებულ, ანეულ და მკვეთრად განათებულ სახეებს, რომელთა ასობით თვალი, ამ წყვილისა და მის შესახებ ყველა საიდუმლოს მცოდნე, მისკენ იყო მიპყრობილი. სწორედ მაშინ, როდესაც ყველა ისეთი საშინელი სიჩუმით იყო შეპყრობილი, რომელსაც ვერანაირი ბგერა ვერ დაარღვევდა, მან თავისი გაფართოებული და ავისმაუნყებელი თვალები ნელ-ნელა ჯერ წყვილსა და შემდეგ პუბლიკას შეავლო, მერე მზერა პუბლიკიდან ისევ წყვილზე გადაიტანა - უეცრად სახეზე გონების წამიერი განათება აღებუქდა, სისხლის ნაკადმა ამოსჩქეფა და აბრეშუმისკაბისფერმა სინითლემ გადაუარა, მაგრამ მალევე დაუბრუნდა სანთელივით სიყვითლე და ეს მსუქანი მამაკაცი ისე დაენარცხა იატაკს, რომ ფიცრები დაიბზარა.

ერთი ნუთით სიჩუმემ დაისადგურა; შემდეგ ყვირილი გაისმა, აურზაური ატყდა, რამდენიმე გაბედული ბატონი, მათ შორის ახალგაზრდა ექიმი, ორკესტრს გადაახტა და სცენაზე ავარდა. ფარდა დაუშვეს...

ამრა იაკობი და აღფრედ ლოიტენერი ერთმანეთთან პირშექცეულები ფორტეპიანოსთან ისხდნენ. ლოიტენერი, რომელიც თავჩალუნული იჯდა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ფა მაჟორზე გადასვლის საკუთარი ვერსიის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა; ამრა კი - უძლური თავისი ჩიტის ტვინის წყალობით, სწრაფად გაერკვა, თუ რა ხდებოდა მის თავს - აბსოლუტურად ცარიელი მზერით იყურებოდა გარშემო...

ახალგაზრდა ექიმი, ტანდაბალი ებრაელი, სერიოზული სახითა და შავი, წანვეტებული წვერით, მალე ისევ გამოჩნდა დარბაზში და რამდენიმე ბატონს, რომლებიც წრიულად იდგნენ, მხრების აჩქვით მოახსენა:

"გათავდა".



ჯონ ბარტი

ამონურვის ლიტერატურა

ინგლისურიდან თარგმნა ალქსანდრე ჭელიძემ
თამარ ლომიძის რედაქციით



ავტორის შესავალი

მამ ასე. სერ თომას ბრაუნის აზრით, «თითოეული ადამიანი მხოლოდ ერთი არსება არ არის, ადამიანების ცხოვრება კვლავ და კვლავ მეორდება». როდესაც პენსილვანიის შტატში, პატარა ქალაქში განლაგებულ დიდ უნივერსიტეტში ვმუშაობდი, ჩემი სეხნია (რომელსაც სრულებით არ ვიცნობდი) ახალგაზრდა ქალის გაუპატიურების ბრალდებით დააპატიმრეს. სასამართლოზე ადვოკატმა მახვილგონივრულად დაიცვა იგი - განაცხადა, რომ ბრალდებული იყო სტანისლავსკის სისტემის მიმდევარი მსახიობი, თანაც სტუდენტურ სპექტაკლში, რომლის პრემიერა მალე უნდა გამართულიყო, მოძალადის როლს ასრულებდა. მსახიობის თაყვანისმცემლები შეცდომით ჩემთან რეკავდნენ და როცა ერთ-ერთმა მათგანმა საუბრისას გამოარკვია, რომ სხვაგან მოხვდა, მომიბოდიშა: «უკაცრავად: თქვენ არასწორი ჯონ ბარტი ხართ».

რა თქმა უნდა, 1965 წელს ჩემი ოჯახი ამის გამო არ გადამიყვანია პაინ- გროვ-მილსიდან (ალე-

გენის მთის ქალაქი, პენსილვანიის სახელმწიფო კოლეჯის მახლობლად) ბუფალოში, სადაც მომდევნო შვიდი წლის მანძილზე ძველ (ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებული პროგრამის ფარგლებში განახლებულ) უნივერსიტეტში ვასწავლიდი. ადგილობრივი ფილანტროპის, ედვარდ ს. ბატლერის სახელობის პროფესორის წევრი ვახლდით. შესაბამისად, იმ წლებში დაწერილი ჩემი სხვადასხვა წიგნის გარეკანზე ეწერა, რომ «მათი ავტორი ედვარდ ს. ბატლერის ლიტერატურის მიმართულების პროფესორია ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბუფალოში)». ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, მომდიოდა წერილები, რომელთა ადრესატიც იყო - არც მეტი, არც ნაკლები - «ედვარდ ს. ბატლერი, ლიტერატურის პროფესორი». წერილების ავტორები, ვგონებ, ნამდვილად მიიჩნევდნენ, რომ «თხა-ბიჭუ ჯაილსი», «ატრაქციონში დაკარგული» და «ქიმერა» ამ ლიტერატურული ფსევდონიმის მქონე მწერლის ქმნილებები იყო.

ეს პერიოდი (1965-1973) სამოციანი წლების



ოქროს ხანა იყო. ვიეტნამის ომის ესკალაცია ხდებოდა; ამ სისხლიანი მოვლენების მეშვეობით ამერიკის ეკონომიკა აყვავდა. ამასთან, აკადემიური იმპერიალიზმი ისეთივე პოპულარული იყო, როგორც - პოლიტიკური. ვულგარნატორი ნელსონ როკველერი მიზნად ისახავდა ძირითად საუნივერსიტეტო ცენტრების ყოველმხრივ გაძლიერებას, ხოლო თომას ე. დიუისის სახელობის ავტომავისტრალის შუა ნაწილში განლაგებული (სტონი ბრუკის, ოლბანისა და ბუფალოს), ნიუ-იორკის შტატის 57-კამპუსიანი საუნივერსიტეტო სისტემა მის გვირგვინად მოიაზრებოდა. ბევრ პროფესორს შესაძლებლობა მიეცა, გადაებირებინა მეცნიერ-ადავგოვენი სხვა უნივერსიტეტებიდან ბუფალოს უნივერსიტეტში. მათთვის ბევრი ახალი შენობა აიგო. ერთერთი ბრწყინვალე გეგმა გახლდათ გორდონ ბუნშაფტის იდეა, გაეშენებინათ ახალი კამპუსი, რომელიც მთელ მსოფლიოში ყველაზე დიდი (ბრაზილიის შემდეგ) არქიტექტურული პროექტი იქნებოდა. ინგლისური ლიტერატურის ფაკულტეტის (რომელსაც მეც მივეკუთვნებოდი) მრავალრიცხოვან თანამშრომელთა დახალციბოთი ოთხმოცეტი პროცენტზე მომდევნო ორი წლის მანძილზე დამატება ძირითად შტატს; იმდენად მრავლად იყვნენ გაძარცვული ფაკულტეტებიდან გადმოსული სახელმძივჭილი იმიგრანტები (რომელთა შორის იყვნენ უდიდესი დაქორწინებული ადამიანებიც და ზენობრივი ცხოვრების ადეპტებიც), რომ ამყად დაქრქვით უნივერსიტეტის "ელის-აილენდი". უბადრუკი ძველი შენობები, ასევე სწრაფად აშენებული, დაუთავრებელი, თითქოს მიტოვებული ახალი კორპუსები და აურზაური ნაწილობრივ ამძაფრებდნენ ამ სურათს.

პოლიტიკურად აქტიურ თანამშრომლებს და სტუდენტებს სხვა მიზნები ჰქონდათ. ეკროიდ, ბერკლის აღმოსავლეთი. მათ არ სურდათ, რომ ბუნშაფტის გეგმის თანახმად, ახალი კამპუსი - ეს ევრეთ წოდებული "ახალი იერუსალიმი" - ნიუ-იორკის ჩრდილოეთით, დაჭაობებულ ადგილას აშენებულიყო (ჩემი ახალი კოლეგის, ლესლი ფიდლერის შენიშვნით, „ყველა დიდი კულტურა ჭაობებიდან ამოიყვანდა“). ამ ამბავს იუმორით შევხედოთ: როცა ხელისუფლებამ ჩვეულგვარზე უფრო მეტად შემოგვიტია, მემობილები ძველი კამპუსის მცირე ნაწილზეც აღარ ამოვდნენ უარს. მოხდა შეხლა-შემოხლა. პოლიციელებმა და გვარდის ქვედანაყოფებმა ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს; ინგლისური ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტთა ყრილობებზე ფრიალებდა - არც მეტი, არც ნაკლები - კომუნისტური წითელი და ანარქისტული შავი დროშები, რაც ჩემთვის ისევე ვასაკვირი იყო, როგორც ამ შეხვედრებზე დამსწრე ადამიანთა სიმრავლე, აღნდ ვინსენტის პორტურის საღამოების მსგავსად, რომლებზეც ფისპარმოინისა და ტიბეტური ციმბალის ხმები გაისმოდა.

ზოგადად, იმ აუბედითი წლებში ჩემი შთამავგონებელი იყო ოლბრაიტ-ნოქსის მუზეუმი, თავისი ოპარტული პოპინგით*; ასევე - ლუკას ფოსის ახალი, უჩვეულო მუსიკა, ლეჯარო და მათი

სხვა „ელექტრონული“ მეგობრები; ნარკოტიკებსა და მარტინის იზხანად ყველგან ნახადით, მათ შორის - ფაკულტეტის ვაშმებზე და საღამოებზეც; ერის ტბის დაბინძურებული წყალი ჩაედინებოდა ნიაგარაში („ამერიკის უნიტაზი“, ასე უწოდებდნენ მას ჩვენი ონტარიოელი მეგობრები), ხოლო მშვიდობის ხიდის მიღმა იყო უკიდურესი კანადა, რომელსაც ჩვენი ახალგაზრდული მოძრაობის ლიდერები აფარებდნენ თავს, მაშინ, როდესაც მათი კოლეგები სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ მღელვარებებში მონაწილეობდნენ. ისინი გარბოდნენ ქვეყანაში, სადაც პროფესორი მაკლუენი საუბრობდა იმის შესახებ, რომ ბექტური სიტყვა დრომოჭმული მოვლენაა ჩვეს თანამედროვე, ელექტრონული კულტურაში.

ვრცელი რომანის - „თხა-ბიჭი ჯაილისს“ - დაწერის შემდეგ შემოქმედებითი შევბულება მოვიწყე და რომანების წერას თავი ვანებე. ერთი მხრივ, ჩემი ახალი გარემოცობა, მეორე მხრივ - არგენტინელი ხორხე ლუის ბორხესის მცირე პროზით (რომელსაც ბოლო პერიოდში გავეცანი) შთაგონებულმა, ორი წელი ვუკრიკებე მცირე მოთხრობის ფორმას, რაც საბოლოოდ ნაყოფიერი და წარმატებული აღმოჩნდა. მწერლის მოვითვა ეკრძში წერილი და მსხვილი ინგრედიენტები ერთად ირევა. „თამბაქოთი მოვაჭრის“ წერისას მიზნად ვისახავდი ისეთი სქელტანიანი რომანის შექმნას, რომ მისი სათაური წიგნის ყდაზე პორთონტალურად თავისუფლად დატეულიყო, ხოლო „ატრაქციონში დაკარგულის“ (მცირე პროზა ბექტური ტექსტის, ფორისა და ცოცხალი ხმისთვის) დაწერისკენ იმან მიბიძგა, რომ რომანთა ავტორები ძნელად თუ მოხვდებიან მხატვრული ლიტერატურის ანთოლოგიებში.

მსურდა, ასევე, გამოემეკლია ზეპირსიტყვიერი ნარატივი, რომლიდანაც ბექტური ლიტერატურა განივითარდა. პოეზიის მხატვრული კითხვა პოპულარული სწორედ სამოციან წლებში გახდა, თუმცა „ცოცხალი“ ნარატივის („live narrative), ანუ ლიტერატურის, როგორც პერფორმანსის ხელოვნების მიმართ, ხალხურ ზღაპრებსა და ზეპირ ისტორიას თუ არ ჩავთვლით, დიდ დაინტერესებას არავინ იჩენდა. ერთხელ, ზაფხულში, რამდენიმე კვირის მანძილზე უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის ფაკულტეტმა დაიქირავა ხმის ოპერატორები და სტუდია, რომლებიც სტუდენტთა ან თანამშრომელთა განკარგულებაში იყო. ამგვარად, ყველას ვინც კი მხატვრული ლიტერატურაში ელექტრონული მუსიკის ხერხების გამოყენებით იყო დაინტერესებული, შეეძლო ამ სტუდიაში ემუშავა. ამ შესაძლებლობით ვისარგებლე (რასაც მაძლევდა ჩემი ყოველთვიური სალექციო ვიზიტები), რათა „ატრაქციონში დაკარგულის“ ფირისთვის და ცოცხალი ხმისთვის განკუთვნილი რამდენიმე ნაწილი ჩამეწერა.

იმხანად ექსპერიმენტული ჯერ კიდევ არ ნიშ

* ქუჩის ცეკვის ნაირსახეობა, რომელიც პანკ სტილიდანა აღმოცენებული. (მთარგმნ. შენიშვნა.)

ნავდა სამსახურიდან გათავისუფლებას. ცხრამეტი წლის ევროპელი თინეიჯერების მსგავსად, ბუფალოც გაუღნითილი იყო არტისტული ექსპერიმენტების აბიშონფორთი. ჩვენი ჯერ კიდევ გამოუცდილი ნიუ-იორკელი სტუდენტებიც კი გრძობდნენ ამ სურნელს ერის ტბისა და ლაე-ქენლის* სიმყარალები. შეიძლება მათ არ იცოდნენ, როგორ უნდა შექმნილიყო ხელოვნების ნიმუში კულინარიის სფეროში, ან რა არის თვითდაესტრუქციული ხელოვნება, მაგრამ, ისტორიის გარკვეულ საკითხებში გაუცნობიერებლებს, გარკვეული გამოცდილება მინაც ჰქონდათ. და თუ მათი ექსპერიმენტები (რომლებიც, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ორივე შემოსენებული ხელოვნების ნარატივს შეიცავდა) უმეტეს შემთხვევებში წარუმატებელი იყო, ეს „არაექსპერიმენტული“ სამუშაო გარემოში განცდილი წარუმატებლობაზე ხშირი რთვი გახლდათ. შევირდისთვის ყველანაირი სამუშაო ექსპერიმენტულია, და, გარკვეული თვალსაზრისით, გამოცდილი პროფესიონალთა შემთხვევაშიც ასეა. ჩემს ლიტერატურულ ტემპერამენტში ორიანტიკული და ნეოკლასიკური ნაკადის ნაზავი იმდენად არამდგრადია, რომ თვით პროგრამულ ექსპერიმენტალობთანაც არაფერი მაქვს სადავო. დიდ მნიშვნელობა ვანიჭებ ტემპერამენტსა და ორიანტიკობას; ეს ორი რამ არსებითია ნებისმიერ ესთეტიკაში, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ 70-80-იან წლებში აღარ ვიყავი იმ ადამიანთა შორის, ვინც 60-იან წლებში ბუფალოს ახალი სული შთაბერდა. ვაღიარებ, დეპრესიული განწყობილება შეიძლება შეექმნას როგორც ახალგაზრდა ტრადიციონალისტებით სავსე, ასევე - რესპუბლიკელებით სავსე ოთახში.

1967 წელს ჩემი ამბივალენტური განცდები ავანგარდის მიმართ გადმოვეცი ქვემოთოყვანილ ესეში, რომელიც პირველად ვირჯინიის უნივერსიტეტში, პეტერს რამპონის სემინარების ფარგლებში წაეკითხე, ხოლო შემდეგ „ატლანტიკში“ გამოვაქვეყნე. მას შემდეგ ამ ესეს ხშირად გამოსცემენ და ასევე ხშირად უმართებულოდ აღიქვამენ, როგორც რომანის „სიკვდილის მაუწყებელს“ ანდა, ზოგადად, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების „გედის სიმღერას“. ეს ასე არაა. გადაკითხვისას ტექსტის მინდვრებზე კვლავ შევიგრძობნა ცრემლადენი გაზის ნაკვალევი, ხოლო სტრიქონების შორის - ნგრევის ექი. ეს თხზულება საკმარისად აქტუალური აღარაა, მოძველდა; შეიმჩნევა ერთგვარი გაზვიადებები და სარკასტული კოლო, რაც რამდენადმე მაღიზიანებს. მაგრამ ამ ესეს მთავარ არგუმენტს ახლაც ვეთანხმები: ვირტუოზულობა ღირსებაა, სიმამაცეა, და ის, რასაც ხელოვნები ფიქრობენ და გრძობენ სამყაროსა და ხელოვნებასთან დაკავშირებით, გაცილებით ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ რას ქმნიან ისინი ამ განცდის საფუძველზე.

სამი რამ მინდა ვანიჭილო: პირველი - ესაა რამდენიმე შედარებით ძველი პრობლემა, რომელიც „ინტერმედიალმა“ ხელოვნებებმა წინა პლანზე წამოიწია; მეორე - არგენტინელი მწერლის, ხორ-

ხე ლუის ბორხესის (რომლის ნაწარმოებებსაც თყვანს ვცემ) შემოქმედების რამდენიმე ასპექტი; მესამე - ჩემი პროფესიული შეხედულებები, რომლებიც უკავშირდება იმ ფენომენს, რომელსაც „ამონურული შესაძლებლობების ლიტერატურას“ აწინააღმდეგებდა, „ამონურის ლიტერატურას“ ვუწოდებ.

„ამონურვაში“ არ ვგულისხმობ დაშრეტას, დელას, როგორც ფიზიკურ, მორალურ ან ინტელექტუალურ დეკადანსს. საქმე ეხება მხოლოდ ზოგიერთ ფორმის ყავლის გასვლას და კონკრეტული შესაძლებლობების ამონურვას, რაც სასონარკვეთის მიზეზი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს. დასავლეთში ბევრი გენიალური ხელოვანი მრავალი წლის მანძილზე კამათობდა საყოველთაოდ მიღებული დეფინიციების ან ფანტიმის და ფორმების მნიშვნელობის შესახებ, რაც განმარტების გარეშეც ნათელია. ცდილობდნენ აეხსნათ არტისტული მედიის, პოპ-არტის, დრამატული და მუსიკალური „ჰეფენინგის“, „ინტერმედიის“ და „შერეული-ხერხების“ (mixed-means) რაცა განმარტების არსი, ხელოვნებისა, რომლებიც რომანტიკულ ტრადიციას და ზოგადად, ტრადიციას აუჯანყდა.

მაგალითად, რამდენიმე ხნის წინათ ფოსტით მივიღე კატალოგი, რომელიც რეკლამას უწევდა რობერტ ფილიოს წიგნს უბი „საკეები“ ბრიყული დასკვნებისთვის (Robert Filliou; Ample Food for Stupid Thoughts 1965). ის გავსებულ იყო საფოსტო პარათებით, რომლებზეც წარწერილი იყო „აშკარად უაზრო კითხვები“. ეს კითხვები წიგნის მკიდველს შეეძლო გავეზავნა ნებისმიერი ადამიანისთვის, ვისაც საჭიროდ ჩათვლიდა; კატალოგში იყო, ასევე, რეი ჯონსონის ქალაღის ეკვლი (Ray Johnson; Paper Snake 1965) — „ხშირ შემთხვევაში სარკასტული“ და ექსცენტრიკული ნაწარმების კოლექცია. ყოველივე ეს მეგობრებს ფოსტით ერთხელ ვგზავნებთ (რაც ნიუ-იორკის ლიტერატურული კორესპონდენციის სკოლის - the New York Correspondence School, Mail art - ერთ-ერთი იდეაა); კატალოგში ასევე აღმოვაჩინე დანიელ სპოერის შემთხვევითობის ანექდოტური ტოპოგრაფიაც (Daniel Spoerri An Anecdoted Topography of Chance 1966) - რომლის „გარეკანზე“ ავტორის სამუშაო მაგიაზე შემთხვევით მოხვედრილი საგნებია აღბეჭდილი - „ფაქტობრივად... ეს სპოერის ცხოვრების კოსმოლოგიაა“.

ჩამოთვლილ დოკუმენტსა ნუსხა სხვა არაფერი, თუ არა - ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით - „Something Else Press***-ის კატალოგი, რომელშიც სვინგისთვის საჭირო კოსტიუმიც კია მოხსენიებული. „თუმცა, ფაქტობრივად“, ეს შეიძლება მათი ერთ-ერთი უცნაური შემთავაზებაა, მაგრამ დანამდვილებით თქვა: საფოსტო გზავნილი ნიუ-იორკის საფოსტო-სარეკლამო ლიტერატურული

* Love Canal.

** Something Else Press დაფუძნებულია დიკ პიჯინის მიერ 1963 წელს. ამ გამოცემლობაზე ბევრი მნიშვნელოვანი ინტერმედიალური ტექსტი გამოქვეყნდა.

სკოლიდან იყო. ამ სკოლის წარმომადგენელთა თხოვნებზე სახალისოა და საინტერესო სასაუბრო თემებს წარმოადგენს მხატვრული ლიტერატურის სალექციო კურსებზე, მაგალითად, როცა განვიხილავთ რომელიმე ავტორის თავისუფალ, გვერდებდაუწონავ, შემთხვევითად შედგენილ რომანს, ასევე, მიზანშეწონილია იმისა, რომ ფინჯანის ქელები საპირფარეოს ძალზე გრძელ ქაღალდზე დაიბეჭდოს. კამათი ტექნიკური თავისებურებების შესახებ, მხატვრული შემოქმედების საკითხებისა განსხვავებით, უფრო ადვილია და მეგობრულ ატმოსფეროს ქმნის, ხოლო „ჰეფენინგის“ სივრცე საშუალებას იძლევა, გაიმართოს დისკუსია ესთეტიკის თაობაზე; მისი საშუალებით შესაძლებელია მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი და ეფექტური საკითხების ილუსტრირება ხელოვნების ბუნების, ყანრების და ტერმინების დეფინიციის თაობაზე.

“ინტერმედიულ” ხელოვნებათა ერთ-ერთი არსებითი ასპექტია არა მარტო ტრადიციული აუდიტორიის, ანუ ხელოვანის შემფასებელთა გაუქმება (ჰეფენინგში) ხშირად თავად აუდიტორიაა „შემსრულებელი“, ისევე, როგორც „გაგრძელები“, მაყურებელი. ხოლო ახალი მუსიკის ზოგიერთი ნიმუში სრულებით არ საჭიროებს პერფორმანს ტრადიციული მნიშვნელობით) – ინტერმედია” ასევე უგულებელყოფს ხელოვანის არისტოტელესეულ საყოველთაოდ მიღებულ კონცეფციას მოაზროვნე სუბიექტის შესახებ, რომელიც ოსტატობით, ცოდნით აღწევს მხატვრულ ეფექტს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა ხელოვანი, რომელიც დაჯილდოებულია იმიტოვით ნიჭით და, გარდა ამისა, თვითონაც იპილინის წყალობით ავითარებს თავის ტალანტს, იძენს ვირტუოზულობას. ერთი შეხედვით, ეს არისტოკრატიული ხედავა, რომლის დაძლიებისკენაც დემოკრატიული დასავლეთი მიილტვის; არა მხოლოდ ძველი ლიტერატურის „ყოვლისმცოდნე“ ავტორი, არამედ თვით წარმოდგენაც მაკონტროლებელი ხელოვანის შესახებ პოლიტიკურ რეაქციონერობად, ავტორიტარულობად და ფაშიზმდაც კი შეიარაცება.

ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ვამჯობინებ, აუფხანყედ ტრადიციას. უპირატესობას იმგვარ ხელოვნებას ვანიჭებ, რომელიც ყველას როდესაც ხელეწიფება: ესაა ხელოვნება, რომელიც ცოდნასა და ოსტატობას ისევე მოითხოვს, როგორც - თვითონაც ყოფად ესთეტიკურ იდეებსა და შთაგონებას. სიამოვნებას მანიჭებს პოპ-არტი ჩემი სახლიდან რამდენიმე კვარტლით დაშორებულ ოლბრაიტ-ნოქსის (Albright-Knox Art Gallery) ცნობილ კოლექციაში, რომელიც ცოცხალი საუბრის შთაბეჭდილებას მიქმნის; მაგრამ, ზოგადად, ჩემზე უფრო მიღავრად ზემოქმედებენ ფონგლიორები და აკრობატები ბალტიმორის ძველ იოლდრუმზე, სადაც ყოველთვის ვესწრები ახალ წარმოდგენებს: შესაძლოა ეს ფონგლიორები არ არიან ხელოვანები, მაგრამ, სამაგიეროდ, ნამდვილი ვირტუოზები არიან, აკეთებენ ისეთ რამებს, რაც ყველას შეუძლია წარმოდგინოს ან განიხილოს, მაგრამ თითქმის არავის შეუძლია გაიმეოროს.

ვგიქრობ, ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ის, რისი გაქვთვაც ღირს, და ის, რაც მხოლოდ აღნიშნის ღირსია. „ვიღაცამ უნდა დანეროს რომანი იმგვარი სცენებით, ზოგადად ძველ საბავშვო წიგნებში რომ შეხვდებით“. იგულისხმება, რომ ამის მოქმედი თავად არ შეეცდება მსგავსი რამ შექმნას.

ყველაფრის მიუხედავად, ხელოვნება, მისი გამოხატვის ფორმები და ტექნიკა თანდათან ვითარდება და იცვლება. ვეთანხმები სოლ ბელოუს შეხედულებას, რომ მწერლისთვის, ტექნიკის თვალსაზრისით, თანამედროვეობა ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვანი ატრიბუტია, მაგრამ დავამატებდი, რომ, შესაძლოა, ეს ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვანი ატრიბუტო არსებით აღმორჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, ტექნიკური თვალსაზრისით მოძველებული შესაძლებელია ნამდვილად ნაკლოვანი იყოს: ბეთჰოვენის მეექვსე სიმფონია ან შარტრის საკათედრულ ტაძარს დღეს რომ შეეძინებოდა, უცნაური და გაუგებარი იქნებოდა (ფაქტობრივად, ისინი ჩვენს ეპოქაში ვერც შეიქმნებოდა, თუ არა ბორხესისეული გაგებით, რასაც ქვემოთ განვიხილავთ). ბევრი კარგი თანამედროვე ავტორი, რომელთაც მეოცე საუკუნის შუა პერიოდისთვის დამახასიათებელი (მეტ-ნაკლებად) ხელწერა აქვთ, ჩვენი საუკუნის დასაწყისის ლიტერატურის მსგავს რომანებს ქმნის თანამედროვე ადამიანებზე და პრობლემებზე; ვფიქრობ, ამგვარი ავტორების შემოქმედება ნაკლებად საინტერესოა, იმ შესანიშნავი მწერლებისგან განსხვავებით, რომლებიც ტექნიკის თვალსაზრისითაც თანამედროვენი არიან: მაგალითად ჯოსი და კაფკა, სემუელ ბექეტი და ხორხე ლუის ბორხესი. მე ვიტყვით, “ინტერმედიული” ხელოვნებანი შუამავალიცაა ესთეტიკის ტრადიციულ გაგებასა და, მეორე მხრივ, მხატვრულ ქმნილებას შორის. ჩემი აზრით, კეთილგონიერი ხელოვანი და მოქალაქე ამას ისეთივე ყურადღებით და სერიოზულობით უნდა მოეკიდოს, როგორც - კარგ პროფესიულ საუბარს: ყურადღებით მოუსმინოს და დააკვირდეს თავის კოლეგებს, თუნდაც ზედაპირულად. განრჩეველად იმისა, ქმნიან თუ არა ეს ადამიანები თანამედროვე ხელოვნების უჭკონე ნიმუშებს, სავარაუდოდ, სწორედ მათ უნდა შემოგვთავაზონ რაიმე არსებითი ამგვარი ნაწარმოებების შექმნის და აღქმის პროცესში.

ხორხე ლუის ბორხესის შემოქმედება, წერის ტექნიკის თვალსაზრისით, ძველმოდურ ავტორს, თანამედროვე ტექნიკის მქონე ნონარტისტსა და თანამედროვე ხელოვანს შორის განსხვავების გამოსავლენად გამოგვაადგება. პირველ კატეგორიაში მოვაქცევდით მეოცე საუკუნის იმ რომანისტებს, რომლებიც ავად თუ კარგად, წერენ, ისე, თითქოს უკანასკნელი სამოცი წლის მანძილზე მრავალი დიდი ავტორი არც და დაბადებულა. ჩვენი საუკუნის ორმა შესაბამისად უკვე განვლო და შემოვითებულა ის ფაქტი, რომ ამდენი მწერალი მოქმედება დოსტოევსკის, ტოლსტოის ანდა ბალზაკის ტრადიციას, მაშინ როდესაც ჩემთვის საკითხი ამგვარად დგას: დღეს ჯოისის და კაფკას მემკვიდრეც კი არ

უნდა იყო, არამედ - იმათი, ვინც ჯოისის და კავკას მემკვიდრე იყო თავის დროზე და ახლა კარიერას ასრულებს*. მეორე კატეგორიას - თანამედროვე წერის ტექნიკის ნონარტიკტებს - მივაკუთვნებ იმათ, ვინც, ბუფალოში მცხოვრები ჩემი მეზობლის მსგავსად, ვინი პუბის ტიკინას ქვიშით გამოტყენილი ზეთიანი ტილოდან შექმნი, შემდეგ კი ან სარუნ წამოაგებს, ან კისრით დაკიდებს. მესამე კატეგორიაში ის მცირერიცხოვანი ადამიანები არიან, რომელთა ხედვაც არის **au courant** (მოდური, სტილური - ფრანგ.), ახალი ფრანგული რომანის (**Nouveau roman**) შემქმნელთა მსგავსად, და ვინც, მიუხედავად ამისა, მჭევრმეტყველურად და გულშიჩამწვლილად გვესაუბრება. დიდი ხელოვნები ამას ყოველთვის აღწევდნენ. მაგალითად, სემუელ ბექეტი, ხორხე ლუის ბორხესი და ვლადიმერ ნაბოკოვი - თანამედროვეები, რომელთა შემოქმედებაც აღნიშვნის დროსა მეოცე საუკუნის სხვა „ძველ ოსტატებთან“ ერთად. ლიტერატურული პრემიების ისტორიაში (რომლის გაცნობაც ზოგადად, ნაკლებად აღფრთოვანებას იწვევს) ის ფაქტი, რომ 1961 წელს საერთაშორისო გამომცემლების პრიზი ბექეტსა და ბორხესს შორის გაიყო, ბედნიერ გამოწვევას წარმოადგენს.

სისრულისა და „საბოლოო გადანწყვეტილებე-ბი“ ეპოქაში - რაც ასე მძაფრად იგრძნობა ყველაფერში, შეიარაღებით დაწყებული და თეოლოგიით, საზოგადოების დეჟურანიზაციით თუ რომანის ისტორიის საკითხებით დამთავრებული - ის, რომ ზემოხსენებული ორი ავტორის ქმნილებათა ტექნიკური და თემატური სისრულე სხვადასხვაგვარია, ერთ-ერთი თანამედროვე თვისებათაგანია, რომელიც მათ შემოქმედებას განსაკუთრებულობას ანიჭებს. იგივე შეიძლება ითქვას ფინეგანის *ქელეხზე*, მისი განსხვავებული მხატვრული სტილით. ვილკამ თქვა (როგორც უნდა იყოს ამ სიტყვების სიმპტომატური ღირებულება), რომ ჯოისის ნამდვილად დაბრმავდა თავისი სიცოცხლის ბოლოს, ბორხესსაც იგივე მოუვიდა, ხოლო ბექეტი, არსებითად, დამუნჯდა, რადგან თავიდან წერდა გასაოცრად რთული წყობის ინგლისურ ფრაზებს, შემდგომ კი გადავიდა უფრო მოკლე ფრანგულ ნინადადებებზე, რამაც არასინტაქსურ უშუქტუაციო პროზაზე (რის მაგალითად *Comment c'est* - ცვ გამოდგება), და ბოლოს უსიტყვო პანტომიმამდე მიიყვანა. მაგანმა შეიძლება ბექეტის თეორიული მიდგომის ექსტრაპოლაცია მოახდინოს: ენა, ყველაფრის მიუხედავად, მოიცავს როგორც ზრმს ლექსიკაზე. მაგრამ მოქმედების ენა უძრავობას და მოძრაობას თანაბრად გულისხმობს. ასე რომ, ბექეტის შემთხვევაში არამობილური, მდუმარე ფიგურები მაინც არ არიან მთლიანად, საბოლოოდ უტყვენი. რას იტყვით ცარიელ სცენაზე, ანდა სუფთა ქალაქის ბლანკებზე**? „შეფინიჯზე“, სადაც არაფერი ხდება, ისევე, როგორც ჯონ კეიჯის 4'33"-ში.

დრამატული პერფორმანსი - კომუნიკაცია - გულისხმობს როგორც მსახიობების ყოფნას, ისე მათ არყოფნას სცენაზე; ავითი როდის უნდა შევიდეს სცენაზე და გავიდეთ კულისებში; თუმცა ენეც არასრულყოფილი, არასაკმარისად სრული იქნებოდა ბექეტისთვის. მამ რალა დარჩა? ჩემი აზრით, სრულებით არაფერი, სიცარიელე. მაგრამ აღარ საჭიროა. ის მეორე მხარეა ყოფიერებისა და ასე შემდეგ. ბექეტს თავისი შემოქმედება ამ ეტაპზე რომ დაესრულებინა და ნერა შეენყვიტა, ეს ძალზე ღრმავზოვანი ნაბიჯი იქნებოდა: ეს იქნებოდა მისი შემოქმედების დამაგვირგვინელი ქმნილება, „ბოლო სიტყვა“. როგორ უნდა ჩააყენო საკუთარი თავი ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში! „და ახლა დავასრულებ“, - ამბობს მსახური არსენი „უოტში“, - „და შენ ველარსადრის გაიგონებ ჩემს ხმას“. მხოლოდ სიჩუმე დაისადგურებს, სიჩუმე, რომელზეც მოლოი ლაპარაკობს და „რომლისგანაც მთელი სამყაროა შექმნილი“.

ამის შემდეგ ყველა დანარჩენი ადამიანის სახელით დავამატებ: შესაძლებელია, ადამიანმა ხელახლა აღმოაჩინოს ენის და ლიტერატურის გამომსახველობა, გაეკრეს ისეთ ორპარტიკა, ხელნაწერ ცნებებში, როგორებიცაა გრამატიკა და უშუქტუაცია... მხატვრული სახეების შექმნის ხელოვნება! თვით სიუჟეტიც! ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწორ გზას დაადგება - ჩასწვდება იმას, რაც მისმა წინამორბედებმა დღევანდლამდე გააკეთეს.

რა თქმა უნდა, ხორხე ლუის ბორხესმა ყოველივე ეს ძალზე კარგად იცოდა. გასული ათწლეულების განმავლობაში, ლიტერატურული ექსპერიმენტალიზმის ეპოქაში, ბორხესის სახელი ასოცირდებოდა ლიტერატურულ ჟურნალ *პროზმასთან****. ეს „კედლის“ გაზეთი გახლდათ - მწერლები და პოეტები თავის თხზულებებს მთელი ბუენოს-აირესის მასშტაბით კედლბდა და სარეკლამო დაფებზე აკრავდნენ. ბორხესის უკანასკნელი ნაწერები *ლაბირინთები* და *გამოკონილი ამბები* (*Ficciones*) არა მარტო წინასწარ განჭვრეტს „*Something Else Press*“-ში მომუშავეთა ყველაზე უფრო უცნაურ იდეებს (რაც, დამერწმუნეთ, არც ისე რთულია),

* ავტორის შენიშვნა, 1984: ნუთუ სამოცდაშვიდ წელს ეს სულელური რამ მართლაც ვთქვი? დიახ, და მე ეს მჯეროდა. იმედია მაქვს, ამ იდეის უფრო გონიერ ფორმულირებას აადგილის სულსა (*The Spirit of Place*) და ალესების ლიტერატურაში (*The Literature of Replenishment*) იპოვით.

** ავტორის შენიშვნა: ულტიმატურობა უკვე მეცხრამეტე საუკუნეში, აღმოსავლეთ აფრორას (ნიუ -იორკი) ავანგარდისტ ელბერტ ჰუბარდის ნაშრომებში იგრძნობა. გავისენით მისი ესე სიჩუმის შესახებ. დღესდღეობით ულტიმატურია ისეთი უსაგნო „სიახლეები“, როგორცაა, მაგალითად, ლინდენ ჯონსონის მახვილონიერება და სიბრძნე.

*** პრიზმა - ბორხესის მიერ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დაარსებული ლიტერატურული ჟურნალი ბუენოს-აირესში, რომელიც ულტრასტული მიმართულებისა იყო.

არამედ, უზრალოდ, ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებია. ამ ნაწარმოებებში თვალსაჩინოდ ვლინდება განსხვავება ესთეტიკურ სისრულეს, როგორც ფაქტა და მის მხატვრულ ხორცშესხმას შორის. ეს ნიშნავს, რომ სისრულე ავტორისთვის მხოლოდ სალაპარაკო მასალა როდია - ის სრულყოფილად წერს.

ახლა განვიხილავ ბორხესის პროზაულ ნაწარმოებს „დონ კიხოტის ავტორი, პიერ მენარი“, რომლის მთავარი გმირი ჩვენი საუკუნის დასაწყისის ძალზე განათლებული ფრანგი სიმბოლისტიკა. გასაცარი ნარმოსახვის მემკვიდრით მენარის სერვანტესის რომანის რამდენიმე თავს წერს, რასაც დონ კიხოტის იმიტაციასთან არაფერი იწვევს საერთო.

მენარის დონ კიხოტის შედარება სერვანტესის პერსონაჟთან გამოცხადების ტოლფასია (გვიყვება ბორხესისული მიხრობელი). მაგალითად, სერვანტესი წერდა (ნაწილი პირველი, თავი მეცხრე):

...ისტორიაა სიმართლის დედა, დროის მეტოქე, გმირულ საქმეთა სალოარო, წარსულის მოწმე, აწმყოსთვის სამავალითო, მომავლის მრჩეველი.

„თვითნასწავლი გენოსის“, სერვანტესის მიერ მეჩვიდმეტე საუკუნეში დაწერილი ეს სიტყვები, უზრალოდ რიტორიკული ქებაა ისტორიისა. მენარმა კი დაწერა:

...ისტორიაა სიმართლის დედა, დროის მეტოქე, გმირულ საქმეთა სალოარო, წარსულის მოწმე, აწმყოსთვის სამავალითო, მომავლის მრჩეველი.

ისტორია - ჭეშმარიტების დედა; გასაცარი აზრია! მენარისთვის, რომელიც ულიამ ჯეიმსის თანამედროვე იყო, ისტორია რეალობის, სიმართლის გამოკვლევა არაა მხოლოდ, მენარისთვის ისტორია რეალობის წყაროა...

და ასე შემდეგ. ბორხესის ეს ნაწარმოები, რა თქმა უნდა, სატირაა, მაგრამ თვით იდეას უდავოდ აქვს ინტელექტუალური ღირებულება. ზემოთ ვთქვი, ბეთოვენის მეექვსე სიმფონია დღეს რომ შექმნილიყო, ავტორისთვის სამარცხვინო იქნებოდა-მეთქი; ეს არ მოხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპოზიტორი (აღამიანი, რომელმაც იცის რა გზა განვლეთ და ვინ ვართ ახლა) მსაცავს ნაწარმოებს ირონიული ჩანაფიქრით შეთხზავდა. ამას პოტენციურად ისეთივე მნიშვნელობა ექნებოდა, როგორც უორპოლის და კემპბელის წვნიანის თუნუკის ქილებს, იმ განსხვავებით, რომ ბეთოვენის რეკომპოზიციის შემთხვევაში ნონარტის ნაცვლად ხელახლა შეიქმნებოდა ხელოვნების ნიმუში, ხოლო შემქმნელის ირონია უფრო ხელოვნების თანრსა და ისტორიის მიემართებოდა, ვიდრე - ზოგადად კულტურის მდგომარეობას. მნიშვნელოვანი ინტელექტუალური ხედვა რომ შეიძუმაო, ფაქტობრივად, უკვე არცაა საჭირო მეექვსე სიმფონიის თავიდან დაწერა (როგორც მენარს დასჭირდა დონ კიხოტის ხელახლა შექმნა). მენარისთვის, წმინდა ინტელექტუალური თვალსაზრისით, ხელოვნების ახალი ნიმუშის შესაქმნელად საკმარისი იქნებოდა, დონ კიხოტის ავტორად, უზრალოდ, თავისი თავი დაესახელებინა. ბორხესი მრავალ მოთხრობაში უბრუნდება ამ იდეას, და იოლად შემიძლია ნარმო-

ვიდგინო ბეკეტის შემდეგი რომანი, მაგალითად, ტომ ჯონსი, მსგავსად ნაბოკოვისა, რომლის უახლესი ქმნილება პუშკინის მრავალტომიანი თარგმანია კომენტარებითურთ. ყოველთვის მსურდა დამენარე ბარტონის ვერსია ათას ერთი ღამისა, ათ ტომად, დანართითურთ. მაგრამ ინტელექტუალური ჩანაფიქრის განსახორციელებლად არც კი მჭირდება მისი დაწერა. ნარმოდიგინეთ, რა საღამოებს გავატარებდით უფრო საარინენის პარეთენოსს, დ. ჰ. ლორენსის ქარიშხლებით ულელტეხილის ან რობერტ რაუშენერგის ჯონსონის ადმინისტრაციის შესახებ კამათში.

ეს იდეა, ბორხესის სხვა იდეების მსგავსად, ღრმად ინტელექტუალურია და უფრო მეტაფიზიკური ბუნებისაა, ვიდრე - ესთეტიკურისა. საყურადღებოა ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. ბორხესი საკუთარ თავს არ მიაწერს დონ კიხოტს, და, პიერ მენარისგან განსხვავებით, მის რეკომპოზიციას კიდევ უფრო ნაკლებად ცდილობს; ამის ნაცვლად ის წერს შესანიშნავ, ორიგინალურ ლიტერატურულ თხზულებას და ამ თხზულების იმპლიციტური თემა ორიგინალური ნაწარმოების დაწერის სირთულე, ან, თუ გნებავთ, უსარგებლობაა. ბორხესის, როგორც ხელოვანის გამარჯვება, თუ გნებავთ, ისაა, რომ ავტორი უპრობლემად ინტელექტუალურ ჩიხს და ამ პრობლემას ახალი ჰუმანური ნაწარმოების შესაქმნელად იყენებს. თუ ეს იდეა შეესატყვისება მისტიკოსების ქვეყანას, რომლებიც, კირკგორის თქმით, „ყოველ წამს ცდილობენ შეუერთდნენ უსარგებლობას და ყოველ წამს ცდილობენ დაუბრუნდნენ სასრულს“, მაშინ ბორხესის იდეის ხორცშესხმა ძველი ანალოგიის მხოლოდ კიდევ ერთ ასპექტს წარმოადგენს. უფრო უზრალოდ და გასაგებად რომ ვთქვათ, კაცმა ყოველ წამს უნდა იფრთხილოს, რომ ბავშვი ნაბან წყალს არ გააცხლოს.

ბოროსის მიღწევის უკეთ გასანალიზებლად მისი საკუთარი ტერმინები - ალგებრა და ცეცხლი - გამოიყენეთ. მოთხრობაში ტლენი, უქმარი, ორბის ტერციული, რომელიც ერთ-ერთია ანთოლოგიებში ყველაზე ხშირადშეხანილი მოთხრობებიდან, ბორხესი წარმოადგენს მეცნიერთა საიდუმლო საზოგადოების მიერ გამოგონილ სრულიად ჰიპოთეტურ სამყაროს. ამ სამყაროს თითოეული ასპექტი გასაიდუმლოებულ ენიკლოპედიამ დეტალურადაა დამუშავებული. ბორხესი გვეუბნება, რომ ტლენის პირველი ენიკლოპედია (რომელი რომანისტი არ ისურვებდა, გამოეგონებინა *Britannica**) ჩვენი სამყაროს ლოგიკურ, მკაფიო ალტერნატივას, თავისი ალგებრითა და ცეცხლით, წარმოსახვის ისეთი ძალით აღწერს, რომ თუკი ერთხელ ჩავენდეით ამ იდეას, მაშინვე აგვეკვიტება, ჩვეს გონებას დაბაყრობს, ხოლო შემდეგ საბოლოოდ ჩაენაცვლებს რეალობას. ვფიქრობ - მეტაფორულად რომ ვთქვათ - მხოლოდ ალგებრითა და ცეცხლით მსგავსი რამის მიღწევა შეუძლებელია. ახლა სწო-

* Encyclopaedia Britannica - ბრიტანული ენიკლოპედია (ლათ.)



რედ ბორხესის ალგებრას განვიხილავ - ალგებრაზე ლაპარაკი უფრო ადვილია, ვიდრე - ცეცხლზე, თუმცა ნებისმიერი კარგი მზარეული ამაში არ დაეშინება. ტლენის პირველი ენციკლოპედიის ნარმოსახეით ავტორები ხელოვანი არ არიან, მაგრამ მათი სამუშაო მეთოდი ბელეტრისტიკულია. ისინი ნამდვილად იპოვედნენ გამოცემულს „Something Else Press“-ში. ტლენის, უქბარის, ორბის ტერციუსის ავტორი, რომელიც გასაკვირი ენციკლოპედიის არსებობას მხოლოდ მიაჩნებებს, უმაღლესი რანგის ხელოვანია, აკვკას მსგავსად. ბორხესის პროზა - ესაა სერიოზული ინტელექტუალური ხედვისა და დიდი ადამიანური შთაბეჭდილების, პოეტური ძალისა და სრულყოფილი ოსტატობის ერთობლიობა. ამ დეფინიციას, ვფიქრობ, ყველა დროში უთქმელდავც დაეთანხმებოდნენ, ჩვენი საუკუნის გამოკლებით.

არც ისე დიდი ხნის წინ სერ თომას ბრაუნის ამცნიერული ნაშრომის სქოლიოში შემთხვევით ამოვიკითხე მნიშვნელოვანი ცნობა, რომელმაც ბორხესის ტლენის თვითრეალიზაცია გამახსენა. ბრაუნს თავისი ნაშრომში - *Religio Medici* რამდენჯერვე ნახსენები აქვს წიგნი სამი თვითმარქვია. ეს არის მოსხვა, ქრისტიანული და მუსლიმანური წინააღმდეგ მიმართული მკრეხელური ტრაქტატი, რომლის არსებობისაც მეჩვიდმეტე საუკუნეშიც და მანამდეც მტკიცედ სჯეროდათ. ამ წიგნის საკვარეულო კომენტატორებს შორის მოხსენიებოდნენ ბოკაჩო, პეტრო არეტინო, ჯორდანო ბრუნო და ტომაზო კამპანელა. მიუხედავად იმისა, რომ, ბრაუნის ჩათვლით, არავის არ უნახავს წიგნის ასლი, ორიგინალზე რომ არაფერი ვთქვათ, სხენებულ ნაშრომს განიხილავდნენ, ხშირად იმონებდნენ და მის მცდარობასაც ამტკიცებდნენ, თითქოს ყველას ნაკითხული ჰქონოდა. ყველაფერი იქამდე გრძობდებოდა, სანამ მეთერთმეტე საუკუნეში (რაც დანამდვილებით შეიძლება ითქვას) გამოჩნდა 1598 წლით დათარიღებული ყალბი ნაშრომი, დასათაურებული როგორც *De Tribus Impostoribus*. საოცარია, რომ ბორხესმა არ მოიხსენია ეს ნაშრომი. მას ხომ, როგორც ჩანს, ყველაფერი ნაკითხული ჰქონდა, იმ წიგნების ჩათვლით, რომლებიც არასოდეს დაწერილა. რაც შეეხება ბრაუნს, ის ბორხესისთვის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მწერალია. ფაქტობრივად, ტლენის, უქბარის, ორბის ტერციუსის ნარატორი მოთხრობის ბოლოს აცხადებს:

ინგლისური, ფრანგული და ესპანური ენები აღიკვეთიან პირისაგან მიწისა. მსოფლიო ტლენი გახდება. ჩემთვის ეს სულ ერთია. წყნარ დღეებში ადროგეს სასტუმროში ვასწორებ ბრაუნის სამარხი ურნის არაზუსტ - კვევდოს სტილში შესრულებულ - თარგმანს (რომლის გამოცემასაც არ ვაპირებ)*.

თავად ბორხესის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რეალბოს კონტამინაცია სიზმრისეული“ მისი ერთ-ერთი საყვარელი თემაა, ხოლო ამგვარი კონტამინაციების კომენტირება - მისივე უსაყვარლესი ხერხი. ამ და სხვა მრავალი მხატვრული მეთოდის გამოყენებით, ლიტერატურული ნაწარმოების ფორ-

მა ან სტილი თავად გარდაიქმნება ხელოვანისთვის საინტერესო მეტაფორად, როგორც ეს, მაგალითად, დლიურის ფორმით დაწერილ ახალგაზრდა ხელოვანის პორტრეტის დასასრულს ან ფინიგანის ქელეხის ციკლურ ფორმაში ვლინდება. მაგალითად, ბორხესის შემთხვევაში, მოთხრობა ტლენი, უქბარი და ორბის ტერციუსი, ტლენის არტეფაქტების ანალოგიურად (*Ironiir*-ი რომ ჰქვიათ და საკუთარ თავს ყოფიერებაში ნარმოსახეის ძალით გამოიხმობენ), ჩვენს სამყაროში არსებული ნარმოსახეით რეალობის ნაწილია. მოკლედ, ეს უკვე პარადიგმა ან მეტაფორაა; არა მხოლოდ მოთხრობის ფორმა, არამედ თვით მოთხრობის არსებობის ფაქტიც სიმბოლურია; მედიუმი (მთლიანად ან ნაწილობრივ) თვითონაა შეტყობინება.

უფრო მეტიც, ბორხესის ეს მოთხრობა, მისი ყველა თხზულების მსგავსად, ჩემ მიერ დასმული საკითხის კიდევ ერთი ასპექტის საილუსტრაციოდ გამოგვადგება; კერძოდ, ის, რომ ხელოვანმა შეძლება შეიგრძნოს ჩვენი დროის აქტუალური სისრულე და თავისი ქმნილების მასალად და მეთოდადაც კი გამოიყენოს, *პარადოქსულია*, რადგან ამ გზით ის გადალახავს იმას, რაც მისსავე უღელმეტელებს ნიშნავს, იმგვარადვე, როგორც მისტიკოსი, რომელიც სცილდება სასრულის საზღვრებს, რათა სასრულ სამყაროში როგორც ფიზიკური, ისე სულიერი ყოფნის შესაძლებლობა მოიპოვოს. დაუშვებთ, თქვენ მონოდებიტ მწერალა ხართ - „ბექტევაზე ორიენტირებული (print-oriented) ნაბიჭვარი“, როგორც მაკლუენი გვინოვებდა და, მაგალითად, გრძნობთ: რომ არა ლიტერატურული ნარატივი, ზოგადად, და რომ არა ბექტეური სიტყვა (როგორც ლესლი ფიდლერი და სხვები ამტკიცებენ), რომანს ამ დროისთვის თავისი შესაძლებლობები ამონურული ექნებოდა. (ამ მოსაზრებას ვეთანხმები, მაგრამ ფარკვეული შენიშვნები მაქვს. ლიტერატურულ ფორმებს აქვთ კონკრეტული ისტორია და, შესაბამისად, შემთხვევით ისტორიულ გარემოებებსაც გარკვეული წვლილი მიუძღვით მათ ჩამოყალიბებაში. დიახაც, შესაძლებელია, რომ რომანი, როგორც ხელოვნების ძირითადი ფორმა, ნარსულს ჩაბარდეს, როგორც ეს კლასიკური ტრაგედია, ისტორიული და გერმანული დიდი ოპერის თუ „სონეტთა გვირგვინის“ შემთხვევაში მოხდა. ეს რომანისტების კონკრეტული გუგუფის გარდა, ალბათ არავისთვის ნარმოადგენს განგაშის მიზეზს, და, სავარაუდოდ, მსგავსი გრძნობების გასამკლავებლად ერთ-ერთ ხერხს ნარმოადგენს რომანის დაწერა თვით ამ განცდის შესახებ. ჩემთვის მნიშვნელობა აღარ აქვს, ამონურა თუ არა რომანმა ისტორიულად თავისი თავი. იქნებ, ის ჯერ კიდევ იხარჩუნებს პოზიციებს, როგორც ხელოვნების ერთ-

* ავტორის შენიშვნა: უფრო მეტიც: ტლენის გადაკითხვისას ვიპოვე ერთი რემარკა და შემოდინა დავიფიკო, რომს წინა წელს ის მოთხრობაში არ იყოს: ექსცენტრიკული ამერიკელი მილიონერი ამ ენციკლოპედიას იმ პირობით აფინანსებს, რომ „ნაშრომის შემქმნელები თაღლით იესო ქრისტეს არ ეთანხმებიან“.

ერთი ძირითადი ფორმა. თუ მწერალთა და კრიტიკოსთა გარკვეული ნაწილი აპოკალიფსური წინათვრებითაა შეპყრობილი, ეს უკვე მნიშვნელოვანი კულტურული ფაქტის სახეს იძენს, ისევე, როგორც, მაგალითად, დასავლური ცივილიზაციის კრახის ან მთლიანად სამყაროს დაღუპვის მოლოდინი. თუ აღმნიშნაა ჯგუფს უდაბნოში გაუძლეობა არ გაულისხმობს, რომ შედარებით აპოკალიფსურ ატმოსფეროში დანერული განსხვავებული თხზულება აზრსმოკლებულა და უსარგებლოდ ჩაითვლება. ეს კიდევ ერთი შედეგია, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, რომლის გამოც ჯობია იყო ხელოვანი, ვიდრე - წინასწარმეტყველი. ვლადიმერ ნაბოკოვი რომ იყოთ, სასრულობის განცდას მკრთალ ცეცხლად - განსწავლული პედანტის დახვნილ რომანად გარდაქმნიდით, რომელიც პოემის დეტალური კომენტარების ფორმა აქვს. ბორხესი რომ იყოთ, დაწერდით *ლაბირინთებს* - განსწავლული ბოლიოთეკარის გამოვანილ (როგორც თავად ავტორი ამბობს), წარმოსახულ ანდა პიოთეტურ წიგნებს თავიანთი სქოლობობით. დავაშატიტბდი: ამ ესეს ავტორი რომ იყოთ, დაწერდით *თამბაქოთი მოვაჭრის ან თხა-ბიჭი ჯალიოს* მაგვარ რომანებს, სადაც ავტორი რომანის ფორმისა და თვით ავტორის როლის იმიტირებას მიმართავს.

ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, შესაძლოა არასასაიამოვნოდ და დეკადენტურად ჟღერდეს, თუმცა რომანის უანრის განვითარების საწყის ეტაპზეც იგივე ტენდენცია შეინიშნება. გავიხსენით დონ კიხოტი, რომელიც ამადის ვალელის იმიტაციას ახდენდა, სერვანტესი, რომელიც სიდ შაქმეტ ბენეშელის სახელს ეფარებოდა (და ალონსო კიხანო, რომელიც დონ კიხოტობას ჩემულობდა), ან ფლდინგის მიერ რიჩარდსონის პაროდირება. „ისტორია მეორდება, როგორც ფარსი“, რაც, რა თქმა უნდა, ვულისხმობს არა იმას, რომ ისტორია მთლიანად ფარსია, არამედ იმას, რომ ისტორია მეორდება ფარსის ფორმით ან მოდუსით. დადაისტური ექსპონერი იმიტაციები „ისტორიული ხელოვნებათა“ ნაწარმოებებში რბაღც ახალია, განსაკუთრებული და (ფარსთან მსგავსების მიუხედავად), შეიძლება ძალზე სერიოზული და ბობოქარიც იყოს.

სწორედ ამით განსხვავდება ნამდვილი, „ნაიფური“ რომანი რომანის, ანდა სხვა სახის ტექსტების საგანგებო რომანული იმიტაციისგან. ნაიფური ტექსტისთვის (რაც ისტორიულადცაა განპირობებული) მოქმედების მეტ-ნაკლებად უშუალო იმიტაციაა დამახასიათებელი, ისეთი ტრადიციული ხერხების გამოყენებით, როგორებიცაა მიზეზუდეგობრიობა, ლინეარული სიუჟეტური კომპოზიცია, ლიტერატურული სახეების შექმნის ხელოვნება, სისტემატიზაცია და ინტერპრეტაცია. თუმცა ამას წინ აღუდგენენ, გააპროტესტეს, როგორც მოძველებული იდეები, ანდა მეტაფორები მოძველებული იდეებისთვის: მახსენდება აღწერა რომ-გრი-

ეს ესეები ახალი რომანისთვის, რომელთა აქ მოხმობაც ცოტათი უადგილოა, თუმცა ამ ესეებში ზემოხსენებულ პროტესტებს გამოძახილი შეინიშნება. ტრადიციული ხერხების ნაკლოვანების გამოსწორება სწორედ რომანის იმიტაციითაა შესაძლებელი. ამგვარი ტექსტების ავტორები ცხოვრებას უშუალოდ კი არ ასახავენ, არამედ მის რეპრეზენტაციას ქმნიან, თუმცა მსგავსი ნაწარმოებები რეალობისგან უფრო გამიჯნულები ნამდვილად არ არიან, ვიდრე, მაგალითად, რიჩარდსონის ან გოეთეს ეპისტოლარული რომანები - ორსავე შემთხვევაში რეალურ დოკუმენტის იმიტაციასთან გვევსებათ საქმე, ორივე შემთხვევაში მთავარი თემა, საბოლოოდ, ცხოვრებაა და არა - დოკუმენტები. რომანი ისევეა რეალური სამყაროს ნაწილი, როგორც წერილი, და წერილები რომანში ახალგაზრდა ვერთერის ვენტის ხომ, ბოლოს, დაბოლოვნილია.

მავანი მხოლოდ წარმოდგენდა ამ იმიტაციას, მაგრამ ბორხესი ამგვარად არ იქცევა, ის აღფრთოვანებულია, შეპყრობილია ამ იდეით. მისი ყველაზე უფრო ხშირი ლიტერატურული ალუზია ათას ერთი ღამის რომელიაღც უცნობ გამოცემაში აღწერილი 602-ე ღამეს უკავშირდება: გადამწერის შეცდომის გამო, შეპყრუადა ახლდა და დაიწყებს მეფისთვის ათას ერთი ღამის ზღაპრების მოყოლას. საბედნიეროდ, მეფე აწყვეტინებს; ამის გარეშე 603-ე ღამე აღარადლოს დადგებოდა და რამდენადაც ეს შეპყრუადას პრობლემაა გადაჭრიდა, იმდენადვე ჩიხში მოაქცევა ავტორს (ვეჭვობ, რომ ბორხესმა ყველაფერი გამოიგონა, მის მიერ აღნიშნული ამბავი ათას ერთი ღამის არც ერთ ვარიანტში არ წერია, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. მას შემდეგ, რაც ტლენი, უკბარი, ორბის ტერციუსი ნავიკიოხე, ამას ყოველი სემესტრის დასაწყისში ვაიმონებს ხოლმე).

ბორხესის ინტერესი 602-ე ღამის მიმართ სამკეცია, ვინაიდან ესაა მოთხრობა მოთხრობაში. პირველ რიგში, როგორც ბორხესი ამბობს, როდესაც მხატვარი ნაწარმოების გამოვანილი პერსონაჟები მკითხველები ხდებიან, ხოლო თავად ავტორები - თხზულების პერსონაჟები, მსგავსი რამ მეტაფიზიკურად გვალღვებს, რადგან ყურადღებას საკუთარი რეალობის, ყოფიერების გამოვანილ ასპექტებზე ვამახვილებთ. ეს - შექსპირის, კალდერონის, უნამუნოს და სხვა ავტორების მსგავსად - ბორხესის ერთ-ერთი კარდინალური თემაა. პირდაპირსა, 602-ღამე, ბორხესის სხვა მრავალი პერნიპული ხატის ან მოტივის მსგავსად, *regresus in infinitum*-ის (რეგრესია უსასრულობაში) ლიტერატურული ილუსტრაციაა. და მესამეც: შეპყრუადას სრულიად შემთხვევითი გამბიტი, ისევე როგორც ბორხესის *regresus in infinitum*-ის სხვა ვერსიები, შესაძლებლობების - ამ შემთხვევაში ლიტერატურული შესაძლებლობების - ამონაურთის (ან ამონაურთის ცვდლობის) მაგალითია. ამგვარად, ჩვენ დაუფრუნიდით ჩვენსავე მთავარ თემას.

ნაბოკოვის ან ბეკეტის თვალთახედვისგან განსხვავებით, ჩემთვის უფრო საინტერესოა ბორხე-

სის დამოკიდებულება ლიტერატურის მიმართ. მის ერთ-ერთ რედაქტორის ლიტყვიბით რომ ვთქვათ: „ბორხესისთვის არავინაა ლიტერატურაში ორიგინალური; მეტ-ნაკლებად ყველა მწერალი ადრე არსებული არქეტიპების და სულის კვილისნდისიერი, ერთგული გადამწერი, მთარგმნელი და კომენტატორია“. ასე რომ, მისი - გამომჩინილი ნივნების კომენტატორის - ზოზიციან ნამდვილი ბიბლიოთეკარის ხედვაა! ვილაციისთვის მხატვრული ტექტის „ორიგინალის“ (მაგალითად, ტრადიციული მცირე მოთხრობის) კომენტირება, რომანზე რომ არაფერი ვთქვათ, ძალზე თავდაჯერებული, თავხედური და გულუბრყვილო ნაბიჯი იქნებოდა, რადგან ეს გზა ლიტერატურაში კარგა ხანია გაკავალულია. ლიტერატურული ოპუსის კომენტირება თავხედური გამოხდომა იქნებოდა, ცოცხალი, რელიგანტური, მეტაფიზიკური ხედვის არარსებობის შემთხვევაშიც. ეს იდეა გარკვეული თვალსაზრისით წინააღმდეგობრივია, რასაც ავტორი მოხერხებულად იყენებს ახალი, ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოების შესაქმნელად. ბაროკოს ბორხესისეული დეფინიცია შემდეგნაირად ჟღერს: ესაა „სტილი, რომელიც განზრახ ამოწურავს თავისი შესაძლებლობებს (ან ცდილობს, რომ ამოწუროს ისინი) და წააგავს საკუთარ კარიკატურას“. მაგრამ ბორხესის ქმნილება არ არის ბაროკო, წმინდა ინტელექტუალურ იდეას თუ არ ჩავთვლით (ბაროკო არასოდეს იყო ეგზოტიკური, ეკონომიური). ბორხესის ნაწარმოებები გვთავაზობენ თვალსაზრისს, რომ ინტელექტუალური და ლიტერატურის ისტორია არის ბაროკო, რომ სიახლის ყოველგვარი შესაძლებლობები უკვე მნიშვნელოვანწილად ამოწურულია. ბორხესის გამოგონილი ამბები (ficciones) არა მხოლოდ წარმოსახვითი ტექსტების სქოლიოებია, არამედ მართლ ლიტერატურის მთელი კორპუსის* პოსტკრიტიკუმსა და ეპილოგს წარმოადგენენ.

ეს დაშვება მიემართება ბორხესის მიერ გამოყენებულ ყველა ძირითად ხატს. ერთმანეთის პირდაპირ მდგარი სარკეები, მრავალჯერ რომ გვხვდება მის მოთხრობებში, ორმაგი რეგრესივია (regressus) - ბორხესის ორფულები, რომლებიც კამათობენ, ერთმანეთს ვერ უგებენ, ისევე, როგორც ეს ნაბოკოვთანაა, და თავბრუდამხვევ მრავალგვარობას გვთავაზობენ, რაც ბრაუნის რემარკას გავსენებს. „თითოეული ადამიანი მხოლოდ ერთი არსება არ არის, ადამიანების ცხოვრება კვლავ და კვლავ მეორდება“ (ბრაუნის იდეის თვალსაჩინო ილუსტრაცია იქნებოდა, რომ ის ბორხესის წინაპრად გამოგვეცხადებინა. ეს თავად ბორხესსაც ესეიამოვნებოდა. მის მიერ კავკას შესახებ დაწერილ ესეში ვკითხულობთ: „ყოველი მწერალი თავის წინაპარს თავად ქმნის“). ბორხესის ფავორიტი ერექტიკული სექტის - ჰისტორიონების** ნევრებს (ფიქტირო და ვიქმეღვებენ, რომ მან ესეც გამოიგონა) სჯეროდათ, რომ ისტორია არასოდეს მეორდება და ამიტომ ცოცხალი ცხოვრობდნენ, რათა სამყაროს მომავალი იმ ცუდი საქმეებისაგან განენმინდათ, რასაც ჩაიდენდნენ; ანუ სურდათ აოცენურათ

სამყაროს შესაძლებლობები, რომ მისი აღსასრული მალე დამდგარიყო. ბორხესი სერვანტის შემდეგ ყველაზე უფრო ხშირად შექსპირს ახსენებს; ერთ-ერთ ნაწარმოებში სიკვდილის სარეცელზე მყოფი შექსპირი ვედრებით ეუბნება უფალს, რომ აქამდე ის იყო ყველა და არავინ, ახლა კი სურს, რომ ერთი იყოს - თავად შექსპირი. ღმერთი ქარად გამოეცხადება და უპასუხებს, რომ თვითონაც არავინაა, რომ მან შექსპირის მსგავსად ნარმოიდგინა სამყარო, თავად შექსპირის ჩათვლით. ავიღოთ თუნდაც ჰომეროსის ოდისეის მეოთხე წიგნი, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ შეიპყრობს მენელაოსი პროტევსის ფაროსის კუნძულის ნაპირზე: პროტევსი „ამოწურავს რეალობის მრავალ გარეგნულ სახეს“, მაშინ, როდესაც მენელაოსი მტკიცე ნებას ავლენს - როგორც იხსენებენ, ის თავის ვინაობას და ნამდვილ სახეს მალავს, პროტევსს რომ ჩაუსაფრდეს. ზენონის აქილევსისა და კუს პარადოქსი Regressus in infinitum-ის განსხვავება, რასაც ბორხესი ფილოსოფიის ისტორიის ჩარჩოში განიხილავს და აღნიშნავს, რომ არისტოტელე ამ პარადოქსს ფორმების შესახებ ულატონის თეორიის უარსაყოფად იყენებს. ჰეიუმი ამ პარადოქსის საფუძველზე უარყოფს მიზეზშედეგობრიობას, ლუის ქეროლი - სილოგისტურ დედუქციას, უილიამ ჯეიმსი - დროის დინების იდეას, ხოლო ბრედელი - ვიკოდად, სამყაროში ლოგიკური კავშირების შესაძლებლობას. ბორხესი ხსენებულ პარადოქსს შიუენ-პაუერის ციტირებისას მოიხმობს, როგორც მტკიცებულებას, რომ სამყარო ჩვენი წარმოსახვის ნაყოფია, ჩვენი იდეაა. შესაძლებელია, ჩვენი რეალობაში „აბსურდისა და უგუნურების - თვალისთვის შეუმჩნეველი და მარადიული - ნაპრალი“ აღმოვაჩინოთ, და ეს შეგვახსენებს, რომ ჩვენი ქმნილებები არასწორი, მცდარი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ფიქტიურია. უსასრულო ბიბლიოთეკა ბორხესის ყველაზე უფრო პოპულარული მოთხრობაა, ესაა იდეა, რომელიც ყველაზე მეტად შეეხება ამოწურვის ლიტერატურას: „ბაბილონის ბიბლიოთეკაში“ ანბანის ასოებისა და ინტერვალების ნებისმიერი კომბინაციაა შესაძლებელი, შესაბამისად, ბიბლიოთეკაში მოიპოვება ყველა შესაძლო ნიგნი და განცხადება, თქვენი და ჩემი მტკიცებებისა და კრიტიკის ჩათვლით; მოიპოვება ნიგნები მომავლის რეალური ისტორიისა და ყოველი შესაძლო მომავლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ბორხესს თავის მოთხრობაში ამგვარი არაფერი უხსე-


* ავტორის შენიშვნა: მართალია, ბორხესი სხვაგან აღნიშნავს, რომ ლიტერატურის შესაძლებლობები ვერასდროს ამოწურება, რადგანაც ერთი წიგნის ამოწურვაც კი შეუძლებელია, თუმცა, მისი რემარკა ბაროკოს შესახებ, თავად ამოწურვის პილიოტურული შედეგის ამოწურვასაც გულისხმობს. გარდა ამისა, ბორხესის კარდინალური თემები და იდეები უფრო ამ ნაშრომის ოპტიმიზმის უარყოფას ნარმოადგენს, რომელიც ტლენისც სტატისტიკის რემინისცენციაცაა. ტლენში დასრულებულად არც ერთი ნიგნი არ ჩაითვლება, რომელიც თავის უარყოფას-საწინააღმდეგო ნიგნს არ მოიცავს.
** Histri n თეატრის მსახიობი (ესპ.)

ნება, ბაბილონის ბიბლიოთეკაში არა მარტო ტლენის, არამედ ლუკრეციუსის სამყაროდან მოყოლებული, ყველა სხვა წარმოსახვითი სამყაროს ენციკლოპედიის მოძიებაცაა შესაძლებელი. ელემენტების სიმრავლე, ისევე, როგორც კომბინაციების რაოდენობა, სასრულია (მიუხედავად იმისა, რომ ეს რაოდენობა ძალიან დიდია), ხოლო ყოველი ელემენტის, ისევე, როგორც ამ ელემენტების კომბინაციების განმეორება უსასრულოდაა შესაძლებელი. ეს ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკა უსასრულოა.

ყოველივე ამას ბორხესის ყველაზე საყვარელ იდეამდე - ლაბირინთამდე მივყავართ, რაც ჩემთვისაც მნიშვნელოვანია. ლაბირინთები მისი ყველაზე სოლიდური და ხშირად თარგმნილი ტომია, ხოლო ბორხესის შესახებ ინგლისურ ენაზე არსებულ ერთადერთ სრულყოფილ თანამედროვე ნაშრომს, რომლის ავტორია ანა მარია ბარენეჩა, ასე ჰქვია - „ბორხესი - ლაბირინთების შემოქმედი“. ლაბირინთი ხომ - ბოლოს და ბოლოს - ის ადგილია, სადაც, იდეაში, ყოველი არჩევანის (ამ შემთხვევაში მიმართულება იგულისხმება) ხორცშესხმა შეიძლება და - თეზვის განსაკუთრებულ შემთხვევას თუ გამოვრცხავთ - ეს შესაძლებლობა ამოიწურება, ვიდრე ლაბირინთის შუაგულს მივალნევთ. იქ უკვე მინოტავრი იცდის და, საბოლოოდ, მხოლოდ ორი გამოსავალი გრჩებათ: დამარცხება და სიკვდილი ან გამარჯვება და თავისუფლება. ლეგენდარული თეზვის არ არის ბაროკო; არიადნეს ძაფის დახმარებით მას შეუძლია უმოკლესი გზა გაიკვლიოს კნოსოსის ლაბირინთში. ხოლო, მაგალითად, ფაროსის სანაპიროზე მყოფი თეზვის ნამდვილად ბაროკოა, რომელიც ბორხესისეული სულისკვეთებით გამოხატავს პოზიტიურ არტისტულ ეთიკას ამონურვის ლიტერატურაში. მენელაოსი ფაროსის კუნძულზე თავშესაქცევად ნამდვილად არ იმყოფება; ის მსოფ-

ლიოს უზარმაზარ ლაბირინთშია დაკარგული და მედგრად უნდა შეებას მოხუც ზღვის კაცს, რომელიც რეალობის ყველა შესაძლო საშინაო სახეს ამონურავს. და როცა პროტევის თავის ნამდვილ სახეს მიიღებს, მენელაოსმა მას სიმართლე უნდა ათქმევინოს - თუ რა გზას დაადგვს. ეს გმირული საქმეა, რაც გადარჩენისკენ სწრაფვას გულისხმობს. გაეჩხვით, რომ ჰისტორიონების განზრახვა ისტორიის მწყობრი სვლის დარღვევაა და მათ სურთ, რომ იესოს მეორედ მოსვლა დააჩქარონ, ხოლო შექსპირის გმირული მეტამორფოზები თავის აპოკავს არა მხოლოდ ღმერთის გამოცხადებისას, არამედ აპოთეოზისას აღწევს.

დაბოლოს, რა თქმა უნდა, ყველა მოხუცი როდი გამოდგება ამ საქმისთვის; კრეტის ლაბირინთიდან გამოსული თეზვის ბორხესის ანარეკლია. ჩვენთვის, ლიბერალი დემოკრატიებისთვის, სამწუხარო შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ, ვაგლახად, უზრალო ადამიანებს ყოველთვის დაებნევათ გზა; ყოველთვის დაკარგავენ თავიანთ სულებს; მხოლოდ რჩეულებს, ვირტუოზებს, თეზვის მსგავს გმირებს, რომლებიც უპირისპირდებიან ბაროკოს რეალობას, ისტორიას, ხელოვნებას, არ სჭირდებათ ბაროკოს შესაძლებლობების ამონურვა, ისევე, როგორც ეს არ სჭირდება ბორხესს ტლენის ენციკლოპედიის ან ბაბილონის ბიბლიოთეკაში დაცული ნიგნების შესაქმნელად. ბორხესს მხოლოდ სჭირდება, რომ იცოდეს მსგავსი შესაძლებლობების არსებობის შესახებ, აღიარებდეს მათ, და განსაკუთრებული ნიჭის დახმარებით, რაც გმირობასა და ნმინდანობასავით უჩვეულოა (ნაკლებ სავარაუდოა, რომ მსგავს ადამიანს ნიუ-იორკის პირდაპირ საფოსტო-სარეკლამო ლიტერატურულ სკოლაში შეხვდეთ), განვლოს ლაბირინთი და დაასრულოს თავისი ქმნილება.



ჰანს ულრიხ ობრისტის / აი ვეივის

რეტროსპექტივა

თარგმნა მიხეილ ციხელაშვილმა

ვალდართ, რომ პოსტმოდერნულმა ხელოვნებამ მთელი მსოფლიო დაგველა. იყო მომენტები, როდესაც გვაპამპულავა კიდევ და თავი უმეცრებად გვაგრძობინა. აბა როგორია, იდგე გალერეაში, რომელიმე ნიმუშს უყურებდე, ტვინს იჩყლეტდე იმაზე, თუ რისი თქმა სურს აბით ავტორს და რამდენიმე ინტერპრეტაციის შემდეგ - თუკი საერთოდ ინტერპრეტაციის საშუალება მოგვეცა ნიმუშმა - ვიგებთ, რომ თურმე ის, რასაც ჩვენ ვუყურებთ, მხოლოდ და მხოლოდ ავტორის პირადი განცდაა, პირადი გამოცდილება, რომელსაც დიდი მანსია, რომ ვერასოდეს გავიზიარებთ. ამიტომაც მიმარჩნია, რომ პოსტმოდერნიზმმა ჩვენს თვალში მოივსახუნა კარი, როდესაც პოსტმოდერნულ სიტუაციაში ჩამოყალიბებული არტისტები იმდენად ეგოისტები გახდნენ, რომ რეციპიენტები სრულიად გადაგვივინყეს. არადა, ფულის შოვნა და პოპულტურის ნაწილად ქცევა ყველას უნდა! ამიტომაც არის ორმაგად საინტერესო ისეთი არტისტის აღმოჩენა, რომელმაც პოსტმოდერნისტულ ხელოვნებას სოციალური და პოლიტიკური შინაარსი შესძინა და გახადა ის იმაზე უფრო სახალხო, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

„ხელოვნებას მაშინ აქვს ყველაზე დიდი ძალაუფლება, როდესაც ის ჩვეულებრივ ადამიანებს უკავშირდება“ - ეს აი ვეივის სიტყვებია, ჩინელი ხელოვანის, რომელმაც უამრავი წანის მთავარი თემა თუ უამრავი ჟანრი თვალდამოკრებ, ჯერაც ვასარკვევია. მისი ინსტალაცია პერფორმანსს ჰვავს, არქიტექტურა-ქანდაკებს, ყველაფერი ეს კი მისი კომენტარია წარსულსა და თანამედროვეობაზე. მან ასე შეძლო უნიკალურად, ყველასათვის გასაგებად დაეკავშირებინა წარსული და აწმყო თავის შემოქმედებში. მომავალზე კი არაფერს ამბობს, სასაცილოდ ეჩვენება რაღაცეების წინასწარმეტყველება.

ხელოვნების მთავარ დანიშნულებად აი ვეივის საზოგადოებრივი სიმართლისა და ადამიანად ყოფნის უმთავრესი პრინციპების ერთგულება მიიჩნევს. მისი აზრით, ხელოვნება კომენტარია ყველაფერზე და თუკი ის ამ ფუნქციას დაკარგავს, მაშინ აღარსადაა მისი ადგილი. ამ გაშუდმებული კომენტარების გამო, რომ იგი დღეს სახელოვნებო სამყაროს უიშვიათესი წარმომადგენელია - რეპრესირებული ხელოვანი. მას დამოუკიდებელი ხელოვნება დაუფარავად ებრძვის ჩინეთის მთავრობა, თუქცა ვეივი დღემდე რჩება თანამედროვე არტ-სცენის ყველაზე ძლიერ დამრტყმელ ძალად. მიუხედავად იმისა, რომ მისი ხელოვნება არ არის გაყიდვადი - რამეთუ ვერ აკმაყოფილებს კოლექციონერთა მიერ დანესებულ კრიტიკუმებს - ის მინაც მოთხოვნადია, რადგან აი ვეივი ხალხსაც სჭირდება და ხელოვნებასაც.

2008 წელს ჩინელმა არტისტმა თავის განუხორციელებელ პროექტად გაქრობა დაასახელა, როგორც ყველაზე ადამიანური სურვილი. 2011 წელს კი აი ვეივი გაქროა. შეუძლებელია სხვა რამ ვუნოდოთ იმ პერიოდს, როდესაც 81 დღის განმავლობაში აი ვეივი ჩინეთის მმართველ პარტიას ჰვავდა დაპატიმრებული და თან ისე, რომ მასზე არავის არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა. გიაროს საფუძველზე გათავისუფლებული ხელოვანი - გიაროს აბსურდულად დიდი გადასახადი კი მას ხალხმა გადაუხადა - დღეს კომუნიკაციას არის მოკლებული. მას ჩინეთის დატოვების უფლება არ აქვს, რითაც მოჭრილი აქვს მთავარი გზა - დაუკავშიროს ხელოვნება მსოფლიოს „ჩვეულებრივ“ ადამიანებს. მაგრამ აი ვეივის არ შეუძლია ჩუმად იყოს. იგი დღესაც იბრძვის.

ეს ინტერვიუ აივ 2008 წელს ჩანერა შევიცარიელ ჟურნალში ჰანს ულრიხ ობრისტთან. ის ჯერ Phaidon Press-ში გამოქვეყნდა 2009 წელს, შემდეგ კი Penguin Books-მა შეიტანა ნივნში „AI WEIWEI SPEAKS with Hans Ulrich Obrist“ (2011). ინტერვიუში მკითხველის თვალწინ იშლება ვეივის ცხოვრება და მსოფლმხედველობა. მისი წაკითხვით დავინახავთ, თუ როგორ გარემოში უწევდა ცხოვრება ჩინელ არტისტს, რა მძიმე თუ დაღებნილი პერიოდი ედგა მის ხელოვნებას და რამ ჩამოყალიბა იგი „ბრუნდად მათთვის, ვისაც ფიქრი შეუძლია“.

გაიცანით აი ვეივი, სანამ კიდევ ერთხელ - ვინ იცის, საბოლოოდ - გამქრალა!

ჰანს ულრიხ ობრისტის: პირველ რიგში, თქვენს ბავშვობაზე მოგვიყვით.

აი ვეივი: დავიბადე 1957 წელს. მამა - აი ჩინი - პუტი იყო. პატარა ვიყავი, როდესაც თავისი ტექსტების გამო მკაცრად გააკრიტიკეს და გობოს უღაბნონი - ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთით - გადასახლებით დასაჯეს. ასე რომ, ბავშვობის 16 წელი სინძონის პროვინციაში გავატარე, ჩინეთის უკიდურეს ჩრდილოეთში, რუსეთის საზღვართან. ძალიან მძიმე

და მკაცრ პირობებში გვიწევდა ცხოვრება. ამას გარდა, იქ განათლების კერაც კი არ არსებობდა. მაგრამ კულტურული რევოლუციის დროს მომიხია ცხოვრება და უზარალოდ იძულებული შევიქნე მუდმივად გამეგარჯიშებინა ხოლმე გონება ყველაფრის გაკრიტიკებით - დანყებებული საკუთარი თავით - დამთავრებული მაო ძე დუნის, კარლ მარქსის, ლენინის და ეგვთი ტიპების პოლიტიკური სტატიებით. როცა ბელადი მაო მოკვდა, პეკინის კინოაკადემიაში შევედი სას-



ნაელებლად.

როგორც ასხენეთ, სინძიანის პროვინციაში უკიდურესად მკაცრ პირობებში ცხოვრობდით, განათლების კერაც კი არ გქონდათ იქ, მაგრამ შეუძლებელია, რომ ისეთი ექსტრაორდინარული პოეტისგან, როგორც მამათქვენი იყო, რაიმე არ გესწავლათ. მოგვიყვით, თუ როგორი ურთიერთობა გქონდათ აი ჩინთან.

მამა ხელოვნების დიდი მოტრფიალე იყო. განათლება პარიზში მიიღო 1930-იან წლებში, სადაც ძალიან კარგ მხატვრად ჩამოყალიბდა, მაგრამ დაბრუნდა თუ არა ჩინეთში, გუომიტანელებმა! მაშინვე შანხაის ციხეში უკრეს თავი. სამი წელი იყო საპატიმროში, სადაც, ბუნებრივია, არანაირი პირობები არ ჰქონდა, რომ ესაბა, თუმცა აპოლინარის, რემბოს, ბოდლერის და სხვა ფრანგი პოეტების გავლენით წერა დაინწყო და დროთა განმავლობაში თანამედროვე „ენობრივი პოეზიის“ ერთ-ერთი უმთავრესი წარმომადგენელიც გახდა. მაგრამ ამ დროისთვის უკვე ვეღარ წერდა, რადგანაც კომუნისტურმა პარტიამ მისი შემოქმედება ანტირევოლუციურად, ანტიკომუნისტურად, ანტისახალხოდ მონათლა, რაც მაშინ დიდ სასჯელს ითვალისწინებდა. კულტურული რევოლუციის პერიოდში, მამა მძიმე შრომით დასაჯეს და ჩინეთის სოფლებში გადაასახლეს სამუშაოდ, სადაც იძულებული იყო ყოველდღე საზოგადოებრივი ტუალეტები ეწვთათვისინებდა. ზედმეტად მკაცრი სასჯელი იყო იმისათვის, რაც მან გააკეთა. თანაც იმ პერიოდში 60 წლის ხდებოდა და ცხოვრებაში არასოდეს ჰქონია ისეთ სამსახურში მუშაობის გამოცდილება, რომელიც მძიმე ფიზიკურ გარჯას მოითხოვდა. ხუთი წლის განმავლობაში ერთი დღეც არ დაუსვენია. რომ

შეესვენა, მეორე დღეს გაორმაგებულ სამუშაოს დაახვედრებდნენ, რასაც ფიზიკურად ნამდვილად ვერ გაუმკლავდებოდა. მაშინ პატარა ვიყავი და დახმარება არ შემეძლო, თუმცა ხშირად მოვინახულებდი ხოლმე და ვუყურებდი, როგორ მუშაობდა: პირნმინდად მოაკრიალებდა ერთ ტუალეტს და გადავიდოდა შემდეგზე. ხუმრობით მეტყვოდა ხოლმე: „ იცი, ადამიანები სულ ჯვამენ და ჯვამენ, არასოდეს ჩერდებიან!“ აი, ეს იყო ჩემი ბავშვობისდროინდელი განათლება.

ლიტერატურასა და ხელოვნებაზე არ საუბრობდით ხოლმე?

კი, ხშირად ჰქონდა მსგავსი საუბრების სურვილი. სამწუხაროდ, მისი წიგნების დანვა მოგვიხდა, რადგან შეიძლება უარეს შარში გახვეულიყო მათ გამო. ღმერთი ჩემო, რომ იცოდეთ რა წიგნები დავწვივით! ლამაზი, მაგარი გარეკანებით - მთელი ცხოვრება რომ აგროვებდა - ულამაზესი სამუზეუმო კატალოგები. მხოლოდ ერთი წიგნი ვაძარჩა - ფრანგული ენციკლოპედია - და იმ წიგნს ჩაჰკირკიტებდა მუდამ. სულ რაღაცეს ინიშნავდა იქიდან. საბოლოოდ რომის ისტორიაც დავეინერა იმ ფრანგული ენციკლოპედიიდან. ხშირად გვაზეპირებინებდა მაშინდელ რომაულ ისტორიებს - ვინ ვინ მოკლა და მსგავსი ამბები. წარმოიდგინეთ, გობის უდაბნოში რომის ისტორიის მოსმენა - ნამდვილი სიგიჟე იყო! ამ პერიოდში ჯანმრთელობაც გაუუარესდა - კვების ნაკლებობის გამო, ცალ თვალი მხედველობა დაკარგა - მაგრამ მაინც არ გატყდა. ხელოვნებაზე საუბრებს ძველებურად ავრძელებდა, იმპრესიონისტებზე გველაპარაკებოდა ხოლმე. უყვარდა რენუარი და როდენი. მოდერნისტულ პოეზიაზეც ხშირად გვისაუბრია.



მოგვიანებით თუ მიუბრუნდა შემოქმედებით ცხოვრებას?

1980-იანებში შეღახული რეპუტაცია აღიდგინა და ისევ პოპულარული გახდა. მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარედ დაინიშნა და წერას ისევ მიჰყურებდა. თუმცა სრულიად განსხვავებულ ლიტერატურას ქმნიდა, თითქოს უფრო ახალგაზრდა კაცი გამხდარიყო, ვიდრე სინამდვილეში იყო. მისი ლიტერატურა აბსოლუტურად ახალგაზრდული იყო. ძალიან ენებიანი გახლდათ შემოქმედების მიმართ. და ზოგადად, ძალზე დასაფასებელი კაცი იყო.

როდის გარდაიცვალა?

1996 წელს, 86 წლის ასაკში. მისი ავადმყოფობის გამო მომიხდა აშშ-დან დაბრუნება.

პროვინციაში გაზრდილი ბიჭი, ოცი წლის ასაკში პეკინში ჩავვედით და სკოლაში შეხვედით. ამ პერიოდზე მოგვიყვით რამე.

დაიხ, ეს ბელადი მაოს სკვილის შემდეგ მოხდა. ამ პერიოდიდან ის მახსენდება, რომ რამდენიმე წლით ადრე ნიქსონმა ინახულა ჩინეთი და თავისი თვალით იხილა, რომ შეუძლებელი იყო კაცი აქ რეჟიმს გადაჩვენოდი. კარგად მოგვხსენებათ, თუ რაოდენ დიდ მტრად იყო იმ დროს აშშ შერაცხული, თუმცა მე მიმაჩნია, რომ ერთადერთი საფრთხე ჩინეთს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთისგან ემუქრებოდა - იმ დიდი დათვისგან, ჩრდილოეთიდან რომ გვანეცხ. ჩინელები და რუსები არასოდეს ენდობოდნენ ერთმანეთს და ალბათ ეს მაშინაც გაცნობიერა თავის დროზე, როცა ამ „პინგ-პონგის დიპლომატიამ“ ჩაერთო - ვგულისხმობ კისინჯერის და ნიქსონის ვიზიტის შედეგებს. აიის მერე იყო 1976 წლის ტანშანის მიზისიდან, საშინელება, რომელმაც ერთ დამეში 300 000 ადამიანი იმსხვერპლა. იმავე წელს მაოც გარდაიცვალა და მისი სამი დიდი ხელქვეითიც წავიდა იმ ქვეყნად - ჯოუ ენლია და კიდევ სხვა ორი. აი, მაშინ დაყარა ჩინეთს: იდეოლოგიამ კოლაფსი განიცადა, ბრძოლა ჩაფლავდა და ხალხმა აღარ იცოდა რა გზას დასდევდნენ. ერთგვარი პოლიტიკურად ცარიელი ზონა გახდით. ამ პერიოდში მომიწია უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებაც. გარკვეული ხანი დევთავი პეკინში, სადაც მამასაც ვაპრონოზობდი თვეულ მკურნალობის პერიოდში. სწორედ მაშინ დაიწყო ჩემი პირველი ნახატების შექმნა. მიუზი ის იყო, რომ მსურდა საზოგადოებას, მასას გავცეკოდი და ვარჩე მეტი დრო ხელოვნებისთვის დამეთმო. თანაც შესანიშნავი მანსი მქონდა ბევრი რამ მესწავლა მამაჩემის სამეგობროსგან.

ვიც იყვენ ეს ადამიანები?

„ქვეყნის მტრები“ - როგორც მამაჩემი. ბევრი მათგანისთვის თავის დროზევე დაიხურა ყველა სასწავლებლის კარი, რადგან რაღაც-რაღაც კატეგორიებს მორაგო რეჟიმმა და ჩემი სტუდენტობის დროსაც კი საზოგადოებისთვის საშიშვლად იყვენ მიჩნეულები. პოლიტიკურად ჯერ კიდევ არ იყვენ რეაბილიტირებულები. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ძალიან განათლებული და მკოდენ ხალხი იყო, პროფესორები, კარგი ხელოვანები, ადამიანები, რომლებმაც უდიდესი გავლენა იქონიეს ჩემზე.

1970-იან წლებში - თქვენი სტუდენტობის პერიოდში - თუ გკონდათ წვდომა იმ ხელოვანების შემოქმედებასთან, საიდანაც ფიქრობთ, რომ უნდა

ნამოსულიყო ის გავლენა, რაც ახალგაზრდობას სჭირდებოდა? თუ შეიძწნოდა რაიმე სახის ინტერესი დასავლური ხელოვნებისადმი, ილუსტრირებული ნიგნები თუ იმოყვებოდა?

ინტერესი იყო, მაგრამ მთელ ჩინეთში ალბათ ერთ ნიგნსაც კი ვერ იმოივით. კარგად მახსოვს პირველი მსგავსი ნიგნები როგორ მივიღე: იყო ასეთი კაცი, ძიან შენ ი - ხელოვნების შესახებ რამდენიმე ილუსტრირებული ნიგნის მთარგმნელი - რომელიც გერმანელ ქალზე იყო დაქორწინებული და მსგავს გამოცემებზე ხელიც მიუწვევებოდა. როდესაც ეს კაცი შემეხვედა, თავიდანვე შემამჩნია, თუ რა ძლიერ მიყვარდა ხელოვნება, ჰოდა, თავისი ნათარგმნი ნიგნები მაჩუქა: ვან გოგზე, დეგაზე, მანეტა და კიდევ ვიღაც ჯასპერ ჯონსზე, რომლის შესახებ მაშინ ვაგონებოდიც კი არ მქონდა. მართალია, ეს ნიგნები მალევე გახდა ჩემთვის ძალიან ძვირფასი, მაგრამ დაინტერესება იმხელა იყო, რომ სახლში ვერ გამოვამწყვდეული. მთელი პეკინის ვიწრო, სახელოვნებო წრეები მოვატარე. ყველამ ნაიკითხა ეს ეგზემპლარები. იმპრესიონისტები და პოსტიმპრესიონისტები ძალიან მოგვწონდა, მაგრამ, უნდა ვაღიარო, მაშინ ჯასპერ ჯონსს ვერაფერი გაუფეცი. ერთმანეთს ვეკითხებოდით, თუ რა ჯანდაბას ხატავდა ეს კაცი, რას ნიშნავდა მისი ხელოვნება, ამერიკის დროშა იქნებოდა ეს, რუკა თუ სხვა რამ.

რა ბედია ენია იმ ნიგნს საბოლოოდ?

მაშინვე ნაგავში გადავუძახებთ, რადგან იმ განათლებიდან გამომდინარე, რაც მაშინ სასწავლებლებიდან გვექონდა მიღებული, მსგავს ხელოვნებაზე წარმოგვენახაც კი ვერ შევიქმნიდი. კულტურული რევოლუციის დროს ხომ საერთოდ არც არსებობდა საუნივერსიტეტო განათლება. სტუდენტები მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტურ წესებს ემორჩილებოდნენ და სვე ცხოვრობდნენ, რუსულ სკოლაში.

როგორ, არანაირი ცნობები არ იყო მაგალითად მარსელ დიუშანზე ან ბარნეტ ნიუმენზე?

არანაირი! კუბიზმის შემდეგ საერთოდ არაფერი ისწავლებოდა. შიკასო და მატისი იყვენ ჩვენი უკანასკნელი გმირები.

პირდაპირ გასაოცარია! როდესაც ასეთი შეხედული განათლება იყო და ინფორმაციაც არსადაც შემოდოდა, არც ნიგნები იმოყვებოდა, სწორედ მაშინ, 1970-იანი და 1980-იანი წლების მიჯნაზე, მოიკვდა ფეხი იმ მძღავრმა ჩინურმა ავანგარდულმა ხელოვნებამ, რომლის პროტაგონისტებიც იყავით. რა ხდებოდა ასეთი იმ დროს, ჯერ კიდევ უამრავი სირთულის, ზენოლის, შევიწროებული პერიოდში? როგორ ჩამოყალიბდა ისეთი საოცარი თაობა ჩინეთში, როგორც ეს 60-იანების ევროპასა და ამერიკაში იყო, როდესაც დასავლურ ხელოვნებას ეყვარ ხელში სადავეები - ენი უორპოლს, გოზეუ ბოისს და სხვ.

მიხარია, რომ ამ თემას შეხვით. ჩვენ ის თაობა ვართ, რომელიც „რკინის ფარდას“ და იმ პერიოდის კომუნისტურ ზენოლას ყველაზე მტიკვენულად გვძნობდა. ჩვენ ვიცავით თოიექტები იმ საშინელი წიხებისა, დაუფარავად რომ ილაშქრებდა სუამინში-სა და ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ. ყველაფერ არაინურზე ისეთი დიდი ცენზურა მოქმედებდა, რომ დღეს ჩრდილოეთ კორეაშიც კი არ არის ამ მხრივ

ასეთი მიმდევრული სიტუაცია. მაგალითისთვის გეტყვით, ერთდროული პოეტი, რომლის დეკლამირებაც შესაძლებელი იყო, მათ დედუნი გახლდათ. ყველა გაზეთი მხოლოდ მაიზე ან მაის სიტყვებს წერდა. ყველა საკლარო თანხანი მაის ფოტო ეკიდა. მაგრამ ყველამ კარგად ვიცოდით იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა 1920-იანი და 1930-იანი წლების ჩინეთში, თუ რისთვის იბრძოდნენ ჩვენი მამები - თანამედროვე, მოდერნისტული ჩინეთისათვის, მისი დემოკრატიისთვის და მეცნიერული წინსვლისთვის. და სწორედ 1970-იან და 1980-იან წლებში დაფიქრდით ჩვენი უახლესი ისტორიის ამ ეტაპზე, გავაცნობიერეთ, რომ ჩვენი დროის ჩინეთში არ არსებობდა არათუ გამოხატვის თავისუფლება, არამედ ზოგადად თავისუფლების შეგრძნებაც კი. ამის გააზრება ნამდვილი ტრაგედია იყო. და სწორედ ამიტომ, ახალგაზრდებმა დაიწყეს პოეზიის შექმნა, უფროსების გამოცემა, რომლებიც დემოკრატიულ აზროვნებას უწევდა პროპაგანდას. თითქოს ყველანი ერთბაშად მოვედით აზრზე, ახალგაზრდობის უფლებივით ვიყავით და ყველამ ერთად ვიგრძინეთ ის პასუხისმგებლობა, რაც გვეკისრებოდა - ყველას გვებრძოლა საკუთარი, პირადი თავისუფლებისათვის. ხატოვანად რომ თქვა, გაზაფხული დავიდგა! ყველაფერს ვკითხულობდით, რაც კი ხელში ჩაგვივარდებოდა და შემდეგ მეგობრებში ვავრცელებდით ამ ტექსტებს. მაშინ სად იყო ასლის გადაღმები მანქანები?! სოდა, ჩვენი დაუზარებლად, ხელთ გადავწვდით ხოლმე თლიან ტექსტებს და ისე ვავრცელებდით სამეგობროში. კარგად ვიცოდით, რომ ინფორმაციის ნაკლებობას ვანიჭებდით, მაგრამ იმდენად დიდი იყო ენება ხელოვნების სიყვარულისადმი და სრულიად ახალი, რაციონალური პოლიტიკური შეხედულებებისადმი, რომ თავს არ ვზოგავდით, ყველაფერს ვაკეთებდით, რაც შეგვიძლია. მაშინ გავაცნობიერეთ ყველამ, რომ ასეთი ძალისხმევით, დემოკრატიული ჩინეთისთვის შეგვექმლო მიგვეღწია.

მეც ყოველთვის მქონდა განცდა, რომ სწორედ თქვენ იყავით ახალი ავანგარდული მოძრაობა. სად ხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს ეს ადამიანები? სკოლაში, ბარში?..

გვექონდა კედელი, რომელსაც «დემოკრატიის კედელს» ვეძახდით. ზედ ყველანი ჩვენს მოსაზრებებსა და სხვადასხვა ციტატებს ვანერდით. სწორედ ამ კედელთან იყო ჩვენი თანამყარის ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის მოსახლეობა მაშინაც წარმოუდგენლად მაღალი იყო, ამ ამბებში ჩართული მაინც ძალიან ცოტანი ვიყავით - ასი ადამიანი არც კი! ყოველ ღამით ოც-ოცდაათი ჟურნალს ვებჭდავდით ხოლმე და ამ კედელზე ვაკრავდით.

თავადაც მიგიღიათ მონაწილეობა ჟურნალის შექმნაში?

არაერთხელ. ხელთ ვხატავდით ხოლმე ჟურნალის გარეკანებს. ერთხელ იმ დროისთვის საუკეთესო ჩინელი პოეტის პორტრეტიც დავხატე ჟურნალზე. მერე და მერე, წიგნების გამოცემაც დაიწყეთ, მაგრამ 1980 წელს, როდესაც ქვეყნის სათავეში დედ სიაოპინის მთავრობა მოვიდა, ჩვენმა მოძრაობამ დიდი დარტყმა იწვნია. სიაოპინმა ჩვენს კედელს ბრძოლა გამოუცხადა, რადგან მას საზოგადოებრივი ცვლილების ემინოდა, მით უმეტეს, რომ ხალხს თავადაც სურდა ცვლილება, უბრალოდ კომუნისტების გაკიცხვა აზ-

რად არავის მოსდიოდა.
და ამ დროს დაიწყეთ თქვენი სახელოვნებო მოღვაწეობა?

დიახ, სწორედ ამ დროს დაიწყეთ აქტიურად ხატვა. უამრავ ჩანახატს ვაკეთებდით ყოველდღე. თვეებიც კი გამართავთ რკინიგზის სადგურზე, სადაც გამეფლებს ვხატავდით. მაშინ არც სამხატვრო სკოლა იყო და არც არაფერი მსგავსი დაწესებულება, ამიტომაც ჩემს თავს დავაჯერე, რომ იქ, სადგურზე მქონდა საშუალება მეხატა ადამიანები. მართლაც ასე იყო, ერთგვარი მოდელები იყვნენ ეს ადამიანები ჩემთვის.

ახლაც გაქვთ ეს ნახატები შემორჩენილი?
მე მგონი, დედაჩემმა ნაგავში გადაყარა ეს ნახატები. იცით, იმ დროს სულაც არ ითვლებოდა მხატვრობა პრესტიჟულად! და არც სადგურზე დგომას მინონებდნენ. ხშირად ზოოპარკშიც მივდივარ ხოლმე და ცხოველებს ვხატავდი. ასე ვინცები ჩემს შემოქმედებით ცხოვრებას.

როგორ იყო თქვენი პირველი ნახატები?
უმეტესად პეიზაჟები ვხატავდი, ედვარდ მუნკის სტილში. მქონდა პოლ სეზანის გაღვნილი დახატული პეიზაჟებიც. ახლაც რომ შეგახედათ, მაშინვე მიხვდებით ამას. დასავლური ხელოვნებისკენ მეჭირა თავა. მასხოსეს, რომ სკოლაში გატარებული ბოლო სასწავლო წლის დამთავრებისას, ხელოვნების მასწავლებელს ყველა სტუდენტზე უნდა გამოეთქვა გარკვეული მოსაზრება, კარგი თუ ცუდი, მაგრამ მე განზრახ დამაიგნორა, ჩემზე სიტყვაც არ დასცვივინა.

თქვენ თქვენს სამყაროში დაფრინავდით და მაგიტომ.

ზუსტად! ჩემთვის ვიყავი, ჩემს სამყაროში. სკოლა არც კი დამიმთავრებია. სასწავლებელი მანამ მივატოვე, სანამ ხარისხს ავიღებდი. 1981 წელს აშშ-ში გავემგზავრე.

რამ გიბოძათ ამერიკაში წასვლისაკენ?
წავდი იმიტომ, რომ რაღაც სულელური ბრალდებით, ჩემი ზვერი თანამებრძოლიც დააპატიმრეს - რომ აღარაფერი ვთქვათ დემოკრატიული მოძრაობის ლიდერებზე. ყველას დასავლეთის ჯაშუშობა დასწამეს. წარმოიდგინეთ რა ნონსენსია! და ამის გამო ხალხი 13 წლით ჩასვეს ციხეში. მეც და სხვა ჩემებმა ახალგაზრდებმა შოკში ვიყავით, უნდა ვაღიარო, გვეშინოდა კიდევ, რადგან ყველაფერმა, რისთვისაც ვიბრძოდით, კრახი განიცადა. საბოლოოდ მივედი იმ დასკვნამდე, რომ ასეთ ერს მომავალი არ გააჩნდა და ამიტომ დავტოვე ჩინეთი. გარდა ამისა, ყოველთვის მიმჩნდა, რომ ნიუ-იორკი თანამედროვე ხელოვნების დედაქალაქი იყო და სულ მინდოდა მისი წაწილი ვყოფილიყავი. მასხოსეს, როდესაც აეროპორტში მივდიოდით, დედამ მკითხა ის მაინც თუ ვიცოდი, რის გაკეთებას ვაპირებდი ამერიკაში ინგლისურის არმცოდნედ და უფული სტუდენტის - ჯიბეში მხოლოდ 30 დოლარი მედო. მე კი დარწმუნებით ვუპასუხე, რომ იქ მივდიოდი, სადაც ჩემი სახლი იყო. ყველა ნერვიულობდა ჩემზე: მშობლებიც, კლასელებიც. წასვლიას ვუთხარა, რომ იქნებ ათ წელიწადში ახალი სიკავასო დაგიბრუნდეთ-მეთქი და, რა თქმა უნდა, ამაზე ზვერი ვიცინებ. კარგად ვცნობიერებდით იმას, რომ ძალიან ნაივური ხელოვნები ვიყავი, მაგრამ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების ისე ძლიერ მწამდა, რომ ვიცოდი, მიზნებს აუცილებლად მივაღწევდი.

მაშინ, როცა ამერიკაში ჩახვედით, ალბათ სრულიად სხვა სახელოვნებო ტენდენციების მომსწრე ვახდით. იმ დროს ხომ ნოეექსპრესიონიზმისა და ნოეფიგურატივიზმის ბუმი იყო! როგორ შეაბიჯეთ ამ უცხო ნიუ-იორკულ სამარაოში?

პირველ რიგში ინგლისურის სწავლა დაიწყე. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ 24 წლის ვიყავი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ნიუ-იორკი იყო ჩემი პირველი და ბოლო გაჩერება, მე ამ ქალაქში უნდა მეცხოვრა სიცოცხლის ბოლომდე. როცა ინგლისური დამაკმაყოფილებელ დონეზე შევისწავლე, პარსონის სახელობის დიზაინის სკოლაში შევედი სასწავლებლად. მაშინ ნავიტიხე ნიკონი „ენდი უორჰოლის ფილოსოფია“, რომელმაც მიმიზღვრა იმით, რომ ძალიან მარტივი ენით იყო დაწერილი და ყველაფერი ნათელი, გასაგები იყო. მოვივინებთ, როგორც ტყევიანა, ამ წიგნებზე ამოვედი. ამ წიგნისა და ჩემი მასწავლებლის, შონ სქალის დამსახურება იყო, რომ სრულიად ახალ ეტაპზე გადავედი. შონ სქალი ჯასპერ ჯონსის დიდი თავყანისმცემელი გახლდათ. ისე დაეინფიჭა, რომ პარსონის სკოლაში შესვლის პერიოდში, ჯონსს გამოფენა ჰქონდა ლეო კასტელის გალერეებში და მის ხელოვნებას ხელახლა შევხიარე. შონის გამოისახიერებას ჯასპერ ჯონსის დიდი მოყვარული გავხდი და ამან გზა გამისწავა უკეთ აღმეკვა მარსელ დიუსანი, რაც თავის მხრივ დამეზმარა იმაში, რომ მალე სრულიად გავშინაურდი მოდერნისტული და თანამედროვე ხელოვნების ტენდენციებში. ძალიან კარგად მაგონდება ეს პერიოდი - ჩემი ემოციები, ის ყველაფერი, რაც მაშინ ნიუ-იორკში ხდებოდა. როგორც ასხენე, მაშინ ნოეექსპრესიონიზმის ბუმი იდგა. მეც მიხვდა მისი შესწავლა. ვალდებული ვიყავი გალერეებში მეგლო. უამრავი სახელოვნებო მიმდინარეობა იჩენდა თავს, ერთგვარი დომბალი იყო. შენ თვითონვე უნდა გარკვეულიყო შენ თავემი, თუ რა სტილის ხელოვნად გასურდა ყოფილიყო. რალა დაგიძალით და დიდად არასოდეს მიზიდავდა ნოეექსპრესიონიზმი. მე ყოველთვის იდეების კაცი ვიყავი და ამიტომაც კონცეპტუალიზმი⁹ და ფლუიდას¹⁰ მომწონდა. ამავე დროს, ასპარეზზე ჯეფ კუნსი¹⁰ და მისთანები გამოვიდნენ, თავიანთი ახალი მიდგომით ხელოვნებისათვის. კარგად მახსოვს კუნსის პირველი გამოფენა, მთელი თავისი კალაბურთის ბურთებით და აკვაროშებით. ჩემს სამეზობლოში, ისტ ვილიჯში ხდებოდა ეს ყველაფერი. მასხოვს ძალიან მომეწონა კუნსის კალაბურთის ბურთების სერია და გაცილებული ვიყავი, როდესაც ეს ნიმუშები ძალიან დაბალ ფასში გაიყიდა, სულ რაღაც 3000 დოლარად.

როდის დაიწყეთ ქანდაკებასა და ინსტალაციებზე მუშაობა?

ჩემი პირველი ქანდაკება 1983 წელს შექმენი - თუკი საერთოდ შესაძლებელია იმას ქანდაკება ვუწოდოთ. მოვივინებთ სხვადასხვა მუხა მასალაზე ჩაერთე, მაგალითად ტანსაცმლის საკიდი დიუშაისის პროფილში¹¹, ვილინიოები¹², პრევენტივატივები და სამხედრო სამოსი¹³. ეს უკანასკნელი უსაფრთხო სექსის თემატეკაა მიუძღვნება, რადგან მთელი საზოგადოებაში მიდისადმი დიდი შიში იყო გაბატონებული. ხალხს უკვე გაცნობიერებული ჰქონდა, თუ რა დავადავებო იყო, მაგრამ არ ჰქონდა საკმარისი ცოდნა მის შესახებ, ამიტომაც უნებნადა მისი. მერე, სურვილი

გამიჩნდა ყოველდღიური ნივთების გამოყენებით მუშაობა - მარნდ დიუშაისა და დადაიზმის გავლენით - მაგრამ ბევრი არაფერი შემეძენა მსგავსი. მათგან ახლა ძალზე ცოტა თუა შემორჩენილი, რადგან ყოველ ჯერზე, როცა საცხოვრებლის შეცვლა მიწვედა - და ეს ათჯერ მაინც მოხდა - ძველი ნამუშევრების უმეტესობას ვეღარიდი ხოლმე.

თქვენი „ვილინიო“ ძალიან საინტერესოა, პირდაპირი კავშირი აქვს სიურრეალისტურ ხელოვნებასთან. კიდევ არსებობს?

ღიახ, ისევ არსებობს და სიურრეალიზმთან კავშირშიც არის. ძალიან სახალისოც არის ამავედროულად - ეს ერთგვარი კომენტარია ძველ დროულ დღევანდელობაში.

მართალია სკულპტურაზე გადაერთეთ, მაგრამ ჯერ ისევ ხატავდით იმ პერიოდში, ვკულისხმობთ თქვენ მიერ შესრულებულ მათ ძედუნის პორტრეტებს¹⁴. საბოლოოდ როდის შეწყვიტე ხატვა?


სწორედ მაგ ნახატების შემდეგ. დაეხატე მასი სამი პორტრეტი და ეს იყო ჩემი ერთგვარი გამოთხოვება აქველ ცხოვრებასათა.

თუმცა ჩანახატებს ისევ აკეთებთ. ეს თქვენს სტილიანობაც შეინარჩუნებთ.

ჩანახატებს მუდმივად ვაკეთებდი. ეს ჩემთვის ვარჯიშის გარდა ისიც იყო, რომ ვინიშნავდი სამყაროს პატარ-პატარა დეტალებს და დიდ სიამოვნებას ვიღებდი ამით. ახალგაზრდობაში საუკეთესო ნახატების ავტორი ვიყავი, ლექტორებზეც არაერთხელ აღუნიშნავთ ეს. მაგრამ რაღაც მომენტში გავცინობიერე, რომ შეიძლება საფრთხეში ჩამეგდო თავი იმით, რომ თვითკმაყოფილების მსხვერპლი გავხდებოდი. აი, პიკასოს და მატისის ფერწერას რომ უყურებთ, ხომ ხედავთ რომ ისინი სულ ხატავენ და ხატავენ შესაღწეხვ ნახატებს, იმიტომ რომ ისინი ამ საქმის დიდოსტატები არიან და სიამოვნებით ეს პროცესიც. იციან, რომ ხატვა მათი საქმეა და არ ანებებთ თავს. მე კი არ მომწონს მსგავსი შეგონებები. როგორც კი გვაცნობიერებ, რომ ამა და ამ საქმეში დასახულ მიზნას მივადინე და ჩემს უმაღლეს ნიშნურს ვინარჩუნებ, მაშინვე ვცდილობ ვავეცალო ამ სფეროს და რაღაც ახალი დაიწყო. დღეს, მაგალითად, ჩემთვის მხატვრობა ფოტოგრაფიაა შეცვალა. ესეც ერთგვარი ჩანახატების კეთებაა, ოღონდ ახლგაზრდული სტილით. შენ არ გჭირდება, რომ ხელის ტექნიკაზე იმუშაო. მთავარია საქმეში ჩართო შენი ხედე და მიდეგმა საკითხისადმი და შედეგიც არ აყოყნებს.

არცაა ვასაკვირი, ციფრულ კამერას სულ თან რომ დაატარებთ. უამრავ ფოტოს იღებთ, ეს ერთგვარი „გონიერული ჩანახატებია“ და თქვენი კამერაც ერთგვარ ესკიზების ნივანად არის ქცეული. როდის დაიწყეთ აქტიურად გადაღება?

1980-იანების ბოლოს, როდესაც მხატვრობას შეცვლი. მაშინ ნიუ-იორკში 50-მდე ცნობილი მხატვარი იყო, ჯულიან შნაბელ¹⁵ და სხვა მისი თაობის ნარკომადგენლები. ძალიან რთული იყო მათთვის კონკურენცია გაკენა, მაშინ როცა გამოფენების მოწყობა ყველაზე დასწრებაზე იყო. მიხვდებ, რომ ამ არაფერი გამომივიდოდა, ამიტომაც ფოტოგრაფიაზე გადავერთე და მალე ათასობით შავ-თეთრი ფოტო გადავიღე. უმეტესობა არც კი გამამიულანებია. მხოლოდ მაშინ მიუტოვრუნი ამ ფოტოებს, როცა პეკინში



მომინია დაბრუნება. მაშინ კი ფოტოგრაფია ჩემთვის სუნთქვასავით იყო და ამიტომაც ვიღებდი ამდენს.

ასე მგონია, რომ ეს გატაცება ფოტოგრაფიით იყო თქვენი ერთგვარი ბლოგი მანამ, სანამ საკუთარ ინტერნეტ-ბლოგს გახსნიდით.

შესაძლოა. ორი-სამი წლის წინ, როდესაც საკუთარი ბლოგი შემიქმენს, აზრზე არ ვიყავი რა უნდა გამეკეთებინა. მერე მივხვდი, რომ ეს იყო კარგი შანსი, უამრავი ადამიანისთვის გამეზიარებინა ის ზღვა ფოტომასალა, რომლებიც წლების განმავლობაში შევქმენი. დღეში ასამდე სურათს ვაქვეყნებდი ბლოგზე. ჯამში 70 ათასამდე ფოტო დაგროვდა და ისინი 4 მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა. საოცარი რამაა, ინტერნეტის წყალობით ის ადამიანებიც კი ხედავენ შენს საქმეს, რომლებმაც არც კი იციან თუ ვინ ხარ.

შესანიშნავია. ბლოგის ფოტოარქივი უკვე ერთ დიდ, მზარდ მთლიანობად იქცა. ჩანახატების თემას მინდა მივუბრუნდე; ერთხელ ზაპა ჰადიდმა¹⁶ მითხრა, კალიგრაფია კომპიუტერული მხატვრობის პირდაპირი წინამორბედიყო. გამოდის, რომ კალიგრაფიაც ჩანახატების კეთების ერთ-ერთი გზა ყოფილა. მაინტერესებს, დღესაც თუ ქმნით ჩანახატებს - ნებისმიერი სახით - იქნება ეს გეომეტრიული ფიგურები, სხვადასხვა ფრაგმენტები ან თუნდაც კალიგრაფიას თუ უთმობთ დროს? მაინტერესებს, თუ მუშაობს აი ვიევი ქაღალდზე სივრცის მოწესრიგებაზე ნებისმიერი სახით.

ჩანახატებს, რა თქმა უნდა, დღესაც ვაკეთებ, საქმიდან გამომდინარე. რაც შეეხება კალიგრაფიას, მიმანია, რომ ეს ერთგვარი კონცების კარნახია; მასში

ყველაზე კარგად იჩენენ თავს შუნი ემოციები. მთელი შუნი ფიქრები იქ იღებენ ფორმას. მაგრამ დღევანდელ ეპოქაში, სადაც ფოტოც და რადიოც კი კომპიუტერში შეიძლება გქონდეს, კალიგრაფია კი არა, უბრალოდ წერაც კი აღარაა უკვე ხელსაქმე, ისიც დიგიტალიზაციის პროცესს არის აყოლილი. ასობით პუბლიკაციას ვაქვეყნებ წელიწადში, იქნება ეს ინტერვიუ, კრიტიკა, მიმოხილვა თუ პოლიტიკური კომენტარი. ამისთვის ძალიან ბევრი გზა არსებობს: გაზეთი, ჟურნალი, ბლოგი, ტელევიზია. და უკვე არსად აღარ ხდება ისე, რომ ვინმემ ინტერვიუს ჩანერისას კალიგრაფია გაავარჯიშოს. ასეთი მდგომარეობა ან ყველაფერში წინსვლას გეჩიადის, ან კი დიდი რეგრესის გზას უნდა ვადგეთ. შეიძლება ასე უფრო სრულყოფილად გავხდეთ რეალობის ნაწილი, ან კი საერთოდ დაეკარგოთ რეალობის განცდა. ჯერ კიდევ წინ არის ან კითხვაზე პასუხი.

წელან კრიტიკა ახსენეთ. თქვენს ახალგაზრდობაში წერა ძალიან მნიშვნელოვანი საქმე იყო, ვიცი, რომ თავადაც ქმნიდით პოეზიას. ახლა როგორია თქვენი პოზიცია წერისადმი?

წერა ყველაფერს მირჩევნია. ადამიანის აქტივობებს შორის ყველაზე ღირებული და ყველაზე საინტერესო სწორედ წერაა, რადგან ის ყველას და ყველაფერს ეხება და ყველასათვის გასაგებ ფორმებს იღებს. კულტურული რეველუციის დროს კრიტიკული წერილების გარდა არაფრის წერა არ შეგვეძლო. დღეს სხვა დროა, სხვა გარემო. ბლოგი ძალიან მეზმარება, რომ უამრავ თემას მივედ-მოვედო. ბევრი ინტერვიუ ჩამიწერია სხვადასხვა არტისტებთან, რი-



გითი, ჩვეულებრივი, უბრალო ინტერვიუები, როცა მხოლოდ მათ წარსულსა და შეხედულებებზე ვუსვამთ ფორდ შეკითხვას. მეერ ამ ყველაფერის ტექსტად გარდაქმნა და გამოქვეყნება სწორედ ბლოგზეა შესაძლებელი. უკვე 200-ზე მეტი ტექსტი დამიგროვდა, ამ ინტერვიუების ჩათვლით. ჩემი ბლოგის ტექსტები კრიტიკის საგანად ხშირად ყოფილა; ამას ვერ გაექცივარ, რაღაცას დაწერ და ის უკვე ფაქტად იქცევა, შესაბამისად, ყველას აქვს შესაძლებლობა, რომ გაეკრიტიკოს ამა თუ იმ ტექსტის გამო. მიყვარს ეს პროცესი, ძალიან საინტერესოა. ასე შენი თავის მუდმივ წვრთნაში ხარ და მიდიხარ იმ მომენტამდე, როდესაც უკვე აშკარად გრძნობ, თუ რა არის შენი სათქმელი, რისი გამოხატვა გასურს. შეიძლება საერთოდ არაფერი გვინდეს გამოხატვა და ამ დროს წერა იმაშიც გეხმარება, რომ ეს შინაგანი სიცარიელე გამოგიაშკარავს და დაგანახოს.

თქვენი ბლოგიც და შემოქმედებაც ღია ყველასათვის. რაიმე საიდუმლოებები თუ გაქვთ? და თუ გაქვთ, რა არის თქვენი ყველაზე დიდი საიდუმლო?

მე პირადი საიდუმლოების სხვებისათვის გაზიარება მახასიათებს. მიმაჩნია, რომ ცხოვრებაში ყველაფერს აქვს თავისი საიდუმლო - სიკვდილსაც, სიცოცხლესაც - და ძალიან დიდია ამ საიდუმლოებების გამოაშკარავების ცდუნება. ჩვენც მუდმივად ცვდილობთ თვალი გავუსწოროთ იმ ფაქტს, რომ მეტი სიმამაცე უნდა გამოვიჩინოთ, რათა უკეთ გავერკვეთ სიცოცხლისა და სიკვდილის არსში. გვგონია, რომ ასე ამ მისტიკას ამოვხსნით. მაგრამ, რეალურად, აზრი არ აქვს რამდენად გულლია იქნები და როგორ გამოაშკარავეთ საიდუმლოებებს. ბოლომდე მიანც ვერაფერს ვერ ამოხსნი, ყველა და ყველაფერი შეუცნობელია. ჩვენს თავებშიც კი ვერ გავერკვევით ბოლომდე ვერასოდეს. როგორც არ უნდა ვიმოქმედოთ, ოდესმე ვგას მანაც ავცდებით.

ჭეი იუ მინს¹⁷ რომ ვესაუბრო, მან მითხრა, რომ ამერიკაში გამგზავრებისას უკვე იცოდა, რომ სამშობლოში აღარასოდეს დაბრუნდებოდა. ასეც მოიქცა, ამერიკელი არქიტექტორი გახდა და არასოდეს დაბრუნებულა ჩინეთში. თქვენ შემთხვევაში როგორ იყო ეს ამბავი? ჩინეთში დაბრუნება ნიწანწარ დაგეგმილი გადაწყვეტილება იყო თუ, როგორც აქამდე თქვით, მხოლოდ და მხოლოდ მაშის ავადმყოფობამ გადაგანწყვეტინათ ამ ნაბიჯის გადადგმა? რაზე ფიქრობდით, როცა ჩინეთს ტოვებდით - დროებით გადასახლებაზე თუ სამუდამოდ უცხო ქვეყანაში დარჩენაზე?

როცა ამერიკაში ჩავედი, ვიცოდი, რომ ამ ქვეყანაში სამუდამოდ უნდა დავრჩენილიყავი. დოკუმენტებზე უკვე დამოკიდებული და არაღვეალი ვაგმბდი. მაშინ ძალიან ცუდად ვვლობდი ინგლისურ ენას, ამიტომაც ყველაწიარ სამუშაოზე ვთანხმდებოდი, ოღონდ კი თავი მერჩინა; ძირითადად ხელსაქმით ვემსახურებოდი ხალხს; სულ პირველად მებოდი ვიყავი, მეერ დიასახლისი. დურგლადც მიმუშავია, მოწარმობა ვიცოდი კარვად. ერთი პერიოდი მღებავიც ვიყავი. მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ რაც უნდა მექვეთებინა თავის გადასარჩენად, მანაც ხელოვანად დაერჩებოდი. ჩემს თავს ვარწმუნებდი, რომ მე მხოლოდ და მხოლოდ ხელოვანი ვიყავი, მიუხედავად იმისა,

რომ საკმაო ხნის განმავლობაში საერთოდ არაფერი არ მქონდა შექმნილი. მარსელ დიუშანის წყალობით გაგვანალიზე, რომ იყო ხელოვანი, ეს პირველ რიგში ცხოვრების წესისა და მისადმი დამოკიდებულების ამბავი უფროა, ვიდრე შექმნის.

რას გულისხმობთ დამოკიდებულებაში?

გარემოსთან დამოკიდებულებას. თუ როგორ აკვირდები და აღიქვამ გარემომყოფ საგნებს. ეს ძალიან დამეხმარა შინაგანი თავისუფლების მოპოვებაში, მაგრამ ამავედროულად მძიმე სიტუაციამიც ჩამავლო - როგორაა, უწოდებდე შენს თავს ხელოვანს და არაფერს არ ქმნიდე? იმ დროის ნამუშევრებიდან, რაც შემორჩენილია, მე გგონი ეგ არის სულ, რაც მაშინ გავაკეთე. მეტი არც არაფერი შემიქმნია. უბრალოდ დაგვხტიალობდი და არც ვიცოდი რა უნდა მექნა. ახალგაზრდა ვიყავი და ეს შეგრძნება ორმაგად დამაწვა კისერზე. მინდოდა რაღაც მეკეთებინა, ვილაცხვებინათვინ და მემტკიცებინა, თუ ვინ ვარ, რა შემიძლია, მაგრამ ვხვდებოდი რომ შეუძლებელი იყო. ეს სხვა კულტურული გარემო იყო და აქ ეკონომიკური უსახსრობის შემთხვევაში, ვერაფერს გააკეთებდი. მოსცხვინოდა ჩინეთში დაბრუნება, რადგან ოჯახთან უკვე აღარ მქონდა ურთიერთობა, ცამეტწლის განმავლობაში ერთხელაც არ მიმიწერია. მაგრამ საბოლოოდ გაეაცნობიერე, რომ თუ ოდესმე უნდა დაებრუნებულყავი, სწორედ მაშინ იყო ეს მომენტი. 1993 წელს საბოლოოდ გადაწყვიტე ჩინეთში გამგზავრება, ჩავალავე ბარჯი და დაებრუნდი პეკინში.

ძალიან შევკლილი დაგხვდათ ჩინეთი, როცა დაბრუნდით?

ამერიკაში ყოფნისას ჩინეთში მომხდარი ამბებიდან მხოლოდ 1989 წლის სტუდენტური მოძრაობის დარბევა მახსოვს ტიანანმენის მოედანზე. დანარჩენზე წარმოდგენაც კი არ მქონდა რა ხდებოდა. ძალიან ბევრი ადამიანი მუშენებოდა, რომ ჩინეთი ცაცილებით უკეთესი გახდა, უმარავი ცვილივინ იყო ქვეყანაში, მაგრამ ასე გადაჭრით ვერაფერს იტყოდი. რაღაც შეიცვალა, რაღაც - არა. შეიცვალა ის, რომ პეკინის ცენტრი გალამაზდა, საწარმოები აღარ იყო ცარიელი. მაგრამ რისთვისაც ქვეყანა დაეტოვე, უცვლელი დამხვდა: კომუნისტური პარტია ისევ წნებში აცხოვრობდა ხალხს და ადამიანებს იდეოლოგიასთან ბრძოლა ისევ უხდებოდათ. ახლაც ასეა, აქ ახლაც მძღვარია ცენზურა და საერთოდ არ არსებობს სიტყვის თავისუფლება. როცა ჩამოვედი და დავინახე, რომ ისევ იგივე გარემო იყო, ისევ იმდენივე პრობლემა იჩნედა თავს საზოგადოებაში, ისევ უკუნაბრატებით ვითარდებოდა ჩინეთი ერი, სასოწარკვეთაში ჩავვარდი. თავს ვუთხარი, რომ რაღაც უნდა მეკეთებინა, თორემ ამათი შემხედვარე, ისევ უსაქმურ ხელოვანად დავარჩებოდი. სწორედ მაშინ დავინწყე მუშაობა ჩემს სამ ნიგნზე¹⁸.

რამდენიმე ხნის წინ, ვიქტორია და ალბერტის მუზეუმში, ჩინური დიზაინის თემაზე მოეწყო გამოფენა. იქ ვნახე თქვენი ეს ნიგნები კიდევ ერთხელ. ეს სამი ნიგნი ახლა უკვე საკულტო ნაშრომებადაა ქცეული.

დაიას, საბედნიეროდ, ძალიან ბევრი ხელოვანისთვის იქცა ეს ნიგნი ერთგვარ ნახალსებად, და ბევრზე მოახდინა გავლენა. ამ ნიგნებში მინდოდა ერთად მომექცია ის ყველაფერი, რაც კი ჩინეთის ხე-

ლოგენბაში იმ დროს შექმნილა, ერთგვარი ეპოქის დოკუმენტი შექმენი. მიზნად მქონდა, ამ ნიმუშების კონცეფციების უფრო ნინა პლანზე წამოწმევა, ამიტომაც ყველა ხელოვანს ცალ-ცალკე ვთხოვედი, რომ თავიანთ ნაშრომებზე მოეყოლათ ან დაენერათ, თუ რამ გადაწყვეტიანთ ამა თუ იმ ნიმუშის შექმნა, რა იყო მათი სურათების სათქმელი და ფონი. უმეტესობა მათგანი დასაწყისში გაჯერულდა და გაზარბაცდა, მსგავს რამეს არ იყვნენ შეჩვეულები და ეს პროექტიც ირეალურად ეჩვენებოდათ. მაგრამ ზოგიერთმა იცოდა, თუ როგორ აება მხარი ჩემთვის ამ მიზნის განხორციელებაში და ყველაფერი გამოვიდა. ამ ნიგნებთი ისიც კი მოვახერხე, რომ ჩინეთის სახელოვნო ნრეებს და არა მხოლოდ მათ, ამერიკელი კონცეპტუალისტი არტისტები გაეცა მათ - მარსელ დიუმანი, ენდი უორჰოლი, ჯეფ კუნსი და სხვა.

სწორედ ეს იყო თქვენი პირველი ნაბიჯები კურატორულ საქმიანობაში. ამ ნიგნებს თუ განხილავთ კურატორიის კატეგორიაში?

რა თქმა უნდა, ეს ნიგნები კურატორიულია. ამის მერე დავინყე ჩემი კურატორული საქმიანობა. 1997-98 წლებში ჩინეთის ხელოვნების არქივი შექმენით, სადაც უამრავ ნამუშევარს მოუყარეთ თავი და ამავე დროულად თანამედროვე ჩინური ხელოვნების პირველი კერა დავაარსეთ. იმ პერიოდში ჩინური ხელოვნების ნიმუშებს მხოლოდ სასტუმროების დიზაინსთვის თუ ყიდულობდნენ, ანდაც რომელიმე ტურისტს ან საელჩოს თანამშრომელი გააყოლებდა ხელს სუვენირად. ამიტომაც განვიზარბეთ, რომ რაღაც სივრცე უნდა შეგვექმნა, რითაც დავანახებდით ხალხს, თუ რა ძვრები იყო ადგილობრივ ხელოვნებაში. მოგვიანებით, მთავე მიზნით, 2000 წელს შანხაიში მოვაწყვეთ მოუ, სახელად „Fuck Off“. თქვენც ხომ იყავით იქ! თუმცა მანამდეც შევხებდრივართ ერთმანეთს.

დაბ, პირველად 1990-იანი წლების ბოლოს შევხვდით.

მასხოვს, ერთ-ერთი მხატვრის სახლში შევიკრიბეთ, რაღაც საღამოზე. მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყავით. მაგრამ მაინც ბევრი ადამიანი მოვიდა თქვენს სახანავად.

დაბ, მეც მასხოვის ის საღამო... ჩინეთში პირველად რომ ჩამოვედი, ჩემი მიზანი თქვენი სამი ნიგნის კარგად გაცნობა იყო. ნამდვილი ავანგარდია! დღევანდელი გადმოსახედიდან ერთგვარ მანიფესტადაც შეიძლება მივიჩნიოთ ეს ნიგნები. ყველა მანიფესტატს ხომ თავისი გამოძახილი აქვს, აი, მაგალითად, დადაიზმსა და ფუტურიზმს, ორივეს მქონდა თავისი მანიფესტები, რამაც 1960-იანი წლების ავანგარდისთვის კი ჰპოვა გამოძახილი - ბენ-რაუმეს ბულდოზი¹⁹ ბევრს წერდა ამაზე - თანამედროვე მსოფლიოში კი სულ უფრო და უფრო იშვიათად იქმნება მანიფესტები. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი? ნუთუ აღარ დაარჩა სივრცე იმი-სათვის, რომ მანიფესტები ისევ შეიქმნას?

მიმარჩია, რომ კარგ ხელოვნებას - დღესაც კი - ყოველთვის თან ახლავს თავისი მანიფესტები, მაგალითად: დადაიზმი, რუსული კონსტრუქტივიზმი, 1970-იანი წლების ფლუქსუსი. ეს ერთგვარი განაცხადია, რომ რაღაც ახალ პოზიციას იკავებ, ახალი ხედვის წერტილს პოულობ, ახალ შესაძლებლობებს ამაკარავებ. სწორედ ესაა ყველაზე ამაღლებებელი რამ

ხელოვნებაში. და თავად ეს ხელოვნება უკვე იქცევა მანიფესტად. ამ დროს განზე მდგარი აღმოჩნდები და უამრავს რისკს ეჯახები, რას ვიზამთ, ასეთია მანიფესტის ბუნება!

სულ სხვაა განახორციელო მანიფესტი არქიტექტურაში და თქვენ ეს შეძელით, ნახვედით ამ დიდ რისკზე. როდის გავიჩნდათ სურვილი იმისა, რომ არქიტექტურაშიც გეცადათ თავი, ამერიკაში ყოფნისას თუ ჩინეთში დაბრუნების შემდეგ? ამას იმიტომ გვკითხვებით, რომ პირველად როცა შეგხვდით, მაშინ ხატვის გარდა უკვე არქიტექტურაშიც სინჯავდით ძალებს.

ასე გადაჭრით ვერ ვიტყვი, თუ სად და როდის გაჩნდა სურვილი. თუმცა, მასხოვს, ამერიკაში ყოფნისას ორმა რამ განაპირობა ჩემი დიდი ინტერესი არქიტექტურისადმი: პირველი იყო ფრენკ ლიოდ რა-იტის მიერ აგებული გუგენჰაიმის მუზეუმის ხილვა, მისი „მშვენიერება“, რომლის მიმართაც მაშინ, მხოლოდ და მხოლოდ ზიზღს განვიცდიდი. მიზეზი ამ ზიზღისა ვახლდათ ის, რომ გუგენჰაიმი არ იყო სივრცე მხატვრობისათვის, ამ მუზეუმში ვერ გამოფენდი ნახატს. დღეს მიმარჩია, რომ ეს ძალიან საინტერესო ნაგებობაა, მოუხედავად იმისა, რომ მუზეუმზე უფრო საპრაქტიკო ადგილის სტილის გარეშა, თუმცა მაშინ ასე არ ვფიქრობდი. მეორე კი იყო ვიტგენბერტის ნიგნი. ამ კაცმა თავისი დისთვის სახლი ააშენა ვენაში, რომელიც ამ გამოცემაში ვნახე და ვიფიქრე „ერთი ამას დამიხედეთ, ამ ტიპს სახლიც აუშენებია თავისი დისთვის“, ჰოდა, მაშინვე ვიყიდე ეს შესანიშნავი ნიგნი, რომელმაც შემდეგ დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე. აი, ეს ორი რამ იყო ნიუ-იორკში, რამაც არქიტექტურისადმი მეტი ინტერესი გამიჩინა. როცა ჩინეთში დავბრუნდი, დედისთან ერთად ვცხოვრობდი. 1999 წელს ვიგრძენი იმის საჭიროება, რომ საკუთარი სტუდია უნდა მქონოდა. სოფელში გავიკითხე, თუ შეიძლებოდა სადმე ფარის ქირაობა, ზედ შენობა რომ დამეშენებინა. მამასახლისმა მითხრა, რომ ეს შესაძლებელი იყო - არადა, კანონი კრძალავდა მსგავს ქმედებას, თუმცა ეს ყველას ეგებებზე ეკი-ოდა, ოღონდ კი ქირა გადაგებოდა. მეც ავფიქრე და ვიქირავე ფართი, ერთ საღამოს კი სტუდიის დიზაინსთვის ჩანახატების კეთება დავინყე. იხე, უფრო დიდ ვნახტავდი შენობის დიზაინს, სად უნდა ყოფილიყო კარი და ფანჯრები, როგორი პროპორციები უნდა მქონოდა ნაგებობას და სიმძიმეები როგორ უნდა განაწილავოდა. არანაირი არქიტექტურული ნუსხებით არ ვხელმძღვანელობდი, არც ციკლოდ მსგავსი არაფერი. ექვს დღეში პროექტი დავასრულე და შენებას შევუდეგი. ეს ის დრო იყო, როცა ჩინეთში მშენებლობების ბუმი ატყდა და ჩემი სტუდიაც მალე გახდა ყველაფრის ცნობილი; ყველა ამბობდა, რომ სადაღაც ცხოვრობდა კაცი, რომელიც მინიმალური რესურსით აგებდა შენობებს, თანაც იაფად. მალე დიდი კომპანიების ყურადღებაც მივიქცევი და რამდენიმე დაკეთა მივიღე. მაშინ ვიფიქრე, რომ თურმე მა მარტვი ყოფილა ყველაფერი. ზოგადი განათლებაც საკმარისი ყოფილა. შენობის აგებისთვის სულაც არ იყო საჭირო, რომ არქიტექტორი ყოფილიყავი. ეს ზოგადი განათლება პრაქტიკაში გადავიდა და გამოცდილებად იქცა - სწორედ ესაა არქიტექტურაში მთავარი, რაც, სამწუხაროდ, აკადემიურ სწავლებაში დიდი იშვიათობაა. შანსი მომეცა და მეც არ გავუსუვი

ხელიდან. მალე კომპანიაც ჩამოყვალბე, სახელად „ფალბი დიზაინი“ (FAKE DESIGN). სახელწოდება ძალიან მომწონს, რადგან ჩინეთში ისე გამოთქვამენ ხოლმე, როგორც „ძირს დიზაინი“ (FUCK DESIGN). უკანასკნელი შეიდი წლის განმავლობაში უკვე 50-ზე მეტ პროექტზე ვიმუშავეთ, დანყებული ურბანული დავგეგმარებთ, დამთავრებული - ინტერიერის დიზაინით.

ამ პროექტების უმეტესობა უკვე დასრულებული სახით ასებობს?

დაიხ, 90% უკვე აშენებული გვაქვს.

გამოდის, რომ არტისტმა ცხრა წელიწადში იმაზე მეტი შენობა ააშენეთ, ვიდრე ზოგიერთი არქიტექტორი მთელი ცხოვრება უნდება ხოლმე.

სწორედაც რომ!

შესანიშნავი შედეგია. თანაც მაშინ, როცა არა მხოლოდ აშენებთ, არამედ - კურატორის ფუნქციასაც ითავებთ არქიტექტურაში, რაც აბსოლუტურად განსხვავებული რამ არის ვიდრე მხატვრობის კურატორობა. ჩვენი წინა ინტერვიუს დროს, თქვენ Domus-თვის²⁰ კურატორობით ერთ-ერთ არქიტექტურულ სოფელს - დაახლოებით შტუტგარდის 1920-იანი წლების ვაისენპოლფის დასახლებს მაგვარს - სადაც თანამედროვე არქიტექტორებს ქუჩა უნდა დავგეგმარებინათ. ახლა კი ისეთ დიდ პროექტზე მუშაობთ, რომელშიც ასი არქიტექტორია ჩართული. კურატორობას კი ისევე აგრძელებთ. იყო კურატორი არქიტექტურაში - ეს არის რეალობის ნარმოვბა. ამაზე მოგვიყვით რამე.

სწორად აღნიშნეთ, არქიტექტურა მართლაც არის რეალობის ნარმოვბა. უმნიშვნელოვანესი რამაა, რადგან ეს ილუსტრაციაა იმისა, თუ ვინ ვართ, როგორ ვუყურებთ სამყაროსა და საკუთარ თავებს, როგორ ვახერხებთ ეპოქასთან იდენტიფიცირებას. არქიტექტურა ყველაზე კარგად მიფარავს, თუ როგორია მისი თანადროული პოლიტიკური ცხოვრება, ზოგადად რეალობა - კაცობრიობის ნამდვილი ხატია ამა თუ იმ ეპოქაში. როგორც კი პირველი ნაბიჯები გადადგი ამ სფეროში, მაშინვე შემეყვარდა იგი და მივეჯაჭვე მას. მაშინ მივხვდი, რომ ეს სწორედ ის სფეროა, რომლის შემეყობითაც უნდა წარდგენ ერთმანეთის წინაშე მთელი მსოფლიოს ქვეყნები. დღეს უამრავი არქიტექტორია დასავლეთში, რომელთაც შესანიშნავი არ ეძლევათ, რომ თავიანთი პროექტები განახორციელონ. გამოდის, რომ ამ დარგში მათი აკადემიური განათლება ვერასოდეს იღებს შესაფერის პრაქტიკულ გამოცდილებას და ცხადი ხდება, რომ ეს აკადემიური განათლება დიდ კრახს განიცდის, რადგან მხოლოდ თეორიულ საფუძველს ვეძიებთ. შედეგი ისაა, რომ ჩვენ საკუთარ ნაშრომებს კი არ ვგანსაზი ხორწობთ, არამედ ვანზე ვრჩებით და ისლა დავგრჩენია, არქიტექტურაზე მხოლოდ და მხოლოდ ვილაპარაკოთ. მე მგონია, რომ ოპტიმალური გამოსავალი იქნება, თუ ამ განათლებამდებულ ადამიანებს პირდაპირ ჩავერთავთ იმ გლობალურ აქტივობებში, რომლებიც დღესლა სახეზეა. ამით ჩვენ მათ რეალობაში ჩავრთავთ. კარგად ჩანს, რომ არაა საკმარისი ისწავლი ვგრეთ ნოდებული შედეგების მაგალითზე, მით უმეტეს, თუ გინდა, რომ მცირე რესურსებით შექმნა არქიტექტურა. ამ შემთხვევაში აბსოლუტური სიზუსტით უნდა განსაზღვრო პრობლემაცა და საჭიროებაც, უნდა

დადაგინო სწორი პროპორციები, ბალანსი უნდა დავცა, ლოკაცია შეისწავლო, წინასწარ ვთვალო, რა არასასურველი სიტუაცია შეიძლება შეიქმნას და ა.შ. მიმაჩნია, რომ სწორედ ესაა ის მთავარი ფაქტორები, რაც არქიტექტორმა მუდმივად უნდა გაითვალისწინოს. ამის სწავლა კი პრაქტიკის გარეშე შეუძლებელია.

არ ფიქრობთ, რომ ეს მცირე რესურსების არქიტექტურა, რაღაც იმ ავიაკომპანიების სერვისითაა, რომლებიც უარს ამბობენ კლიენტურის ტრადიციულ მომსახურებაზე?

ზოგჯერ ასეცაა, ეს უსწორმასწორო, უნესრიგო არქიტექტურაა, მაგრამ მიმაჩნია, რომ შესანიშნავია; მისი მეშვეობით ადამიანის წვალბეცა ჩანს და მდგომარეობაც. ზუსტად ის რეალობა წარმოგვიდგება თვალწინ, რაც მართლა არსებობს, განსხვავებით რაღაც უტოპიური პროექტებისგან. ასეთმა არქიტექტურამ განაპირობა, რომ მე მსგავს კურატორულ საქმიანობაში ჩავერთე და ვცდილობ ხალხს ეს სფერო დაეანახო. ბევრს სურს, რომ სწორედ ასეთ ხელოვნებაზე გაავრჯიშოს გონება, აქ დაავაროვს გამოცდილება. აქ შესაძლოა კონკრეტული პირველი პრობლემაც კი წარმოგვიდგეს, როგორც საზოგადო პრობლემა და ჩვენც ვალდებული ვართ მივიჩნიოთ თავს, რომ სწორედ მის წარმოჩენასა და გადაჭრაში მივიღოთ მონაწილეობა. საწყენია, როცა უარს ამბობენ ხოლმე ასეთ პროცესებში მონაწილეობაზე.

სწორედ ეს მხარე ყოფილა მთავარი ფაქტორი იმ „ასარქიტექტორიანი“ პროექტისა, შიდა მონღოლეთში²¹ რომ ახორციელებთ.

დაიხ. დვეღლოებრება მითხრეს, რომ მხოლოდ მე ვყავი ის ადამიანი, ვისაც შეეძლო მსგავსი ქალაქის აშენებას გაძლოლა შიდა მონღოლეთში და მეც დაეთანხმებო მათ წინადადებას. ოღონდ ერთი პირობით: ამ პროექტის კურატორი უნდა ყოფილიყავი და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩავთვლილიყავი უშუალოდ არქიტექტურულ საქმიანობაში. აღარ მაქვს ამის თაი, ისედაც უამრავ პროექტზე ვმუშაობ. მაგრამ შემიძლია კარგად შევარჩიო ის ადამიანები, ვინც ამ პროექტის არქიტექტურულ მხარეს ძალიან კარგად გაუძღვებიან. მათ მითხრეს, რომ დაჰყვებიან ჩემს ნებას, ჰოდა, მეც მაშინვე დავუკავშირდი აქ ჰერცოგს²², ვიხივე, თავისი კორპორაციიდან საჭირო რაოდენობის არქიტექტორები გამოეყო. ჟამაც ასამდე ადამიანის გვარი მომიცა, რომელთაც ძალევე დავუკავშირდი და უკლებლივ ყველამ თანხმობა განაცხადა ამ შესანიშნავ პროექტში მონაწილეობის მიღებაზე. სამოცი მათგანი უკვე ჩამოვიდა ჩინეთში, ოცდაათი ვიცი, რომ შემდეგ თვეში ჩამოვა. ჯამში ასი არქიტექტორი იქნება, რომლებიც ამ შუაგულ უდაბნოში ქალაქის შენებას დაიწყებენ. კარგია, რომ სამასამდე ადამიანიც დასაქმდება. ორ წელიწადში უკვე დასრულებული სახით წარდგება პროექტი.

ასეი მოკლე ხაზში? საოცრება!

მიხარია, რომ უკვე საბოლოოდ გააცნობიერა ხალხმა, ასეთი პროექტების ასეთ მოკლე დროში დასრულებაც რომ ვახდა შესაძლებელია. ეს ბიძგია, არა მხოლოდ იმ არქიტექტორებისთვის, რომლებიც შიდა მონღოლეთის პროექტში არიან ჩართულები, არამედ სხვებისთვისაც, ვინც თავადაც აცნობიერებს მსგავს შესაძლებლობებს და ავერ, ფაქტიც სახეზე აქეთ. ეს

კიდევ ერთი კარგი მხარეა ამ პროექტის.

ახლა თქვენი შემოქმედების ძალიან კარგ ეტაპზე იმყოფებით. ჯერ იყო და, ჩინეთიდან გაიქვითი, მერე ნიუ-იორკიდან ისევ სამშობლოში გაფრინდით. ახლა ისევ ნიუ-იორკში ვართ, სადაც მერი ბუნის გალერეაში თქვენი გამოფენაა გახსნილი. როცა ახალგაზრდა იყავით, მერი ბუნის გალერეაში სხვის დასათვალიერებლად დადიოდით ხოლმე, ახლა კი თავად ხართ ამ გალერეაში გახსნილი გამოფენის მთავარი ფიგურა. როგორი შეგრძნებაა ეს?

სასიამოვნოა და სახალისო. ცოტა დაუჯერებელიც კია. 1980-იან წლებში ძალიან ხშირად დავდიოდით ხოლმე მერი ბუნის გალერეაში, სადაც ვიზუალურ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს ვაკვირდებოდი. ერთი წლის წინ კი, პეკინის ქუჩებში რომ ვესიერნობდი, ტელეფონზე მერმი დამირეკა და შემოითავაზა ჩემი გამოფენა მოეწყო თავის გალერეაში. ისე გამიხარდა, რომ მაშინვე დავთანხმდი. ძალიან უცნაური შეგრძნებაა, როცა იხსენებ, რომ ნიუ-იორკში ცხოვრობდი, სწავლობდი, წვლობდი იმისათვის რომ რაღაც გექნა და ვერაფერს მიაღწიე. და უცებ, ერთ დღესაც ნიუ-იორკიდან გირეკავენ შემოთავაზებით, რომ შენი გამოფენა გახსნან. თურმე ყველაფერი ყოფილა შესაძლებელი! კარგე სმიტ²³ კურატორობდა ჩემს გამოფენას და მიხარია, რომ მოუშე შესანიშნავად ჩაიარა. ბევრი დამთვლიერებული იყო და ბევრი ითქვა ამ გამოფენაზე. მერიც ძალიან კმაყოფილი დარჩა ჩვენი თანამშრომლობით. იცით, მან მთხროვა, რომ განათებაზე მე მეფიქრა. მიაჩნდა, რომ კარგი იქნებოდა, თუ თავად შევარჩევდი ჭაღებს, ან შექმნილი მათ, მე კი არ მსურდა ეს, რადგან უკვე არაერთხელ გამოიკეთებია მსგავსი რამ. თუმცა ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ მაინც დავთანხმდი, რადგან ერთი კარგი იდეა მომივიდა, თანაც ძალიან მიყვარს, როდესაც ვარკვეულ მოთხოვნებებთან მიწევს მუშაობა, ბრძოლა. სივრცე "ჩამოყარდნითი ჭაღით"²⁴ გავანათე, ჭაღით, რომელიც ჭერს მოსწყდა და ძირს დაეწინა. ძალიან ცოტა დრო მქონდა დარჩენილი, რომ გამოფენამდე მოემსწრო ამ ინსტალაციის შექმნას, ასე რომ, ნორმალურად არც ამინყვია, პირდაპირ დეტალები გავგზავნი ნიუ-იორკში და მერე იქ ოცკაციანი ჯგუფი ვმუშაობდით მის აწყობაზე. ახლა რომ ვუყურებ, ძალიან მომწონს ეს ინსტალაცია.

ეს ინსტალაცია ზოგადად ნათელის დაცემაზე გვაფიქრებს.

სწორედ ეს იყო ჩემი მიზანიც. და შეიძლება ითქვას, ეს თქვენს კიდევ ერთ შესანიშნავ ინსტალაციას ენათესავება - "სინათლის შადრევანს"²⁵, რომელიც რუსული ავანგარდის ნიმუშებს ატარებს.

დაიბ. ზოგადად ადრეული რუსული ავანგარდი შესანიშნავი რამ არის. იმ ეპოქის არტიტებს უსახვევრო ფანტაზია, მაგრამ ეს არაფერს აუკლებს ამ მიმდინარეობას. როდესაც ლივერპულიდან შემოთავაზება მართალია, უმეტესობა მათგანი უტობია იყო და უტოპიადვე დარჩა, მაგრამ ეს არაფერს აუკლებს ამ მიმდინარეობას. როდესაც ლივერპულიდან შემოთავაზება მივიღე, თავში ვლადიმერ ტატლინის²⁶ მონუმენტმა „მესამე ინტერნაციონალი“ გამილევა და დავინყე „სინათლის შადრევანზე“ მუშაობა. ეს იქნებოდა ერთ-თ-

ვარი კომენტარი ანდაც გამაზრებია იმ გლობალიზაციის, ინფორმაციული ეპოქის, ინდუსტრიალიზაციის, რომლის ერთ-ერთი უდიდესი განმამპრობებელი ფაქტორი ინგლისიც არის. ამიტომ გადავწყვიტე ამ ლივერპულში მსგავსი ინსტალაცია განმეთავსებინა - მანათობელი შადრევანი, რომელიც წყლის ზედაპირზე ტიტეტივსა.

საინტერესოა ის, რომ ასეთი შარყი ტატლინმა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში გააკეთა, თქვენ კი ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში. ის ერთგვარი წინათგრძნობა იყო, ეს - კომენტარია. ახლა 2008 წელია, 21-ე საუკუნის პირველი დეკადა და სასარულს უახლოვდება და ჯერაც ვერ შეგვიფასებია ეს ათწლეული. რა უნდა ვუნდოდით მას - უბრალოდ 2000-იანები? 00? უცნაურია არა? არადა, უკვე ახალი ათწლეული იწყება, ახალი მომავალი. როგორ ხედავთ მას? ოპტიმისტურად თუ ხართ განწყობილი?

ნამდვილი სიგიჟეა მომავალზე საუბარი, ამ დროს ძალიან ნაივურები ვხდებით ხოლმე. რაც არ უნდა ვთქვათ, ისე მაინც არ მოხდება. მოსახდენი კი ჩვენს წარმოსახვაში ასე ადრეულად ნამდვილად ვერ შემოაღწევს. ჯერ ვერაფერს დავარქმევთ სახელს.

გუშინ ღამით თქვენს ნიგნს „ნაშრომები 2004-2007“²⁷ კიდევ ერთხელ გადავხედე და გამახსენდა ერეკ პობსტაუმთან²⁸ საუბარი, როდესაც მან მიიხარა, რომ ჩვენ დავინყვებას უნდა გამოუცხადოთ ომი. მესხიერება სწორედაც რომ თქვენი შემოქმედების ერთ-ერთი ქვაკუთხედაა და ამაზე მინდა შეგვიკითხოთ. ჩვენ ციფრულ ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც მთელი არქივი რომელიღაც ბაზაზე გვიგროვდება და შეგიძლია ნებისმიერ დროს მივაკითხოთ მას, რაც იმაზეც გვაფიქრებს, რომ მესხიერების საჭიროება ნელ-ნელა ქრება. ჩვენ ვისაუბრეთ არქიტექტურაზე, კურატორულ საქმიანობაზე, ინსტალაციებზე და შეგიძლია ვთქვათ, რომ თქვენს ნაშრომებში მესხიერება, წარსულის რეტროსპექტივა დიდ როლს თამაშობს, ამაჲ მოწმობს „კოკა-კოლას ვაზა“²⁹, „მაგიდა - ორი ფეხით კედელზე“³⁰ და სხვა. უკანასკნელი წლებია ამ კუთხით ძალზე საინტერესო პროექტები მიმდინარეობს. მაგალითად, ახლა გამახსენდა, თქვენს სტუდიაში ორი წლის წინ ნანახი „მარგალიტების თასი“³¹. თქვენი კარგად შეგვიძლია, რომ მესხიერებას მიაკითხოთ ხოლმე მუშაობისას და ეს ძალიან საინტერესოდ გამოგვდით. გვესაუბრეთ, როგორ ახერხებთ ამას.

სამყაროს ტემში ძალიან აჩქარებულა და ჩვენ იძულებულები ვართ უფრო ხშირად მოვიხედოთ ხოლმე წარსულსაკენ. ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ ამ სიჩქარისას, მაგრამ ვეკონდეს ხელი ჩაჩიქებული მესხიერებისთვის. მეც ასე ვიქცევი. რაც შეეხება თქვენს მიერ ნახსენებ ნიგნს, მას მართალია დიდი სერიოზულობით მოვეციდი, მაგრამ ჩემი სამუშაო პროექტის მხოლოდ 1/10-ს თუ ვახარავდები. ხელოვნებაშიც ასე ვარ, მაქვს რაღაც გამოკვეთილი აქტივობები; მაგალითად, ჩემს ხელოვნებას დიდი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით ვეკიდებ, მაგრამ მის წარმოებაზე არასდროს მიჭყლევტა ტვინი, ამიტომაცაა, რომ ის ხშირად ძალიან სარკასტულია ხოლმე. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც საჭიროა უამრავი რამის გათვალისწინება; შენ

გჭირდება რომ დააფიქსირო და აპყვე გონების კარ-ნახს, გჭირდება ადამიანები, რომელთა მემკვიდრეობაა ეს მერს ადგილი განსაზღვრავს, გჭირდება დიდი პასუხისმგებლობის ქონა, რათა შენს ნებისმიერ ნათქვამსა თუ ქმედებაზე ავო პასუხი და ასევე პასუხისმგებლობის ქონა იმ პირობებებზეც, რომელიც თავად ხარ. ამასთანავე, უნდა ვაგვიჩვენო, რომ რაღაც დიდი ტანჯვის ნაწილი ხარ და ამას ძერას ვერ უზამ. ერთი დიდი მომწუხებელი კონდიციის, მდგომარეობის ნაწილი ხარ და მორჩა! შეგიძლია ამაზე ყურადღება არ გაამახვილო, მაგრამ ამის გააზრების გარეშე არაფერი გამოვა. თავად მეც ვცდილობ, რომ სრულიად სხვა დამოკიდებულებით, სხვა შეგარდებებით ვიმუშაო, მაგრამ იმ შეგარდებებს, რაც წელან ვასხედ, გვერდს ვერ ვუვლი. უბრალოდ მიიღე ეს როგორც გარკვეული ფრაგმენტი, ნავლეჯი, ნარჩენი იმ ქაოსისა, რომელმაც უკვე ჩაიარა და ახლისთვის მოემზადე. ეს ნარჩენები მხოლოდ იმიტომ რჩება გონებაში, რომ ფაქტი უკედაყონ, თორემ მათ უკვე აღარაფრის ძალა აღარ აქვთ, ვერაფერს ვერ შეუცვლიან. მეხსიერების ფუნქციონირება და მორჩა!

ფუჭი? და რადგანაც თავად ეძახით ამას ნარჩენებს, ესა იგი, ნარჩენებია? ვერ დაგვთანხმებით.

უცნაოა, რომ შეგიძლიათ ამას რაიმე სხვაც უწოდოთ. აი, მაგალითად, შევადაროთ ძველ, დაგერულ ტაძარს: ვიცით, რომ ეს ტაძარი ძველად ძალიან ლაზარია, შესანიშნავად ნაგები და ა.შ. ჩვენ შევიდოდით მასში, ვლოცულობდით, იმედს, რწმენას ვიმიყარებდით. მაგრამ იმ მომენტიდან, როგორც კი ის დაინგრა, მორჩა, ის აღარაფერი არ არის, გარდა უბრალო, არაფრისმეპქისი მატერია, რომლისგანაც სხვა ხელოვანმა უკვე მისი ანტიპოდი უნდა შექმნას. ეს წინააღმდეგობრივი ნაბიჯი შეიძლება სრული უმეცრებაც გამოდგეს, მაგრამ ამავდროულად შეიძლება მისი მემკვიდრეობით ახალი ინტერპრეტაცია, ახალი სიტყვაც წამოიჭრას. როდესაც ეს 4000 წლის წინანდელი ნეოლითური ლარნაკები ავიღე და საღებავებში ამოვაველი, ისინი იმ წამიდან უკვე სრულიად სხვა ხატებად წარმოადგინდნენ, ახალი ცხოვრება დაიწყეს. ბევრს შეუძლია კვლავ ამოიცნოს ამ ლარნაკების თავდაპირველი სახეები მათ შრეებში და სწორედ ამის გამო დააფასოს ისინი, მაგრამ ეს სხვა თემაა, ამ ლარნაკებს უკვე სხვა ღირებულება აქვთ: მათ მოახერხეს, რომ ტრადიციული, ძველი ეპოქის ძეგლებისთვის განკუთვნილი მუზეუმებიდან, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებში გადაინაცვლეს და ამ ნაბიჯით ნარდღებენ აუქციონებზე.

გამოაჩინეს, რომ ეს ფუჭი ნარჩენები ერთ დიდ ნაგავსაყდეს ქმნიან ახალი ხელოვნებისთვის. როდესაც დოკუმენტაცია³² თქვენი „ზაპარის“³³ მომსწრე გავხდი და შემდეგ თქვენს ბლოგზეც შევიხივე, აღმოვაჩინე, რომ ეს ბლოგი უკვე ერთგვარი სოციალურ სკულპტურაა³⁴ არის ციკლური. თავად თუ მიჩნევი თავს სოციალური სკულპტურის შემქმნელად, ხართ თუ არა ხელოვანი, რომელიც სახალხო ხელოვნებას ქმნის?

მე მგონი პირველი ადამიანი ხართ, რომელმაც შენიშნეთ, რომ ნამდვილი რეალობის ნაწილი ვადა ციფრული რეალობაც - რეალობა, რომელიც დღით დღე უფრო გავლენიანი ხდება და რომელზე დამოკიდებულებით უფრო და უფრო ძლიერად ვხდებით. დიახ, ყველა აქტივობაცა და ხელოვნების ნაწარმოებიც უნდა

იყოს სახალხო! შუა საუკუნეებშიც კი ეს გავხილი ჰქონდა ხელოვნებას და რენესანსიდან მოყოლებული დღემდე უცვლელია; - ხელოვნება ხალხისთვისა და ცერდნობა ინდივიდუალიზმსა და რაზეც წელან ვისაუბრეთ, მანიფესტებს. დღეს განსაკუთრებით რთულია - თითქმის შეუძლებელიც - გაქვცი იმ გარემოებას, რომ ხელოვნება არ იყოს სახალხო, არ ეტარდეს პოლიტიკურ ნიშნებს, დამოკიდებულებას. ეს ყველაზე კარგად პოპ-არტმა წარმოაჩინა. ენდი უორჰოლმა თავისი ინტერვიუებით, პორტრეტებით, ზოგადად იმ „პროდუქციით“ რაც დავიკოტავ, ყველას დაგვანახა ის ნიშნული, რომელზე მეტად სახალხოც ხელოვნება ვერასოდეს ვახდებთ.

ჩვე ბევრ თემს ამოვედით და ძალიან მრავალფეროვანი საუბარი გამოვეციოდა, მაგრამ ჩემი საყვარელი შეკითხვა ჯერაც არ დამისვამს. თითქმის ყოველი საუბრისას გეკითხებით ხოლმე და არც ახლა დავარღვევ ტრადიციას: - რა არის თქვენი ჯერაც განუხორციელებელი პროექტი?

ჩემი განუხორციელებელი პროექტი? არც კი ვიცი რა ვიპასუხოთ. ალბათ გაქრობა. რაღაც დროის შემდეგ ხომ ყველას უნდა, რომ ცოტა ხნით გაქრეს? მეც მინდა. სხვა მხრივ, ზუსტ პასუხს ვერ გავცემთ. მომავალ წელს მიუნენში, ხელოვნების სახლში,³⁵ ჩემი გამოფენა ეწყობა და ამ პროექტისათვის უნდა მოემზადო. უშუალოდ რა როგორ იქნება, ნამდვილად ვერ გეტყვი.

ერთხელ დენ გრემმა³⁶ თქვა, რომ ხელოვანებს რომ სრულად გავუგოთ, აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, თუ რა მუსიკას უსმენენ ისინი. თქვენ რა მუსიკას უსმენთ?

მუსიკის დიდი მცოდნე არ ვარ. ვაფასებ მას, შემიძლია მისი ანალიზიც გავაკეთო, ბევრი მუსიკოსი მერტარაც მყავს, მაგრამ მოსმენით არასოდეს არ ჩამიერთავს და მომისმენია ჩემი ნები. ჩემი მუსიკა არის სიჩუმი.

თქვენი საყვარელი სიტყვა.

„ქმედება“.

რა განიჭებთ მოტივაციას?

უცნობ გარემოში, რთულ სიტუაციაში ყოფნა.

რა გიქვეითებთ მოტივაციას?

გამეორებები, რეპეტიცია.

რა არის ის მომენტი, რომელსაც ყველა ველი?

მომენტი, როდესაც ყველანი ვავითიმებით, უგრძნობები გავხდებით.

რომ არა ხელოვანი, რა პროფესიას აირჩევდით?

დღესაც ისე ვცხოვრობ, რომ საერთოდ არ მიფიქროს პროფესიის არჩევაზე.

თუკი სამოთხე არსებობს და თქვენ იქ მოხვდით, რა გინდათ რომ ღმერთისგან მოისმინოთ?


„რა იყო, არ მოელოდი ხომ აქ მოხვედრას?“

ინტერვიუ ჩანერილი 2008 წელს, ნიუ-იორკში.

1. ჩინეთის ნაციონალისტური პარტია.
2. ამერიკელი მხატვარი, ნეოდადაიზმის, პოპ-არტის, აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის წარმომადგენელი. დაიბადა 1930 წელს.
3. ფრანგული წარმოშობის ამერიკელი მხატვარი და მოქანდაკე. დადაიზმის და კონცეპტუალიზმის ერთ-ერთი უმათარესი ფიგურა. (1887-1968)

4. ამერიკელი მხატვარი, აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის წარმომადგენელი (1905-1970).
5. ამერიკელი მხატვარი, პოპ-არტის მთავარი ფიგურა. (1928-1987)
6. გერმანელი მოქანდაკე, ინსტალატორი და გრაფიკოსი. (1921-1986)
7. The Philosophy of Andy Warhol (From A to B and Back Again)
8. ხელოვნების მიმდინარეობა, რომელიც წინა პლანზე წამოიწვეს ნანარმოების ფორმალურ-ლოგიკურ იდეას.
9. Fluxus - სახელოვნებო მიმდინარეობა, რომელიც წინა პლანზე წამოიწვეს ინდივიდუალისტურ ესთეტიკას და ებრძვის კომერციულ და ზედმეტად სენსიტიურ ხელოვნებას.
10. ამერიკელი ხელოვანი, რომელიც საყოფაცხოვრებო ნივთების გამოყენებით ქმნის ინსტალაციებს. დაიბადა 1955 წელს.
11. Hanging Man, 1985.
12. Violin, 1985 .
13. Safe Sex, 1986.
14. Mao 1-3, 1985.
15. ამერიკელი ნეოექსპრესიონისტი მხატვარი და კინორეჟისორი. დაიბადა 1951 წელს.
16. ერაყელი წარმოშობის ბრიტანელი არქიტექტორი. დაიბადა 1950 წელს.
17. ჩინელი წარმოშობის ამერიკელი არქიტექტორი, დაიბადა 1917 წელს.
18. The Black Book (1994), The White Book (1995), The Grey Book (1997).
19. გერმანელი ხელოვნების კრიტიკოსი და ისტორიკოსი, სრული პროფესორი ჰარვარდის უნივერსიტეტში. დაიბადა 1941 წელს.
20. იტალიელი არქიტექტორის, ჯო პონტის მიერ 1928 წელს დაარსებული ჟურნალი არქიტექტურასა და დიზაინზე.

21. ავტონომიური რაიონი ჩრდილოეთ ჩინეთში.
22. შვეიცარიელი არქიტექტორი, კორპორაცია Herzog & Meuron-ის ერთ-ერთი დამაარსებელი.
23. ინგლისელი კურატორი და კრიტიკოსი, თანამედროვე ჩინური ხელოვნების სპეციალისტი.
24. ინსტალაცია "Descending Light", 2007.
25. ინსტალაცია "Fountain of Light", 2007, გამოიფინა ლივერპულის ტიტის სამხატვრო გალერეაში.
26. რუსი ავანგარდისტი მხატვარი, სკულპტორი და არქიტექტორი (1885 - 1953)
27. Works 2004-2007 by Ai Weiwei [Jrp Ringier Books 2008].
28. ბრიტანელი ისტორიკოსი, მარქსისტი, რომელიც იკვლევდა კაპიტალიზმს, სოციალიზმსა და ნაციონალიზმს.
29. Coca-Cola Vase, 1997.
30. Table with Two Legs on the Wall, 1997.
31. Bowl of Pearls, 2006.
32. Documenta - გერმანელი მხატვრისა და არქიტექტორის, არნოლდ ზოდეს მიერ დაარსებული ფესტივალი გერმანიის ქალაქ კასელში, რომელიც ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება. დოკუმენტას ფარგლებში, 100 დღის განმავლობაში ქალაქში იფინება თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები.
33. აი ვეივეის მიერ 2007 წელს განხორციელებული პერფორმანსი, როდესაც მან დოკუმენტაზე 1001 ჩინელი მოქალაქე ჩაიყვანა მესიერების „გასამდიდრებლად“.
34. ჯოზეფ ბოისის მიერ შექმნილი ტერმინი, რომელიც აღნიშნავს საზოგადოებრივ ჩართულობას ხელოვნების ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნაში.
35. Haus der Kunst - მიუნხენში მდებარე სახელოვნებო გალერეა.
36. ამერიკელი მხატვარი, მწერალი და კურატორი (დაიბადა 1942 წელს).



დათო ქარდავა

ნიგნების დაბრუნება

Habent sua fata libelli - ნიგნებს თავისი ბედი აქვთ

2014 წლის 2 ივნისს, ბერლინში Bode-Museum-ში სიტყვიერება გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს დაუბრუნა მეთვრამეტე საუკუნეში გამოცემული ორი ნიგნი, რომლებიც, 2 მილიონამდე სხვა ნიგნთან ერთად, საბჭოთა კავშირმა რეპარაციის სახით გაიტანა მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის სახელმწიფო და კერძო ბიბლიოთეკებიდან. ნაალაფარი ნიგნებიდან საქართველოს, როგორც ერთ-ერთ მოკავშირე რესპუბლიკას, 150 ათასამდე ტომი ერგო.

ვლადიმირ ვისოცკის, ცნობილ რუსს ბარდსა და მსახიობს, თავის მდიდარ რეპერტუარში ჰქონდა ერთი უსასრულოდ გრძელი სიმღერა - „ბაღადა ბავშვობაზე“, რომელშიც მძიმე საბჭოთა ყოფასთან ერთად აღწერილია ე.წ. „ომის ბავშვების“ თვალთ დაინახული სამყარო, სადაც, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ნელ-ნელა ჩნდებიან ფრონტიდან დაბრუნებული და ნადავლით ხელდამშვენებული მამები და უფროსი ძმები:

„У тети Зины кофточка с драконами, да змеями -
То у Попова Вовчика отец пришел с трофеями.
Трофейная Япония, трофейная Германия:
Пришла страна Лимония - сплошная чемодания“.

საქმე ის არის, რომ საბჭოთა ჯარისკაცები ნადავლს ეზიდებოდნენ როგორც ორგანიზებულად, ასევე - სტიქიურად. საფანგებოდ შექმნილი ნადავლის მთავარი სამმართველოს მონაცემებით, საბჭოთა კავშირმა გერმანიიდან გაიტანა: 72 ათასი ვაგონი, 3 ათასამდე ქარხანა, 96 ელექტროსადგური, 340 ათასი ჩარხი, 200 ათასი ელექტროძრავა, 1 მლნ. 355 ათასი სული საქონელი, 2,3 მლნ. ტონა ხორბალი, 1 მლნ. ტონა კარტოფილი, 20 მლნ. ტონა სპირტი, 16 ტონა თამბაქო. 60 ათასი როიალი, 450 ათასი რადიო-ომიმღები, 190 ათასი ხალიჩა, ავეჯის 940 ათასი ნივთი, 265 ათასი საათი, 1,2 მლნ. პალტო, 1 მლნ. თავსაბურავი და ა.შ.

ცხადია, ნადავლის ამ ნამუღევამ ტალღამ - ვისოცკის სიტყვიერებით, „ერთიანმა ჩემოდანიამ“ საქართველომდეც მოაღწია. როგორც ცნობილი ლიტერატორი, პროფესორი ლევან ბრეგვაძე იხსენებს, ნაალაფარი ნივთები იყიდებოდა თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში, მათ შორის ტყიბულშიც:

„ვაგონებით მოდიოდა რაიონებში. მე ტყიბულის მაგალითი ვიცი, რადგან მამაჩემი გეოლოგი იყო და ერთი ხანობა იქ მოგვიწია ცხოვრება. მისგან ვიცი, რომ მაღაზიები სავსე იყო ნადავლით, პირდაპირ ოჯახებიდან გამოტანილი ნივთებით, რომელთა ნაწილი გარეცხილიც კი არ იყო და ყოველივე ეს ძალიან იაფად იყიდებოდა“.

ლევან ბრეგვაძის თქმით, ნაალაფარ ნივთებს შო-

რის ნიგნები დიდი იმპიათობა იყო, თუმცა წლების შემდეგ, როცა მეცნიერულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი და გერმანულ ტექსტებზე მუშაობა მისი ხელობის ნაწილად იქცა, შეიტყო, რომ საქართველოს ბიბლიოთეკებში - მათ შორის, მეცნიერებთა აკადემიის, უცხო ენათა ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიგნსაცავებში, ათობით ათასი ნაალაფარი ნიგნი ინახებოდა.

გერმანიის მთავრობის მტკიცებით, საბჭოთა კავშირმა, კერძო და სახელმწიფო კოლექციებიდან, სულ 2 მილიონი ნიგნი, 3 კილომეტრი საარქივო საქაღალდე და 200 ათასი სამუზეუმო ექსპონატი გაიტანა. საბოლოო ჯამში, ნაალაფარმა ნიგნებმა (მათ შორის სხვა ოკუპირებული ტერიტორიებიდან გატანილმა 8 მილიონმა ტომმა) თავი მოიყარა მოსკოვში, უცხოური ლიტერატურის სახელმწიფო ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (ГЦБИЛ), საიდანაც, მოგვიანებით (1948 წ.) მოკავშირე რესპუბლიკების ბიბლიოთეკებში გადანაწილდა, თუმცა ნადავლის დიდი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, ცხადია, ადგილზე, ანუ მოსკოვში დარჩა.

საქართველოს მთავრობამ „ნაალაფარი ნიგნების“ პირველი პარტია - დაახლოებით 80 ათასი ნიგ-



ნი - გერმანიას ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში, რამდენიმე ეტაპად დაუბრუნა. „გერმანული ნიგნების“ დარჩენილი ნაწილი, დაახლოებით 70 ათასი ტომი, თავმოყრილია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრ. წერეთლის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, თუმცა, როგორც ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე თამარ გიორგაძე ამბობს, ეს ნიგნები დაავადებულია ობს სოკოთი და მათთან შეხება სახიფათო ჯანმრთელობისთვის:

„ნიგნები დაზიანდა იმის გამო, რომ სათანადო პირობებში არ ინახებოდა. როცა ამ შენობაში გადაიკეთდა 1987 წელს და გამოვიტანეთ ეს ფონდი, ნიგნები მოხვდა ე.წ. „ნულ სართულზე“, სადაც აღმორჩა, რომ ძალიან მაღალი იყო ტენიანობა. შედეგად, სანამ ნიგნოთივე დალაგდა და ყურადღება მივაქციეთ, ბიგნები დაზიანდა“.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობა, სადაც ნაალაფარი ნიგნები ლაფავენ სულს, ტიპური საბჭოთა არქიტექტურის ნიმუშია, თუმცა მის ძმიძი, რიკინა-ბეტონის სხეულზე მეტად დამორგუნველი ის „საბჭოური გარემოა“, რომელიც ბიბლიოთეკაში საშუალო ექსპონატითაა შემონახული: ჩამოგრებული კედლები, აყრილი კიბეები, უსწორმასწორო იატაკი, დახულები ლინოლეუმი, სტანდარტულად შეთეთრებულ-შედებილი ინტერიერი და ა.შ. როგორც ჩანს, ბიბლიოთეკის გახსნის შემდეგ არც რემონტზე უზრუნია ვინმეს და არც ავეჯის განახლებაზე. თამარ გიორგაძემაც, ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ, ერთ-ერთ ასეთ ტიპურ საბჭოთა კაბინეტში გვიმასპინძლა.

„ეს უკვე განმეხდობი, ნამკურნალები ნიგნი“, - გვითხრა თამარ გიორგაძემ და ორი უძველესი ტომი გადაგვიშალა, - „პირველი ჩამოსვლის შემდეგ გერმანულად სპეციალისტებმა რამდენიმე ერთეული ეგზემპლარი ნაიღეს სამუშაოში, რათა ენახათ როგორ გადაიტანდა ო-დასხივებას. ეს ნიგნი, რომელიც ხელში მიჭირავს, 1756 წელს ლაიფციგში გამოცემული ლექსიკონია“.

სწორედ ეს, ო-დასხივებით „ნამკურნალები“ ენციკლოპედიური ლექსიკონი გადასცა Bode-Museum-ში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს.

Dictionnaire Economique (ავტ. ლონის სენ-ჟინსენტის ეკლესიის მოძღვარი Noel Chomel) ფრანკულიდან არის თარგმნილი და მასში თავმოყრილია ანბანის მიხედვით დალაგებული ინფორმაცია მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკურ-ფიზიკური მახასიათებლების, მრეწველობის, ფაბრიკების მოწყობისა და მტყუყვეობის შესახებ. ვარდა ამისა: როგორ გავამრავლოთ ქონება და შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხალისი მრავალი წლის განმავლობაში; როგორ გავუძღვეთ მეურნეობას და მოვაშენოთ შინაური ცხოველები და ფუტყარი; როგორ ვინადროთ, ვითევათი და ა.შ. თუმცა, როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა სამამდლოდ სიტყვაში თქვა, დაბრუნებული ნიგნი მხოლოდ შინაარსის გამო როდია მნიშვნელოვანი:

„ეს ორი ნიგნი არის არა მხოლოდ ნაწილი დიდი ბიბლიოთეკისა, არამედ მოწმე ევროპის ქართველიანი ისტორიისა. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის კოლეგებიდან თბილისში გატანილი ეს ნიგნები, სხვა ათასობით ნიგნთან ერთად, ათწლეულების განმავლობაში ინახებოდა ბიბლიოთეკების სარდაფებში და, ალბათ, სულ მალე არც არაფერი დარჩებოდა გერმანიის კულტურული მემკვიდრეობის ამ ნაწილისა. ჩვენ კარგად მოგვესვენება, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება არ არის ჩვეულებრივი ამბავი იმ ქვეყნისათვის, როდის მოსახლეობამაც მეორე მსოფლიო ომში დიდი დანაკლისი განიცადა“.

სპეციალისტების ვარაუდით, სულ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრ. წერეთლის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში 70 ათასამდე ისეთი ნიგნია, რომელსაც გერმანიის სახელმწიფო ან კერძო ბიბლიოთეკების მტამპებთან ერთად, ამჩნევია ნაალაფარის კვალი, ანუ შენახვის მიფერი რუსული ასოთი „И“, რაც ნიშნავს „Иностраный фонд“, ანუ „უცხოური ფონდი“.

ობის სოკოთი დაავადებულ ნიგნებს საქართველოდან გერმანიის ქალაქ რიდენრუში (Riedenburg) გერმანულ სპეციალისტები თავიანი ხარჯით ჩაიტანენ. იქვე მოხდება ნიგნების ო-დასხივებით დამუშავება და გასუფთავება. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ გერმანიის მთავრობასთან მიღწეული შეთანხმების შემდეგ განაცხადა, რომ უმკურნალებენ როგორც გერმანიისთვის გადასაცემ, ასევე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კუთვნილ დაავადებულ ნიგნებსაც, რომელთა დაცვალკვება სპეციალურ დამუშავებამდე ვერ ხერხდება.

მაია ფანჯიკიძე: „შემოგვთავაზებს ამ ნიგნების ნაღება გერმანიაში სპეციალური ტრანსპორტით, ო-დასხივებით განმეხდა, შემდეგ მეორე ტრანს განმეხდითი საშუაობის ჩატარება, ნიგნების გადარჩევა. ჩვენი სპეციალისტები მთელი ამ ხნის განმავლობაში იქნებიან იქ და ამ გადარჩევის შემდეგ დაინყება განაიღება - ის, რაც საქართველოსია, დაბრუნდება უკან უკვე განმეხდილი და გამოჯანმრთელებული, ხოლო რაც - არა, დარჩება გერმანიაში როგორც ჩვენი კეთილი ნების გამოხატულება“.

კეთილი ნების გამოსახატავად, საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის საგაზაფხულო სესიაზე სპეციალურად შეიტანა ცვლილება „კულტურულ ფასულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ კანონში“, თუმცა ცნობილია, რომ ე.წ. ნადავლი ნიგნების დიდი ნაწილი საქართველომ გერმანიას ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში, ევლარდ შვეარდნაის პრეზიდენტობის დროს, დაუბრუნა. პროცესში აქტიურად იყო ჩართული პროფესორი ალექსანდრე კარტოზია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილი დირექტორი და განათლების ყოფილი მინისტრი, რომელიც ამჟამად ლექციებს კითხულობს ოდერის ფრანკფურტის უნივერსიტეტში:

„ამ ნიგნების დაბრუნება გერმანიისთვის იმით კი არ იყო გამოწვეული, რომ მათი ნაკითხვა არ ხერხდებოდა საქართველოში. სრულიად სალი ნიგნები

დაუბრუნეთ მაშინ გერმანიას და სწორედ ეს იყო კეთილი ნების გამოხატულება. რისი გამოყენებაც საქართველოშიც ძალიან კარგად შეიძლება და რაც იყო მნიშვნელოვანი ფასეულობა, ის დაუბრუნდა პატრონს".

ალექსანდრე კარტოზიას თქმით, გერმანიაში დაბრუნებულ ნიგნებს შორის ჭარბობდა სამეცნიერო ლიტერატურა, გამიცემული მე-18-ე-20 საუკუნეებში, ერა იმეითი გამოცემებიც.

„მასხოვს, მაგალითად, სტუდენტი როცა ვიყავი, ბიბლიოთეკაში ნასარგებლები მაქვს ვიღველმ ფონ ჰუმბოლდტის "კავიენის შესახებ კუნძულ იავაზე" შესავალი ("ადამიანების ენების აგებულების სხვადასხვაობისა და კაცობრიობის გონითს განვიტარებაზე მისი გავლენის შესახებ") პირველი გამოცემით. რა თქმა უნდა, ასეთი ნიგნის ხელში აღება არის დიდი სიამოვნება და სიხარული ამ დარგის სპეციალისტისთვის", იხსენებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილი დირექტორი.

თუმცა, როგორც ჩანს, ალაფის სახით საბჭოთა კავშირში შემოტანილი ნიგნები „ფართო მასებისთვის" მაინც ხელმიუწვდომელი იყო, განსხვავებით ნადავლი კინოფილმებისგან, რომელთა ჩვენებაც ომით გაღარგებულმა საბჭოთა მთავრობამ ფულის მოგების მიზნით დაუშვა.

საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, (1938-1953 წლებში) კანდიდ ჩარკვიანის შვილი გელა ჩარკვიანი 2014 წელს გამოცემულ ჩანაწერების ნიგნში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ამ ფილმების გავლენამ საბჭოთა ადამიანებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

„ალბათ, უშიშრეულსად აღნიშვნის ღირსია „მზიური ველის სერენადა" (Sun Valley Serenade). ფილმს თან ახლავს გლეხ მიღერის Crystal chorus-ით შემკული ჯადოსნური მუსიკა. სწორედ მან განაწყობა საბჭოთა ახალგაზრდობის ესთეტიკურად მგრძობიარე ნაწილი პროამერიკულად. ...მიმაჩნია, რომ Chattanooga choo choo-მ უფრო მეტი გააკეთა საბჭოთა კომუნისტების ძირგამოსათხრელად, ვიდრე ამერიკის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ". (ნადავლი. ჩანაწერები". გამ. „ინტელექტი")

ნაალფარ ნიგნებს ასეთი გავლენა საბჭოთა მოქალაქეების ცნობიერებაზე არ მოუხდენია იმ უზარალო მიზეზის გამო, რომ მათი დიდი ნაწილი მეცნიერებისთვისაც კი ძნელად მისაწვდომი იყო. ნაალფარ ნიგნებთან შეხება არ ჰქონია პროფესორ ლევან ბრეგაძესაც, თუმცა, როგორც ცნობილი ლიტერატორი და გერმანოფილი ამბობს, მათი არსებობის შესახებ იცოდა:

„მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში ნადავლი ნიგნების კლასიფიკაციასა და აღწერას აწარმოებდა ბუენ გიორგაძე - ევროპული ენების კარგად მცოდნე მეცნიერი, რომელსაც ხელფასიც კი ჰქონდა ამ საქმისთვის დანიშნული. მასთან მისაუბრია ამ საკითხზე, მაგრამ პირადად მე არასოდეს ჩამვარდნილა ხელში ისეთი ნიგნი, რომელსაც გერმანული ბიბლიოთეკის მუშაკმა უქნებოდა".

ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე მიიჩნევს, რომ ნა-

დავლი ნიგნების გერმანიისთვის დაბრუნება იმითაც არის გამართლებული, რომ საქართველოში ყოველთვის იგრძნობოდა ამ ნიგნების ფლობით გამოწვეული სინდისის ქენჯნა, რის გამოც საზოგადოება ამ სიმიდირუს ჯეროვანად ვერც მოიხმარდა:

„ეტყობა, ამ ნადავლს როგორც ნაქურდალს, ისე უყურებდნენ ჩვენთანაც და დანარჩენ საბჭოთა კავშირშიც, რადგანაც ამ ნიგნებს ხალხი ვერ ხედავდა და ვერ იყენებდა. ეწყობ, მაგალითად სარდაფში, და არავის აქედან მოგება არ უნახავს, იმიტომ რომ ის ადამიანები, რომელთა განკარგულებაშიც იყო ეს ნიგნები, შინაგანად მიიჩნევენ, რომ ისინი მათ არ ეკუთვნოდათ. ასე რომ, ეთიკურად არის და მორალურად ამ ნიგნების უკან, პატრონისთვის დაბრუნება".

საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელმაც ომის ნადავლის პატრონისთვის დაბრუნება დაიწყო, რასაც, ლაშა ბაქრაძის თქმით, დიდი სიმბოლური დატვირთვა აქვს, რადგანაც რუსეთი (ნადავლის ძირითადი ნაწილის მფლობელი) არ აპირებს იმავეს გაკეთებას:

„როდესაც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნები, მაგალითად საქართველო, აბრუნებს გერმანიაში ნიგნებს თუ სხვა ნივთებს, ეს გარემოება გამოიყენება მორიდ საშუალებად, მიუთითონ რუსეთს, რომ მას აქვს ბევრი რამ დასაბრუნებელი", ამბობს ლაშა ბაქრაძე.

პირველი რიგში ლაშარაკია ე.წ. პრიაშოსის განძი, რომელიც ჰომეროსის ილიადას მიხედვით, მეფე პრიაშოსმა მიაღწია აქილევსს უფლისწულ ჰექტორის ცხედრის გამოსასყიდად.

„მეფურ საზიხრით მოტანილი განძი დაარწყვეს -

ჰექტორის თავის საზღაური უფიერფასესი". (რომან მიმინოშვილის თარგმანი)

ტროას ოქროდ ნოდებულ ამ განძს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ნაქურდალვით მალავდა თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

საქმე ის არის, რომ 1873 წელს შლიმანის (Johann Ludwig Heinrich Julius Schliemann) მიერ თურქეთში, ჰისარლიქის (Hisarlik) ბორცვზე წარმოებულ გათხრებისას მიკვლეული განძი (10 ათასამდე ნივთი), ბერლინის დაცემის შემდეგ საბჭოთა კომუნისტურს გადასცა პროფესორმა ვილჰელმ უფერცელმა (Wilhelm Unverzagt) - ბერლინი მდებარე პირველყოფილი და ძველი ისტორიის მუზეუმის დირექტორმა, რომელმაც არ შეასრულა ფიურერის ბრძანება და არ გადაძალა განძი გერმანიის ჯერ კიდევ თავისუფალ, დასავლეთ ნაწილში.

1993 წლამდე „ტროას ოქრო" დაკარგულად ითვლებოდა, ვიდრე რუსეთის ფედერაციის მთავრობამ არ გამოაცხადა, რომ განძი მოსკოვში ინახება. რამდენიმე წლის წინ რუსეთის ხელისუფლებამ ნადავლი მოსკოვის ერთ-ერთ მუზეუმში გამოვიდა და განაცხადა, რომ მისი კანონიერი მფლობელია.

როგორც ჩანს, არ ეცდებოდა დიდი ფრანგი პოეტი და მოაზროვნე პოლ ვალერი, როცა ამბობდა: ქურდი კომიკოსია. ისე იქცევა, თითქოს ნივთი მას ეკუთვნისო.

ჯაბა ზარქუა

სოლარისი

სტანისლავ ლემი



სოლარისი

სტანისლავ ლემი, სოლარისი (რომანი).
თარგმნა ნორა ქართველიშვილმა.
თბ. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2014.

ყველაზე საინტერესო მაინც ჩვენს თავში ხდებოდა. კოსმოსში გაცხოველებული ქექვის ვენბა კი საკუთარი თავისგან გაქცევის მცდელობაა. არა, ისე კი არ იფიქროთ თითქოს კაცობრიობის პროგრესის მქონდეს რაიმე საინინალმდეგო ან კოსმოსის კოლონიზაციის, ან სულაც სამეცნიერო ფანტასტიკის, მაგრამ „სოლარისის“ ნაკითხვის შემდეგ ეს განცდა ერთიორად გამიძვარდა.

ჩვენი ტვინი ურთულესი მექანიზმია, რომელსაც ამ დრომდე თავი წესიერად ვერ მოვაბით და ბევრი რაღაც ისევე აუხსნელი გვრჩება. აუხსნელია ჩვენი ფსიქიკური მოქმედების ბევრი მექანიზმი და ამ მექანიზმის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ გაჩენილი დავადებების ბევრი დეტალი. ისეთი შთაბეჭდილებაც კი მექმნება, რომ თითქოს გვემინია ამ საკითხებით გატაცების, რადგან რთული და საშიში საქმეა საკუთარი თავის შეცნობა და წინასწარ

ვერ გათვლი რა შედეგები შეიძლება მოგიტანოს. გამომდინარე იქიდან, რომ საკუთარი თავის ბოლომდე შეცნობას არ ვეჭვობთ, გატაცებით ვეძებთ ხოლმე სხვადასხვა ტერიტორიებსა და საქმიანობებს, სადაც მოვახდენთ ჩვენი შიშებისა და ფობიების სუბლიმაცია-ტრანსფორმაციას და მცირე ხნით მივჩქმალავთ მათ ან გარდავქმნით სხვა სახის ენერგიად და გამოვიყენებთ. ერთ-ერთი ასეთი საქმიანობა, რომელმაც გავავიტაცა განსაკუთრებით მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, კოსმოსის შეცნობაა, რაც ერთი შეხედვით კარიკატურულადაც კი სჩანს - როგორ შეუძლია კოსმოსის - ამ უსასრული და აბსოლუტურად უცნობი სივრცის შეცნობა არსებებს, რომელსაც საკუთარი თავი ანუ სასრული და ძალიანაც კონკრეტული სუბსტანცია ვერ შეუცნია აქ და ახლა?

„სოლარისის“ ნაკითხვის შემდეგ დამებდა ერთი ქვეკითხვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით - იქნებ სწორედ კოსმოსის ის ტერიტორია, სადაც ჩვენი თავი უნდა შევიცნოთ და ჩვენი ფსიქიკური მოქმედების მექანიზმები ხელისგულზე დავინახოთ? იქნებ დედამიწა და აღნიშნული მოცემულობები არაა საკმარისი ჩვენი გონების შესაცნობად და სწორედ ამისთვის ვეცნრავით სხვა, ახალ კონტექსტებს? იქნებ ეს დიდი საქმე ესოდენ ნაოცნებარი და ნაინანატი „კონტაქტის“ დამყარების მომენტში ან შემდეგ უნდა მოხდეს და არა აქ და ახლა? მე მომწონს ეს მოსაზრება, რადგან ჩვენს არსებობას უმწეო რომანტიზმის ელფერს სძენს და ბორბალში მორბენალ ზახუნებს გვამსგავსებს იმიტომ, რომ ჩვენი ცნობიერების მაქსიმალური დამორჩილების გარეშე კოსმოსის ათვისება გაჭირდება, ხოლო კოსმოსის ათვისების გარეშე კი საკუთარი თავის შეცნობა, აი როგორი ჩაკეტილი წრე გამოდის, წყველასავითაა თითქოს.

სტანისლავ ლემის სამეცნიერო ფანტასტიკური რომანი „სოლარისი“ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ მშვენიერი სერიის - „კინობილიოთეკა“ ფარგლებში გამოსცა. წიგნი ქალბატონ ნორა ქართველიშვილის ნათარგმანია. დასაწყისში ყურს სჭრის უამრავი ტექნიკური ტერმინი, რომელიც გაბრკოლებს კითხვისას, თუმცა ეს მთარგმნელზე მეტად, ჩვენი ყურების ან სულაც ქართული ენის ბოალი უფრო იქნება - არ ვართ მიჩვეული ტექნიკურ ტერმინებს მშობლიურ ენაზე, რუსულად - იცოცხლეთ, არ გვეუცხოვეთ. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ რამდენიმე ისეთი არქაული სიტყვაც მომხვდა თვალში, მათი არსებობის შესახებ აღარც მახსოვდა და მეეჭვება, მათი გამოყენება მაინცდამაინც გარდაუვალი საჭიროებით ყოფილიყო განპირობებული, თუმცა რაცაც უნდა - არ არის ისეთი თარგმანი, რომ ამის გამო კითხვა შუა გზაზე ლანძღვა-გინებით მიატოვო კაცმა. და საერთოდ, მსგავსი ლიტერა-

ტურის (სამეცნიერო ფანტასტიკა მაქეს მხედველობაში და არა მარტო „სოლარისი“, არამედ ჟანრის უფრო მძიმე ნიმუშებიც) თარგმნა უძნელესია, თუმცა პაერიოთ აუცილებელი - ბევრი ტერმინი ხომ უბრალოდ არ მოგვეგონება მშობლიურ ენაზე! მახსოვს, ადრე დათო ქართველმოძვილი ჩიდა, სამეცნიერო ფანტასტიკის წერა ურთულესია ქართულად იმიტომ, რომ სიტყვების გამოყოფნა გინევს თავიდანო და რთულია არ დაეთანხმო - ჩვენი მეცნიერება განვიითარების დაბალ საფეხურზეა, არ გამოიკვამა პროფესიული თანამედროვე სახელმძღვანელოები მასობრივად, არ მიმდინარებს მართლა ეფექტური სამეცნიერო სამუშაოები (და არა ისეთი, საბჭოთა კავშირის ბოლო პერიოდში როგორსაც დაეჩვივნენ ჩვენი ძვირფასი „პროფესორები“) და შესაბამისად, მწერალი თუ მთარგმნელი უამრავ სირთულეს აწყდება სხვადასხვა ტერმინების თარგმნისას თუ შესატყვისის გამოცხინისას. ჰოდა, სადაც მეცნიერები პასურობენ, იქ დაე მწერლებმა და მთარგმნელებმა მისცენ გასაქანი საკუთარ ფანტასტიკას, „გათახედდნენ“ და დაამკვიდრეს მშობლიურ ენაზე სხვადასხვა სამეცნიერო სიტყვისა თუ ტერმინის შესატყვისი, საწინააღმდეგო ვის რა ექნება?!

ვისაც წინი წაკითხული ჯერ კიდევ არ გაქვთ, მოკლედ მოგიყვებით სიუჟეტის შესახებ: არის პლანეტა სოლარისი, რომელზეც მდებარეობს საკმაოდ უცნაური პლანეტის ოკეანე. უამრავი თეორია გამოთქმული ამ ოკეანის წარმოშობისათვის, განვითარებასთან და ფუნქციასთან დაკავშირებით, თუმცა, საბოლოოდ, დამტკიცებული არც ერთი არაა და ნების განმავლობაში იმდენი კვლევა და სხვადასხვა ვარაუდი გამოთქმული და მივიწყებული, რომ ნელ-ნელა ავტორიტეტული სამეცნიერო აზრი დაიყვანება შემდეგ დასკვნამდე - სოლარისტიკაში ფულის ხარჯვა არ ღირს! ნელ-ნელა იკლებს მისიების რიცხვი, სოლარისზე მდებარე სადგურში მცხოვრები ასტრონავტების ორცხვი და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მალე სოლარისი მიივინყებენ და მიაღებენ. სოლარისზე მიაშვზარებენ დეგრესიამ ცყოფ კრის კელივსი, რომელსაც ცოლი გარდაეცვალა (თავი მოიკლა ჰარიმ, რადგან ეგონა, რომ კრისი მართლა დაშორდა. არადა, არ აპირებდა საბოლოოდ დაშორებას თურმე). იქ უნდა დახედვს სამი მეცნიერი - სარტორიუსი, გიბარიაინი და სნაუთი. გიბარიაინი გარდაცვლილი, თავი მოუკლავს. სნაუთი და სარტორიუსი კი ცოცხლები არიან, მაგრამ ვაი ასეთ სიცოცხლეს. მოკლედ, დანარჩენს წაკითხეთ თავად, მაგრამ ერთს იმას გეტყვით, რომ ეს ოკეანე დიდი ცინიკოსი ვინმე აღმოჩნდება: ადამიანების მესხიერების ცილების რეკონსტრუქციას ახდენს და შედეგად იმ პიროვნებებს „აცოცხლებს“ და მოუვლავს მისის ნეკრებს, რომელსაც მათ მესხიერებაში სამუდამოდ ჩაბეჭდილან და აი შენი ჰარიც, რომელმაც თავი მოიკლა იმის გამო, რომ ეგონა საყვარელი მუღლენ მართლა დაშორდა! წარმოგიდგინათ რა საშინელება იქნება ერთ მშვენიერ დღესაც, ახალგაღიბებული თქვენ გვერდით საყვარელ ცოლს რომ ხედავთ, რომელიც ზუსტად იცით, რომ გარდაცვლილია და მეტიც,

რომლის გარდაცვალებაშიც თქვენს თავს ადანაშაულებთ? დანარჩენი წიგნში თავად ნახეთ.

მე მეჯერა, რომ სოლარისტიკას გასაქანი არა აქვს, რადგან მეც და ალბათ მაესტრო სტანისლავიც ვფიქრობთ, რომ ადამიანი პირქუში არსებაა და ასე მოუშადადებოდ თუ გადაეშება საკუთარი ქვეყნობიერის რეალიზებულ და განსხეულებულ თეატრალურ მორეში, აუცილებლად დაიბნევა, მეშინდება და დაითრგუნება. ადამიანიც არ არიან მზად საკუთარი ქვეყნობიერი დინახონ ხელის გულზე და ალბათ სწორედ ამიტომაც უნდათ პლანეტის განადგურება, მისის დადხურვა და ა.შ. დანარჩენების კითხვისას ვფიქრობდი, ერთი შეხედვით კი საშინელება გარდაცვლილ საყვარელ ადამიანთან კონტაქტი, მაგრამ რატომაც არა? რა უნდა იყოს იმაზე სანატრელი, როდესაც გარდაცვლილ საყვარელი ადამიანი განსხეულებული გეცხადება? ადამიანებს სიზმრები სიამოვნებთ და ასეთი რამ როგორ შეიძლება არ ესიამოვნოთ? მაშ რატომ ისწრაფვიან ამ არსებების განადგურებისა და გაქრობისკენ, რას უშლით ისინი? კრისი არც ისწრაფვის, მზადაა ჰარისთან ერთად ვაატაროს დარჩენილი ცხოვრება სოლარისზე, მაგრამ სარტორიუსსა და სნაუთს რადა უნდათ?

საქმე იმპია, რომ ადამიანებს გვაშინებს ისეთი ტერიტორიები, რომელთა შესწავლასაც ვერა და ვერ ვახერხებთ. გვაშინებს არასტაბილური გარემო. ახლავდ განვმარტავ რასაც ვგულისხმობ: დღეს თუ მე ჩემს გარდაცვლილ მუღლეს მომივლენს ოკეანე, თან ისეთად, როგორადაც ჩემს ტვინში იჯდა, რა გარანტია მაქვს რომ ხვალ ვინმე ამაზრზუნს ასეთას არ მომივლენს, ვინმე „ბუას“, რომელიც არსებობს საცავეში? ნარმოგიდგინათ ეს რა მსაშინი რამ იქნება? ასევე საშინელებაა ისეთ მოცემულობებთან შეგუება, რომლებიც არაბუნებრივად გიყვანება და ეს ყველა ადამიანს გვიჭირს და გავიჭირებდა კიდევ ან და მარადის. ყოველივე არაბუნებრივი, ანუ აუხსნელი, შიშის ზარს გცემს და ორ გარძობას გვიღვიძებს - ან უპირობო მორჩილება, ან გარიდება. არაბუნებრივი მოვლენებისადმი უპირობო მორჩილება სხვადასხვა რელიგიას წარმოშობს, გარიდება კი დესტრუქციულ ძალას ატარებს თავის თავში. ოკეანესაც ასე უნდა მიდგომოდნენ ადამიანები - ან უნდა გაეღმურებინათ, ან გაენადგურებინათ. სხვაწარად მასთან თანაარსებობას უზრალოდ ვერ შეძლებდნენ. ჰოდა, ისინიც ისწრაფოდნენ მისი განადგურებისკენ, რადგან ღმერთობისთვის ოკეანე მეტისმეტად ამოუსხნელი, პირქუში და არაბუნებრივი იყო ალბათ, ჰო - არაბუნებრივი სწორედ.


ამ ყველაფერს ვლამაზავდი სტანისლავ ლემის წიგნზე „სოლარისი“, თუმცა ახლა რომ ვუფიქრებდი, მთელი ეს რეფლექსია ტარკოვსკის მიერ გადაღებულმა „სოლარისმა“ უფრო აღმიძირა. ეს ფილმი აბსოლუტური შედევრია სამეცნიერო ფანტასტიკის უაწრეს გადაღებულ ფილმებს შორის და მასზეც მინდა გითხრათ ორიოდ სიტყვა, რადგან ბოლობოლო წიგნის ბოლო ქართული თარგმანი „კინობლიოთეკის“ სერიაშია გამოცემული.

ანდრეი ტარკოვსკისა და ლემის ნაწარმოებებს შორის ერთი ფუნდამენტური განსხვავება მომხდებოდა თვალში: თუ სტანისლავ ლემის ნაწარმოებში მთავარი გმირი მაინც ოკეანეა და მის ირგვლივ ტრიანგილი ყველაფერი, რაც ნაწარმოებს ცალსახად სამეცნიერო ფანტასტიკურ იერს ანიჭებს, ტარკოვსკის ნაწარმოებში მთავარი გმირი ადამიანია - კრის კელივინი და ეს ყველაფერი ნაწარმოებს ერთგვარი ფსიქოლოგიური სამეცნიერო ფანტასტიკის სახეს აძლევს, რომელიც გაცილებით ღრმაა, ვიდრე უბრალოდ სამეცნიერო ფანტასტიკა. ფილმის ფინალი გაცილებით სჯობს ნიგნის ფინალს ისევე, როგორც დებოუტი. ანდრეი ტარკოვსკის პატარა ხრიკით (ჩამატებული ჰყავს პერსონაჟები - კრისის დედა და მამა, ასევე ბერტანი, რომელიც ნიგნის შუანელშია ნახსენები ჩანანერების სახით, ფილმში კი დასაწყისში გვევლინება და კრისს მოგზაურობის ყინს სწორედ ის აღუძრავს) ფილმმა მიიღო აბსოლუტურად სხვა სახე და ნიგნისგან განსხვავებულ კალაპოტში დაიწყო დენა სიუჟეტმა. კრის კელივინის ვივებათა ლეგა და მთელი ის საოცრება, რასაც ადამიანის განსხვავებული ქვეცნობიერი ჰქვია, სწორედ ფილმში ჩანს მთელი თავისი დიდებულებით და არა ნიგნში. ალაგ-ალაგ კითხვისას მრჩებოდა გაცნა, რომ სტანისლავ ლემის მიზანი სწორედ მსგავსი „ღრმა“ სამეცნიერო ფანტასტიკის შექმნა იყო, სადაც ცენტრში დაყენებდა ადამიანის ფსიქოლოგიის სიღრმისეულ კვლევა-ძიებას, თუმცა არ გამოუვიდა ტარკოვსკისგან განსხვავებით, რომელმაც ამ ამოცანას ბოლომდე წარმატებულად გაართვა თავი. ფილმის ფინალი კი (უძღები შვილის დაბრუნების ინსცენირება) იმდენად განსხვავებულია ნიგნის უგერგილო ფინალისგან, რომ შეგვიძლია თამამად ვთქვათ - ტარკოვსკიმ ლემს აჯობა და ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ეკრანიზაციამ ნიგნს ბევრად გააუსწრო. შინაარსობრივ მხარეს რომ თავი დაეანებოთ, კადრები, ტემპი და რიტმი იმდენად იდეალურია ამ ნაწარმოებისთვის, რომ გიჩნდება გაცნა - „ეს ყველაფერი ხომ ზუსტად ასე უნდა იყოს, იდეალურია!“. იგივე გაცნა არ გიჩნდება სტივენ სოდერბერგის ეკრანიზაციის ცქერისას, სამწუხაროდ.

სოდერბერგის პოლივუდურ ბანალობაზე საუბრით დიდი ხანი თავს არ შეგანყენთ, რადგან არ იმსახურებს ეს ფილმი ბევრ და სიღრმისეულ განხილვას. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ჯორჯ კლუნი გამაღიზიანებლად ზედამიზნულ და მახლობლურ „ასტრონავტ კელივინს“ წარმოგიდგენს, ხოლო სიუჟეტი კი იმგვარადაა შეცვლილი, როგორც პოლივუდს ეკადრება - ორგრომიანი „ფილოსოფიური“ და ვითომ ღრმა დიალოგები ალაგ-ალაგ, დასასრული, რომელიც გიტოვებს გაურკვევლობის შეგრძნებას (რომელიც არაფერში გჭირდება! გაურკვევლობის და დაბნეულობის შეგრძნება კი კარგია, მაგრამ მის გამოყენებას ცოდნა და სტილის შეგრძნება უნდა და ყველგან მისი ხმარება კარგი შედეგის მომტანი ნამდვილად არაა) და კადრები, რომლებიც თავს ვერაფრით გამახსოვრებენ. ჯერ უნდა ნაიკითხო სოლარისი, მერე უყურო სოდერბერგის ვერსიას და მერე ტარკოვსკისას, რომ მიხვდე შემდეგ რამეს: ლემის სათქმელი ტარკოვსკიმ იმგვარად გა-


დააკეთა, როგორც ალბათ თავად ავტორსაც სურდა. სამსახიბო გუნდის ოსტატობა და ოპერატორული ნამუშევარი კი დაწყებითი კლასის მოსწავლისას ჰგავს სოდერბერგის ფილმში, თუ მას ტარკოვსკისას შევადარებთ.

ნაწარმოებში ერთგან ნათქვამია, რომ ჩვენ სარკებს ვეძებთ ვალაქტიკაშიც, რაიმე ჩვენწაირ, ჩვენს მსგავს ცივილიზაციებს და არა მართლა ახალსა და აქამდე გაულოწარს. ნათქვამია დანაშაულებით და სეველიანად. ახლა ვუფიქრებთ და ამ თეზაშიც ეჭვი შემაქვს - გვინდა რო სარკეები, როცა ასე მახინჯად მიგვაჩნია საკუთარი თავი და გვევინია მისი ცქერის? მგონი არც ეგ გვინდა. მამ რას ვეძებთ კოსმოსში? ალბათ არც არაფერს, უბრალოდ ხეტიალისთვის ვართ შექმნილები და არა სადმე დარჩენისთვის. რადგან დარჩენა-დამკვიდრებას საკუთარი თავის შეცნობის პროცესი უნდა მოჰყვებს ბუნებრივად, ჩვენ კი არსად დარჩენა და სახლის დადება არ შეგვიძლია - არც დედამიწაზე, არც - სოლარისზე. ჩვენ ვცოცხლობთ, სანამ ვმოძრაობთ.



ლაშა თილორავა

სენტიმენტალური პრელუდია



მარი ბეჟაური, ბებია, რეი და ამერიკა, "პაკურ სულაკაურის გამომცემლობა", თბ. 2012.

საბაკ ლის აქვს ერთი ასეთი ფილმი, „25-ე საათი“, დევიდ ბენიოფის სადებიუტო რომანის ეკრანიზაცია, სადაც მთავარი პერსონაჟი მონტი ბროგანი (ედვარდ ნორტონის შესრულებით) უკვდავ ბევრისთვის ცხოვრებისეულ მანტრად ქცეულ, ზიზღით აღსავსე მონოლოგს წარმოთქვამს, სადაც ღანძლავს ნიუ-იორკს და მასში მცხოვრებ ხალხს, - მათხოვრებს, ფულს რომ გნოვენ, ტერორისტებს, პაკისტანელებს, დაკუნთულ ჰომოსექსუალებს, კორეელებს, რომლებმაც ვერა და ვერ ისწავლეს ინგლისური ენა, ბრაიტონ ბიჩელ რუს განგსტერებს, ბრილიანტებით მოვაჭრე ჰასიდებს, უოლ-სტრიტულ მგლებს, მოქრთამულ პოლიციელებს, პედოფილ მღვდლებს და ა.შ. მოკლედ, თამამად, საჯაროდ ამბობს იმას, რასაც პატრიოტი კაც-თმოქმედი ამერიკელი იტყობდა ყველას გასაგონად, ამის შესაძლებლობა რომ მისცემოდა. შეგვიძლია ვთქვათ, მონტი ბროგანის პერსონაჟი სისტემატიზებული „პარამოზის“, მოჩვენებითი სრულყოფილების წინააღმდეგ ილაშქრებს. მისთვის ნიუ-იორკი (ამერიკის ბირთვი), შესაბამისად მთლიანი ამერიკა, მთელი თავისი კორუმპირებული ჩინოვნიკებითა და საამაყო იზო-

ლაციონიზმით მეტს არაფერს წარმოადგენს, თუ არა ძალადობისა და ფარიწველობის ბუდე.

ცნობილმა ამერიკელმა ფოტოგრაფმა პერბ რიტცმა თქვა: „იყო ამერიკელი ნიშნავს გქონდეს უფლება იყო ის, ვინც ხარ. ხანდახან ასე არ ხდება“.

იმაზე სწავლება, თუ რა არის ამერიკა სინამდვილეში, მხოლოდ დროის ფუჭი ხარჯვაა, რადგან მგონი მოსაზრებაც იმდენია, რამდენიც ამ ქვეყნის მოსახლეობა. ბევრისთვის ეს თავისუფლების მინაა, გახსნილობის, უშტამპობის. ბევრისთვის აღვირახსნილობისა და გადაგვარებულობის, ზოგისთვის გართობის, შედონისტური ცხოვრების საწყისია.

ახალგაზრდა ქართველი მწერლის, მარი ბეჟაურის მცირე რომანში კი ამერიკა აუხდენელ ოცნება-და წარმოჩენას, რეი ჩარლზის, ელვის პრესლისა და ბურბოლის სამბოლოდ, სადაც „კადილაკს მიაქროლებ ტექსასიდან მისისიპისკენ და სულ ცალ ფეხზე გკიდია ცხოვრება.“ „ბებია, რეი და ამერიკა“ ავტობიოგრაფიული რომანია და ამერიკაზე შეყვარებული ახალგაზრდა გოგოს უბრალო ისტორიას მოგვითხრობს, რომელიც ერთხელაც ამერიკაში წასვლას გადაწყვეტს, თან ისე, რომ არავის არ გააფრთხილებს. მთავარი გმირი გათხოვილი, ქმარზე ყურებამდე შეყვარებული სასონარკვეთილი დიასახლისია, რომლის წინაპარიც თურმე თავის დროზე ერეკლე მეორეს გაუბახებია. სასონარკვეთილი დიასახლისი, რომელსაც ბავშვობა ენატრება. ყოველთვის ყველაზე მზრუნველი ბებია, სოფლის ეზო და მთები. დიასახლისი, რომელსაც ხშირად აქვს დეურესია.

ერთი შეხედვით (კიარადა, ორითაც, სამითაც და ოთხითაც) „ბებია, რეი და ამერიკა“ არაფრით გამოჩრეული, პატარა, სასიყვარულო, ოცნებებით სავსე წიგნია, მაღალღირებულებიანი პროზის სტატუსზე რომ არ აქვს პრეტენზია. მსუბუქი, მომენტებში სასაცილო, მომენტებში კი - საკმაოდ სევდიანი. პრიციპში, ეს არც არის რომანი, უფრო ვრცელი წერილია, რომელიც განუხორციელებელ გეგმებს,

აუხდენელ ოცნებებს, მოკლედ, ამერიკას მიეძღვნა. სენტიმენტალური პრელუდია, მხოლოდ პირველი საფეხური რალაც დიდის და მრავლისმომცველისკენ მიმავალი კიბისა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომანი მცირე ზომისაა და საკმაოდ ადვილად იკითხება. ხოლო ავტორისეული იუმორნარევი, დახვეწილი წერის სტილი კიდევ ერთხელ გაძლევს მიზეზს თანამედროვე ქართველი ქალი მწერლებით იამაყო.

დღესდღეობით მარი სამი წიგნის - ერთი მოთხრობების კრებული და ორი მცირე რომანის ავტორია, თუმცა იგი ხალხისთვის სწორედ ამ პატარა სენტიმენტალური ფოქეთბუქითაა ცნობილი. წიგნების მალაზაში არაერთხელ შემხვედრია თინეჯერი გოგონები, ანთებული თვალებით რომ კითხულობდნენ: „ბებია, რეი და ამერიკა გაააქეთ?“. ალბათ წიგნის ასეთი პოპულარობა სწორედ იმ ყოველდღიურმა, ყველასთვის ნაცნობმა, „ცხოვრებისეულმა“, კითხველამდე კი ლალი და გახსნილი წერის სტილით მიტანილმა თემებმა განაპირობა, რომლებიც რომანშია ნამოქრძილი.

ერთი სიტყვით, ჩვენ თვალს კიდევ ერთი დამაიმედებელი თანამედროვე ქართველი მწერლის ჩამოყალიბებას ვაფიქვანებთ და ისლად დაგვრჩენია, თითებგადაჯვარებული ნებულები ავტორის ახალ ტექსტებს დაეულოდოთ.

ალბათ, მსგავსი აბსურდული ფრაზა არაერთხელ გეცნებთა გავწინობი: „ამერიკაში ღმერთის აღარ სწამთ“. არა, ქალბატონებო და ბატონებო, მინდა ერთი ჭეშმარიტება გაგიზიაროთ, საადვილო გაგიზიხლოთ - ამერიკა სინამდვილეში ერთი უბრალო, თითქმის ათ მილიონ კვადრატულ კილომეტრზე გადაჭიმული ქვეყანაა, 318 მილიონი ადამიანი, სადაც ღმერთისაც სწამთ და ჯედაისაც. ქვეყანა, რომელსაც ბევრი ოცნებობს და რომელსაც ბევრი ეტრფის. ამ „ეგრეს“ შორის კი ერთ-ერთი ამერიკიდან შორს, აქ, საქართველოში, თავის ოთახში ზის, სამსახურიდან მოსული ქმარს ელოდება და ფანჯარიდან თებს უყურებს.

ანდრო ბუაჩიძე

არქაული პოეზია აკომპანემენტის გარეშე



ლია ლიქოკელი, დევის ცოლის სიცილი (ლექსები), თბ. „საუნჯე“, 2013.

ლია ლიქოკელის ლექსები თავიდანვე უმტკივნეულოდ მიიღო მკითხველმა. უმტკივნეულოდ ანუ ყოველგვარი გართულების გარეშე, შეიძლება არა ერთმნიშვნელოვნად, ერთნაირად, არამედ სხვადასხვაგვარად, მაგრამ კომენტარის გარეშე. ყველამ კარგად ვიცით, რომ ძველ საბერძნეთში პოეტები ლირიკულ ლექსებს აკომპანემენტის თანხლებით წარმოთქვამდნენ. ეს აკომპანემენტი იყო ლირა ან კითარა. მოგვიანებით ეს ინსტრუმენტები დეკლამაციამ ანუ წარმოთქმის ხელოვნებაში შეცვალა. ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ლია ლიქოკელის ლექსებს არქაული ელფერი დაჰკრავს და თითქოს ძველბრძნული აკომპანემენტის ექო დაჰყვება.

რა დაბადა ეს შთაბეჭდილება?
ალბათ, მითის თხზვამ. ლია ლიქოკელის ლირიკული მუზა - ეგეტრპე, მითის საუფლოში იზადება. ამ მუზას უფრო კონკრეტული მისამართიც აქვს - ქართული მითოსური სამყარო.

ამ სამყაროს თავისი კოსმოსი, თავისი სივრცე და ხელშესახები რეალობა გააჩნია. ეს მართლაც რეალობაა, ზღაპრის რეალობა, რომელიც დაცლილია ჩვეულებრივი ყოფითობისგან და სიზმრის მკრთალი შუქით ივსება. და მაინც: უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან სიზმარი და ზღაპრის რეალობა. ორივეშია რაღაც არქეტაპული, რაღაც ქვეცნობიერის წილი, მაგრამ სხვაა ზღაპარი და სხვა არის სიზმარი. რასაკვირველია, პოეტს შეუძლია ნაშალოს საზღვარი ამ ორ სტიქიას შორის და ისინი ერთმანეთს განუზავოს, ოღონდ აქ უნდა დავსვათ კითხვა: ხდება კი ეს ლია ლიქოკელის პოეზიაში?

მე ვფიქრობ, რომ ხდება. ამ პოეტურ სამყაროს თავისი ნუსხრივი, თავისი დაუსწრელი კანონები აქვს. ეს არის უჩვეულო პოეტური სამყარო. აქ მოხვედ-

რილი საგნები ერთდროულად ზღაპრისა და სიზმრის ლოკიკას ექვემდებარება. აი, ვთქვათ, ლექსი „ცხვარი“.

ეს უწყინარი, სწორედაც რომ ზღაპრული ცხოველი, ლია ლიქოკელის პოეტურ სამყაროში მოხვედრილი, უჩვეულო იერს იძენს. ის ლირიკული სუბიექტის განუყოფელ ნაწილად იქცევა. მასთან ერთად დადის ქუჩებში, მას ესაუბრება, ტელევიზორში მხოლოდ რეკლამებს უყურებს. ეკრანი თვალებს სტკენს და სათვალე სჭირდება. დაბოლოს, დასაძინებლად ემზადება და იძინებს კიდევ პატრონის მკერდზე თავმიდებული. ასეთია ეს მცირე ისტორია, ყოფიერების ეს ნაფლეთი, რომელშიც ცხვარი პიროვნებად გარდაისახება. მე ვფიქრობ, ეს გარდასახვა პირობითია, რადგან საქმე გვაქვს ლირიკული გმირის „ალტერ ეგოსთან“, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს უწყინარი და უცნაური არსება ლირიკული გმირის ჰიპოსტასია, მისი ქვეცნობიერი სამყაროს ადვოკატი, მისი ცხვრული საწყისია. ამგვარია ლია ლიქოკელის მითისთხზვა. ის ჩვეულებრივ ყოფით საგნებსა და არსებებს თავის უჩვეულო სამყაროში ახვედრებს და აქედან იწყება ზღაპრული ფანტაზიის წრეული მოძრაობა. საგანი პროვოცირებას უწევს ლირიკული გმირის ცხოვრებას: „ჩემმა საკამმა ვეშინი ფეხი მოიტეხა, / ვერ ვიტყვი, რას ვფიქრობდი, რატომ ვიყავი ასეთი მძიმე /, მერე მთელი ღამე ვტიროდი /: საკამს მოტეხილი ფეხი სტიკოდა, მე - მოტეხილი ფიქრი.“

ასე იწყება საკამის ამბავი და მალევე მთავრდება: „ერთხელაც, როცა ფიქრის ყველა ფეხს მოვიმტვრეე, შემომიყვამდე მენი დარჩენილი ფეხები“. ეს საკამიც ლირიკული გმირის ჰიპოსტასია, მისი განუყოფელი ნაწილია, მისი ფიქრია. საბოლოოდ, როცა ლირიკული გმირის ფიქრები ფეხებს მოიტეხენ, საკამის ფეხებმა მისი ფიქრის მაგივრობა უნდა გასწიონ.

იგივე შეიძლება ითქვას ფოთოლზე, ბელურებზე, რომლებიც თავს იკლავენ, მუხლუხოზე, ნახშირის უთოზე და ა.შ. ეს საგნები ლია ლიქოკელის წარმოსახვით სამყაროში თავიანთ კუთვნილ ადგილს იკავებენ და ამ სამყაროს კანონებს იზიარებენ. ეს სამყარო ყოველთვის ზღაპრული ან სიზმრის ელული როდია, ზოგჯერ უზარალოდ უჩვეულოა, ჩვეულებრივ რეალობას აცდენილი.

იქნებ ლია ლიქოკელის პოეზია ის უძველესი სტიქიაა, რომელიც ოუნგისულ „კლექტორ ქვეცნობიერს“ აფხიზლებს და არა აქვს მნიშვნელობა, ის ზღაპრული რეალებით შეიმოსება თუ სიზმრისეულ სახეს მიიღებს?

მთავარი აქ სწორედ ქვეცნობიერი სამყაროა, რომლის თავისებური „პოეტური პერიფრაზია“ ეს ლექსები. იქნებ ამიტომაც არავის ჰგავს, ქვეცნო-

ბიერიდან ამოიზიდება და პიროვნებისეულ სიბრტყეში ვერბალურ სახეს იძენს, ენობრივ ფენომენად ყალიბდება, ანუ ქაოსიდან ისეთ კოსმოსად იქცევა, რომელსაც ჯერ კიდევ მთლიანად არ განუძარცვავს ქაოსის პირველქმნილება, მისი „ცხელი სამოსელი“.

მაინც როგორ აიგება, როგორ ყალიბდება ლია ლიქოკელის პოეტური სამყარო?

მე ვფიქრობ, „გარკვეულ ფაზაში“ პოეტის ფანტაზია თუ წარმოსახვა იწყებს „მოქმედებას“. ეს ხდება მაშინ, როცა ის ქვეცნობიერიდან ამოღწეულ იმპულსს, ნივთს, საგანს, მოვლენას მოიხელთებს. ამის შემდეგ იწყება ოპერირება ქვეცნობიერიდან ამოღწეული რეალიებით.

აი, ვთქვათ, ლექსი „ორი ყვითელი აქლემი“. ამ აქლემებმა პოეტის სიზმრებიდან ამოაღწიეს, ამას თვითონ ავტორი გვატყობინებს. ლია ლიქოკელი გვეუბნება, რომ სიზმარში დაკარგა ორი აქლემი. „დავიარე ჩემი ხრიოკი საძილეთი“ - ამბობს ის. მას გზად უცხო აქლემები ხვდებიან, ხვდებიან აგრეთვე დაუმთავრებელი სიზმრები, რომელთაგან რამდენიმე შეეცოდა და დაასრულა კიდევ. პოეტმა ვერ იპოვა აქლემები, უაზროდ იხეტიალა და უდაბნოში გზადაკარგულმა ბოლოს გამოუვალ ვითარებას გამოლიქვითი დააღწია თავი. აქ კი ახალ თავსატეხს გადაეყარა: „აუცილებლად უნდა ვიპოვო ჩემი ყვითელი აქლემები, თორემ ძალიან მუეცხოება ჩემივე თავი, მგონი, ერთ-ერთის კუზში ვზივარ და ისე გა-

ვიპარე მათთან ერთად, არც კი შემიმჩნევია“.

ეს ლექსი პარადოქსულად სრულდება. იგივე მეორდება სხვა ლექსებშიც. პოეტი ეძებს თუ აფიქსირებს თავის გარეთ არსებულ საგანს, საბოლოოდ კი აღმოჩნდება, რომ ეს საგანი მისივე განუყოფელი ნაწილი ყოფილა.

ლია ლიქოკელი მითისმთხველია, მეზღაპრეა, დაუსრულებელი თუ დასრულებული სიზმრების მთხრობელია. მისი ნიგნი „დევის ცოლის სიცილი“ მითოსურ პანთეონს მოგვაგონებს. აქ ყოფით-რეალური სამყარო სიზმრებშია გადახლართული და ზოგჯერ ზღაპრულ-ფანტასტიკურ იერს იძენს. საინტერესოა, გაფართოვდება თუ არა მომავალში ამ პოეტის ლირიკული თვალსაწიერი?


რატომ დაისვა ეს კითხვა?

აღბათ იმიტომ, რომ თხრობის ეს მაღალი რეგისტრი მუდმივი განმეორებისას შეიძლება ერთფეროვნების გამომწვევი გახდეს. სავარაუდოდ, უნდა გაფართოვდეს თხრობის რეალურ-ემპირიული და ყოფითი პლანი, რათა ჩაკეტილ წრეში არ აღმოჩნდეს პოეტი. უფრო უბრალოდ რომ ვთქვათ, აღბათ საჭიროა მეტი სისადავე, მეტი დამინება, მეტი ყოფითი რეალიების შემოტანა. იქნებ ეს მხოლოდ ვარაუდია და არც არის ასე, მაგრამ, ჩემი აზრით, ლია ლიქოკელის სამყაროს უფრო მეტი შეხება უნდა ჰქონდეს დღევანდელ რეალობასთან, რაც თავისებური ნიშნით გამჟღავნდება მის პოეზიაში.



ზურაბ კალანდაძე

ღედვის ხის ჩრდილი



ელა გოჩიაშვილი, ცხოვრებაგუმტარი (ლექსები), თბ. საუნჯე, 2013.

უცნაურია, ელა გოჩიაშვილს დიდი ტკივილიც აქვს და სიხარულიც, ტკივილნარევი სიხარული. ეს ახლის ქმნის, შემოქმედების სიხარულია. ის თითქოს ქმნის და ამავე დროს შექმნილს სინჯავს და უხარია, რომ ჩანაფიქრმა ხორცი შეისხა. მისი ჩანაფიქრი კი მართლაც ისხამს ხორცს.

ელა გოჩიაშვილის ლექსებისთვის ნიშნულია თხრობის თავისებურება. ის ორიგინალურ აზრს გამოთქვამს (პოეზია სიბრძნის დარგია) და ეს აზრი ისეთ ენობრივ და სახეობრივ სამოსელშია გახვეული, რომ სხვა პოეტში არ აგერევა.

მაგრამ ეს ცოტაა. ცოტაა იმის თქმა, რომ ელა გოჩიაშვილს პოეტური აზრის გამოთქმის თავისებურება განარჩევს სხვა პოეტებისგან. ამ უნარს ნინ უძღვის სათქმელის მნიშვნელოვნება.

ელა გოჩიაშვილს აქვს ღრმა სათქმელი და ამ სათქმელს ის ისეთი წრფელი ინტონაციით, დამაჯერებელი ტონითა და ნაივური გულღიანობით

ამბობს, რომ ძნელია მკითხველს ეჭვი შეეპაროს, უფრო სწორად, აქ ეჭვზე არც უნდა იყოს საუბარი.

ტკივილის ამოთქმის ის ინტონაცია, რომელიც ამ ლექსებშია გაცხადებული, მხოლოდ მაშინ იბადება, როცა პოეტს ნამდვილი სათქმელი აქვს. ელა გოჩიაშვილი წერს თავისუფალ და რითმთან ე. წ. კონვენციურ ლექსს და ორივეში თავის ხელწერას ამჟღავნებს. თავისუფალ ლექსებში ცხოვრებისეული სიბრძნე და ზოგჯერ შემაშფოთებული სიმაართლეა გაცხადებული (დედას, ადამიანი - ცოცხალმშობიარე, ნუგეში და სხვ.), კონვენციურ ლექსებში კი ხშირად ოდნავი ირონია გამოსჭვივის, რაც თავისუფლების ნიშნით აღზევდავს ამ სალექსო ფორმას.

ელა გოჩიაშვილის ლექსები დაზღვეულია ყოველგვარი პოეტური პოზისგან, ყალბი პათეტიკისგან, ბუნდოვანებისგან, უსაგნო რიტორიკისგან; ყოველივე ეს ხომ მრავალსიტყვაობასთან ერთად მეტად გავრცელებულია სადღესოდ. გავრცელებულია აგრეთვე ე. წ. სალექსო ფორმების ცვლა, რითმით ფონგლიორობა, ტექნიკის დემონსტრირება, არადა, ტექნიკის ნამდვილი ფლობა მაშინ წარმოჩნდება, როცა პოეტს სათქმელი აქვს და ამბობს კიდევ. სათქმელი თვითონ იკავებს სივრცეს და ეს არის არა სალექსო სივრცის შევსება, არამედ მისი ამეტყველება, რადგან ცარიელი სივრცე შეიძლება შეივსოს და შეიძლება ამეტყველდეს, ანუ გაცოცხლდეს: აი, მიწა -/ მამაჩემის / ცალუღელა საფლავის გვერდით: /ავი მიწა / მყეფარი მიწა / აი, მიწა, რომელიც მე, / ადრე თუ გვიან / ჭიპლარზე უნდა გამოშვება, / და სიკვდილამდე მეტარებისო./ აი, მიწა - საკაბე მიწა, / გაუჭრელი, / დედაჩემის კარადაში გადანახული / კრეპუორჟეტივით”.

პროზაული ყოფითობის განზავება პოეზიაში ძველი თემაა. აქ უკვე საკითხი იმისდა მიხედვით არის დასმული, თუ რა ოდენობით და ხარისხით განზავდება ეს ორი სტიქია ერთმანეთში.

ელა გოჩიაშვილს აქაც ზუსტი ინტუიცია და უცდომელი ალღო კარნახობს, როგორ უნდა გაიაროს ბენვის ხიდზე, რომ წონასწორობა არ დაკარგოს. ეს ინტუიცია მას თვითონ მნიშვნელოვანმა სათქმელმა გამოუმუშავა. ის ლაპარაკობს ყოველთვის არსებითზე, რა შეიძლება ამას დაერქვას - ფორმის სისადავე თუ სიმკაცრე, ფორმისა და შინაარსის ზედმიწევნით ზუსტი დამთხვევა თუ ფორმისადმი უზრუნველი დამოკიდებულება და სათქმელის აზრის აქცენტირება?

ვფიქრობ, ეს უკანასკნელი. აზრი, ჩვეულებრივი აზრი ისე მიიკვლევს მისი ლექსის კალა-



პოტს, რომ ზოგჯერ პოეტურ სახედ ქცევას არც-
 კი ცდილობს, არადა, ამ აზრის ერთი ან ორი მობ-
 რუნება მთელ ლექსს განსხვავებულ შინაარსს
 სძენს და თვითონაც პოეტურ ფიგურად იქცევა.
 მაშასადამე, აზრი ასეთ შემთხვევაში მშრალი რი-
 ტორიკული წარმონაქმნი კი არ არის, არამედ კა-
 ტალიზატორია, ლექსს ფინალში გადაკვეთს, მის
 დასრულებას და გაგებას აჩქარებს.


აი, ვთქვათ, უაღრესად საინტერესო ლექსი
 ნუგეში". ეს ლექსი ერთ ლექვის ხეს ეძღვნება.
 და თუმცა მან ნაყოფი ვერ გამოიღო, ის მაინც
 არსებობის ღირსია, ნაჯახისთვის გასამეტებელი
 არ არის. შეიძლება ნაყოფზე მეტად სიცხემი მო-
 სიარულე მგზავრს მისი ჩრდილი დაეხმაროს.
 უპირველესად შენ მენანები, / მერეა - მგზავ-
 რი, / მშიერი და განზილებული. / ნაჯახისკენ ნუ
 ინდე სხეულს! / ისეთი ვინმეც ხომ ჩამოივლის -
 / ნაყოფის არმაძიებელი, / ჩრდილის მძებნელი/
 შრიალის მძებნელი/ ხაოს მძებნელი/ რბილი ხა-
 ზების მძებნელი, / მოვა შენთან, მოვა, / გეტყვის/
 უნაყოფო ხეო, მჭირდები! / უნაყოფო ხეო, მიყ-
 ვარხარ!" ფინალი კი მართლაც შთაბეჭდავია.

და აქ წარმონდგება შიშველი აზრი, რომელიც
 მთელ ლექსს მხატვრულობის სამოსელში ახვევს:
 არავინ და არაფერი არ ჩნდება ქვეყნად / ერთ-
 დერთი და პირდაპირი დანიშნულებით".


ელა გოჩიაშვილის რითმიან და თავისუფალ
 ლექსს შორის მკაცრი საზღვრის გავლება არ შე-
 იძლება. მისი ტკივილის გამოხატვის ფორმა ყო-
 ველთვის სხვადასხვანაირია, შინაარსობრივი სა-
 თავე კი ერთია. ზოგჯერ პოეტი ამბავს ჰყვება"
 და მაშინ ის თავისუფალი ლექსის მემკვიდრეობით ლი-
 რიკული ნოველის პერსონაჟებს ხატავს, ზოგჯერ
 ხალხურ კილოს მიმართავს (სიკვდილმა ჩამაი-
 რა"), ზოგჯერ კი ჩვეულებრივი კონვენციური
 ლექსით გამოთქვამს სათქმელს. მის წიგნში, რო-
 მელსაც ჰქვია ცხოვრებაგუმტარი", ყველა ეს
 სალექსო ფორმა ბუნებრივად უთავსდება და
 ეწყობა ერთმანეთს. უფრო მეტის თქმაც შეიძ-
 ლება: ყოველივე ეს ერთი სათქმელის ირგვლივ
 არის თავმოყრილი და ამ ერთ სათქმელს წარმო-
 აჩენს. ჩემი აზრით, ეს არ შეიძლება შეუმჩნევე-
 ლი დარჩეს ელა გოჩიაშვილის პოეზიაში.

არტილის ივნიისის რჩეულები

15 საუკეთესო ქართული მოთხრობა,
 თბ. "ბაკურ საულაკაურის
 გამოცემლობა", 2014.



ბესო ზედელოძე, ნამსტი,
 თბ. "ბაკურ საულაკაურის
 გამოცემლობა", 2014.



აკა მორჩილაძე, ქემერა,
 თბ. "ბაკურ საულაკაურის
 გამოცემლობა", 2014.



თეონა დოლენჯაშვილი,
 რეალური არსებები,
 თბ. "ბაკურ საულაკაურის
 გამოცემლობა", 2014.




კარლო კაჭარავა,
 მგზავრობის ანგელოზი,
 თბ. ქართული გამოცემლობა, 2014.



პრილის ივნისის რჩეულები


...ტომასდ, თბ. "სახელისუფლების ქართული
ლოტერატურის მუზეუმი", 2013.




ნიინო ხარატიშვილი, უშუა, მანაია
და მკატერიანი ნატილი ნატილია
თბ. "ინტელექტი", 2014.




ზურაბ კაკაბაძე, 100 ლექსი,
თბ. "ინტელექტი", 2014.



ბოკოუმილი პრაბალი,
სულსან მუხიგულაშვილი იმგლისს მუფეს,
თბ. "დიოგენე", 2014.



...ტომასდ, თბ. "სახელისუფლების ქართული
ლოტერატურის მუზეუმი", 2013.




უმბერტო ეკო, პრადის სასაფლაო,
ბათუნა ცხადის თარგმანი იტალიურიდან,
თბ. "დიოგენე", 2014.



ორპან ფაბუქი, ახალი ცხოვრება,
თამარ ალფინიძის თარგმანი თურქულიდან,
თბ. "დიოგენე", 2014.




...ტომასდ, თბ. "სახელისუფლების ქართული
ლოტერატურის მუზეუმი", 2013.



უმბერტო ეკო, "როგორ დავცნოთ
საკვალიფიკაციო ნაშრომი", სლოიმე
კენჭოვლის თარგმანი იტალიურიდან,
თბ. გამომცემლობა არტემ, 2014.



ანა პოლიტკოვსკაია, პუტინის
რუსეთი, გენცა ვობოვან
თარგმანი იმგლისსურიდან,
თბ. "არტალფი", 2014.



ეს შეიძლება ყოფილიყო თქვენი რეკლამა

ი.ს./28

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

